მურად შონია

თანამედროვე აზროვნების შესავალი

თბილისი

2023

UDC(უაკ) 316.653

Შ-829

ანოტაცია

ნაშრომში შეძლებისდაგვარად გადმოცემულია თანამედროვე აზროვნების შესავალი, რომელიც წარმოდგენილია როგორც ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტთათვის, ხოლო როგორც მონოგრაფია - საერთოდ სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ნაშრომი ორი - ზოგადი და კერძო - ნაწილისაგან შედგება.

ზოგად ნაწილში განხილულია თავად თანამედროვე აზროვნების შესავალი როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ასევე თანამედროვე აზროვნების არსი და მისი ძირითადი ნიშან-თვისებანი, სახელდობრ კი, ამ აზროვნების ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა აზროვნების ლიბერალურობა, კრეატიულობა და პლურალურობა ზოგადად.

კერძო ნაწილში განხილულია თანამედროვეობის ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებიც ძალიან მწვავედ დგას თანამედროვე აზროვნების წინაშე. ეს საკითხებია, სახელდობრ, გლობალიზაციის, თავისუფლების, დევიაციის, გენდერის, არატრადიციული ორიენტაციების, ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემები.

ნაშრომი როგორც დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ხოლო როგორც საერთოდ მეცნიერული ნაშრომი - ასევე აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: **რაულ ღიბრაძე**

რეცენზენტები: **სერგო ლომინაძე, როინ რეხვიაშვილი**

ISBN 978-9941-8-5588-7

სარჩევი

წინასიტყვაობა ……...5

შესავალი……..7

ერთიანი დაწვრილებითი გეგმა მთელი ნაშრომისათვის თავების მიხედვით……9

I. თანამედროვე აზროვნების შესავალი როგორც სამეცნიერო დისციპლინა……..14

II. თანამედროვე აზროვნების არსი ზოგადად.....24

III. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი.....33

IV. თანამედროვე აზროვნების თავისებურებანი კერძოდ.....38

V. თანამედროვე აზროვნება როგორც ლიბერალური აზროვნება...44

VI. თანამედროვე აზროვნება როგორც კრეატიული აზროვნება.....53

VII. თანამედროვე აზროვნება როგორც პლურალური აზროვნება....62

VIII. სოციალური პრობლემები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით (ზოგადი).....74

IX. გლობალიზაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....89

X. თავისუფლების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....101

XI. დევიაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....116

XII. უმცირესობების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....123

XIII. გენდერის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....136
XIV. არატრადიციული ორიენტაციების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....148
XV. ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით.....155

დასკვნა.....164

ბოლოსიტყვაობა.....168

მითითებული ლიტერატურა.....170

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს ანუ, ამ შემთხვევაში, მოკლე ვარიანტს ე.წ. „თანამედროვე აზროვნების“ სასწავლო-საგანმანათლებლო საგნისას.

ეს საგანი როგორც ერთ-ერთი სასწავლო-საგანმანათლებლო დისციპლინა ამ ბოლო ხანებში იქნა შემოღებული უმაღლესი განათლების სისტემაში, იმ დიდი მნიშვნელობისა გამო, რაც მას გააჩნია ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში.

ხოლო მას კი, მართლაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ აზროვნებით გამოირჩევა ადამიანი ამქვეყნად სხვა არსებათაგან. სწორედ აზროვნების წესით წარემატება ან ვერ წარემატება ადამიანი თავის ცხოვრებაში. ადამიანი ხომ „ჰომო საპიენსია“, „გონიერი კაცია“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოაზროვნე კაცია, არც მეტი და არც ნაკლები.

ხოლო რაკიღა ეს ასეა, კაცობრიობის პროგრესი თუ არაპროგრესი თავ-თავის დროზე პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ აზროვნების რა წესით სარგებლობს იგი ამა თუ იმ ეპოქაში. როგორიცაა აზროვნება, მაშასადამე, ისეთივე იქნება ჩვენი ცხოვრებაც საერთოდ. და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სულიერი მხარეა ადამიანში და, მაშასადამე, კაცობრიობის ცხოვრებაში მთავარი და არა საწინააღმდეგო რამ, მაშინ ლოგიკურადაც კი გამოდის, რომ ჩვენი აზროვნების წესი განსაზღვრავს კიდეც ჩვენს მთელს ცხოვრებას საერთოდ ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე.

წინამდებარე წიგნი, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, გარკვეულ პოზიტიურ სამსახურს გაუწევს ამ საგნით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს, ვინაიდან იგი ეხება სწორედ კაცობრიობის თანამედროვე ეპოქის აზროვნების წესს.

ბუნებრივია, ჩვენი წიგნი ვერ იქნება ნაკლოვანებათაგან თავისუფალი, მაგრამ მთავარია ის, რომ იგი მაინც არის ჩვენი, ერთ-ერთი მოკრძალებული ცდა თანამედროვე აზროვნების თეორიის გადმოცემისა.

ამ წიგნის დაწერა ჩვენ შთაგვაგონა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფილოსოფიის დოქტორმა **ბ-ნმა როინ რეხვიაშვილმა,** ამასთან მან გარკვეული დახმარება გაგვიწია წიგნზე მუშაობაშიაც, რის გამოც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

წინამდებარე წიგნი შეიძლება გამოდგეს ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოდ ბაკალავრებისა, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, თუმცა, ჩვენი

ჩანაფიქრით, ეს ნაშრომი შეიძლება ერთგვარი მონოგრაფიის რაკურსითაც კი წარვადგინოთ მკითხველის წინაშე. გააჩნია, თუ ვინ როგორ და რა კუთხით შეხედავს და გამოიყენებს მას.

ავტორი 2023

შესავალი

„თანამედროვე აზროვნების“ თემა ჩვენი ანუ თანამედროვე ეპოქის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საქმე ის არის, რომ ადამიანი ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ერთადერთი „მოაზროვნე არსებაა“ ამქვეყნად, სხვა არსებათაგან განსხვავებით. ადამიანი რასაც იქმს, სწორედ თავისი აზროვნების მეშვეობით იქმს მას, იგი ხომ ცნობიერი, შეგნებული არსებაა. მართალია ადამიანში არის არა მხოლოდ ცნობიერი, არამედ არაცნობიერი მხარეც, მაგრამ განმსაზღვრელი მასში მაინც ხომ ცნობიერია. სწორედ ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ადამიანი ეს „ჰომო საპიენსია“ ანუ „გონიერი კაცია“.

ყოველ ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში თავისი აზროვნება გააჩნდა და შესაბამისად ეს აზროვნება განსაზღვრავდა მის გზას, ვინაიდან სულიერი განსაზღვრავს ადამიანში არასულიერს ანუ ხორციელს. ადამიანი ხომ ერთადერთი თავისუფალი არსებაა ამქვეყნად და იგი არის ერთადერთი შემოქმედი კაცობრიობის ისტორიისა ამქვეყნად.

„თანამედროვე აზროვნების“ საკითხი თანამედროვეობის უაქტუალურესი, უმწვავესი საკითხია, ვინაიდან სწორედ იგი განსაზღვრავს მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნიშან-სვეტებს. და თუ როგორი იქნება იგი - ეს ჩვენი თანამედროვე აზროვნება, განმსაზღვრელწილად ისეთივე იქნება ჩვენი მთელი ცხოვრებაც. ხოლო თუ ეს აზროვნება იქნება ჯეროვანი, მაშინ წარმატებული იქნება ჩვენი ცხოვრებაც და თუ არა და, მაშინ - წარუმატებელი.

მაგრამ საკითხი თანამედროვე აზროვნებისა, მისი რაობისა, მისი რაგვარობისა, ეს მარტივი, იოლი საკითხი როდია, არამედ ძალიან ძნელი, რთული და იგი არის მთელი პრობლემა, ვიანიდან ძალიან რთულია გარკვევა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი აზროვნება კაცობრიობის ისეთ რთულ პერიოდში, როგორიცაა სწორედ ჩვენი ეპოქა.

ასე რომ, თანამედროვე აზროვნების პრობლემურობას ქმნის სწორედ თანამედროვე ეპოქის სირთულე. ხოლო რთულია ჩვენი ეპოქა იმიტომ, რომ დამძიმებულია იგი ძალიან დიდი წინააღმდეგობებით. ეს ხომ ე.წ. „აპოკალიფსის“ ეპოქაა.

სწორედ ამიტომაც საჭიროა ვეძებოთ გამოსავალი. და გამოსავალი ჩვენი აზროვნების სწორი მიმართულებით წარმართვაშია. ეს ზოგადად, აბსტრაქტულად, მაგრამ კონკრეტულად, კერძოდ პრობლემა კიდევ უფრო რთულია, ვინაიდან გასარკვევია, დასადგენია სწორედ ეს კერძო, კონკრეტული მიმართულებანი ჩვენი აზროვნებისა, შესაბამისად თანამედროვე ეპოქისა.

„თანამედროვე აზროვნების შესავალი“ გულისხმობს შესავალს ანუ ერთგვარ კარს თანამედროვე აზროვნების პრინციპებში, რომლებსაც ემყარება მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება, ხოლო, აქედან გამომდინარე კი, მთელი ჩვენი სულიერიცა და ხორციელი ცხოვრებაც.

ასე რომ, თანამედროვე აზროვნების შესავალი ეს ერთგვარი თეორიული ორიენტირიც კია ჩვენი ცხოვრებისა დღეს. მისით უნდა ვიხელმძღვანელოთ კიდეც. თეორია ხომ „გზას უნათებს“ პრაქტიკას. ასევე, თანამედროვე აზროვნებაც „გზას უნათებს“ თანამედროვე ცხოვრებას. როგორიც იქნება იგი, ისეთივე იქნება ჩვენი ცხოვრებაც. სწორედ ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა.

ხოლო იმის გამო, რომ სწორედ აზროვნება წარმართავს ჩვენს ცხოვრებას, თანამედროვე აზროვნებაც განსაზღვრავს ჩვენს თანამედროვე ეპოქას, მის სახეს, მის რაობას, მის რაგვარობას.

სწორედ ამიტომაა თანამედროვე აზროვნების საკითხი დღეს ასე აქტუალური, ვინაიდან სწორედ იგია ასე მნიშვნელოვანი ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში.

თანამედროვე აზროვნების შესავალი ეს, მართლაც, ერთგვარი მოკლე კომპენდიუმია, ერთგვარი მოკლე სახელმძღვანელოა ჩვენი ცხოვრებისა, იმდენად მნიშვნელოვანია იგი ჩვენთვის.

ერთიანი დაწვრილებითი გეგმა მთელი ნაშრომისათვის თავების მიხედვით

I. თანამედროვე აზროვნების შესავალი როგორც სამეცნიერო დისციპლინა

1. მეცნიერება საერთოდ

2. მეცნიერებათა კლასიფიკაცია

3. ე.წ. „თანამედროვე აზროვნების“ თეორია და მისი ადგილი საერთოდ მეცნიერებათა სისტემაში.

4. თანამედროვე აზროვნება როგორც წინამდებარე დისციპლინის საგანი და მისი წინასწარი დახასიათება, განსაკუთრებით კი გლობალიზაციასთან დაკავშირებით

5. თანამედროვე აზროვნების თეორიის საგანი სხვადასხვა გაგების შემთხვევაში

II. თანამედროვე აზროვნების არსი ზოგადად

1. აზროვნება საერთოდ

2. აზროვნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

3. ადამიანი როგორც მოაზროვნე არსება

4. თანამედროვე აზროვნების სპეციფიკა და მისი განსხვავება ტრადიციულისაგან

5. თანამედროვე აზროვნების ისტორია

III. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი

1. მეცნიერება და მისი საგანი საერთოდ

2. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი

3. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგნის ადგილი მეცნიერებათა საგნების სისტემაში

4. თანამედროვე აზროვნების თეორია და საგანი ურთიერთკავშირში

IV. თანამედროვე აზროვნების თავისებურებანი კერძოდ

1. თანამედროვე აზროვნების კერძო თავისებურებათა შესახებ ზოგადად

2. ლიბერალიზმი, კრეატივიზმი და პლურალიზმი, როგორც თანამედროვე აზროვნების ძირითადი კერძო თავისებურებანი

3. ურთიერთკავშირი ლიბერალიზმსა, კრეატივიზმსა და პლურალიზმს შორის თანამედროვე აზროვნებაში

4. თანამედროვე აზროვნების სხვა ძირითადი კერძო თავისებურებანი: ტოლერანტიზმი და გლობალიზმი

V. თანამედროვე აზროვნება როგორც ლიბერალური აზროვნება

1. ლიბერალური აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. ლიბერალური აზროვნების ცნება (დეტერმინირებული აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. ლიბერალური აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

4. ილია ჭავჭავაძე ლიბერალური აზროვნების შესახებ

VI. თანამედროვე აზროვნება როგორც კრეატიული აზროვნება

1. კრეატიული აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. კრეატიული აზროვნების ცნება (დოგმატური აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. კრეატიული აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

VII. თანამედროვე აზროვნება როგორც პლურალური აზროვნება

1. პლურალური აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. პლურალური აზროვნების ცნება (სინგულარული აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. პლურალური აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

VIII. სოციალური პრობლემები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით (ზოგადი)

1. სოციალური პრობლემის ცნება (სოციალური პრობლემა საერთოდ; სოციალური პრობლემა კერძოდ; სოციალური მოთხოვნილებანი; მათი დაკმაყოფილების პრობლემა; სოციალური პრობლემა არსისა და ჯერარსის კუთხით)

2. ძირითადი აქტუალურ-სოციალური პრობლემები

3. მიმდინარე სოციალური პრობლემები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

IX.გლობალიზაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. გლობალიზაციის არსი

2. გლობალიზაციის დადებითი მხარეები

3. გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები

4. გლობალიზაციის ორგვარი გაგება

X. თავისუფლების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. თავისუფლების არსი

2. თავისუფლების პრობლემა

3. თავისუფლების სხვადასხვაგვარი გაგება

4. თავისუფლების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

XI. დევიაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. დევიაციის შესახებ საერთოდ (დევიაცია საერთოდ და დელინკვენტობა მასში)

2. ნორმატიული კანონები და დევიაცია

3. დევიაცია როგორც სოციალური მოვლენა

4. დევიაციის ფორმები

5. დევიაციები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

XII. უმცირესობების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ე.წ. უმცირესობის პრობლემის შესახებ საერთოდ

2. უმცირესობის ცნება უმრავლესობის ცნებასთან მიმართებით

3. ე.წ უმცირესობათა კლასიფიკაცია

4. უმცირესობათა უფლებების შესახებ

5.ზოგიერთი უმცირესობის პრობლემის ანალიზი თანამედროვე აზროვნების თვალთახედვით

XIII. გენდერის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ე.წ. გენდერის ცნება

2. სქესი და გენდერი

3. ე.წ გენდერული უთანასწორობა - თანასწორობის შესახებ

4. გენდერული თანასწორობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების შუქზე

XIV. არატრადიციული ორიენტაციების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ტრადიციისა და ტრადიციულის შესახებ საერთოდ

2. ტრადიციულის სხვადასხვაგვარი გაგება

3. ტრადიციულის ჭეშმარიტი გაგება და არატრადიციულის ჭეშმარიტი გაგება

4. თანამედროვე ე.წ. არატრადიციული ორიენტაციები, მათი დახასიათებანი და შეფასებანი

XV. ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ძალმომრეობისა და შემწყნარებლობის პრობლემის შესახებ ზოგადად

2. ძალმომრეობისა და შემწყნარებლობის ცნებანი ურთიერთმიმართებით

3. შემწყნარებლობის სწორი გაგების შესახებ და მისი მნიშვნელობა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში

I. თანამედროვე აზროვნების შესავალი როგორც სამეცნიერო დისციპლინა

1. მეცნიერება საერთოდ

2. მეცნიერებათა კლასიფიკაცია

3. ე.წ. „თანამედროვე აზროვნების“ თეორია და მისი ადგილი საერთოდ მეცნიერებათა სისტემაში.

4. თანამედროვე აზროვნება როგორც წინამდებარე დისციპლინის საგანი და მისი წინასწარი დახასიათება, განსაკუთრებით კი გლობალიზაციასთან დაკავშირებით

5. თანამედროვე აზროვნების თეორიის საგანი სხვადასხვა გაგების შემთხვევაში

1. მეცნიერება საერთოდ

მეცნიერება არის საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. საზოგადოებრივი ცნობიერება კი საზოგადოების შეხედულებაა საერთოდ. იგულისხმება, რომ მეცნიერებასთან ერთად საზოგადოებრივ ცნობიერებას გააჩნია მთელი რიგი ფორმებიც. ჩვენ აქ მათ ამ შემთხვევაში არ ჩამოვთვლით.

მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების განსაკუთრებული ფორმა ანუ სახეა, განსხვავებით საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან ანუ სხვა სახეებისაგან.

მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმათა შორის გამოირჩევა იმ თავისებურებით ანუ იმ სპეციფიკით, რომ იგი არის ცნებებში ჩამოყალიბებული შეხედულება ანუ ცოდნა სინამდვილის შესახებ.

მეცნიერება ეს დასაბუთებული ცოდნაა სამყაროს შესახებ, განსხვავებით საზოგადოებრივი ცნობიერების არამეცნიერული ფორმებისაგან. ასე, მაგალითად, მისი რელიგიური ფორმისაგან, რომელიც დასაბუთებას არ მოითხოვს და უშუალოდ რწმენას ემყარება მაშასადამე, მეცნიერება საერთოდ შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ცნებებში ჩამოყალიბებული მსჯელობებისა და დასკვნების დასაბუთებული, არგუმენტირებული სისტემა ანუ მთლიანობა სინამდვილის შესახებ.

ცნება ეს არის აზრი საგანზე, რომელიც გამოხატავს მის არსებით ნიშან-თვისებებს, ხოლო საგნის არსებითი ნიშან-თვისებანი ეს ისეთი ნიშან-თვისებანია მისი, რომლებიც, ჯერ ერთი, აუცილებელია, და მეორეც, საკმარისია მისთვის.

მაშასადამე, იგულისხმება, რომ მეცნიერება არის სინამდვილის მოვლენათა არსებითი მხარისა თუ მხარეების შესახებ გადმოცემული და მისით დასაბუთებული ანუ არგუმენტირებული მსჯელობებისა და დასკვნების სისტემა.

2. მეცნიერებათა კლასიფიკაცია

მეცნიერება შეისწავლის სინამდვილის ყველა სფეროს, გადასწვდება რა იგი მთელს ყოფიერებას. ყოფიერება კი მოიცავს ყოველივეს, რაც კი რამ არსებობს - იმდენად დიდია, იმდენად ფართოა, იმდენად ვრცელია მთელი არსი (არსი კი არის ყოველივე ის , რაც არის).

მეცნიერების უამრავი კლასიფიკაცია არსებობს. მეცნიერების კლასიფიკაცია გულისხმობს მეცნიერების დაყოფას სხვადასხვა კლასებად ანუ ჯგუფებად. ეს კლასიფიკაცია სხვადასხვანაირია იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით ანუ საწყისითაა მასში მეცნიერებანი დაყოფილი ამა თუ იმ შემთხვევაში.

ჩვენ აქ მეცნიერებათა კლასიფიკაციის ყველა არსებულ ვარიანტს ვერ შევეხებით. მაგრამ ამ კლასიფიკაციის იმ ვარიანტს აუცილებლად ავღნიშნავთ, რომლის თანახმადაც მეცნიერებანი საერთოდ შეიძლება დაიყოს ბუნებისა და საზოგადოების ანუ საბუნებისმეტყველო და სასაზოგადოებისმეტყველო მეცნიერებებად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რა თქმა უნდა, ბუნების შემსწავლელი მეცნიერებანი იქნება, ხოლო სასაზოგადოებისმეტყველო მეცნიერებანი კი, შესაბამისად, - საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებანი.

აქ დაყოფის პრინციპი, როგორც ვხედავთ, არის თავად ბუნება, ნატურა და საზოგადოება, სოციუმი. მთელი ამქვეყნიური სინამდვილე სწორედ ბუნებად და საზოგადოებად იყოფა.

მართალია მეცნიერებათა ეს კლასიფიკაციაც (ისევე როგორც მეცნიერებათა ყველა სხვა კლასიფიკაციაც, თითოეული სულ სხვადასხვა კუთხით) არასრულყოფილია (ვინაიდან მასში გამოტოვებულია მეცნიერების მიერ შესასწავლი აგრეთვე სხვა, ამ შემთხვევაში იმქვეყნიური სინამდვილე), მაგრამ მეცნიერებათა ეს, ამგვარი კლასიფიკაცია მაინც ყველაზე უფრო გავრცელებულია მეცნიერებათა კლასიფიკაციის თეორიებში.

3. ე.წ. „თანამედროვე აზროვნების“ თეორია და მისი ადგილი საერთოდ მეცნიერებათა სისტემაში.

ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი გააჩნია. არ არსებობს მეცნიერება საგნის გარეშე. ამა თუ იმ მეცნიერების სახეს, მის თავისებურებას, მის სპეციფიკას შესაბამისად სწორედ მისი საგანი განსაზღვრავს.

მაგრამ მეცნირებანი იყოფა ორ რიგად: ზოგად და კერძო მეცნიერებებად. ესეც, სხვათა შორის, მეცნიერებათა ერთგვარი განსხვავებული კლასიფიკაციაა. ამ შემთხვევაში მეცნიერებათა დაყოფის პრინციპად ანუ საწყისად ანუ საფუძვლად აღებულია მეცნიერებათა საგანი, იმისდა მიხედვით, ზოგადია თუ კერძო იგი.

ზოგადი საგნის (საგნების) შესახებ მეცნიერებას (მეცნიერებებს) ზოგადი ანუ უნივერსალური მეცნიერება(ნი) ეწოდება, ხოლო კერძო საგნის (საგნების) შესახებ მეცნიერებას (მეცნიერებებს), შესაბამისად, - კერძო ანუ სპეციალური მეცნიერება(ნი).

ზოგადი მეცნიერებანი ფილოსოფიური მეცნიერებანია, ვინაიდან სწორედ ისინი შეისწავლიან ზოგად საგნებს ანუ უნივერსალიებს. ზოგადი საგანი (საგნები) ეს ისეთი საგანი (საგნები)ა, რომელიც (რომლებიც) საერთოა კერძო საგანთა შორის. ზოგადი საერთოდ ფილოსოფიაში არის ის, რაც საერთოა მოვლენათა შორის. ზოგადი ამსგავსებს ერთ მოვლენას მეორეს, სწორედ ამ მსგავს მოვლენებს შეისწავლის ფილოსოფიაც, ოღონდ საერთოდ არსის მასშტაბით.

რაც შეეხება კერძო მეცნიერებებს, კერძო მეცნიერებათა საგანი(საგნები) ეს ისეთი საგანი(საგნები)ა, რომელიც(რომლებიც) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, და ამიტომაც ქვია მათ შესახებ მეცნიერებებს კერძო, სპეციალური, კონკრეტული მეცნიერებანი. კერძოა, სპეციალურია, კონკრეტულია ეს მეცნიერებანი იმიტომ, რომ ისინი შეიწავლიან სინამდვილის სწორედ კერძო, სპეციალურ, კონკრეტულ საგნებს.

მაშასადამე, არსებობს ორი დიდი რიგი მეცნიერებათა, რომელნიც ზოგად და კერძო (ერთეულ) მოვლენებს შეისწავლიან სინამდვილის სფეროებისას.

აქედან გამომდინარე, ყოველ მეცნიერებას, ზოგადი იქნება იგი თუ კერძო, შესაბამისად, თავისი ზოგადი თუ კერძო საგანი გააჩნია. ამასთან ზოგადი მეცნიერება მხოლოდ ერთია, ხოლო კერძო, ცალკეული, ერთეული, კონკრეტული მეცნიერებანი - მრავალი. ეს იმიტომ, რომ ზოგადი ფილოსოფიურად მხოლოდ ერთია, ხოლო ერთეული კი - უამრავი.

ყოველივე იქიდან გამომდინარე, რაც ჩვენ აღვნიშნეთ მეცნიერების შესახებ საერთოდ და მისი კლასიფიკაციის შესახებ განსაკუთრებით, ნათელი უნდა გახდეს შემდგომში

ჩვენი მსჯელობაც „თანამედროვე აზროვნების“ თეორიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის ადგილის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში.

ამ ბოლო ხანებში უმაღლესი განათლების სისტემაში სასწავლო საგნად შემოიღეს ახალი საგანი სახელწოდებით „თანამედროვე აზროვნების შესავალი“, უფრო სწორედ, სახელწოდებით - „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“.

ამ ახლად შემოღებული სამეცნიერო დისციპლინის ქართულ დასახელებაში, სიტყვების სწორ განლაგებასთან დაკავშირებით, ქართული სამეტყველო ენის კანონების, ნორმების შესაბამისად, ჩვენ სწორად მიგვაჩნია დასახელების შემდეგი ფორმა: „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ და არა „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, ვინაიდან, ანალოგიურ შემთხვევებში, ჩვენ ხომ არ ვამბობთ, დავუშვათ, „შესავალს ფილოსოფიაში“ ანდა „შესავალს ფსიქოლოგიაში“ და ა.შ. და ა.შ.

რაკიღა ჩვენ „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ სამეცნიერო დისციპლინას ვეხებით, აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ამბავი, რომ ეს შესავალი ეხება სწორედ რაღაც სამეცნიერო დისციპლინას, რომელსაც თავად შეიძლება ვუწოდოთ „თანამედროვე აზროვნების თეორია“. და, მართლაც, ეს „შესავალი“ ხომ სწორედ „თანამედროვე აზროვნების“ შესავლად გვაქვს შეგულვებული.

აქედან გამომდინარე კი, ამ სამეცნიერო დისციპლინის სრულიად ზუსტი სახელწოდება ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს: „თანამედროვე აზროვნების თეორიის შესავალი“, ვინაიდან ჭეშმარიტად აქ, ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს თეორიის შესავალზე, ამჯერად კი, სახელდობრ „თანამედროვე აზროვნების თეორიის“ და არა „თანამედროვე აზროვნების“ შესავალზე.

აქ კი, სახელწოდების ვარიანტებთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ამ სამეცნიერო დისციპლინაზე საუბარია მეცნიერების რაკურსით (კუთხით), მეორე შემთხვევაში კი - მეცნიერების საგნის რაკურსით. ბოლოს და ბოლოს ორივე ვარიანტი გამართლებულია, თუმცა კი მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ საგნის დასახელება როგორც მეცნიერების და არა როგორც ამ მეცნიერების საგნის კუთხით.

როცა ჩვენ ამ სამეცნიერო დისციპლინას ვუწოდებთ „თანამედროვე აზროვნების შესავალს“, ჩვენ აქ მას წარმოვადგენთ, რა თქმა უნდა, საგნის რაკურსით, ვინაიდან აქ ლაპარაკი გვაქვს სწორედ „<u>თანამედროვე</u> აზროვნების“ როგორც <u>„თანამედროვე აზროვნების თეორიის</u> შესავლის“ საგანზე. ხოლო „თანამედროვე აზროვნების თეორიის შესავალი“ ამ შემთხვევაში იქნებოდა მისი როგორც ამ საგნის შესახებ

მეცნიერების აღმნიშვნელი. ყოველივე ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ „თანამედროვე აზროვნება“ სინამდვილეში მხოლოდ საგანია „თანამედროვე აზროვნების“ უკვე „ თეორიისა“.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინის უფრო სწორ სახელწოდებად ჩვენ ამ შემთხვევაში მიგვაჩნია მაინც „თანამედროვე აზროვნების თეორიის შესავალი“ და არა „თანამედროვე აზროვნების შესავალი“, იმის გამო, რომ ეს სამეცნიერო დისციპლინა თავიდან უკვე ჩამოყალიბდა „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ შესახებ სახელწოდებით და იმის გამოც, რომ პრინციპში ეს სახელწოდებაც არ არის მიუღებელი, ჩვენც ვტოვებთ მას აღნიშნული სახით.

აქვე აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინის სახელწოდებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მომენტს უნდა შევეხოთ გაკვრით მაინც. საქმე ეხება იმის განმარტებას, სახელდობრ, თუ რას უნდა გულისხმობდეს ამ სახელწოდებაში - „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ - სწორედ ეს „შესავალი“.

და, მართლაც, ლოგიკურად ეს „შესავალი“ აქ ჩვენ შეიძლება გაგვეგო ორგვარად: ერთ შემთხვევაში _ „თანამედროვე აზროვნების“ თეორიის წინათავად, მისი ძირითადი ნაწილის მხოლოდ წინა, მოსამზადებელ, მასში ჩვენს შემყვან თავად, მეორე შემთხვევაში კი - „თანამედროვე აზროვნების თეორიის“ მოკლე გადმოცემად, მის მოკლე ვარიანტად, განსხვავებით მისივე ვრცელი გადმოცემისაგან, ვრცელი ვარიანტისაგან. განსხვავება ამ ორ ვარიანტს შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში შესავალი წინ უძღვის ძირითად და დასკვნით ნაწილებს, ხოლო მეორე შემთხვევაში მოიცავს როგორც საკუთრივ შესავალს, ისე ძირითად და დასკვნით ნაწილებსაც, ოღონდ, ვიმეორებთ, მოკლე და არა ვრცელი ვარიანტით.

გამომდინარე აქედან, „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ ჩვენს შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც ამ სამეცნიერო კურსის მოკლე ვარიანტი.

ახლა კი „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ ადგილის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში.

ისევე, როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, ამ შემთხვევაში კი, ჩვენს სამეცნიერო დისციპლინასაც, რომელსაც „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ ქვია, თავისი ადგილი უნდა ეჭიროს და უჭირავს კიდევაც მეცნიერებათა სისტემაში.

გამომდინარე იქიდან, რაც ჩვენ თავის ადგილზე აღვნიშნეთ მეცნიერებათა კლასიფიკაციის ამბავში, „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ უნდა გავიდეს, ჯერ ერთი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, და მეორეც, კერძო მეცნიერებათა დარგში.

მოკლედ, „თანამედროვე აზროვნების შესავალი“ როგორც სამეცნიერო დისციპლინა ესაა კერძო საზოგადოებრივი სამეცნიერო დისციპლინა. კერძოა იგი იმდენად, რამდენადაც იგი ეხება სწორედ კერძო სამეცნიერო სფეროს შესასწავლი სინამდვილისას, სახელდობრ „თანამედროვე აზროვნებას“, ხოლო საზოგადოებრივია ეს სამეცნიერო დისციპლინა იმდენად, რამდენადაც იგი ეხება საზოგადოებრივ სფეროს ჩვენი ცხოვრებისას.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, კერძოდ კი, ამ სამეცნიერო დისციპლინის საზოგადოებრივ - მეცნიერულობის მომენტში, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის, რომ „თანამედროვე აზროვნების შესავალი“, ეხება რა ადამიანის როგორც სოციალური ანუ საზოგადოებრივი არსების „თანამედროვე აზროვნებას“, აუცილებლად სოციალური ანუ საზოგადოებრივი მეცნიერებების წრეში გავა: ადამიანი თავისი აზროვნებით საერთოდ და თვით „თანამედროვე აზროვნებითაც“ კი საზოგადოებრივი ცხოვრების ცნებას განეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რა საკითხსაც არ უნდა შეეხოს ე.წ. „თანამედროვე აზროვნება“, საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ თუნდაც უკლებლივ ნებისმიერ მოვლენათა ანალიზს.

4. თანამედროვე აზროვნება როგორც წინამდებარე დისციპლინის საგანი და მისი წინასწარი დახასიათება, განსაკუთრებით გლობალიზაციასთან დაკავშირებით.

„თანამედროვე აზროვნების შესავალი“, როგორც ეს თავად ამ სამეცნიერო დისციპლინის სათაურიდანვე ჩანს, ე.წ. „თანამედროვე აზროვნებას“ ეხება. სხვანაირად, „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ როგორც მეცნიერების საგანია განსაკუთრებული საზოგადოებრივი, სოციალური მოვლენა - „ თანამედროვე აზროვნება“. ამიტომ ამის შემდეგ აქ საჭიროა ამ „თანამედროვე აზროვნების“ თუნდაც პირვანდელი, საწყისი, ამოსავალი განმარტება.

თანამედროვე აზროვნება ეს ის აზროვნებაა კაცობრიობისა, რაც დაკავშირებულია ადამიანის აზროვნებასთან ე.წ. „გლობალიზაციის“ პირობებში, პროცესში. ეს იგივეა, კაცმა რომ თქვას, რაც გლობალისტური აზროვნება.

გლობალისტური აზროვნება კაცობრიობის ისტორიის, რა თქმა უნდა, ის აზროვნებაა, რაც მსოფლიო განვითარების ე.წ. გლობალისტურ პერიოდს უკავშირდება.

გლობალისტური აზროვნება ეს არის ის აზროვნება, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებრივ საკითხზე და განსაკუთრებით კი სოციალურ პრობლემებზე ადამიანთა აზროვნებას წარმართავს სწორედ გლობალისტური ანუ მსოფლიო აზროვნების ჭრილში, ნებისმიერი სოციალური პრობლემის მსოფლიო მასშტაბით მისი გადაჭრის გათვალისწინებით. აქ კი მნიშვნელობა როდი აქვს იმას, ეს საკითხები თუ, მითუმეტეს, პრობლემები ადამიანთა არა თუ თავად საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან, არამედ მათ თვით ბუნებასთან დამოკიდებულებას ეხება.

მოკლედ რომ ვთქვათ, გლობალისტური აზროვნება გულისხმობს ნებისმიერ საზოგადოებრივ თუ ბუნებრივ პრობლემებზე აზროვნებას გლობალისტური კუთხით, გლობალისტური ასპექტით, გლობალისტურ ჭრილში, იმის გათვალისწინებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მთელი მსოფლიოსათვის. ეს არის ისეთი აზროვნება, რომელსაც ადამიანის აზროვნება, ვისიც არ უნდა იყოს იგი მსოფლიოში, აყავს ადამიანის აზროვნება საერთოდ დედამიწის ზურგზე ვიწროკუთხური ან თუნდაც რეგიონალური აზროვნებიდან საყოველთაო, გლობალურ, საერთოსაკაცობრიო თვალთახედვამდე, გათვალისწინებით ყოველივე ამისა.

თანამედროვე აზროვნება, თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მთელი თავისი დანიშნულებით, ეს არის იმგვარი აზროვნება, როდესაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების „ვიწრო ნაჭუჭიდან“ მსოფლიო გლობალისტური ცხოვრების ფართო ასპარეზზე გავლენ. განა ეს არ იყო სწორედ კაცობრიობის უდიადეს მოაზროვნეთა საფიქრალ-სანატრელი! ოღონდ მთავარია, თუ როგორ გავიგებთ ე.წ. გლობალისტურ აზროვნებას. იმიტომ, რომ აზროვნება საერთოდ შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული სხვადასხვა მოაზროვნის, სხვადასხვა პირის მიერ. ამის შესახებ კი თავის ადგილზე ვიმსჯელებთ.

გლობალისტური აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების უმთავრესი გამაერთიანებელი ნიშან-თვისება, თავისი უკვე სახელწოდებიდანვე გამომდინარე, მოითხოვს ახალ, ჭეშმარიტად თანამედროვე თვალთახედვას.

აქ კი ჩვენ უნდა შევეხოთ ერთს, მეტად მნიშვნელოვან მომენტსაც, - ამ ახალ ანუ თანამედროვე აზროვნებასთან დაკავშირებულ ფრიად მნიშვნელოვან იდეას, რომელსაც ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „გლობალისტური წარმოსახვის იდეა“. და მართლაც, გლობალისტური აზროვნება როგორც მოთხოვნა ე.წ. თანამედროვე აზროვნებისა უკვე ინტუიციურადაც კი გვკარნახობს ჩვენ მოთხოვნას შესაბამისი იდეისას, სწორედ ე.წ. „გლობალისტური წარმოსახვის“ იდეისას.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში, ან როგორ უნდა გავიგოთ ეს „გლობალისტური წარმოსახვა“ ?

აქ, იმისათვის, რომ უკეთ გასაგები გავხადოთ ჩვენი სათქმელი, შეიძლება, და არათუ შეიძლება, არამედ უფრო სასარგებლოც კი შეიძლება იყოს, გავიხსენოთ ანალოგიით ამერიკელი სოციოლოგის ჩარლზ რაიტ მილსის (1916 – 1962) გახმაურებული ე.წ. „სოციოლოგიური წარმოსახვის იდეა“. ამ ტერმინის ავტორი იგი თავად ყოფილა. მას სწორედ ამ სათაურით 1959 წელს გამოუქვეყნებია კიდეც თავისი ნაშრომი.

სოციოლოგიური წარმოსახვა, მილსის მიხედვით, ეს იმგვარი წარმოდგენაა ადამიანისა თავის თავზე, რომ ყოველგვარი სიკეთე, რაც კი რამ მის თავზე ხდება ეს მარტო მისი დამსახურება როდია, არამედ მთელი საზოგადოებისა, ვინაიდან თუ არა მთელი რიგი პირობებისა თუ გარემოებებისა საზოგადოების მხრიდან, რომელშიაც მას ცხოვრება უხდება და რომლის გარეშედაც მას ცხოვრება არც კი შეუძლია, მისი ცხოვრება, ბუნებრივია, ვერანაირად კეთილად ვერ წარიმართებოდა.

მსგავსად ჩარლზ მილსის „სოციოლოგიური წარმოსახვის იდეისა“, ჩვენც ასევე ვფიქრობთ, მისაღები და, უფრო მეტიც, ძალიან სასარგებლოც კი იქნებოდა ე.წ. „გლობალისტური წარმოსახვის იდეაც“.

გლობალისტური წარმოსახვის იდეაც მაშინ იგულისხმებდა ადამიანის იმგვარ აზროვნებას, როდესაც იგი ნებისმიერ და განსაკუთრებით კი მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებს არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, თავისი სახელმწიფოს ინტერესების დონეზე გაიაზრებდა, არამედ ამ პრობლემებს თავისი ქვეყნისას, თავისი სახელმწიფოსას მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, სახელმწიფოებთან კავშირშიაც გაიაზრებდა.

აი, ჭეშმარიტად გლობალისტური აზროვნებაც ეგ იქნებოდა. და განა მთელი კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა ნაფიქრალ-ნანატრალი იდეალიც სწორედ ეგ არ იქნებოდა ?! და განა მთელი კაცობრიობის ისტორიაც მთელი თავისი ლოგიკით სწორედ აქეთკენ არ უნდა წარმართულიყო ?!

ხოლო აქ როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი ელინი ფილოსოფოსის დიოგენე ცინიკოსის მკაფიოდ გამოთქმული იდეა კოსმოპოლიტიზმისა. ოღონდ კოსმოპოლიტიზმიც არის და კოსმოპოლიტიზმიც. და, აი, აქ კი ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ თვით დიოგენესაც კოსმოპოლიტიზმის მისებრ გაგებაში, როდესაც იგი კოსმოპოლიტურის აბსოლუტიზაციას ეწევა და ამით უგულვებელყოფს ჯანსაღი ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის იდეასაც. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ

კოსმოპოლიტიზმი, მთელი თავისი გაგებითა და მოწოდებით, როდი გამორიცხავს ჭეშმარტ ნაციონალ-პატრიოტიზმსაც, არამედ სწორედ რომ გულისხმობს მას.

და აქ ჩვენ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი ამის თაობაზე, რომელშიაც სწორედ რომ ყველაზე მკაფიოდაა გამოთქმული ეს იდეა, ანუ იდეა იმისა, რომ კოსმოპოლიტიზმი თავისთავად ცუდი რამ როდია, ოღონდ იგი კი არ უნდა გამორიცხავდეს პატრიოტიზმს, არამედ სწორედ გულისხმობდეს კიდეც მას, და რომ ნამდვილად ჭეშმარიტი კოსმოპოლიტიზმი სწორედ ამგვარად უნდა გავიგოთ (5).

მართლაც, კოსმოპოლიტიზმი, ანუ რაც იგივეა, დღევანდელი ტერმინოლოგიით, - გლობალიზაცია თუ გლობალიზმი, ეს ალტერნატივა კი როდია, დაპირისპირება კი როდია ნაციონალ-პატრიოტიზმისა, არამედ, როგორც ამას იტყოდა ნილს ბორი, - „დამატება“ მისი (აქ გავიხსენოთ ნილს ბორის ე.წ. „დამატებითობის“ თეორია)(35)).

მაშასადამე, ფრიად სასარგებლო იქნებოდა წამოგვეყენებინა „გლობალისტური წარმოსახვის“ იდეაც როგორც ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი იდეა სოციალურ იდეათა სისტემაში.

გლობალისტური წარმოსახვის იდეას თავისი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც უნდა გააჩნდეს. თეორიული იმდენად, რამდენადაც მსოფლიო მასშტაბით სოციალურ მოვლენათა, ასევე, სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ბუნებრივ მოვლენათა, გააზრება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სწორ ხედვას მსოფლიო განვითარების თანამედროვე სიტუაციისას. თავად მსოფლიო განვითარების ლოგიკა მოითხოვს ჩვენი ასევე თეორიული აზროვნების შეთანადებას მასთან; შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ შემთხვევაში კი გლობალიზაციისაკენ, უნდა შეიცვალოს, რა თქმა უნდა, თანამედროვე აზროვნებაც მისდა მიხედვით.

ასე რომ, გლობალისტური წარმოსახვის თეორიული მნიშვნელობა ისაა, რომ მან სწორი თეორიული ორიენტირი მოგვანიჭოს მსოფლიო სოციალურ პრობლემათა გაანალიზებისას.

მაგრამ ამ გლობალისტურ წარმოსახვას თავისი პრაქტიკული შედეგებიც უნდა ქონდეს: სწორ ხედვას ხომ სწორი საქმეც უნდა მოყვეს. და თუ სწორ გლობალისტურ აზროვნებას ანუ ხედვას სწორივე პრაქტიკული საქმეც მოყვება, მაშინ ამგვარი აზროვნების ღირებულებაც მეტი არ იქნება?

მაშ, გამოდის, რომ გლობალისტურ წარმოსახვას ანუ მოვლენათა გლობალურად ხედვას თუ თეორიას უკვე არა მარტო თეორიული მნიშვნელობა აქვს საკუთრივ, არამედ პრაქტიკულიც, ვინაიდან ამ წარმოსახვის მიზანიც საბოლოოდ სწორედ ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებაა ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

ხოლო გლობალისტური წარმოსახვის პრაქტიკული ღირებულება ანუ მისი მნიშვნელობა დიდი რომაა, ეს დიდი მტკიცების გარეშეც მართალი უნდა იყოს, იმდენად ცხადი სჩანს იგი. და, მართლაც, განა გლობალურად აზროვნებას მისი პრაქტიკული განხორციელების შემთხვევაში ადამიანი უფრო მაღალ საფეხურზე არ აყავს მისი განვითარების გზაზე, ვიდრე ტრადიციული, არაგლობალური აზროვნების შემთხვევაში? სად ადამიანი, რომლიც შეზღუდულია არაგლობალური ცხოვრების არტახებით და სად ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მთელი გლობალური ცხოვრებით? განა ადამიანი, რომელიც უფრო ფართოდაა ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, უფრო განვითარებული არ უნდა იყოს, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში?

ასე რომ, ნათელი უნდა იყოს გლობალური აზროვნების, გლობალური წარმოსახვის მნიშვნელობა ადამიანის თანამედროვე ცხოვრებაში.

ასეთია თანამედროვე აზროვნების შესავლის როგორც სამეცნიერო დისციპლინის საკითხის ჩვენეული თეორიული ანალიზი.

II. თანამედროვე აზროვნების არსი ზოგადად

1. აზროვნება საერთოდ

2. აზროვნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

3. ადამიანი როგორც მოაზროვნე არსება

4. თანამედროვე აზროვნების სპეციფიკა და მისი განსხვავება ტრადიციულისაგან

5. თანამედროვე აზროვნების ისტორია

1.აზროვნება საერთოდ

აზროვნება ამ ქვეყნად ეს ადამიანის ერთ-ერთი შემეცნებითი, კოგნიციური უნარია, თანაც მისი ამ მხრივ უმაღლესი უნარი, ვინაიდან, გნოსეოლოგიიდან ანუ ეპისტემოლოგიიდან, რომელიც შემეცნების თეორიას, შემეცნების შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებას წარმოადგენს, ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ ის, რომ აზროვნება ეს მეორე ძირითადი, რა თქმა უნდა, უფრო მაღალი საფეხურია ადამიანის შემეცნებისა, ვიდრე მისი შეგრძნებანი (გრძნობები, უფრო ფართე, მაგრამ ამის მსგავსი მნიშვნელობით). და, მართლაც, ადამიანის შემეცნება იმ ორ ძირითად საფეხურს ანუ ეტაპს არ მოიცავს, რომელთაგან პირველი გრძნობადი შემეცნებითი უნარია, ხოლო, მეორე - გონებითი შემეცნებითი უნარი? ხოლო სხვა საკითხია ის, რომ ეს ორი ძირითადი შემეცნებითი უნარიც ადამიანისა, თავის მხრივ, უკვე მოიცავს ქვე-უნარებსაც. მაგრამ ეს კიდევ სულ სხვა საკითხია და ამჯერად ჩვენ აქ მას არასაჭიროებისა გამო არც კი ვეხებით.

აზროვნება აბსტრაქტული (განყენებული), არაგრძნობადი, უფრო სწორედ, ზეგრძნობადი შემეცნებითი (კოგნიციური) უნარ-თვისებაა ადამიანისა, რომელიც ემსახურება ახალი, შემოქმედებითი ამოცანების ამოხსნას. და, მართლაც, გრძნობად შემეცნებას ადამიანისას არ აქვს ეს ამოცანა, იგი „ხედავს“ მხოლოდ იმას, რაც მის წინაშე არის მოცემული. აზროვნება კი ამას არ „ყაბულდება“, არამედ გზას გვაკვლევინებს ახალი სიტუაციისაკენ შემოქმედებითად.

აზროვნება იმთავითვე უკვე, თავისთავად უკვე შემოქმედებითი რამ ფენომენია და იგი ამ თავისი ბუნებითვე ვერ იტანს „მოუქნელობას“, იგი მუდამ „ეძიებს“ სულ რაღაც ახალს, რა თქმა უნდა, ადამიანის გრძნობად შემეცნებით უნართან შედარებით. და ეს იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, რომ ადამიანი ფილოსოფოსთა მიერ განიხილება როგორც თავად მოაზროვნე არსება. და, მართლაც, ადამიანის ცნების

განსაზღვრების ანუ დეფინიციის მცდელობისას, მის ერთ-ერთ, თუნდაც ყველაზე არამთავარ, ვარიანტად ფილოსოფოსებს მაინც სწორედ ეს განსაზღვრება მიაჩნიათ, ვინაიდან არ არსებობს იმაზედ უფრო საყოველთაოდ ცნობილი განმარტება ადამიანისა, მისი ცნებისა, ვიდრე კაცისა სწორედ როგორც „გონიერისა“.

„ჰომო საპიენსი“ ანუ „კაცი გონიერი“ ეს ხომ, მართლაც, გენიალური განმარტებაა ადამიანისა მისი განმარტების სხვა ვარიანტთა შორის! ვინაიდან განა ღმერთმა, თავად ბიბლიის მიხედვით, კაცი „ხატად და მსგავსად თვისად“ არ შექმნა? ხოლო რა „ხატსა და მსგავსზეა“ აქ საუბარი, თუ არა სწორედ გონებრივ ხატსა და მსგავსზე?

ასე რომ, ამ ქვეყნად ღმერთმა გონებით მხოლოდ კაცი დააჯილდოვა და გონებითავე გამოარჩია იგი ყველა სხვა არსებათაგანვე. ხოლო გონება ადამიანს რისთვის სჭირდება? რა თქმა უნდა აზროვნებისათვის. კაცი ხომ გონებით აზროვნებს.

ამიტომ ადამიანი „ჰომო საპიენსია“, „გონიერი კაცია“ - ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სწორედ მოაზროვნე კაცია. და ეს არის მისი არსებითი მახასიათებელი.

2. აზროვნების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

აზროვნება ეს არის გონებითი შემეცნება და იგი იმით განსხვავდება გრძნობადი შემეცნებისაგან, რომ იგი აბსტრაქტულია (განყენებულია) თავისი ხასიათით, რის გამოც მისი საშუალებით ადამიანს შეუძლია სწვდეს ზოგადს. და, მართლაც, აზროვნება სწვდება ცალკეულ მოვლენათა შორის საერთოს, მაშინ როდესაც გრძნობები (შეგრძნებები) სწვდება მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ მოვლენებს.

გარდა ამისა, აზროვნებით ადამიანი სწვდება არსებას საგნებისას, მაშინ როდესაც გრძნობები (შეგრძნებანი) სწვდება მხოლოდ მოვლენას. არსება საგანთა შინაგანი ნიშან-თვისებაა, ხოლო მოვლენა - მათი გარეგანი ნიშან-თვისება.

და კიდევ, აზროვნებით ადამიანი სწვდება ახალს, მაშინ როდესაც გრძნობები (შეგრძნებანი) სწვდება მხოლოდ აწმყოს მოვლენებს.

ხოლო, იმის გამო, რომ აზროვნება ადამიანს ეხმარება სწვდეს სწორედ არა ერთეულს, არამედ ზოგადს, არა მოვლენას, არამედ არსებას, არა ძველს, არამედ ახალს, და იმის გამოც, რომ ზოგადის ხედვა უფრო მაღალია ერთეულისაზე, არსების ხედვა - მოვლენისაზე, დაბოლოს, ახლის ხედვა, - ძველისაზე, სწორედ ამის გამოც აზროვნება უმაღლესი საფეხურია ადამიანის შემეცნებითი უნარებისა.

სწორედ ეს უპირატესობა ამ ნიშან-თვისებით გრძნობებთან შედარებით ადამიანს აყენებს ამქვეყნად უმაღლესი არსების რიგში.

მაგრამ აზროვნებაც არის და აზროვნებაც. თავად აზროვნებაც ადამიანს მუდამ მოწოდების სიმაღლეზე როდი აქვს, იმიტომ რომ ზოგჯერ ჩვენი აზროვნება როდია სწორედ ამ მოწოდები სიმაღლეზე.

აზროვნება კი თავისი მოწოდებით ანუ თავისი კონდიციით გულისხმობს მთელ რიგს ნიშან-თვისებათა, რომელსაც იგი ნორმალურ სიტუაციაში უნდა აკმაყოფილებდეს კიდევაც. ასე, მაგალითად, აზროვნება უნდა იყოს ლიბერალური ანუ თავისუფალი, კრეატიული ანუ შემოქმედებითი, პლურალური ანუ მრავლობითი და ა.შ.და მისთ. და თუ აზროვნება არ აკმაყოფილებს ამ პირობებს, იგი ვერც იქნება ნამდვილი აზროვნება თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით. სწორედ ამიტომაც უნდა იყოს თანამედროვე აზროვნებაც ამგვარი. ეს ხომ მაქსიმალურად მაღალი მოთხოვნებია ადამიანის მიმართ, რომელსაც მოითხოვს სწორედ თანამედროვე აზროვნება, თუ ჩვენ გვინდა ავმაღლდეთ ძველ, ტრადიციულ აზროვნებაზე მთელი თავისი ნაკლოვანებებით.

თუმცა აქვე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იმთავითე უნდა შევნიშნოთ ის უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ე.წ. თანამედროვე აზროვნება, გინდა - არ გინდა, მაინც ტრადიციულ აზროვნებას ემყარება და მისი ფესვებით იკვებება.

ასე რომ, თანამედროვე აზროვნება, ჩვენის აზრით, ეს ტრადიციული აზროვნების დაპირისპირებად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ მის დამატებად. ჰეგელის გენიალური „დიალექტიკური თეორიის“ ტერმინოლოგიით თანამედროვე აზროვნებაც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ტრადიციული აზროვნების უარყოფა, თუმცა კი მისი არა „მექანიკური“, არამედ „დიალექტიკური“ უარყოფა, რა შემთხვევაშიაც უარსაყოფი მთლიანად კი არ უარიყოფა, არამედ მასში რაღაცა ჯანსაღი ელემენტებიც შემოინახება.

თანამედროვე აზროვნებაზე მსჯელობისას ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ. ეს აზროვნება, მართლაც, „ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა“! აზროვნების როლი ადამიანის ცხოვრებაში განმსაზღვრელია, თუ ასე შეიძლება ითქვას, ვინაიდან ეს სწორედ მისი არსებითი ნიშან-თვისებაა. ადამიანი ბოლოს და ბოლოს ხომ მოაზროვნე არსებაა და განა სწორედ ამ ნიშან-თვისებით არ გამოირჩევა იგი ყველა ამქვეყნიურ არსებათაგან? და თუ ადამიანი რაიმეს წარმოადგენს, ეს სწორედ მისი აზროვნებით.

გამომდინარე აქედან, თანამედროვე აზროვნება უდიდეს როლს შეასრულებს ადამიანის ცხოვრებაში; როგორიც იქნება იგი, ისეთივე იქნება ადამიანიც

თანამედროვე ეპოქისა. და სწორედ, ამ თანამედროვე აზროვნებას, მთელი თავისი უმაღლესი მოთხოვნებით, შეუძლია მას წარმატებით გზა გაუკვალოს თანამედროვე ცხოვრების ასპარეზზე. მართალია, ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავიგებთ თანამედროვე აზროვნებას, თუ რა მოთხოვნებს წავუყენებთ მას. მაგრამ ეს კი სულ სხვა საკითხია და ამაზე ცალკე ვიმსჯელებთ.

3. ადამიანი როგორც მოაზროვნე არსება

ადამიანი განისაზღვრება ბევრჯერ მრავალნაირად. ზოგჯერ იგი ესე განისაზღვრება, ზოგჯერაც კი ისე.

მაგრამ ადამიანის ცნების განსაზღვრებათა ანუ დეფინიციათა შორის მაინც შეიძლება და უნდა გამოვარჩიოთ კიდევაც ის განსაზღვრება მისი ცნებისა, როგორიცაა: ადამიანი ეს მოაზროვნე არსებაა ამქვეყნად.

და, მართლაც, ადამიანი ეს ხომ „ჰომო საპიენსია“. ხოლო ამისი ხაზგასმა ჩვენ გვინდა სწორედ იმისათვის, რომ ამით მივანიშნოთ ე.წ. თანამედროვე აზროვნების როლიც, რა თქმა უნდა, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, ვინაიდან ჩვენ აქ ხომ სწორედ აზროვნების როლზე გვაქვს საუბარი, საერთოდ ადამიანისა და განსაკუთრებით კი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

აქ კი ჩვენ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გენიალური ფრანგი მოაზროვნის, ფილოსოფოსის რენე დეკარტის ღრმა ჭეშმარიტ ფორმულას: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“. ეს არის სწორედ ის, რაც მთავარია ადამიანში - აზროვნება როგორც უმაღლესი, მოუცილებელი ნიშან-თვისება ადამიანისა, რომელიც რომ განუყრელი და გამორჩეული თვისებაა მისი თავად არსებობისა. ამით მან მიანიშნა აზროვნების სწორედ ჭეშმარიტად სუბსტანციური მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ჩვენც ხომ უნდა მივხვდეთ იმას, თუ რაოდენ დიდი, ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი უნდა ქონდეს მას თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაშიაც: თანამედროვე ადამიანის აზროვნებაც ამიტომ განმსაზღვრელი ხომ უნდა იყოს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

მართალიცაა: როგორიცაა თანამედროვე აზროვნება ადამიანისა, რა თქმა უნდა, ისეთივე იქნება მისი ცხოვრებაც, ვინაიდან როგორადაც აზროვნებს ადამიანი, ისედვე იცხოვრებს იგი, ანუ, როგორადაც იაზროვნებ, ისევე იცხოვრებ შენც.

დებულება ადამიანის როგორც საერთო მოაზროვნე არსების შესახებ დიდი მნიშვნელობისაა, უფრო სწორედ, ამოსავალი დებულებაა იმისათვის, რათა გავიგოთ

მისი მნიშვნელობა თანამედროვე აზროვნების ფენომენისათვის. ხოლო თანამედროვე აზროვნება კი ხომ ასევე ეფუძნება საერთო აზროვნებას.

4. თანამედროვე აზროვნების ცნება და მისი განსხვავება ტრადიციულისაგან

თანამედროვე აზროვნება ეს არის თანამედროვე ეპოქის ადამიანის აზროვნება. ეს არის აზროვნება იმ ადამიანისა, რომელმაც „აკრიფა“ ყოველივე კეთილი აზროვნებისა ტრადიციული აზროვნებისაგან და „გაამდიდრა“ იგი საუკეთესოთი აზროვნების მხრიდანვე. ამიტომ თანამედროვე აზროვნება აქ, ჩვენ, ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა გავიგოთ როგორც რაღაც მაღალ მოთხოვნებთან დაკავშირებული აზროვნება. ეს მაღალი მოთხოვნები კი უნდა გამომდინარეობდნენ და შეესაბამებოდნენ სწორედ ეპოქის მოთხოვნებს.

იმის გამო, რომ თანამედროვე აზროვნება დაკავშირებულია კაცობრიობის სწორედ თანამედროვე ეპოქასთან, ამის გამო იგი დაკავშირებულია მის ყველაზე დამახასიათებელ მხარესთან და ესაა ე.წ. „გლობალიზაციის პროცესი“.

სწორედ აქედან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს კიდევაც ე.წ თანამედროვე აზროვნების ცნებაც.

თანამედროვე აზროვნება ესაა „გლობალური“ აზროვნება ანუ აზროვნება „გლობალური“ მასშტაბით. ესაა აზროვნება, რომელიც უკვე აღარ არის რაღაც „რეგიონალური“, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი ანუ „ლოკალური“ ამა თუ იმ მასშტაბით. ესაა აზროვნება, რომელიც ყველაფერს უყურებს „მსოფლიო“, „საყოველთაო“ რაკურსით (კუთხით), ამ რაკურსიდან (კუთხიდან) გამომდინარე; ესაა აზროვნება, რომლისგანაც სარგებლობაც ასევე გლობალური უნდა იყოს, ანუ იმ ინტერესებიდან გამომდინარე განიხილავდეს ყოველივეს, თუ რა სარგებლობას მოუტანს იგი მსოფლიოს არა რომელიმე კუთხე-კუნჭულს, არამედ საერთოდ ყველა მის კუთხე-კუნჭულს, რა სახისაც და რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი ამ შემთხვევაში.

მაშასადამე, თანამედროვე აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ესაა გლობალური აზროვნება, ტრადიციულისაგან განსხვავებით.

მაგრამ ესაა თანამედროვე აზროვნების, თუ ასე შეიძლება ითქვას, მხოლოდ „გეოგრაფიული“, უფრო სწორედ, მისი „სივრცობრივი“, მისი „მოცულობითი“ განსაზღვრება, მაშინ როდესაც თანამედროვე აზროვნებას სხვა მხარეებიც გააჩნია,

რომლებიც ჩვენ აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. კერძოდ კი, ესენია: ისტორიული და ნორმატიული მხარეები.

ისტორიული რაკურსით განხილვისას კი, თანამედროვე აზროვნება ეს არის ჩვენი დროის, თანამედროვე ეპოქის ადამიანის აზროვნება, განსხვავებით ტრადიციული აზროვნებისაგან, რომელიც ძველია, უწინდელია პირველზე.

ხოლო ნორმატიული რაკურსით ანუ იმ კუთხით კი, თუ რა მოთხოვნებიც უნდა წაეყენოს ადამიანის თანამედროვე აზროვნებას ამ შემთხვევაში, თანამედროვე აზროვნება, ჩვენის აზრით, მართლაც, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ იდეალურ (საუკეთესო, უმაღლეს) მოთხოვნას მაინც: 1) ლიბერალურობას, 2) კრეატიულობას, 3) პლურალურობას.

ამ შემთხვევაში კი, ძველი, ტრადიციული აზროვნებისათვის, საწინააღმდეგოდ ამისა, დამახასაიათებელი უნდა იყოს აღნიშნულის საპირისპირო განსაზღვრულობანი.

ხოლო, მართალია კი, რომ ეს სამივე ნიშან-თვისება „ციდან არ ჩამოვარდნილა“ ერთბაშად და მისი ელემენტები მეტ-ნაკლებად ძველი დროის აზროვნებასაც მოეპოვებოდა, მაგრამ გარკვეული პირობითობით, გარკვეული შეთანხმებით, ეს სამივე ნიშან-თვისება უპირატესობისა გამო მთლიანობაში მაინც მხოლოდ თანამედროვე აზროვნებას უნდა მივაწეროთ.

საბოლოოდ კი, თანამედროვე აზროვნების ცნება, ჩვენის აზრით, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: თანამედროვე აზროვნება ესაა თანამედროვე ეპოქის ადამიანის გლობალური აზროვნება, რომლის ძირითადი ნიშნებიცაა ლიბერალურობა, კრეატიულობა, პლურალურობა.

მოკლედ, თანამედროვე აზროვნება ესაა ჩვენი დროის ადამიანის გლობალური, ლიბერალური, კრეატიული და პლურალური აზროვნება.

ასეთია, ჩვენის აზრით, ე.წ. თანამედროვე აზროვნების ცნების განსაზღვრება ანუ დეფინიციაც.

5. თანამედროვე აზროვნების ისტორია

თანამედროვე აზროვნება, როგორც ეს ჩვენ სხვადასხვა საჭირო კონტექსტშიაც უკვე აღვნიშნეთ, „ციდან ერთბაშად როდი ჩამოვარდნილა“, არამედ იგი, კაცმა რომ თქვას, ჩაისახა თვით მაშინაც კი, როგორც კი ჩამოყალიბდა თავად ადამიანის აზროვნება. ჰოდა, მას შემდეგ იგი თანდათანობით, თუმცა კი ნელა-ნელა, მაინც ვითარდებოდა

სწორედ თანამედროვე აზროვნებისაკენ. ყველა გზა ამ მხრივ სწორედ აქეთკენ მოდიოდა.

ასე რომ, ტრადიციული აზროვნება ეს, ამ თვალსაზრისით, „შემზადებაა“ ერთგვარი დღევანდელი კაცობრიობის ე.წ თანამედროვე აზროვნებისა.

სწორედ ამიტომაც სწორნი არიან „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ სამეცნიერო-სასწავლო საგნის დამფუძნებელნი და შემომღებნი უმაღლესი განათლების სისტემაში, ჩვენთან, საქართველოში, რომლებმაც ამ საგნის სასწავლო კურსისათვის შეკრიბეს ძველი ფილოსოფოსების თხზულებანი, რაც მათ გაიყვანეს სწორედ „თანამედროვე აზროვნების შესავალსა თუ მასალაში“(იხ. „ილიაუნის“ შესაბამისი გამოცემა სათაურით „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში„), რა თქმა უნდა, თანამედროვე ფილოსოფოსების გვერდით. და მეთოდოლოგიურად ეს ნამდვილად სწორია, მითუმეტეს, რომ ობიექტურად ჭეშმარიტია: ყოველივე, რაც კი გამოსადეგია „თანამედროვე აზროვნების თეორიის“ შესაქმნელად, მისაღებია, მიუხედავად იმისა, ძველი დროისაა იგი, თუ ახლისა, თანამედროვესი. ოღონდაც იყოს იგი მითუმეტეს თანამედროვე დროისა, რა თქმა უნდა, თავისი სულისკვეთებით.

და მაინც, რაც არ უნდა ჩვენ ვეძიოთ ამ ახალი სასწავლო-საგანმანათებლო კურსის ისტორია თვით შორეულ წარსულშიაც კი, ჩვენ მაინც უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ თანამედროვე აზროვნების ისტორია, საკუთრივი აზრით, მაინც სწორედ თანამედროვე, ე.წ. გლობალიზაციის ეპოქაში იწყება და ეს აზროვნება საკუთრივ მთლიანობაში მაინც სწორედ ჩვენი დღევანდელი დროის აზროვნებაა. ოღონდ აქაც, არა მხოლოდ აბსოლუტური (უპირობო) აზრით, არამედ რელატიურად (ფარდობითად), - იმ აზრით, რომ ყოველივე საუკეთესო, ყოველივე მაღალი, რაც კი რამ ამ მხრივ კაცობრიობას შეუქმნია თავისი აზროვნებით, ჩვენ მას, ე.ი. სწორედ თანამედროვე ეპოქის ადამიანის აზროვნებას გვინდა მივაწეროთ.

ე.ი. აქ წინ წამოიწევს ე.წ. ნორმატიული ამბავი, ანუ ჯერარსული მომენტი: თანამედროვე აზროვნებაში „ინსტიქტურადვე“ ჩვენ გვინდა ჩავდოთ უმაღლესი, ღირებულებითი ფასეულობანი. სწორედ ეს ფასეულობანია ის, რაც ჩვენ თავად ცნების განსაზღვრებაში ჩავდეთ იმთავითვე თანამედროვე აზროვნებისა.

ეს ფასეულობანია: ლიბერალურობა, კრეატიულობა, პლურალურობა და, აი, აქ მას კიდევ უნდა მივუმატოთ იმგვარი ღირებული ფასეულობაც, როგორიცაა ტოლერანტობა ანუ შემწყნარებლობა. და, მართლაც, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა როგორც უმაღლესი, თვით ქრისტიანული მცნება, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს ჩვენი აზროვნებაც.

ოღონც სხვა საკითხია, თუ როგორ გავიგებთ ამ შემწყნარებლობასაც და წინა ნიშან-თვისებებსაც თანამედროვე აზროვნებისას: ლიბერალურობას, კრეატიულობას, პლურალურობას.

მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და მას ჩვენ, თავ-თავის ადგილას, სხვაგან შევეხებით.

6. თანამედროვე აზროვნების სპეციფიკა (ტრადიციულ აზროვნებასთან შეპირისპირებით)

თანამედროვე აზროვნებას ლოგიკურად ჩვენ ტრადიციულ აზროვნებას ვუპირისპირებთ. და ეს მართალიცაა, ვინაიდან ტერმინოლოგიურად „თანამედროვე“ სწორედ „ტრადიციულს“ უპირისპირდება.

მაგრამ სრული სისწორით რომ გავიგოთ ამ დაპირისპირების, უფრო სწორედ კი, შეპირისპირების მნიშვნელობა, აქ საჭიროა გავითვალისწინოთ ამ შეპირისპირების რელატიური (შეფარდებითი, პირობითი) და არა აბსოლუტური (უპირობო) ხასიათი.

და, მართლაც, თანამედროვე აზროვნება აბსოლუტურად როდია გამოყოფილი ტრადიციული აზროვნებისაგან, ისტორიულადაც და არაისტორიულადაც. ისტორიულად, იმ აზრით, რომ თანამედროვე აზროვნება აბსოლუტურად თანამედროვე ეპოქის პროდუქტი როდია. და არაისტორიულადაც, იმ აზრით რომ თანამედროვე აზროვნება როგორც თანამედროვე ეპოქის პროდუქტი რეალურად ყველანაირად მისაღები როდია. არამედ პირველ შემთხვევაშიაც იგი ყველაფერში მხოლოდ თანამედროვე ეპოქის პროდუქტი როდია და მეორე შემთხვევაშიაც იგი ყველაფერში ტრადიციული ეპოქის პროდუქტი როდია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე აზროვნება ჩვენ გვესმის როგორც ადამიანის აზროვნება მთელი თავისი საუკეთესო გაგებით, რომელსაც ამის გათვალისწინებით ჩვენ ვუყენებთ უმაღლეს ნორმატიულ (ჯერარსულ) მოთხოვნებს და რომლებიც რეალურადაც (არსულადაც) ამგვარად მიგვაჩნია.

მაგრამ რა უმაღლესი მოთხოვნები უნდა წაეყენოს ე.წ. „თანამედროვე აზროვნებას“?

ამ თვალსაზრისით კი ეს უმაღლესი მოთხოვნები შეიძლება სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვანაირად დავყოთ. ეს კი დამოკიდებულია იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც ჩვენ გვინდა ისინი დავყოთ.

მაგრამ ჩვენ ამ საკითხს დეტალურად, დაწვრილებით აქ არ ვეხებით არასაჭიროებისა გამო. და ამის გამო ჩვენ შევეხებით თანამედროვე აზროვნების მოთხოვნების იმ

კლასიფიკაციას, რომელიც უფრო „პოპულარული“ უნდა ჩანდეს. ეს მოთხოვნებია ის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც თანამედროვე აზროვნებას უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშან-თვისებანი: 1) ლიბერალურობა, 2) კრეატიულობა, 3) პლურალურობა.

თანამედროვე აზროვნების აღნიშნულ ნიშან-თვისებათა შორის გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს. ეს იმით გამოიხატება, რომ თითოეული მათგანი ზეგავლენას ახდენს თითოეულ სხვათაგანზე. ასე რომ, ისინი მეტნაკლებად განაპირობებენ ერთმანეთს და ერთმანეთის გარეშე ვერც კი წარმოიდგინებიან.

ასე, მაგალითად, ლიბერალური აზროვნების გარეშე აზროვნება ვერ გახდება კრეატიული ან პლურალური, ვინაიდან აზროვნების ლიბერალურობა ანუ მისი თავისუფლება იძლევა გასაქანს იმისათვის, რომ აზროვნება გახდეს სწორედ კრეატიული და პლურალური.

მსგავსადვე უნდა ითქვას დანარჩენ ორ ნიშან-თვისებაზე სხვა ნიშან-თვისებებზე ზემოქმედების კუთხითაც.

მაგრამ თავისუფალი აზროვნების ამ სამ მახასიათებელს შორის უპირველესი მაინც პირველია თავისი მნიშვნელობით. ასე რომ, სრული უფლებით შეგვიძლია ვამტკიცოთ: ლიბერალური აზროვნება განსაზღვრავს როგორც კრეატიულ, ისე პლურალურ აზროვნებასაც, რის გამოც იგია მათი საფუძველი. და, მართლაც, აზროვნების ლიბერალურობის, მისი თავისუფლების გარეშე ვერც კრეატიული და ვერც პლურალური აზროვნება ვერც კი იარსებებდა.

მაშასადამე, კრეატიული თუ პლურალური აზროვნების აუცილებელი პირობაა სწორედ ლიბერალური ანუ თავისუფალი აზროვნება და ამის გამო კრეატიული აზროვნებაცა და პლურალური აზროვნებაც არსებითად იგივე ლიბერალური აზროვნებაა, უფრო სწორედ, მისი რაღაც გარკვეული სახეებია, ვინაიდან კრეატიული აზროვნებაცა და პლურალური აზროვნებაც სწორედ ლიბერალური აზროვნების კერძო გამოხატულებანია.

ასეთია თანამედროვე აზროვნების არსის საკითხის ჩვენეული თეორიული ანალიზი ზოგადად.

III. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი

1. მეცნიერების საგანი საერთოდ

2. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი

3. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგნის ადგილი მეცნიერებათა საგნების სისტემაში

4. თანამედროვე აზროვნების თეორია და საგანი ურთიერთკავშირში

1. მეცნიერების საგანი საერთოდ

ყოველ მეცნიერებას თავსი საგანი გააჩნია. მეცნიერებანი საერთოდ ერთმანეთისაგან სწორედ მათი საგნების მიხედვით განსხვავდებიან. ესა თუ ის საგანი, მაშასადამე, განსაზღვრავს ამა თუ იმ მეცნიერების სახეს.

მეცნიერების საგანი საერთოდ ანუ მისი ობიექტი საერთოდ ესაა არსი, ყოფიერება, სინამდვილე.

მეცნიერების საგანი ანუ ობიექტი საერთოდ ეს ის სფეროა, ის არეალია არსებულისა, რომელსაც ის შეისწავლის. მოკლედ, მეცნიერების საგანია საერთოდ მისი შესწავლის სფერო თუ არეალი.

არსებობს მეცნიერებათა ორი რიგი, რომელთაგან ერთნი ზოგადი, აბსტრაქტული მეცნიერებანია, ხოლო მეორენი - კერძო, კონკრეტული მეცნიერებანი.

პირველნი სინამდვილის ზოგად კანონებს შეისწავლიან, მეორენი - მის კერძო კანონებს. ეს კანონებია სწორედ საგანი მეცნიერებათა ამ ორივე ჯგუფისა საერთოდ.

ზოგადი, აბსტრაქტული მეცნიერებანი ეს ფილოსოფიური, ხოლო კერძო, კონკრეტული მეცნიერებანი - არაფილოსოფიური მეცნიერებანია.

გარდა აღნიშნულისა, მეცნიერებანი, რომელნიც ბუნებას შეისწავლიან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეადგენენ, ხოლო რომელნიც საზოგადოებას შეისწავლიან, - საზოგადოებისმცოდნეობრივ მეცნიერებებს. არსებობს, გარდა ამისა, ისეთი მეცნიერებანიც, რომელნიც ბუნებისა და საზოგადოების მიღმა სფეროებსაც შეისწავლიან, თუმცა მათ ჩვენ აქ ახლა არ განვიხილავთ.

2. თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი

რაკიღა ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი გააჩნია, „თანამედროვე აზროვნების შესავალსაც“ ხომ თავისი გამორჩეული, ე. ი. სხვებისაგან განსხვავებული და

გამოყოფილი საგანი უნდა გააჩნდეს და გააჩნია კიდეც. ხოლო თანამედროვე აზროვნების შესავლის საგანი, როგორც ამას თავად მისი სახელწოდება მეტყველებს, რა თქმა უნდა, ე.წ. „თანამედროვე აზროვნება“ იქნება და არის კიდეც.

აზროვნება სინამდვილის განსაკუთრებული სფეროა და მას მრავალი სხვადასხვა მეცნიერება სულ სხვადასხვა კუთხით შეისწავლის. ასე, მაგალითად, ფილოსოფია მას უზოგადესი ასპექტით სწავლობს, ხოლო ფსიქოლოგია, მაგალითად, _ კერძო, ამასთან საკუთრივ ფსიქოლოგიური კუთხით.

„თანამედროვე აზროვნების“ შესავლის საგანია აზროვნება საგანგებოდ, მაგრამ, ჯერ-ერთი, თანამედროვე აზროვნების ასპექტით და, მეორეც, ერთგვარი შემოკლებული ვარიანტით (რაკიღა აქ სწორედ „შესავალზეა“ საუბარი და არა სრულ კურსზე აზროვნებისა თუ თეორიისა). თანამედროვე აზროვნების შესწავლის საგანი, მაშასადამე, ესაა ააზროვნება, უპირველეს ყოვლისა, შემდგომ კი - თანამედროვე აზროვნება კერძოდ, დაბოლოს - მოკლე ვარიანტი ამ თეორიისა კიდევ უფრო კერძოდ.

ასეთია „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ საგანი ზოგადად.

მაგრამ აქ ცოტა რამ მაინც აუცილებელია კონკრეტულადაც ვთქვათ ამაზე.

ხოლო ამ მხრივ კი წინ, რა თქმა უნდა, წამოიწევს ე.წ. სოციალური პრობლემების საკითხი. და, მართლაც, თანამედროვე აზროვნების თეორიის უპირველესი საგანი სწორედ ესენია, ვინაიდან სწორედ ეს სოციალური პრობლემები აწუხებს კაცობრიობას ამჟამად განსაკუთრებით.

მართალია, რომ თანამედროვე აზროვნების თეორიის უპირველესი და უმთავრესი საგანი კონკრეტული და სწორედ მიმდინარე სოციალური პრობლემებია, სახელდობრ, სწორედ როგორც პრობლემები, მაგრამ თანამედროვე აზროვნების თეორიის საგანი ამით მაინც როდი ამოიწურება, ვინაიდან თანამედროვე აზროვნების თეორიის საგნად „პრობლემების“ გარდა იგულისხმება კიდევ სხვაგვარი საკითხებიც ჩვენი თანამედროვე ცხოვრებისა. და, მართლაც, განა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ყველა საკითხია „პრობლემური“? ხომ არის „არაპრობლემური“, მაგრამ მაინც შესასწავლი საკითხებიც.

თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ფართო აზრით ყველა საკითხი, რომელსაც კი ეხება თანამედროვე აზროვნების თეორია, საბოლოო ჯამში, შესწავლის კუთხით, მაინც პრობლემაა. ასე, რომ პრობლემურობა - არაპრობლემურობა ამა თუ იმ საკითხისა, რომელსაც კი შეეხება თანამედროვე აზროვნების თეორია, ეს უკვე შეფარდებითი,

რელატიური საკითხია და არა რაღაც აბსოლუტური, უპირობო, ვინაიდან ყველა შემთხვევაში ნებისმიერი საკითხი, რომელსაც კი ყურადღებას მიაპყრობს თანამედროვე აზროვნების თეორია, ჩვენთვის უკვე მაინც რაღაც პრობლემის სახეს იძენს.

მოკლედ, „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ კონკრეტული საგანია ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ნებისმიერი ჩვენთვის სიანტერესო სოციალური მოვლენა. ხოლო თუ რამდენად საინტერესო იქნება ამ თეორიის შესწავლის საკითხი, ეს დამოკიდებულია უკვე, ჯერ ერთი, თავად საკითხის ობიექტურ მნიშვნელობაზე და, მეორეც, თვით ჩვენთვისაც ამ საკითხის სუბიექტურ მნიშვნელობაზე.

და მაინც, „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ საგანი უფრო ისევ ჩვენი დროის განსაკუთრებით „საჭირბოროტო“, აქტუალური სოციალური პრობლემებია, რომლებიც ფრიად აწუხებს კაცობრიობას და რომელთა გადაჭრასაც „სასიცოცხლო“ მნიშვნელობა აქვს ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის.

ჩვენც სწორედ ამიტომაც ამ ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილული გვაქვს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური სოციალური პრობლემები.

3. თანამედროვე აზროვნების საგნის ადგილი მეცნიერებათა საგნების სისტემაში

იმის გამო, რომ ყველა მეცნიერებას განსხვავებული საგანი გააჩნია შესწავლის ობიექტად, საინტერესოა და დიდად მნიშვნელოვანიც, გავარკვიოთ, თუ რა ადგილი უჭირავს ჩვენს დისციპლინასაც მეცნიერების საგანთა სისტემაში საერთოდ.

ხოლო ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის საფუძველზე უფრო გამოვარკვევთ „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ როგორც სამეცნიერო დისციპლინის თავისებურებას, მის სპეციფიკას და, ამის საფუძველზე კი, - მის ადგილსაც მეცნიერებათა სისტემაში საერთოდ.

თანამედროვე აზროვნების შესავალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოკლე ვარიანტია თანამედროვე აზროვნებისა თუ მისი ვრცელი ვარიანტი, სრული ვარიანტი, იგი მაინც თეორიაა თანამედროვე აზროვნებისა, ესაა მეცნიერება თუ მეცნიერების დარგი (გააჩნია, თუ რა კუთხით მივუდგებით მას). ეს თეორია კი როგორც ყოველგვარი მეცნიერება თუ სამეცნიერო დარგი ეხება მაინც იმგვარ საგნებს, რომლებიც ფილოსოფიურია თავისი ხასიათით ზოგადად თუ სოციოლოგიური კუთხით კერძოდ.

ასე რომ, თანამედროვე აზროვნების თეორიაც ამ შემთხვევაში იგივე თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნებაა იმ საგანზე, რომელსაც იგი შეისწავლის. ფილოსოფია

საგანს ხომ ზოგადად შეისწავლის და აქაც ყველა იმ საკითხს, რასაც თანამედროვე აზროვნების საგანშიაც ჩვენ ვიკვლევთ, ზოგადი კუთხით ვიკვლევთ. გამომდინარე აქედან, თანამედროვე აზროვნების თეორიაც, მიუხედავად ამ შემთხვევაში მისი მოკლე - შესავალი ვარიანტისა, ეს უკვე ფილოსოფიური თეორიაა ამ მხრივ.

ოღონდ სხვა საკითხია ის, რომ აქ ჩვენ მაინც გვაქვს კერძოფილოსოფიური საგანი კვლევისა, იმის გამო, რომ მას განვიხილავთ სახელდობრ არა საერთოდ ფილოსოფიის ჭრილში, არამედ კერძოდ, ჯერ ერთი, აზროვნებისა და, მეორეც, თანამედროვე აზროვნების ჭრილში.

ასეთია, ჩვენის აზრით, თანამედროვე აზროვნების თეორიის საგნის ადგილი საერთოდ მეცნიერების საგანთა სისტემაში.

4. თანამედროვე აზროვნების თეორია და საგანი ურთიერთკავშირში

თანამედროვე აზროვნების თეორია ანუ თანამედროვე აზროვნება როგორც თეორია არის აზროვნების განსაკუთრებული ისტორიული ტიპი, რომელიც სწორედ თანამედროვე ეპოქის გადასახედიდან „მზერს“ ჩვენს თვალწინ მიმდინარე სოციალურ მოვლენებს და ისტორიულ მოვლენებსაც. ხოლო, იქიდან გამომდინარე კი, რომ ეს სამეცნიერო დისციპლინა ფილოსოფიურია თავისი ხასიათით, იგი მაინც ზოგადად იკვლევს თვით ამ კონკრეტულ სოციალურ პრობლემებსაც.

თანამედროვე აზროვნების თეორია და საგანი, ისევე, როგორც ნებისმიერი მეცნიერების თეორიაც და საგანიც, უშუალო და აუცილებელ კავშირშია ერთმანეთთან.

საქმე ის არის, რომ ნებისმიერი მეცნიერების საგანი ერთგვარად განსაზღვრავს ამა თუ იმ მეცნიერების სახეს. როგორიცაა ამა თუ იმ მეცნიერების საგანი, ისეთივეა ესა თუ ის მეცნიერებაც და, პირიქითაც, როგორიცაა ამა თუ იმ მეცნიერების თეორიული სახე, შესაბამისად ამისა, ისეთივე იქნება არსებითად მისი საგანიც. ასე რომ, ეს ორი მომენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

ზუსტად ასევე ხდება ჩვენს შემთხვევაშიაც, კერძოდ თანამედროვე აზროვნების თეორია, თავის საგანთან მიმართებით, ესაა ის თეორია, რომელიც თავისი იერ-სახითა და ხასიათით უკვე გამოკვეთს მის საგანსაც. სახელდობრ, თანამედროვე აზროვნების საგანი კონკრეტულად ესაა თანამედროვე ეპოქის სოციალური პრობლემები. ხოლო რაკიღა ეს ესეა, ეს საგანიც, თავის მხრივ, განსაზღვარვს მის თეორიას, კერძოდ, შემოსაზღვრავს ამ თეორიის არეალს. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, რაკიღა ეს საგანი

არის სწორედ თანამედროვეობის სოციალური პრობლემები, ამიტომაც არის მისი თეორიაც წოდებული სწორედ როგორც „თანამედროვე აზროვნების თეორია“.

საბოლოო დასკვნის სახით, ჩვენ აქ შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ თანამედროვე აზროვნების შესავალი, თეორიისა და საგნის ურთიერთმიმართებით, ესაა ჩვენი დროის აქტუალური სოციალური პრობლემების მოწინავე ფილოსოფიური თეორიის ერთგვარი მოკლე ვარიანტი.

ასეთია თანამედროვე აზროვნების შესავლის საგნის საკითხის ჩვენეული თეორიული ანალიზი.

IV. თანამედროვე აზროვნების თავისებურებანი კერძოდ

1. თანამედროვე აზროვნების კერძო თავისებურებათა შესახებ ზოგადად

2. ლიბერალიზმი, კრეატივიზმი და პლურალიზმი, როგორც თანამედროვე აზროვნების ძირითადი კერძო თავისებურებანი

3. ურთიერთკავშირი ლიბერალიზმსა, კრეატივიზმსა და პლურალიზმს შორის თანამედროვე აზროვნებაში

4. თანამედროვე აზროვნების სხვა ძირითადი კერძო თავისებურებანი: ტოლერანტიზმი და გლობალიზმი

1. თანამედროვე აზროვნების კერძო თავისებურებათა შესახებ ზოგადად

თანამედროვე აზროვნებას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სოციალურ ფენომენს ანუ მოვლენას, საკუთარი თავისებურებანი ანუ სპეციფიკურობანი გააჩნია: ერთია მისი ზოგადი თავისებურება თუ თავისებურებანი და, მეორეც, - მისი კერძო თავისებურებანი (გამომდინარე ზოგადისა და ერთეულის ფილოსოფიური კატეგორიებისა ანუ უზოგადესი ცნებებისაგან) (ყოველ საგანს ხომ ამ ქვეყნად გააჩნია ეს ორი მხარე - ზოგადიცა და კერძოც).

თანამედროვე აზროვნების ზოგადი მხარე ამასთან დაკავშირებით ჩვენ ხომ უკვე გავარჩიეთ ამ მხრივ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე აზროვნება ეს ჩვენი დროისათვის მაქსიმალურად ანუ რაც შეიძლება მეტად მოწინავე აზროვნებაა, რომელიც აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ ნორმატიულ ანუ ჯერარსულ მოთხოვნებს, ყოველგვარი სოციალური პრობლემის ხედვას, მის განაზრებას სწორედ თანამედროვე ეპოქის გადასახედიდან.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდია საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენ ბოლომდე გავერკვეთ თანამედროვე აზროვნების არსში, ვინაიდან ზოგადი მხარე ამ საკითხისა მაინც აბსტრაქტულია, განყენებულია, ხოლო საჭირო კია საკითხის არსის კონკრეტიზაცია, რათა უფრო სრულყოფილი გახდეს ჩვენი ცოდნა მის შესახებ.

მოკლედ, საკითხი ისმის თანამედროვე აზროვნების სწორედ კერძო თავისებურებათა შესახებ.

2. ლიბერალიზმი, კრეატივიზმი და პლურალიზმი, როგორც თანამედროვე აზროვნების ძირითადი კერძო თავისებურებანი

ხოლო ამ მხრივ კი, ჩვენ ვფიქრობთ რომ უმთავრესი, უძირითადესი კერძო თავისებურებანი თანამედროვე აზროვნებისა ესაა მისი ლიბერალიზმი, კრეატივიზმი, პლურალიზმი: ლიბერალიზმი დეტერმინიზმის საპირისპიროდ, კრეატივიზმი დოგმატიზმის საპირისპიროდ, პლურალიზმი სინგულარიზმის საპირისპიროდ.

აქ საჭიროა, ამასთან დაკავშირებით, ცოტაოდენი ტერმინოლოგიური ანუ სახელწოდებებთან დაკავშირებული განმარტებანი.

კერძოდ კი „ლიბერალიზმიცა“ და „დეტერმინიზმიც“ ლათინური ტერმინებია ანუ სახელწოდებანია და შესაბამისად გულისხმობენ „თავისუფლებასა“ და „განსაზღვრულობას“, მსგავსად ამათი - „კრეატივიზმიცა“ და „დოგმატიზმიც“ – „შემოქმედებითობასა“ და „უცვლელობას“, დაბოლოს, მსგავსადმე მათი - „პლურალიზმიცა“ და „სინგულარიზმიც“ – „მრავლობითობასა“ და „მხოლობითობას“ (11, იხ. შესაბამისი სიტყვები).

აზროვნების ლიბერალიზმი მის თავისუფლებას გულისხმობს, აზროვნების კრეატივიზმი - მის შემოქმედებითობას, ხოლო აზროვნების პლურალიზმი - მის მრავლობითობას, მის სხვადასხვაობას, მის ალტერნატიულობას.

სამივე ეს ნიშან-თვისება იმდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე აზროვნებისათვის, მისი უმაღლესი მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომ მათს გარეშე წარმოუდგენელიც კია თანამედროვე აზროვნებაზე საუბარი.

მართალია, ეს ნიშან-თვისებანი თანამედროვე აზროვნებისა, თუ მათ ჩვენ იმთავითვე ნორმატიულად ანუ ჯერარსობრივად არ ავიღებთ ამ შემთხვევაში, „ავტომატურად“ ანუ თავისთავად ჯერ კიდევ როდი უზრუნველყოფენ ჩვენი აზროვნების დადებით, პოზიტიურ შედეგს, არამედ ეს შედეგი საწინააღმდეგო შემთხვევაში შეიძლება „დიდი სიკეთიდან“ გადაიქცეს „დიდ ბოროტებადაც“. ასე რომ, აქ ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

საქმე ისაა რომ აზროვნების როგორც თავსუფლება, ისე შემოქმედებითობაც და ალტერნატიულობაც შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებითაც კი წარიმართოს, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მოაზროვნის, ამ შემთხვევაში კი, მოაზროვნე კაცობრიობის მსოფლმხედველობრივი ორიენტირები ანუ სამიზნეები. კერძოდ, თუ ეს ნიშან-თვისებანი გამოყენებული იქნება ჩვენის მხრიდან „სწორი“,

„ჭეშმარიტი“, „ჯეროვანი“ მიმართულებით, მაშინ ხომ კარგი და თუ ისინი, პირიქით, გამოყენებული იქნება არასწორი, მცდარი, უჯერო მიმართულებით, მაშინ მათგან კეთილი სარგებელი არც იქნება. ასე რომ, მთავარია აქ ის, თუ როგორ გამოვიყენებთ აზროვნების პროცესში ჩვენ მათ. ხოლო ყოველივე ეს დამოკიდებულია ისევ ჩვენზე, მთელს კაცობრიობაზე, ნორმალურ ყალიბში მოვაქცევთ თუ არა ამ თავისთავად „კეთილ“ ნიშან-თვისებებს აზროვნებისას.

და, მართლაც, თავისთავად აზროვნების ლიბერალურობა, კრეატიულობა და პლურალურობა, თავის ნამდვილად „ჭეშმარიტ სტიქიაში“ არაფერს ცუდს არ უნდა ნიშნავდეს, მაგრამ, თუ ჩვენ მათ ბოროტად გამოვიყენებთ, მაშინ საქმე, მართლაც ცუდად წავა. განა აზროვნების თავისუფლება, მისი შემოქმედებითობა, მისი ალტერნატიულობა ყოველგვარი პირობით მისაღებია? აბსოლუტური ანუ უპირობო არაფერია ამ ქვეყანაზე, ვინაიდან ეს ქვეყანა მთლიანადაც კი ემორჩილება სწორედ ფარდობითობის ანუ რელატიურობის კანონს და ამიტომ აღნიშნული ნიშან-თვისებანი აზროვნებისა რატომ უნდა გავიგოთ აბსოლუტურად ანუ უპირობოდ? განა თავისუფლებასაც, შემოქმედებითობასაც, სხვადასხვაობასაც აზრისას და, მაშასადამე, აზროვნებისას თავისი „ზომები“, „ფარგლები“, „ჩარჩოები“ არ გააჩნია? განა ყოველგვარი თავისუფლება, შემოქმედებითობა თუ სხვადასხვაობა აზრისა განუსჯელად და განუკითხავად მოგვიტანს კეთილს სარგებელს? ხომ შეიძლება ყოველივე მათგანის ბოროტად გამოყენებაც, არათუ მათი კეთილად გამოყენება. „უსაზღვრო“ თავისუფლება, „უსაზღვრო“ შემოქმედებითობა და „უსაზღვრო“ სხვადასხვაობა აზროვნებისა არც კი არსებობს, თავ-თავიანთი ჭეშმარიტი, „ნორმალური“ გაგებით.

ასე რომ, როდესაც ჩვენ ლიბერალიზმს, კრეატივიზმს, პლურალიზმს თანამედროვე აზროვნების ნიშან-თვისებებად ვსახავთ, ამ შემთხვევაში ჩვენც მათში ჯეროვან შინაარსს ვდებთ და სწორედ ამ პირობით მივიჩნევთ მათ თანამედროვე აზროვნების „ღირსეულ“ ნიშან-თვისებებად.

მოკლედ, საჭიროა ამ ნიშან-თვისებათა „ნორმალური“ ინტერპრეტაცია, მხოლოდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ამ პირობით თუ აღმოჩნებიან ისინი მხოლოდ ჩვენი თანამედროვე აზროვნების სათანადო, მოწინავე, კონდიციურ ნიშან-თვისებებად.

3. ურთიერთკავშირი ლიბერალიზმსა, კრეატივიზმსა და პლურალიზმს შორის თანამედროვე აზროვნებაში

აზროვნების ლიბერალურობასა, კრეატიულობასა და პლურალურობას შორის ღრმა, „მჭიდრო“ ურთიერთკავშირია და იგი, ეს მომენტი, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს შემთხვევაში.

საქმე ის არის, რომ, დავუშვათ, ლიბერალიზმი აზროვნებაში როგორ შეიძლება გამოვიდეს ან კრეატიულობის, ანდა კიდევ პლურალიზმის გარეშე? და, მართლაც, თუ აზროვნება არ იქნება შემოქმედებითი და არ იქნება იგი პლურალურიც, ალტერნატიულიც, მაშინ როგორღა იქნება იგი თავისუფალი? თავისუფლება აზროვნებისა განა შეიძლება იყოს მისი შემოქმედების გარეშე? ანდა კიდევ, - სხვაგვარადმოაზროვნეობის გარეშე? ეს ხომ ისედაც ცხადია და ნათელი, აქსიომაა პირდაპირ!

იგივე სრულის ძალით შეიძლება ითქვას და ნამდვილადაც უნდა ითქვას დანაჩენ ორ ნიშან-თვისებაზედაც აზროვნებისა, შემოქმედებითობაზეც და სხვაგვარადმოაზროვნეობაზეც ნებისმიერი ორი სხვა ნიშან-თვისების მიმართ. კერძოდ კი, როგორ შეიძლება აზროვნება, მაგალითად, იყოს შემოქმედებითი, თუ იგი არ იქნება თავისუფალი ან ალტერნატიული, პლურალურიც, ესეც ხომ აქსიომაა ცხადი და ნათელი! დაბოლოს, როგორ შეიძლება აზროვნება იყოს პლურალურიც, თუ იგი არ იქნება თავისუფალი ან შემოქმედებითი? ესეც ხომ აქსიომაა, იმდენად ცხადი და ნათელია იგი!

ასე რომ, ყოველი ამ სამ ნიშან-თვისებათაგანი აზროვნებისა უერთმანეთოდ არ არსებობს, რის გამოც ისინი ერთად ნამდვილად რომ შეადგენენ ერთს მთლიანს სწორედ თანამედროვე აზროვნების როგორც კაცობრიობის უმაღლესი აზროვნების ნიშან-თვისებებისას. ხოლო ესეც კი, ანუ უერთმანეთობა მათი ქმნის ერთს მთლიან სისტემას თანამედროვე აზროვნების ფენომენისას, ანუ მოვლენისას, რაც ერთგვარი „სასინჯი ქვაც“ კი გამოდის ამ შემთხვევაში აღნიშნულ ნიშან-თვისებათა, კონკრეტულად კი სწორედ ამ და არა სხვა ნიშან-თვისებათა თანამედროვე აზროვნების მახასიათებლად წარმოდგენისათვის.

4. თანამედროვე აზროვნების სხვა ძირითადი კერძო თავისებურებანი: ტოლერანტიზმი და გლობალიზმი

მართალია, ჩვენ თანამედროვე აზროვნების აქამდე სამი ნიშან-თვისება გამოვყავით, მაგრამ ეს ნიშან-თვისებანი მისი მხოლოდ უძირითადესი, უმთავრესი

მახასიათებლებია, ხოლო თანამედროვე აზროვნებას გააჩნია ასევე სხვა, თუმცა მაინც ძირითადი, მთავარი თავისებურებანიც. ესენია, ჩვენის აზრით, მაგალითად, შემწყნარებლობა ანუ ტოლერანტობა და გლობალურობა ანუ საყოველთაობა. ამასთან შესაძლოა გვქონდეს ამ მხრივ კიდევ რაიმე სხვა კერძო თავისებურებანი და, ვფიქრობთ, რომ გვაქვს კიდეც, მაგრამ ჩვენ აქ, ამ შემთხვევაში არ შევეხებით მათ მათი, ჩვენის აზრით არაძირითადობის გამო.

თანამედროვე აზროვნების საგულვებელ შემდგომ ძირითად მახასიათებლებად სახელდობრ ჩვენ აქ მიგვაჩნია მისი ისეთი ნიშან-თვისებანი, როგორებიცაა შემწყნარებლობა ანუ ტოლერანტობა და გლობალურობა ანუ საყოველთაობა თანამედროვე აზროვნებისა. ეს ორი რამ ნიშან-თვისება, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია თანამედროვე აზროვნების სრული დახასიათებისათვის, ვინაიდან მათი ამ დახასიათებაში გათვალისწინების გარეშე მას ძალიან დიდი რამ დააკლდებოდა. მითუმეტეს, რომ ახლა მთელი კაცობრიობა სწორედ რომ „თავს იწონებს“ შემწყნარებლობის ანუ ტოლერანტობის, ასევე გლობალურობის ანუ საყოველთაობის ლოზუნგებით ანუ მოწოდებებით.

შემწყნარებლობისა ანუ ტოლერანტობის მომენტი ჩვენს ცხოვრებაში თითქოს ახალი რამ არც კი უნდა იყოს, მითუმეტეს ქრისტიანობის დასაწყისიდანაც კი. და აქ ჩვენ ხომ გვაქვს ამ მხრივ უმაღლესი მოძღვრება ქრისტეს მოძღვრების სახით.

მაგრამ არასოდეს ეს საკითხი არ მდგარა ისე მწვავედ, როგორც სწორედ ახლა, როდესაც კაცობრიობამ, უდიდესი ტექნოლოგიური პროგრესისდა მიუხედავად, საოცრად „ნორმატიული ლოგიკისა“, ეთიკის, მორალის, ზნეობის კუთხით საშინლად ცუდ შედეგს ეწია. და, მართლაც, არასოდეს კაცობრიობა ეგეთ მორალურ დაცემაში არ ჩამდგარა, როგორც ახლა, ამჟამად (რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ვგულისხმობთ, ჩვენი, ე.წ. „პოსტატლანტური ცივილიზაციის“ ისტორიას). ეს ხომ, მართლაც, „აპოკალიფსისის“ ეპოქაა და სისასტიკემ აქ, ამ ჩვენს ეპოქაში, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ძალიან დიდი გაქანება პოვა.

სწორედ ამიტომაც დადგა შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობის პრობლემა ეგრე მწვავედ.

სწორედ იმის გამო, რომ ეგრე „სასტიკი“ გახდა ჩვენი ეპოქა მთელი თავისი „ტექნოლოგიებითაც“ კი ამ მხრივ, სწორედ ამიტომაც კი საჭიროა ჩვენი თანამედროვე აზროვნება იყოს შესაბამისად შემწყნარებლური ანუ ტოლერანტული.

დაბოლოს, ტოლერანტული აზროვნება გლობალურია თავისი ხასიათით, რაკიღა იგი, მართლაც, არის თანამედროვე ეპოქის აზროვნება, რომელიც არის უკვე გლობალური თავისი მასშტაბებით, თავისი მომცველობით. ხოლო გლობალური ეპოქა შესაბამისად მოითხოვს სწორედ შესაბამის, გლობალურ აზროვნებას ჩვენის მხრივაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი სოციალური პრობლემა ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ სწორედ გლობალურ და არა რეგიონალურ ჭრილში ანუ განზომილებაში და მითუმეტეს არა ლოკალურ ჭრილში ანუ განზომილებაში.

მართალია, რეგიონალური და ლოკალური სოციალური პრობლემები მაინც ასეთებად რჩებიან ამ შემთხვევაშიაც, მაგრამ თვით ეს პრობლემებიც კი მაინც გლობალიზაციის ეპოქაში განიხილებიან სწორედ ამ გლობალური კონტექსტით. მოკლედ, გლობალიზმი, „განმსჭვალავს“ ამ შემთხვევაში ყველა ზემოაღნიშნულ პრობლემებსაც, მითუმეტეს, რომ ეს საკითხები უშუალოდ შეეხება თავად საკუთრივ გლობალურ პრობლემებს, რომლებიც გარდასწვდებიან თვით მთელს მსოფლიოს.

თანამედროვე აზროვნების კერძო თავისებურებებთან დაკავშირებით, საბოლოო დასკვნის სახით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: თანამედროვე აზროვნება ესაა ლიბერალური (თავისუფალი), კრეატიული (შემოქმედებითი), პლურალური (სხვადასხვაობრივი), ტოლერანტული (შემწყნარებლური), გლობალური (საყოველთაო) აზროვნება.

ასეთია კონკრეტულად თანამედროვე აზროვნების კერძო თავისებურებანი, ჩვენის თვალსაზრისით, ჩვენი ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ასეთია თანამედროვე აზროვნების თავისებურებათა საკითხის ჩვენეული თეორიული ანალიზი კერძოდ.

V. თანამედროვე აზროვნება როგორც ლიბერალური აზროვნება (დეტერმინირებული აზროვნების საპირისპიროდ)

1. ლიბერალური აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. ლიბერალური აზროვნების ცნება (დეტერმინირებული აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. ლიბერალური აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

4. ილია ჭავჭავაძე ლიბერალური აზროვნების შესახებ

თანამედროვე აზროვნების ყველაზე არსებით ნიშნად თავისი ნორმატიული გაგებით, ანუ იმ გაგებით, რა გაგებითაც იგი, თანამედროვე აზროვნებაც უნდა გავიგოთ, ჩვენ მისი ლიბერალურობა უნდა მივიჩნიოთ.

ლიბერალური აზროვნება, ქართულად რომ ვთქვათ, იგივე თავისუფალი აზროვნებაა. ტერმინი ანუ სახელწოდება „ლიბერალური“ მომდინარეობს ლათინური „ლიბერალისიდან“, რაც ქართულად სწორედ „თავისუფალს“ ნიშნავს (11).

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს თავად ლიბერალური აზროვნება? ანუ როგორი უნდა იყოს მისი ცნების განსაზღვრება-დეფინიცია?

აქ კი ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება თვით თავისუფლების ცნების მოშველიება. ხოლო თავისუფლება, ე.ი. ამ შემთხვევაში ადამიანისა, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს მისი ნებიდან გამომდინარე მდგომარეობას. ეს უნდა იყოს შეუზღუდავი რამ მდგომარეობა მისი, - შეუზღუდავი, რა თქმა უნდა, მისთვის გარეგანი ფაქტორებისაგან, ანუ სრულიად შინაგანი, სწორედ მისი ნებისაგან გამომდინარე და მისი ნებისავე შესაბამისი მდგომარეობა.

ამასთან აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს „მდგომარეობა“ აქ ჩვენ არც მხოლოდ სტატიკურად და არც მხოლოდ დინამიკურად უნდა გავიგოთ, არამედ იგი სწორედ ორივე აზრით უნდა გავიგოთ. სახელდობრ, თავისუფლება მაინცა და მაინც არც მხოლოდ მოქმედებას გულისხმობს და არც მაინცა და მაინც უმოქმედობას, არამედ ორივე მათგანს, ოღონდაც იყოს იგი ორივე შემთხვევაში თავისუფალი.

მაგრამ, აქ კი საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც დაკავშირებულია თავისუფლების ცნებასთან. საერთოდ უნდა გავიხსენოთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის გენიალური აზრი იმის შესახებ, რომ არც ერთი

იდეა არ არისო თითქოსდა ისეთი გარკვეული და ამავე დროს გაურკვეველიც, როგორიცაა სწორედ იდეა თავისუფლებისა; ე.ი. ყველაზე რთულიაო იგი - თავისუფლების ცნების განსაზღვრება (18, გვ. 281)

ხოლო თავისუფლების იდეის ყველაზე დიდი გაურკვევლობის, ყველა მისი სირთულის ამბავი დაკავშირებულია ერთს მის იმ მომენტთან, რაც მას აკავშირებს მის სწორედ თითქოსდა სრულიად დაპირისპირებულ მომენტთან, რასაც აუცილებლობა ქვია.

ე.ი. ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გავიგოთ თავისუფლება, აბსოლუტური თუ რელატიური აზრით, აუცილებლობასთან კავშირში თუ მასთან კავშირის გარეშე. სახელდობრ, თავისუფლება გულისხმობს აბსოლუტურ თვითნებობას თუ გარკვეულ, ფარდობით თვითნებობას, მის ფარდობით დამოუკიდებლობას, მაინც აუცილებლობისაგან, ვინაიდან ადამიანის თავისუფლებაც, მიუხედავად იმისაც კი, რომ იგი თუნდაც თავისუფლებაა, რაღაც გარკვეული გარემოებებით მაინც შეზღუდულია. ამიტომაც ამბობდა იგივე ჰეგელი, რომ თავისუფლება ეს შეგნებული აუცილებლობააო. მოკლედ, თავისუფლება კი არ გადისო აუცილებლობის ფარგლებს მიღმა, უფრო სწორედ, ვერც გავაო იგი რეალურად, სინამდვილეში მის ფარგლებს გარეთ. ესეც საჭიროაო. აქედან გამომდინარე, თავისუფლებაც კი იგივე აუცილებლობაა, ოღონდ ადამიანის მიერ შეგნებული და მისივე ნებით გათვალისწინებული ამ შემთხვევაში იგიო.

რა თქმა უნდა, თავისუფლება ეს შეგნებული აუცილებლობა კია, როგორც ამას ჰეგელი გვასწავლის, მაგრამ იგი სინამდვილეში უფრო მეტია, ვიდრე თავად შეგნებული აუცილებლობა, როგორც ამას უკვე თუნდაც ენგელსი უმატებს, კერძოდ კი, - შეგნებული აუცილებლობის საფუძველზე ადამიანის თვით პრაქტიკული მოქმედება (49, გვ. 116). მოკლედ, აქ ხაზგასმულია თავისუფლების პრაქტიკული მხარე მის თეორიულ მხარესთან მიმართებით და ეს სწორიცაა.

მაგრამ, რაც და როგორადაც არ უნდა ითქვას თავისუფლების კავშირზე აუცილებლობასთან, იგი სადღაც მაინც თითქოსდა უპირისპირდება აუცილებლობას. მართალია, თავისუფლება, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს იგი ადამიანის მხრიდან, მაინც ვერ გასცდება აუცილებლობის უნივერსალურ, საყოველთაო კანონს, მაგრამ იგი მაინც რაღაც მისტიკურად ცდილობს ყველანაირად „გაარღვიოს“ მაქსიმალურად, რამდენადაც ეს მას ძალუძს, აუცილებლობის მკაცრი საზღვრები და დაუმორჩილოს მის საკრალურ „წმინდათა წმინდა“ ნებას. ე.ი ბრმად კი არ მისდიოს და დაემორჩილოს აუცილებლობას, არამედ სწორედ რომ შეგნებულად გამოიყენოს მისი კანონები.

აქედან გამომდინარე, თავისუფალი აზროვნებაც ეს უნდა იყოს იმგვარი აზროვნება, რომელიც თავის ნებას უმორჩილებს აზროვნებაში აუცილებლობის სფეროს, რა თქმა უნდა, აუცილებლობის კანონების გათვალისწინებითა და გამოყენებით.

და მაინც, თავისუფლების პრობლემაში მთავარია არა სახელდობრ აუცილებლობის მომენტი თუ მხარე, არამედ სწორედ საკუთრივ თავისუფლების მომენტი თუ მხარე. საქმე ის არის, რომ თავისუფლებას ორი მხარე გააჩნია: ობიექტური და სუბიექტური. პირველი ისაა, რაც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელია და რასაც სწორედ აუცილებლობა ქვია, და მეორე - ის, რაც სწორედ ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული და რასაც სახელდობრ „თავისუფლება“ ქვია მთელი თავისი საკუთრივი მნიშვნელობით.

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ თავისუფალი აზროვნების შესახებ ჩვენს მსჯელობაშიაც და, სწორედ აქედან გამომდინარე, უნდა გავიაზროთ ე.წ. თავისუფალი აზროვნების ფენომენიც.

მაშასადამე, თავისუფალ აზროვნებაში სწორედ ეს მომენტია მთავარი - თავისუფლების მომენტი, სუბიექტური მომენტი ამგვარ აზროვნებაში.

ხოლო იმისათვის, რომ თავისუფალი აზროვნება რაც შეიძლება მეტად თავისუფალი იყოს აზროვნების მომენტში, საჭიროა იგი „განთავისუფლდეს“ სწორედ „გარეგანი“ ფაქტორებისაგან და უშუალოდ „შინაგან“ ფაქტორებს დაემორჩილოს (და მაინც, იმ გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით).

თავისუფალ აზროვნებაზე მსჯელობისას, მისი „გარეგანი“ ფაქტორებისაგან ყოველგვარი დამოუკიდებლობის ამბავში, აქ ყველაზე ძვირფასი იქნებოდა გაგვეხსენებინა დიდი ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის მოძღვრება შემეცნების პროცესში ე.წ „იდოლების“ შესახებ. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია ე.წ თავისუფალი აზროვნების კუთხით, ვინაიდან ფრენსის ბეკონი იდოლების შესახებ თავის მოძღვრებაში საგანგებოდ მსჯელობს იმ ფაქტორებზე რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს თავისუფალ აზროვნებაში. მითუმეტეს, რომ ეს მისი მოძღვრება თავის დროზე სწორედ რომ „მისწრება“ იყო ე.წ. შუასაუკუნეობრივი დოგმატური აზროვნების წინააღმდეგ, ახალი აზროვნების პრინციპების ჩამოყალიბების საქმეში.

ხოლო იმის გამო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეკონის დიად მოძღვრებას ე.წ. იდოლების შესახებ ჩვენი მოძღვრებისთვისაც ე.წ. თავისუფალი აზროვნების შესახებ, ჩვენც მას, ამ მოძღვრებას აქ ცოტა უფრო დეტალურად, დაწვრილებით გავარჩევთ კიდეც, ეს კი ძალზედ სასარგებლო უნდა იყოს ჩვენთვისაც ამ შემთხვევაში.

იდოლებს ბეკონი თავის მოძღვრებაში თავისივე სიტყვებით უწოდებს „ ადამიანის გონების უღრმეს ცდომილებებს“, რომლებიც შეიძლება იყოს მემკვიდრეობითნიც და შეძენილნიც.

ეს იდოლები ანუ ჩვენი შემეცნების ხელის შემშლელი, დამაბრკოლებელი ფაქტორები მისი შემეცნების გზაზე ჩვენი გასვლის ამბავში, მისი ტერმინოლოგიით შემდეგი სახეებისა შეიძლება იყოს : „გვარის“, „გამოქვაბულის“, „მოედნის“, „თეატრის“ იდოლები.

ახლა კი აქ საჭიროა ამ იდოლების კონკრეტული განმარტებანიც, რათა უფრო გარკვეული გახდეს ისინი ჩვენთვის, რაკიღა მათ შესახებ ცოდნა ჩვენთვისაც ამ შემთხვევაში ძალზედ სასარგებლოა. ბეკონის მოძღვრება იდოლებზე მართლაც რომ „უკვდავია“ თავისი მნიშვნელობით, იმდენად სასარგებლოა იგი თავისუფალი აზროვნების კუთხით.

იქიდან გამომდინარე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი აზროვნებისათვის საერთოდ ბეკონის მოძღვრებას იდოლებზე, ჩვენ აქ მას ძალზედ მოკლედ მაინც გადმოვცემთ ავტორისავე სიტყვებით.

ბეკონის აზრით, ადამიანის წინაშე აზროვნების, უფრო კი მისი სწორი აზროვნების გზაზე, წამოიმართება მთელი რიგი დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან მას ჭეშმარიტების თვალსაზრისით. იგი ამ შეცდომებს შემეცნების პროცესში „აჩრდილებს“ ანუ „იდოლებს“ (ლათ.) უწოდებს.

იდოლები, ბეკონის მიხედვით, ოთხი ჯგუფისაა, ესენია: „გვარის იდოლები“, „გამოქვაბულის იდოლები“, „მოედნის (ბაზრის) იდოლები“,„თეატრის იდოლები“. ამასთან იდოლები შეიძლება იყოს შეძენილნი ან მემკვიდრეობითნი.

„იდოლები ინტელექტზე“, ბეკონის სიტყვებით, „ზემოქმედებენ ან თვით ადამიანის გვარის ზოგადი ბუნების თავისებურებათა ძალით, ან ყოველი ადამიანის ინდივიდუალური ბუნების ძალით, ანდა როგორც შედეგი სიტყვებისა, ე.ი. თავად ადამიანთა ურთიერთობის ბუნების თავისებურებათა ძალით“ (48). პირველნი გვარის იდოლებია, მეორენი - გამოქვაბულისა, მესამენი - მოედნისა. ხოლო, რაც შეეხება მეოთხე ჯგუფის ანუ თეატრის იდოლებს, ესენი წარმოადგენენ „შედეგს არასწორი თეორიებისას ამ ფილოსოფიური მოძღვრებებისას და მტკიცებულობათა მცდარი კანონებისას“ (48). ამასთან თეატრის იდოლებისაგან განთავისუფლება, ბეკონის აზრით, შესაძლებელია, ხოლო გვარის, გამოქვაბულისა და მოედნის (ბაზრის)

იდოლათაგან სრულებით განთავისუფლება შეუძლებელია და ისინი „მთლიანად ბატონობენ გონებაზე“ (48).

მაგრამ მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რასაც ჩვენი გონება აწყდება თავისუფალი აზროვნების კუთხით, ჩვენ მაინც უნდა ვცდილობდეთ აზროვნების განთავისუფლებას მისი ხელისშემლელი გარეგანი ფაქტორებისაგან, რასაც თავისთავად ლოგიკურად გულისხმობს ე.წ თავისუფალი ანუ ლიბერალური აზროვნების იდეაც კი.

და, მართლაც, თავისუფალი ანუ ლიბერალური აზროვნების იდეა, უკვე თავისი სახელწოდებიდანვე გამომდინარე, უნდა გულისხმობდეს და გულისხმობს კიდევაც ინტუიციურად იმას, რომ იგი გახდეს „წმინდა“ აზროვნება მთელი თავისი საკუთრივი, შინაგანი დატვირთვით და იგი განთავისუფლდეს ამრიგად ყოველგვარი „ბალასტისაგან“, რასაც მას უმზადებს ხოლმე მისთვის გარეგანი, ამ შემთხვევაში გრძნობებისაგან მიყენებული დამახინჯებანი. სწორედ ამიტომაც საჭიროა „კრიტიკული“ აზროვნება, რომლის მეშვეობითაც ჩვენ უნდა შევძლოთ აზროვნების პროცესში ჩვენთვის საინტერესო საგნის სწორი გონებრივი სურათის შექმნა. ადამიანი ხომ, მართლაც, გონებით აზროვნებს და სწორი აზროვნებისათვის კი ხომ გონების განწმენდაცაა საჭირო.

აქ კი ჩვენ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: მართალია, გონება უფრო მაღალი საფეხურია შემეცნების უნარების სისტემაში, ვიდრე გრძნობები, ხოლო ეს კი შემთხვევითი როდია, არამედ გონება სწორედ რომ უპირატესია გრძნობების წინაშე შემეცნების საგნის უფრო სწორი ასახვის ამბავში. მაგრამ თავისთავად, აბსოლუტურად რომ ვთქვათ, გონებაც როდია მთლად უცდომელი. იმიტომ, რომ ისიც შეიძლება საგნის არასწორი გონებრივი შემეცნების პროცესში შეცდეს უფრო მეტადაც, ვიდრე თავად გრძნობებიც გრძნობადი შემეცნების დროს.

ამიტომ გონება ავტომატურად, თავისთავად უცდომელი როდია თვით მისი შინაგანი საფუძვლებიდანაც გამომდინარე. ხოლო სწორედ კი ამიტომაა საჭირო ლიბერალური ანუ თავისუფალი აზროვნების ამბავში გავითვალისწინოთ ორივე - ამ აზროვნების როგორც გარეგანი - გრძნობებიდან გამომდინარე, ისე მისი შინაგანი, საკუთრივ კი - თავად გონებიდან გამომდინარე გარემოებანი ნამდვილად, ჭეშმარიტად სწორი თავისუფალი, ლიბერალური აზროვნების გზაზე.

ხოლო ყოველივე ამისათვის საჭიროა ნამდვილად კრიტიკული აზროვნება. და, მართლაც, კრიტიკულობის მომენტს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენის აზრით, ნამდვილად თავისუფალი, ლიბერალური აზროვნების უზრუნველყოფაში,

რომ ნამდვილად საჭიროა ამ მომენტს ჩვენც უფრო დაწვრილებით შევეხოთ კიდეც თავის ადგილას.

თავისუფალი ანუ ლიბერალური აზროვნების ცნება, თავისი უკვე სახელწოდებიდან გამომდინარე, საპირისპიროდ მისა, გულისხმობს იმგვარ აზროვნებას, რომელსაც პირობით მაინც (მკაცრი სიზუსტის მიღწევის შეუძლებლობის ვარიანტის გამო) „დეტერმინირებული“ აზროვნება შეიძლება ვუწოდოთ. „დეტერმინირებული“ (ლათ., „განსაზღვრული“) სწორი აზროვნებისათვის, სრული აზროვნებისათვის ყოველგვარი შემზღუდავი გარემოების ამბავში. და, მართლაც, როდესაც აზროვნების პროცესში გონება შეზღუდულია რაიმე ხელისშემშლელი პირობებით, რაც მას ხელს უშლის სრულად „გაშალოს ფრთები“ საგნის შემეცნების კუთხით, ასეთ აზროვნებას, მართლაც, როგორ შეიძლება ეწოდოს „თავისუფალი“ ანუ „ლიბერალური“?

მაშასადამე, იმისათვის, რომ აზროვნება გახდეს ჭეშმარიტად ლიბერალური ანუ თავისუფალი აზროვნება, გამოდის, რომ იგი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი იმ შემზღუდველი გარემოებისაგან, რაც მას ხელს უშლის სრული გაქანებით შეიმეცნოს თავისი საგანი. იგულისხმება ის ფაქტორები, გრძნობადნი იქნებიან ისინი თავიანთი ხასიათით თუ თვით გონებრივნიც, რომლებიც ხელს შეუშლიან აზროვნების წარმართვას სრული გაქანებით, რათა მისი მეშვეობით ჩვენ მივიღოთ სრული შედეგი. ხოლო, საწინააღმდეგო, აზროვნების შემბოჭველ გარემოებათა პირობებში როგორ შევძლებდით ჩვენც დადებითი შედეგის მიღწევას?

ლიბერალურ აზროვნებასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჩვენ აქ აუცილებლად უნდა მოვუხმოთ ერთს დიად პიროვნებას ქართული აზროვნების ისტორიიდან.

კერძოდ, ლიბერალური აზროვნებისა და საერთოდ ლიბერალიზმის შესახებ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი შეხედულებანი გამოთქმული აქვს დიდს ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს. ეს შეხედულებანი მისნი იმდენად პროგრესულია, რომ იგი ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი თანამედროვე აზროვნების კუთხითაც კი. ამიტომაც ჩვენ აქ აუცილებლად უნდა მოვუხმოთ მის მსჯელობას ლიბერალიზმის თაობაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმის მტერი როდია, არამედ, პირიქით, მისი მოყვარე, ხოლო ამას ჩვენ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ, ერთგვარი არასწორი გონებრივი ინერციით, მოსალოდნელი იყო უფრო პირიქით. ეს იმიტომ, რომ უწინდელ ეპოქათა მოაზროვნეებისაგან ჩვენ ველოდებით უფრო

არამოწინავე, ვიდრე მოწინავე შეხედულებებს. ეს კი, ჩვენის აზრით, კიდევ ერთგვარი რაღაც, ვინ იცის, ახალი იდოლაცაა ფრენსის ბეკონის ცნობილი იდოლების გვერდით.

ილია ჭავჭავაძე უპირველეს ყოვლისა, განასხვავებს ერთმანეთისგან ჭეშმარიტ ლიბერალობას არაჭეშმარიტი ლიბერალობისგან, მართლლიბერალობას ცრულიბერალობისაგან. ხოლო მარტო აქედანაც კი სჩანს, ჩვენი თანამედროვე აზროვნებისათვის მოულოდნელად, მისი ჭეშმარიტად მოსაწონი პიზიცია საერთოდ ლიბერალიზმის მიმართ.

საქმე ის არის, რომ ლიბერალიზმს, თავისი ისტორიის მანძილზე მიყენებული ზიანისაგან, სახელი მეტად გაუტყდა და იგი სიკეთის მაცნიდან ბოროტების მაცნედ იქნა აღქმული, თორემ ლიბერალიზმი თავისთავად, საკუთარი ჭეშმარიტი ბუნებიდან გამომდინარევე, დიადი სიკეთე უნდა ყოფილიყო. მართალია, ბოროტმა ძალებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ სახელი წაებილწათ ამ ჭეშმარიტი სიტყვისა და საქმისათვის, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ დააკლებენ ლიბერალიზმის იდეის ჭეშმარიტ სულისკვეთებას, ვინაიდან „ლიბერალიზმი“, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა სწორედ „თავისუფლება“, ხოლო თავისუფლებაც, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა სწორედ კაცობრიობის უდიადესი მიზანსწრაფვა!

ოღონდ მთავარია, თუ როგორ გავიგებთ ამ თავისუფლებას და ამდენად ლიბერალიზმსაც როგორც მოძღვრებას.

ამიტომაც განარჩევს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტ ლიბერალობას ილია ცრუ ლიბერალობისაგან და ამიტომაც მიიჩნევს იგი ჭეშმარიტ ლიბერალობას ჩვენი აზროვნების ერთ - ერთ უდიადეს მოთხოვნად.

ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმს ისე კი არ იგებს, როგორადაც ჩვენ იმას ჩვეულებრივ დღეს ვიგებთ ხოლმე. ლიბერალიზმი მისი აზრით სრულიადაც როდი ნიშნავს რაღაც „სისუსტეს“ ჩვენს თავისუფლებასთან დაკავშირებით, თითქოსდა იგი რაიმე „მსუბუქი“ პოზიცია იყოს ჩვენი ნებისმიერი მსჯელობის საგნისადმი.

ახლა კი ჩვენ აქ მოვუხმობთ თავად ილიას.

ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წაარწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდევლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო“ (17).

„ლიბერალობა განა მალვა, ან ხელის წაფარებაა ტყუილებისა... და ყოველგვარ ნამუს-ახდილობისა, და არა მხილება ყოველივე ამისი. თუ საძრახავს არ ამხელ და

სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რისი მაქნისია ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა. მაშ ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არაფარულის ბოროტისა... განა უწმინდაესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა, რომელიც კი მას შეუძენია და დიდი ღვაწლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევითაცა“ (17).

„სწორედ რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების საწყაო ლიბერალობა ან რეტროგრადობა და სხვა ამისთანა კი არ არის, არამედ ეს: მართალია კაცი, თუ მტყუანი“ (17).

„დროა ჭკუას მოვიდეთ და არ შეუშინდეთ იმ ცრუპენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკეებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ“ (17).

ის, რომ ლიბერალიზმი ცუდად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ, პირიქით, კარგად, ამის სასარგებლოდ და დასამტკიცებლად თავად სტალინის მოსაზრებაც კი ივარგებს, ვინაიდან სწორედ სტალინს მიიჩნევენ გარკვეული ძალები ლიბერალიზმის მტრად, რაკიღა იგი, მათივე აზრით, ე.წ. „ტოტალიტარული სოციალური სისტემის“ შემქმნელადაა გამოცხადებული, მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყოს ეგ, ერთი რამ აქ მაინც ცხადი უნდა იყოს: ის, რომ სტალინიც კი ლიბერალიზმს უმაღლეს ღირებულებადა სცნობს.

აი, მისი სიტყვებიც: „უწინ ბურჟუაზია ნებას აძლევდა საკუთარ თავს ელიბერალნა, იცავდა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ თავისუფლებებს და ამით იქმნიდა ამისთვის პოპულარობას ხალხში. ეხლა ლიბერალიზმისაგან კვალიც კი აღარ რჩება. აღარ არსებობს უკვე ე.წ. „პიროვნების თავისუფლება“, - პიროვნების უფლებანი მხოლოდ იმათთვისაა, რომელთაც გააჩნიათ კაპიტალი, ხოლო ყველა სხვა მოქალაქე ითვლება ნედლ ადამიანურ მასალად, რომელიც სასარგებლოა მხოლოდ ექსპლუატაციისათვის.“ (42, გვ. 227-229, გვ. 228-229).

და, მიუხედავად ყოველგვარი პოლიტიკური პოზიციისა, ამ სიტყვებშიაც სჩანს ლიბერალიზმის როგორც ასეთის უმაღლესი ღირებულება, რაკიღა იგი გამხდარა ადამიანთათვის უმაღლესი ღირებულების ერთგვარ კრიტერიუმად. და სწორედაც და ლოგიკურადაც, განა თავისუფლება ეს ადამიანთათვის, მართლაც, უმაღლესი ღირებულება არ უნდა იყოს! ხოლო „ლობერალიზმიც“ ხომ სხვა არაფერია, თუ არადა სწორედ თავისუფლების უმაღლეს ღირებულებად მიჩნევა.

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმული ჩვენ იმისათვის მოვიხმეთ, რომ ლიბერალიზმში თავისთავად არაფერი ცუდი არ არის, არამედ სწორედ რომ, პირიქით, კარგი. ოღონდ მთავარია, თუ როგორ გავიგებთ მას - სწორად, დაუმახინჯებლად, თუ არასწორად, დამახინჯებულად.

ასეთია თანამედროვე აზროვნების როგორც ლიბერალური აზროვნების ჩვენეული მოკლე ანალიზი.

VI. თანამედროვე აზროვნება როგორც კრეატიული აზროვნება

(დოგმატური აზროვნების საპირისპიროდ)

1. კრეატიული აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. კრეატიული აზროვნების ცნება (დოგმატური აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. კრეატიული აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება მის ლიბერალურობასა და პლურალურობასთან ერთად, ეს მისი ე.წ. კრეატიული აზროვნებაა.

თანამედროვე აზროვნება მთელი თავისი მოწოდებით, მართლაცდა, ეგეთი უნდა იყოს. თუ არადა იგი ნამდვილად ვერც იქნება „თანამედროვე". „თანამედროვე" აზროვნების ცნებაში ჩვენ ხომ უკვე ინტუიციურად უნდა ვგულისხმობდეთ სწორედ იმ ნიშნებს, რაც მას მაქსიმალურად სრულს გახდიდა. ხოლო ის, რომ კრეატიულობაც, ლიბერალურობასა და პლურალურობასთან ერთად, სწორედ ამგვარი ნიშან-თვისებაა თანამედროვე აზროვნებისა, ეს ერთვარ აქსიომადაც კი უნდა მიგვეჩნია, იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნიშან-თვისებას, იმ ორ ნიშან-თვისებასთან ერთად, ჩვენი აზროვნების მაქსიმალური, სრული ეფექტიანობისათვის, შედეგიანობისათვის.

„კრეატიულობა" ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და ქართულად „შემოქმედებითობას" ნიშნავს(11). ასე რომ, კრეატიული აზროვნება სწორედ რომ აზროვნების შემოქმედებითობას წარმოადგენს.

მაგრამ რას ნიშნავს თავად შემოქმედებითობა აზროვნებისა? ამისათვის კი საჭიროა საკუთრივ შემოქმედებითობის ცნების დადგენა.

„შემოქმედებითობა" ანუ „კრეატიულობა" მომდინარეობს „შემოქმედებისაგან" ანუ „კრეაციისაგან" (ლათ. „კრეაციო" - ქართ. „შემოქმედება"). შემოქმედება კი თავის მხრივ გულისხმობს ახლის შექმნას. შემოქმედება ახლის შექმნაა, მართლაც, არც მეტი და არც ნაკლები. ასე განისაზღვრება იგი ფილოსოფიურად.

ყოველგვარი შემოქმედება ანუ კრეაცია ახლის შექმნაა, რა სახის შემოქმედებაც არ უნდა იყოს იგი. ასე რომ, აზროვნების შემოქმედებითობაც სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუ არა სწორედ აზროვნების სფეროში სიახლეთა შექმნის პროცესს.

შემოქმედებითი ანუ კრეატიული აზროვნება ეს იქნებოდა იმგვარი აზროვნება, რომელიც ორიენტირებულია, მიმართულია აზროვნების განახლებაზე; ეს იმგვარი აზროვნებაა, რომელიც მუდმივად განიცდის განახლების პროცესს; კი არ ჩერდება ერთ ადგილზე, არამედ მუდამ განიცდის ცვლილებას. თუმცა ცვლილებაცაა და ცვლილებაც. აქ, ჩვენს შემთხვევაში, იგულისხმება თვისობრივი ცვლილებანი, რაც რომ სწორედ ახლის შექმნას გულისხმობს თავის მხრივ.

მაშასადამე, შემოქმედებითი ანუ კრეატიული აზროვნება გულისხმობს, და თუ არ გულისხმობს, ყოველ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს მაინც, გამუდმებულ თვისობრივ ცვლილებებს აზროვნების პროცესში. საქმე ისაა, რომ აზროვნება თავისთავად ყველა შემთხვევაში როდია ამგვარი. იგი, მართლაც, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება სრულებითაც არ აღმოჩნდეს ეგეთი, ესე იგი შემოქმედებითი, არამედ, პირიქით, იყოს არაშემოქმედებითიც, უფრო მეტიც, ანტიშემოქმედებითიც. გააჩნია ცხოვრებისეულ სიტუაციას, ანუ ჩვენი ცხოვრების დროსა და ადგილს.

ხოლო აზროვნების შემოქმედებითობა - არაშემოქმედობითობასთან თუ მის კრეატიულობა - არაკრეატიულობასთან დაკავშირებით ჩვენ აქ უნდა შევეხოთ აზროვნების ფენომენის ერთს ფრიად მნიშვნელოვან მომენტს. და ეს არის ის ამბავი, რომ აზროვნება თავად უკვე თავის თავში შემოქმედებითი მოვლენაა თავისივე იმთავითვე ბუნებით, ვინაიდან აზროვნების ცნების იმთავითვე განსაზღვრებიდანაც კი გამომდინარეობს ის, რომ აზროვნება ადამიანის ის შემეცნებითი უნარია, რა პროცესშიაც ხდება სწორედ ახალი ამოცანების გადაჭრა.

და, მართლაც, აზროვნების ცნების განსაზღვრება უკვე გულისხმობს იმას, რომ იგი შემეცნების პროცესში ახალი ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. ამით განსხვავდება სწორედ ადამიანის აზროვნებაც მისივე სხვა შემეცნებით უნართაგან. ასე, მაგალითად, აღქმა სინამდვილეს არეკლავს აწმყოში, ხედავს იმას, რაც არის ახლა, მეხსიერება - წარსულში, - რაც იყო უწინ, ხოლო აზროვნება კი სინამდვილეს არეკლავს მომავალში, ხედავს რა იმას, რაც იქნება მომავალში. ეს ხომ შეუძლებელი იქნებოდა მისი სწორედ შემოქმედებითობის გარეშე. „აზროვნება ახალი ამოცანის გადაწყვეტის პროცესია“ (3, გვ. 21).

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ჩვენც ხომ უნდა მივხვდეთ იმას, რომ აზროვნება უკვე თავისთავად მოითხოვს თავისივე ბუნებით იმას, რომ მან სულ ახალ-ახალი ამოცანები გადაგვაჭრევინოს, ე.ი. შემოქმედებით არსებად გვამყოფოს.

და, მართლაც, არაფერია ადამიანში ისეთი იმაზე მეტი, რაც მას შემოქმედებით არსებად აქცევს, ვიდრე ეს მისი სწორედ აზროვნებაა. ადამიანი ჭეშმარიტად, ნამდვილად რომ მოაზროვნე არსებაა და სწორედ ამ პუნქტშია იგი შემოქმედებითი არსება, თუ იგი არის, მართლაც, შემოქმედებითი არსება; ის, რაც ადამიანს ხდის შემოქმედებით არსებად, სწორედ რომ აზროვნებაა და სხვა არაფერი: სწორედ აზროვნებით სწვდება ადამიანი მთელი სოფლის კიდე-განს. არ არსებობს მასზედ უფრო დიდი უნარი ადამიანისა. სწორედ იგი „ახატებს“ და „ამსგავსებს“ ადამიანს თავად ღმერთთან! განა ღმერთი არაა უპირველესი შემოქმედი სწორედ თავისი აზროვნებით? ხოლო განა ადამიანი არაა „ხატება და მსგავსება“ მისი თავისი ბუნებით?!

მაგრამ აქ ჩვენ ერთი მომენტიც უნდა აღვნიშნოთ: ის, რომ ერთია აზროვნების შემოქმედებითობა ჯერ იმთავითვე თავისი ბუნებით, და მეორეც, - აზროვნება უკვე თავისი განვითარებით. პირველი კუთხით აზროვნება მუდამ შემოქმედებითი რამაა, მაგრამ, ვაი, რომ იგი ასეთი როდია თავისი განვითარებით ყოველთვის, მუდამ. ის ერთი განზომილებაა, ეს კი - მეორე. სწორედ ამიტომაც დგას საკითხი პრობლემად, არის კი ესა თუ ის აზროვნება შემოქმედებითი თუ არაშემოქმედებითი. და სწორედ ეს საკითხი დგას ჩვენს წინაშეც, როცა ჩვენ ვეხებით თანამედროვე აზროვნებას მისი ერთ-ერთი ნიშან-თვისებით - კრეატიულობა-შემოქმედებითობით.

ის კი არადა აქ უფრო მეტიც უნდა ითქვას: კერძოდ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ თანამედროვე აზროვნების შემოქმედებითობა-არაშემოქმედებითობაზე, მაშინ ჩვენ, უფრო მეტიც, ვლაპარაკობთ თანამედროვე აზროვნების კრეატიულობა-არაკრეატიულობაზე უკვე მის წინა დროინდელ ანუ ტრადიციული აზროვნების მიმართ მის დამოკიდებულებაზე. და აქ კი იკვეთება აზროვნების შემოქმედებითობის უკვე მესამე განზომილება - სწორედ თანამედროვე აზროვნების შემოქმედებითობა ტრადიციული აზროვნების არაშემოქმედებითობის მიმართ. ხოლო აზროვნების შემოქმედებითობა ჩვენს შემთხვევაში გაგებულია სწორედ ამ, მესამე მნიშვნელობით.

და მაინც, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და სრული გაგების მისაღწევად, ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, მართლაც, სამი განზომილება აზროვნების შემოქმედებითობისა: პირველი, აზროვნების შემოქმედებითობა ადამიანის სხვა შემოქმედებითი უნარების მიმართ, მეორე, აზროვნების შემოქმედებითობა თავად აზროვნების სფეროში, მესამე, აზროვნების შემოქმედებითობა სწორედ თანამედროვე

ეპოქის აზროვნების მიმართებით მის წინადროინდელ, ტრადიციულ აზროვნებასთან. სწორედ ამ მესამე განზომილებას გულისხმობს ჩვენი მსჯელობაც აზროვნების შემოქმედებითობაზე.

მაგრამ რას ნიშნავს აზროვნების კრეატიულობა, მისი შემოქმედებითობა?

აზროვნების კრეატიულობას ანუ შემოქმედებითობას ჩვენ ვუწოდებთ მის წარმართულობას მუდმივი განახლებისაკენ გარემოებათა ცვლილების გათვალისწინებით. თუმცა ეს არ არის აქ მთავარი, ვინაიდან აზროვნება შეიძლება შეიცვალოს გარემოებათა გათვალისწინებითაც და გარემოებათა გაუთვალისწინებლადაც. აქ ორგვარი მომენტია შესაძლებელი: შეგნებული და შეუგნებელი, ობიექტური და სუბიექტური: გარემოებათა ნამდვილად წყალობით ანდა მისი საკუთრივ გათვალისწინებით და თავად აზროვნების შინაგანი მოწოდებითაც. თუმცა ორივე ეს ფაქტორი ურთიერთობს და ზეგავლენას ახდენს ერთი მეორეზე, რის გამოც ჩვენ ვაღწევთ აზროვნების სწორედ შემოქმედებას მთელი თავისი სისრულით.

კრეატიული ანუ შემოქმედებითი აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება თავისი არსით უპირისპირდება არაკრეატიულ ანუ არაშემოქმედებით აზროვნებას, რომელსაც, სახელდობრ, ჩვენ შეიძლება დოგმატური ან კონსერვატიული აზროვნება ვუწოდოთ. ამიტომაც საჭიროა ამ მომენტის გარჩევაც.

მართლაც, რა არის დოგმატური ან კონსერვატიული აზროვნება?

აქ კი ჩვენ სიზუსტისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავადგინოთ მიმართება „დოგმატურსა“ და „კონსერვატიულს“ შორის.

საქმე ისაა, რომ ამ ორ ცნებას შორის გარკვეული ნიუანსური განსხვავებაა, თუმც კი არსებითად მათ შორის, ჩვენს შემთხვევაში მაინც, არსებითი განსხვავება არ არის

„კონსერვატიული“ ლათინური ტერმინია, სახელწოდებაა. იგი ქართულად „შემნახველს“, „დამცველს“ (11) ნიშნავს. კონსერვატიული ამ მხრივ კი ძველის შენახვას, მის დაცვას გულისხმობს და, თავის მხრივ, ჯერ კიდევ ცუდ რამეს როდი გულისხმობს.

მაგრამ სხვა საქმეა ის, კონსერვატიულს გავიგებთ როგორც ძველის დაცვას ახლის მიღების, სიახლის შემოტანის საპირისპიროდ, თუ როგორც მის დაცვას სიახლის შემოტანასთან ერთად. ამ შემთხვევაში კონსერვატიზმი ცუდი როდი გამოვიდოდა,

არამედ იგი სასარგებლოც კი იქნებოდა, თუ რაიმე ძველი ჩვენთვის რაიმეთი სასარგებლოა და იგი გადასაგდები კი არა, მისაღებიც კია და ამდენად დასაცავი.

მაგრამ კონსერვატიული ჩვენს შემთხვევაში გაგებულია უარყოფითი მნიშვნელობით, როგორც რაღაც დრომოჭმულის დაცვა ყოველგვარი მოდერნულის, ახლებურის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში კონსერვატიული აზროვნებაში იგივური იქნებოდა დოგმატური აზროვნებისა.

თუმცა ესეც იმ შემთხვევაში, თუ დოგმატურ აზროვნებასაც უარყოფითი მნიშვნელობით გავიგებთ, როგორც ამას ჩვეულებრივ შემთხვევებში ვაკეთებთ ხოლმე.

საქმე ისაა რომ დოგმატურიც შეიძლება ორგვარად გავიგოთ, დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით, პირველი მნიშვნელობით იგი გაგებულია, მაგალითად. რელიგიაში, როდესაც ჩვენ ვგულისხმობთ მის ფუძემდებლურ დებულებებს, რომელთა დაცვაც აუცილებლად მიგვაჩნია ხოლმე. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში დოგმატურის ქვეშ ჩვენ გვესმის რაღაც უცვლელი, რომელიც უნდა კი შეცვლილიყო, მაგრამ საწინააღმდეგოდ ამისა ჩვენს მიერ მაინც არ იცვლება.

ასე რომ, კონსერვატიულიცა და დოგმატურიც მათი უარყოფითი მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევა და ამ შემთხვევაში კონსერვატიული ანუ დოგმატური აზროვნებაც გულისხმობს იმგვარ აზროვნებას, რომელიც საპირისპიროა ე.წ. კრეატიული ანუ შემოქმედებითი აზროვნებისა.

და, მართლაც, რა არის კონსერვატიული თუ დოგმატური აზროვნება, თუ არა სწორედ არაკრეატიული, არაშემოქმედებითი აზროვნება, როცა ვითარება კი მოითხოვს შესაბამისად კორექციას, დაზუსტებას, დინამიკას, ცვლილებას აზროვნებაში, მაგრამ ჩვენ მაინც „ვეჭიდებით“ ძველს ახლის საწინააღმდეგოდ.

ტერმინი „დოგმატური“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვის „დოგმისაგან“, რაც ქართულად უბრალოდ „დებულებას“ ნიშნავს. და, მართლაც, დოგმატური აზროვნებაც დოგმებს, გარკვეულ დოგმებს ანუ დებულებებს ემყარება, როგორც რაღაც მყარ, უცვლელ საფუძვლებს, ჭეშმარიტებებს.

დოგმატური აზროვნება როგორც უარყოფითი, დასაგმობი რამ მოვლენა, ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ერთ შემთხვევაში დოგმატური აზროვნება როგორც არაკრეატიული, კრეატიულის საწინააღმდეგო რამ, და მეორე შემთხვევაში კი - დოგმატური აზროვნება როგორც არაკრიტიკული, კრიტიკულის საწინააღმდეგო რამ აზროვნება.

უფრო სწორედ, ეს ორი რამ ასპექტი დოგმატური აზროვნებისა ორი რამ ერთმანეთისაგან იზოლირებული, მოწყვეტილი რამ მოვლენა როდია, არამედ ერთი მთლიანი მოვლენის, ჩვენს შემთხვევაში კი, დოგმატური აზროვნების ორი, თუმც კი განსხვავებული, მაგრამ მაინც მომენტი.

და, მართლაც, დოგმატური აზროვნება ჩვენს შემთხვევაში ორივე ამ მომენტს მოიცავს, ამიტომ ამ ფენომენის სრული ანალიზისათვის საჭიროა ორივე ამ მომენტის ცალ - ცალკე ანალიზი.

დოგმატური აზროვნება როგორც არაშემოქმედებითი, უფრო სწორედ კი, ანტიშემოქმედებითი აზროვნება, ეს იმგვარი აზროვნებაა, რომელიც მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებს. „მეტაფიზიკური“ აზროვნება კი, თავის მხრივ, ეს ხომ ისეთი აზროვნებაა, რომელიც მოვლენას განიხილავს უძრაობაში, უცვლელობაში, განვითარების გარეშე, რომელიც მოვლენას განიხილავს დროისა და სივრცის, კონკრეტული ვითარების უგულვებელყოფით (38). ხოლო, რა თქმა უნდა, ამგვარ აზროვნებას აქვს აბსტრაქტული ხასიათი და იგი მოწყვეტილია რეალობას (იხ. ასევე 39).

საწინააღმდეგოდ ყოველივე ამისა, კრეატიული ანუ შემოქმედებითი აზროვნება „დიალექტიკური“ ხასიათისაა, ხოლო „დიალექტიკურია“ აზროვნება, რომელიც მოვლენას განიხილავს მოძრაობაში, ცვლილებაში, განვითარებაში, რომელიც მოვლენას განიხილავს დროსა და სივრცეში, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

ამგვარ აზროვნებას, რა თქმა უნდა, აქვს კონკრეტული ხასიათი, რის გამოც იგი, ბუნებრივია, სრულიად და სწორად არეკლავს მოვლენას.

კრეატიული აზროვნება, იმის გამო, რომ იგი ითვალისწინებს ცვლილებებს მოვლენათა მსვლელობაში, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ისტორიულ“ ხასიათს ატარებს ანუ აზროვნების პროცესში ისტორიულ მეთოდს მისდევს, ხოლო, საწინააღმდეგოდ ამისა, დოგმატური აზროვნება, ბუნებრივია, „ანტიისტორიულ“ ხასიათს ატარებს, ე.ი. ამ შემთხვევაში ისტორიულ მეთოდს არ მისდევს (იხ. აგრეთვე: 25; 27).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კრეატიული აზროვნება ეს შემოქმედებითი აზროვნებაა, ესე იგი ისეთი აზროვნება, რომელიც საჭიროებისამებრ, ვითარებისდა მიხედვით, მუდმივ განახლებას განიცდის; ესაა აუცილებლობის შესაბამისად მუდმივად განახლებადი აზროვნება, რომელიც დროს, ადგილს და ვითარებას უწევს ანგარიშს და ამდენად სწორად არეკლავს კონკრეტულ რეალობას. და

ეს ასეა იმიტომ, რომ თავად ცხოვრება, თავად რეალობა მუდამ იცვლება: „ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება“ („პანტა რეი“) (ჰერაკლიტე ეფესელი) (37).

ხოლო ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობისა თუ ცვლილების მომენტს ჩვენს ცხოვრებაში და, აქედან გამომდინარე კი, მის გათვალისწინებას უკვე ჩვენს აზროვნებაში, რათა ჩვენ ამით ნამდვილად შემოქმედებითი ანუ კრეატიული გავხადოთ ჩვენი აზროვნება, ამას ნათლად გადმოსცემს ილია ჭავჭავაძის შთამბეჭდავი სიტყვები: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა ჩემი თერგო, არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ (16).

და, მართლაც, მოძრაობის ანუ ცვლილების გარეშე ხომ „ჩაკვდებოდა“ თავად სიცოცხლეც; სიცოცხლე ხომ, მართლაც, მოძრაობაა არსებითად. იქ, სადაც მოძრაობა არაა, სიცოცხლე არცაა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. სწორედ ყოველივე ამის გამოა დიდად მნიშვნელოვანი ჩვენს აზროვნებაშიაც თავად ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინება.

დოგმატური აზროვნება როგორც არაკრიტიკული, უფრო სწორედ კი, ანტიკრიტიკული, ეს იმგვარი აზროვნებაა, რომელიც ეჭვის გარეშე აყენებს ამოსავალ დებულებებს და განუსჯელად განიხილავს მათ აბსოლუტურ, უპირობო ჭეშმარიტებებად. ამ მიმართებით დოგმატიზმი უპირისპირდება სკეპტიციზმს რომელიც ეჭვის თვალით განიხილავს დებულებებს (იხ. აგრეთვე: 25).

აქ, ამ მომენტთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია, ფილოსოფიის კლასიკური ისტორიიდან გავიხსენოთ ორი დიდი ფილოსოფოსი ერთი - რენე დეკარტი და მეორე - იმანუელ კანტი.

და, მართლაც, ხომ ცნობილია დეკარტის ე.წ. მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი, რომელიც გულისხმობდა სპეციალურ მუშაობას უეჭველი, ურყევი ამოსავალი დებულების მოსაძიებლად და ამას იგი სწორედ დაეჭვების მეთოდით სცდილობდა, ე.ი. გვთავაზობდა კრიტიკულ მეთოდს აზროვნებისას. სწორედ ამ ძიების შედეგი იყო გახმაურებული დებულებაც: „cogito, ergo sum“, “ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“. ეს იყო გზა ეჭვის მეთოდით უეჭველი დებულების ძიებისა, კრიტიკული მეთოდით უკრიტიკო მეთოდის მიღებისა.

კანტსაც ხომ ქონდა ორი პერიოდიც კი ერთმანეთისაგან გამოყოფილი თავის ფილოსოფიურ განვითარებაში: პირველს - იგი „დოგმატურს“, ხოლო მეორეს - „კრიტიკულს“ უწოდებდა. ამასთან პირველს, დოგმატურს იგი უწოდებდა იმგვარ შემეცნებას, რომელიც არ ემყარება მისი შესაძლებლობებისა და წანამძღვრების

შესაძლო გამოკვლევას (იხ. 25). ასე რომ, კრიტიკული აზროვნება, კანტის მიხედვით, სწორედ იმგვარი აზროვნება იქნებოდა, რომელიც წარიმართებოდა ჩვენი შემეცნებითი უნარების კრიტიკული გარჩევის მეშვეობით.

მაგრამ კრიტიკული აზროვნება ამ შემთხვევაში კრიტიკული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი იქნება თავისი ხასიათით რეფლექსიური ანუ მიბრუნებული საკუთარ თავზე, თუ იგი იქნება განმრჩევლობითი და არა არაგანმრჩევლობითი (ა.დ. იხ. 27). „რეფლექსიური“ აქ იმას გულისხმობს, რომ კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში კრიტიკულად შევხედოთ თავად ჩვენს აზროვნებას მოვლენათა თაობაზე.

ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მომენტია ჩვენი შემეცნებისათვის მოვლენებისა, რაც აუცილებლად გულისხმობს სხვადასხვა შეხედულებათა ერთმანეთთან შედარებას და მათ შორის უპირატესობის გამოკვეთას.

საერთოდაც კი უნდა აღინიშნოს კრიტიკის დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი - თვითკრიტიკისა. განა საყოველთაოდ არაა ცნობილი ის უმნიშვნელოვანესი დებულება ამ თვალსაზრისით, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი დიდად მამოძრავებელი ძალებია!

და, მართლაც, იქ, სადაც კრიტიკა არაა და თვითკრიტიკა, იქ ისადგურებს უძრაობა, ხოლო სადაც უძრაობაა, იქ არაა სიცოცხლეც. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა“ აი, რა არის, მართლაც, „ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ (16), ჩვენი ცხოვრების წინ წამწევი ძალა. მაგრამ როგორ მოხერხდება ეს, თუ არა კრიტიკული აზროვნებით, ვინაიდან კრიტიკული აზროვნება არ იძლევა აზროვნებაშიაც კი ჩვენი გაჩერების უფლებას და გვიბიძგებს მუდამ წინ აზროვნების პროცესში.

ასე რომ, კრიტიციზმის მეთოდი ჩვენს აზროვნებაში ეს არის აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი პირობა კრეატიული ანუ შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნება კი, თავის მხრივ, ის დიდი ძალაა, ურომლისოდაც, მართლაც, რომ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ცხოვრების ძალუმი წინსვლა. იგია სწორედ ჩვენი წინსვლისა და, მაშასადამე, ყოველგვარი წარმატების მძლავრი სტიმული. უამისოდ ჩვენი აზროვნებაც „დამყაყდებოდა და გაქვავდებოდა“, და ამიტომაც ჩვენი ცხოვრების მოთხოვნებს ვერც დააკმაყოფილებდა. აქ კი, როგორც თავიდანვე ავღნიშნეთ, კრეატიულობის გარეშე ჩვენი აზროვნებაც ნამდვილად რომ დაკარგავდა თავის ჯეროვან ბუნებას: აზროვნება ხომ თავისთავად, მართლაც, შემოქმედებაა თავისი ბუნებით, ვინაიდან იგი ახალი ამოცანების გადაჭრას ემსახურება ხოლმე. და განა სწორედ ეს არ არის აზროვნების როგორც ლოგიკური შემეცნების არსიც. დოგმატური აზროვნების შემთხვევაში კი, ეს,

რა თქმა უნდა, ესე ვერ იქნებოდა. დოგმატურ აზროვნებას ჰეგელი ამიტომაც მეტაფიზიკურ განსჯით აზროვნებად მიიჩნევდა, რომელიც მას განვითარების გარეშე აყენებს.

დაბოლოს, დოგმატური და კრიტიკული აზროვნების, როგორც არაკრეატიული და კრეატიული აზროვნების მომენტებთან დაკავშირებით, აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. „ღია საზოგადოებებში“ უფრო მეტად კრიტიკული და, მაშასადამე კრეატიული აზროვნება სჭარბობს, მაშინ როდესაც ე.წ. „დახურულ საზოგადოებებში“ - პირიქით, არაკრიტიკული და, მაშასადამე, არაკრეატიული აზროვნება (ა.დ. იხ. 47).

ასეთია თანამედროვე აზროვნების როგორც კრეატიული აზროვნების ჩვენეული მოკლე ანალიზი.

VII. თანამედროვე აზროვნება როგორც პლურალური აზროვნება (სინგულარული აზროვნების საპირისპიროდ)

1. პლურალური აზროვნება როგორც თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება

2. პლურალური აზროვნების ცნება (სინგულარული აზროვნების ცნებასთან შეპირისპირებით)

3. პლურალური აზროვნების როლი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისებაა აზროვნების პლურალურობა. სინამდვილე, მართლაც, მრავალგვაროვანია და მრავალსახოვანი.

პლურალიზმი საერთოდ მთელი სამყაროს საყოველთაო კანონია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ამ კანონითაა განმსჭვალული.

„პლურალიზმი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად „მრავლობითობას“ ნიშნავს (ლათ. „პლურალის“ - ქართ. „მრავლობითი“) (11).

პლურალიზმი უამრავი სახისა შეიძლება იყოს, გააჩნია სინამდვილის რა სფეროზეა საუბარი. ასე მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, - აზროვნების პლურალიზმი ანუ პლურალიზმი აზროვნებაში. ესაა აზროვნებითი პლურალიზმი. ზოგადად კი - ფილოსოფიური თვალთახედვით - პლურალიზმი ეს იმგვარი პოზიციაა, იმგვარი ხედვაა, რომლის თანახმადაც არსებობს როგორც ცოდნის, ისე ყოფიერების „განსხვავებული თანაბარმნიშვნელოვანი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთმანეთზე დაუყვანადი ფორმების სიმრავლე“ (34). „ცოდნის“ შემთხვევაში ეს იქნებოდა „ეპისტომოლოგიური“, ხოლო „ყოფიერების“ შემთხვევაში კი - „ონტოლოგიური“ პლურალიზმი (34).

ტერმინი „პლურალიზმი“ ფილოსოფიაში პირველად შემოუღია თურმე მეთვრამეტე საუკუნეში ქრისტიან ვოლფს (34), ლაიბნიცის თეორიასთან დაკავშირებით. ლაიბნიცის თეორია კი ხომ, მართლაც, ნამდვილად პლურალიზმი იყო, მონიზმის ან დუალიზმის საწინააღმდეგოდ.

აქ საჭიროა ცოტაოდენი რამ მაინც ითქვას ამის თაობაზე, რათა უკეთ გავიგოთ პლურალიზმის არსიც.

საერთოდ ფილოსოფიაში სუბსტანციის ანუ საწყისის სიმრავლის პრობლემაზე სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია არსებობს: ერთი თეორიის თანახმად ეს საწყისი ერთადერთია, მეორის თანახმად, - ორი, მესამე თეორიის თანახმად კი - მრავალი. პირველი თეორიას შესაბამისად „მონიზმი“ ქვია, მეორეს - „დუალიზმი“, მესამეს - „პლურალიზმი“. პირველის მომხრეა, დავუშვათ, ჰეგელი, მეორისა - პლატონი, მესამისა - ლაიბნიცი. ე.ი. ლაიბნიცის თეორია, იმის გამო, რომ იგი აღიარებდა არა ერთს ან ორს, არამედ და სწორედ მრავალ საწყისს, არის სწორედ პლურალიზმის თეორია. ამ თეორიას, „მონადოლოგია“ წარმოადგენს. ლაიბნიცის თანახმად, სამყაროს განმსჭვალავს სულიერი საწყისების, ე.წ მონადების მთელი სიმრავლე.

მაგრამ ლაიბნიცის თეორია მარტო ამ მხრივ როდია პლურალიზმის თეორია, არამედ უფრო მეტის მხრიდანაც. კერძოდ, ლაიბნიცი აღიარებდა სამყაროს საგანთა ინდივიდუაციის პრინციპს, ანუ იმგვარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სინამდვილის ნებისმიერი საგანი აბსოლუტურად მკაცრად ინდივიდუალურია თავისი სახით. ეს კი, რა თქმა უნდა, აბსოლუტური პლურალიზმია, მაგრამ გადაჭარბებული, ვინაიდან არსებითად პლურალიზმი სინამდვილეში რელატიური, შეფარდებითი შეიძლება იყოს, მაგრამ აქაც სასარგებლოა მაინც პლურალიზმის იდეა.

ასე რომ, პლურალიზმი საერთოდ არსებობის, საერთოდ ყოფიერების ერთგვარი წესიც კია. ამიტომაცაა იგი - პლურალიზმის ფენომენი - სამყაროს საყოველთაო კანონი.

ხოლო ის, რომ პლურალიზმი, თავის ნორმალურ ფარგლებში, სასარგებლოა ჩვენთვის, ეს ხომ ისედაც ცნობილი უნდა იყოს ჩვენთვის. მაშასადამე, და მართლაც, ეს ხომ ინტუიციური აქსიომაც კი უნდა იყოს ჩვენი აზროვნებისათვის. განა მრავალსახეობა თუ მრავალგვარობა არა სჯობია მათს ერთსახეობასა თუ ერთგვაროვნებას? ხოლო რაკიღა ეს ასეა დადგენილი ღმერთის მიერ ჩვენი სამყაროსათვის როგორც კანონი, ჩვენც, ჩვენს აზროვნებაშიაც არ უნდა გავითვალისწინოთ იგი? განა ამ მხრივ უაღრესად ჭკუის სასწავლი არ უნდა იყოს შოთა რუსთაველის ჭეშმარიტად ბრძნული სიტყვები: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ (14, გვ.3). ხოლო ამის შეხსენება ადამიანთათვის უაღრესად მნიშვნელოვანი არაა საგანთა მრავალფეროვნების აღსანიშნავად? მისი სიკეთის ასაღიარებლად? ამით ხომ შოთა რუსთაველიც ამოწმებს პლურალიზმის როგორც ამქვეყნიური სინამდვილის საყოველთაო, უნივერსალურ კანონს.

აზროვნების პლურალიზმი, ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ეს არის აზრთა მრავალგვარობისა და მრავალსახეობის თეორია. აქ საუბარია აზროვნების ყოველმხრიობაზე, მისი ყველა შესაძლებელი მიმართულებით განვითარებაზე.

მაგრამ სწორედ აქ იწყება მთელი პრობლემა, ხომ არ გავიგოთ ეს პლურალიზმი აბსოლუტური აზრით? და, აი, აქ ჩვენ იძულებული ვართ „მოვთოკოთ“ ეს აბსოლუტიზმი, ვინაიდან ამქვეყნად ბოლოს და ბოლოს აბსოლუტური არაფერია და, რა თქმა უნდა, მათ შორის აზროვნებაც, მისი პლურალიზმიც შეუძლებელია აბსოლუტური იყოს.

მაშასადამე, აქ ჩვენ აზროვნების პლურალიზმი რელატიურად უნდა გავიგოთ. ეს კი, თავის მხრივ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აზროვნება თავის პლურალობაში სადღაც საზღვრების მქონეა, და რომ, აქედან გამომდინარე, იგი „უპრაგონო“ ვერ იქნება, „უსაზმნო“ ვერ იქნება. სხვაგვარად იგი თავის აზრსაც კი დაკარგავდა. უზომო ხომ არაფერია. ეს მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება აზროვნების ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება სიყალბეთა უსაზღვრო შესაძლებლობებში ხომ მაინც ერთადერთია. ამიტომ აქ ჩვენ ძალიან დიდი სიფრთხილე გვჭირდება, ვინაიდან აზროვნების პლურალიზმის „უზომო“ გაგებამ შეიძლება ჭეშმარიტების ერთადერთ ორიენტირს აგვაცილოს და საქმე დაგვიღუპოს.

და, მართლაც, აზროვნების პლურალიზმიც ჩვენ ხომ იმისთვის გვჭირდება, რომ ჭეშმარიტებას უფრო შედეგიანად ვსწვდეთ. და სწორიცაა. აზროვნება, თუ იგი პლურალური არ იქნება, მაშინ ან საერთოდ ვერც ჩასწვდება ჭესმარიტებას, ანდა ძალიან გაუჭირდება მისი წვდომა. ჩვენ ამ მხრივ ვფიქრობთ უფრო მეტსაც: აზროვნება ჭეშმარიტებას ვერც ჩასწვდება მისი არაპლურალიზმის შემთხვევაში.

ასე რომ, პლურალიზმი აზროვნებაში, ჩვენის აზრით, ეს ლოგიკურად აუცილებელი პირობაც კია ჭეშმარიტების წვდომისა. ხოლო ჭეშმარიტება ხომ აზროვნების სწორედ თავის მხრივაც ჭეშმარიტი მიზანია. მაშასადამე, პლურალიზმი აზროვნების სისწორის, მისი უფრო სწორედ სიზუსტის აუცილებელი პირობაც კია!

მაგრამ რატომ არის ეს ასე? ნუთუ ჭეშმარიტების პოვნის გზაზე აზროვნების მრავალგვარობა-მრავალსახეობა უფრო სწორი რამ პირობაა, ვიდრე მისი მონიზმი? (აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ის, რომ „პლურალიზმს“ „მონიზმი“ უპირისპირდება და „აზროვნების პლურალიზმს“, მასაშადამე, - „აზროვნების მონიზმი“. აზროვნების მონიზმი აქ მისი პლურალიზმის საწინააღმდეგოდ, უკვე მის ერთგვარობა-ერთსახეობას ნიშნავს).

მოკლედ, რატომ არის პლურალიზმი ეგოდენ ღირებული და მნიშვნელოვანი, ხოლო მონიზმი კი, პირიქით, - არაღირებული და არამნიშვნელოვანი აზროვნების პროცესში? რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების მისაღწევად. მიზანიც ხომ ესაა ყოველგვარი აზროვნების. ეს უკვე ინტუიციურად იგულისხმება ამ შემთხვევაში (ის, რომ ჭეშმარიტება მიზანია ყოველგვარი აზროვნებისა, ეს ლოგიკურად ინტუიციური, აქსიომატური დებულება უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, კონკრეტულად სწორი იქნება თუ არა ჩვენი აზროვნება. მოკლედ, ჭეშმარიტება აზროვნების მიზანია - ეს საყოველთაო კანონია გნოსეოლოგიისა აბსტრაქტულად).

ახლა, მართლაც, ჩვენ უნდა შევუდგეთ მტკიცებას იმისას, თუ რატომ არის ესე ღირებული და მნიშვნელოვანი პლურალიზმი აზროვნებაში.

აზროვნების პლურალიზმზე მსჯელობის დასაწყისად ჩვენ ყველაზე სასარგებლოდ ამ შემთხვევაში მიგვაჩნია გახსენება ძველი ბერძნული ფილოსოფიური მასალისა და განსაკუთრებით კი პლატონის მოძღვრებისა ამ მხრივ. მის დიალოგში ხომ სწორედ ისაა მოცემული, რაც ჩვენ აქ გვინდა. ეს კია მისი მეთოდი საერთოდ ჭეშმარიტების ძიებისა. ყველა მისი „დიალოგი“ ხომ სწორედ ამას ეძღვნება, ესე იგი ჭემშარიტების ძიებას, ოღონდ დიალოგის მონაწილეთა შორის საწინააღმდეგო შეხედულებათა გადმოცემით ერთი რაღაც საერთო, ჭეშმარიტების ძიებას და მიღწევასაც.

ეს მეთოდი უწინ მის მასწავლებელთან, სოკრატესთან იღებს სათავეს, ხოლო საერთოდ კი მთელი ფილოსოფია, ეს უძვირფასესი მეცნიერება, თუნდაც ამ მხრივ, ხომ სხვა არაფერია სწორედ, თუ არა ილუსტრაცია და დემონსტრაცია სწორედ აზროვნების პლურალიზმისა. და, მართლაც, მთელი ფილოსოფიის ისტორია განა ეს უამრავ სხვადასხვა შეხედულებათა ბრძოლისა და ამათგან რაღაც საერთო ჭეშმარიტებისაკენ ბრძოლას შორის შესანიშნავი სურათი არ არის. ხომ ამბობდა ფრიდრიხ ენგელსი ამის თაობაზე, რომ აზროვნების განვითარებისათვის ყველაზე ძვირფას მასალას ფილოსოფიის ისტორია იძლევაო (50).

და საერთოდაც, ყოველგვარი აზროვნების წინ წამწევი ეს, მართლაც, ამ შემთხვევაში აზროვნების მრავალგვარობა-მრავალსახეობაა, ანუ აზროვნების წარმართვის არა ცალმხრივი, რაღაც შეზღუდული, ერთფეროვანი მიმართულებით, არამედ ყველა ამ შეხედულების წინ წამოწევითა და მათი გათვალისწინებით , რაც კი რამ კაცობრიობას შეუმუშავებია.

აზროვნებამ, ნამდვილად, „ფრთები უნდა გაშალოს“ მაგრამ როგორ „გაშლის იგი ფრთებს“, თუ მას არ მიეცემა საშუალება ყოველმხრივ, მაქსიმალურად, ყველა მიმართულებით გაშალოს თავისი ფრთები?

ის, რაც არ შეუძლია აზროვნებას ერთი შეხედულებით, ის მას შეუძლია მრავალი შეხედულებით. ერთი შეხედულება შველის მეორეს, ცალმხრივი შეხედულებანი მუდამ შეზღუდულია, მრავალი შეხედულებანი ერთმანეთს „ამოწმებენ“ და ერთმანეთს „ავსებენ“.

გავიხსენოთ აქ თუნდაც ნილს ბორის ე.წ. „დამატებითობის პრინციპი“ (35), რომელიც მან ფიზიკის სფეროში ერთი რომელიღაც სპეციფიკური საკითხის მიმართ გამოიყენა, მაგრამ ეს პრინციპი ხომ ფილოსოფიური პრინციპია ფიზიკის მიმართ მიყენებული, ვინაიდან იგივე ნილს ბორი ზოგადადაც კი ამბობს გენიალურ ფილოსოფიურ ფორმულას: „წინააღმდეგობაო დაპირისპირება როდიაო, არამედ დამატება“! ეს კი ხომ ე.წ. რემინისცენციაა გენიალური ჰეგელის მიერ აღმოჩენილ ფილოსოფიურ კანონზე, ე.წ. „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონზე“. ჰოდა, ეს კანონი აქაც, აზროვნების მიმართაც უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ შევეგუოთ უამრავ აზრს ამა თუ იმ საკითხზე. და აქ უნდა გამოვიჩინოთ ე.წ. „ტოლერანტობა“, ამ შემთხვევაში კი, „პლურალისტური ტოლერანტობა“ აზროვნებაში. მითუმეტეს აზროვნებაში, იმიტომ, რომ აზროვნებით იწყება ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი. ადამიანი ხომ სწორედ მოაზროვნე არსებაა. როგორადაც იაზროვნებს ადამიანი, ისევე მოიქცევა იგი ცხოვრებაშიაც.

პლურალიზმი აზროვნებაში, ყველაზე ფართო აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის გავითვალისწინოთ ყველა ის შეხედულება, რაც კი რამ არსებობს ამ საკითხზე და ხელი არ შევუშალოთ არცერთი ამ შეხედულების არსებობას.

თუმცა აქ კი დგება ყველაზე მთავარი პრობლემა ამ მხრივ - მისაღებია კი ყველა ის შეხედულება, რაც კი რამ არსებობს ამა თუ იმ საკითხზე?

და, აქ კი საჭიროა ჩვენ ამ საკითხზე ცოტაოდენ დაწვრილებით შევჩერდეთ.

მაშასადამე. საკითხი ეხება იმას, ყველა შეხედულება უნდა გამოითქვას თუ არა საერთოდ, მიუხედავად იმისა, თუ რა ხასიათისა იქნება იგი ?

ხოლო ამ საკითხზე ორგვარი პასუხი არსებობს ფილოსოფიისა და საერთოდ აზროვნების ისტორიაში.

ერთნი დადებითად უყურებენ ამ მოსაზრებას, მეორენი უარყოფითად.

ასე, მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსი ჟიულიენ ლამეტრი არაფერს ცუდს არ ხედავდა ამა თუ იმ საკითხზე აბსოლუტურად ნებისმიერი აზრისა თუ შეხედულების აზრის გამოთქმაში (30, გვ.328,337-338,348). იგი ამაში სარგებლობასაც კი ხედავდა, ვინაიდან მასში იგი ხედავდა პიროვნების თავისუფლების გამოხატულებას. მართალია, ლამეტრი ამასთან ნებისმიერი შეხედულების რეალიზაციის მომხრე როდი იყო, ვინაიდან ამაში იგი ჭვრეტდა გარკვეულ საფრთხეებს, მაგრამ თეორიაშიაც უფრო ლოგიკური არ იქნებოდა ამგვარი საფრთხეების არსებობა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლამეტრი აქ ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება, როცა პრაქტიკაში მოითხოვს მოქმედებათა გარკვეულ შეზღუდვას, ხოლო თეორიაში კი ასეთ რამეს არ უშვებს. მაგრამ თეორია და პრაქტიკა განა ერთიანობაში არ უნდა განგვეხილა? და თუ რაიმე მოქმედება პრაქტიკაში მიუღებელია, მაშინ მასზე შეხედულებაც ხო მიუღებელი უნდა იყოს? მითუმეტეს, როცა ფაქტობრივად ზოგჯერ თეორიული შეხედულება უფრო მავნებელია, ვიდრე პრაქტიკული მოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ პლურალურ აზროვნებაზე იმ, მეორე თვალსაზრისის მომხრენი ვართ, რომელთა წარმომადგენლების აზრითაც ყოველგვარი პლურალიზმი აზროვნებაში მისაღები როდია მორალურად. და საერთოდაც, ამ მეორე თვალსაზრისის მომხრენი ბევრად მეტნი არიან იმ პირველი მოსაზრების მომხრეებზე, რაც ასევე ჭეშმარიტების ერთგვარ კრიტერიუმადაც კი შეიძლება გამოდგეს აქ.

პლურალიზმი აზროვნებაში ნიშნავს იმას, რომ დაშვებულ იქნეს მასში ე.წ.ალტერნატიული შეხედულებანი, რაც ძალიან წინ სწევს აზროვნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აზროვნება „გაქვავდებოდა“ და იგი ჭეშმარიტად დაკარგავდა თავის ბუნებას.

და, მართლაც, განა აზროვნებაც სწორედ იმას არ მოითხოვს თავისი ბუნებით, რომ იგი იყოს მუდმივად განახლებადი რამ. აზროვნება ეს ხომ თავისთავად უკვე პროცესია, ხოლო ამ პროცესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი ხომ მისი პლურალურობაც უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ ამ პირობებში მიეცემა აზროვნებას უფრო ფართე გასაქანი. ჭეშმარიტება ხომ კამათში იბადება. ჭეშმარიტება ხომ აზრთა ჭიდილში გამოიხატება. ერთი აზრი მეორეს ავსებს, ერთი მეორეს ხელს უწყობს, მიუხედავად იმისა, როცა ეს უშუალოდაც კი ესე არ არის, ვინაიდან საპირისპირო აზრები მხოლოდ როდი გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ, პირიქით, გულისხმობენ კიდეც ერთმანეთს. ამაშია სწორედ გენიალური ჰეგელის მიერ აღმოჩენილი ე.წ. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის არსიც.

ასე რომ, სასარგებლოა არა მხოლოდ იმგვარი შეხედულებანი, რომლებიც ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, არამედ, ამ მხრივ, იმგვარი შეხედულებანიც, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან კიდეც, ვინაიდან სწორედ ამ არდაპირისპირება-დაპირისპირების ფონზე გამოიკვეთოს ჭეშმარიტება. და, მართლაც, ჭეშმარიტება მზამზარეულად როდი მიიღწევა ადამიანთა მიერ, არამედ ამისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო. ხოლო ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა უკვე მთელი რიგი ალტერნატიული აზრებისა თუ შეხედულებების შეპირისპირება ერთმანეთთან, რათა საბოლოო შედეგს ვეწიოთ.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა პლურალიზმის სასარგებლოდ აზროვნების პროცესში, ჩვენ აქ მაინც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ აბსოლუტური პლურალიზმი აზროვნებაში მაინც დაუშვებელია, ვინაიდან მან შეიძლება შექმნას ათასგვარი საფრთხე. საქმე, მართლაც, ისაა, რომ ვისაც რა აზრი მოუვა თავში, „უპრაგონოდ“„ და განუკითხავად, ყველა როდი იქნება სასარგებლო. და სწორედ ამ მომენტში დგება აზროვნების პლურალიზმზე მსჯელობისას ყველაზე მნიშვნელოვანი, ამასთან ყველაზე ძნელი საკითხი.

რატომ არ არის მისაღები აბსოლუტური პლურალიზმი აზროვნებაში?

აბსოლუტური ამ ქვეყანაზე არაფერი არ ვარგა, ვინაიდან ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხომ რელატიურია, რელატიური, რა თქმა უნდა თავისი ზომიერებით, ვინაიდან, თუ რაიმე გარდასცდა თავის საზღვრებს, იგი კარგავს კიდევაც თავის თვისობრიობას. ეს ძალიან ზოგადად, ფილოსოფიურად თუ ვიტყვით.

ხოლო იმის გამო, რომ ყველაფერს ამქვეყნად აქვს თავისი საზღვარი, ბუნებრივია, აზროვნების პლურალიზმიც ხომ თავის საზღვრებში უნდა ჩაჯდეს. უკიდეგანო პლურალიზმი აზროვნებისა თავად აუქმებს აზროვნების პლურალიზმის იდეასაც. მითუმეტეს, რომ აქ საქმე ეხება სწორედ აზროვნებას. ადამიანი არსებითად ხომ მოაზროვნე არსებაა და ამიტომ როგორიც იქნება მისი აზროვნება, ისეთივე იქნება მისი მოქმედებაც, რა თქმა უნდა, თუ ეს აზროვნება მოქმედებაში გადადის. ხოლო აზროვნება სწორედ ხომ იმისათვის გვაქვს, რომ იგი მოქმედებაში გადავიყვანოთ. აბა, აზროვნებასაც მაშინ რაღა აზრი ექნებოდა?

აქედან გამომდინარე კი, ისმის საკითხი: ყოველგვარი აზროვნებით აღძრული ყოველგვარი მოქმედება სასარგებლო კი იქნებოდა კაცისათვის? განა კაცი ყოველი თავისი ქმედებით მართლდება? ჰოდა, ამიტომაც მისი აზროვნებაც ამ შესაბამისობაში ხომ ვერ გამართლდებოდა. და, მართლაც, ადამიანის ცხოვრება განა პლიუს-მინუსებისაგან არ შედგება? ხოლო ეს სწორედ იმის გამო ხდება, რომ მისი აზროვნება

ყოველთვის როდია ჯეროვანი. განა ჩვენი ცოდვები ჩვენი ცოდვილი აზრებით არაა აღძრული? აი, სად არის ჩვენი უბედურების წყარო, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ჩვენ სწორედ ვფიქრობთ რამეს. ყოველივე ჩვენი ცოდვილიანობის საფუძველი განა, აქედან გამომდინარე, ჩვენი თავიდან არ იწყება და იგი იქ სწორედ ჩვენს აზრებში არ იღებს სათავეს?

და საერთოდ, რაკიღა ადამიანის ცხოვრებაში არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რამე-რუმენი, ეგ სწორედ იმიტომაა, რომ ადამიანში არის შესაბამისად დადებითი თუ უარყოფითი საწყისი რამე-რუმენი სწორედ მის თავში. ხოლო ეს რომ ასეა, ამას თვით ფაქტიც ამტკიცებს ადამიანის ცხოვრების დიაპაზონისა. იგი სიკეთესაც სჩადის და ბოროტებასაც. და კიდევ ხოლო, თუ ადამიანში არის ალტერნატივა თავისი ბუნებით კეთილსა და ცუდს შორის, მაშინ განა აქედან ლოგიკური ურყეველობით არ უნდა დავასკვნათ, რომ ეს კანონი აზროვნების პლურალიზმზედაც უნდა გავრცელდეს?

მაშასადამე აზროვნების პლურალიზმი უკიდეგანო და უსაზმნო არ შეიძლება იყოს, თუ იგი ჩვენ გვინდა სასარგებლო გამოვიყვანოთ. სხვა შემთხვევაში ყოველგვარი მოსაზრება აბსურდი, უაზრობა გამოვა. აზროვნების პლურალიზმი ანუ აზროვნების მრავალგვარობა-მრავალსახეობა ეს ფრიად სასარგებლო საქმეა, მაგრამ, თუ მას თავის საზღვრები ექნება!

აბა, დავუშვათ ჩვენ, ლოგიკურად ყველაზე დიდი შეცდომა თუ დანაშაული აზროვნების ალტერნატიულობის ამბავში, როგორიცაა ღვთის უარყოფა! ამ საკითხის დაყენების ჩვენ ყველაზე უფრო გვეშინია, იმიტომ რომ, აბა, რას მოგვიტანს ეგ აზრი, თუ არადა ყველაზე დიდ უბედურებას ჩვენს თავზე. განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ ის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ღმერთია ყველაფერი? თავიც, შუაც და ბოლოც! ჰოდა, აქედან გამომდინარე, რამხელა ბოროტება დატრიალდებოდა ჩვენს თავზე, თუ ჩვენ ამ მოსაზრებით ვიხელმძღვანელებდით ცხოვრებაში? მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ამ აზრისაგან. თუ მთელი ყოფიერების შემოქმედს ჯერ არ ვაღიარებდით აზროვნებაში, ხოლო შემდეგ კი ამ იდეით არ ვიმოქმედებდით ცხოვრებაში, მაშინ, აბა, ჩვენს ცხოვრებასაც რაღა აზრი ექნებოდა! განა არ უნდა შევიგნოთ ის უპირველესი აზრი, რომ ღმერთი განაგებს ყველაფერს?

ასევე შეგვიძლია ჩვენ ვილაპარაკოთ ადამიანის იდეაზედაც ღმერთის იდეასთან ერთად, ვინაიდან ღმერთმა კაცი შექმნა ხატად და მსგავსად მისად და თუ ჩვენ ამ იდეას არ გავითავისებთ ჩვენს აზროვნებაში, მაშინ ჩვენს აზროვნებასაც რაღა აზრი ექნებოდა, ვინაიდან მაშინ ჩვენ ჩვენს მოქმედებებში ერთმანეთს ზიანს მივაყენებდით და ჩვენი

ცხოვრება უაზრო გამოვიდოდა. და, მართლაც, განა კაცს კაცისათვის ზიანი მიეყენებინა, ეს რა სარგებლობა იქნებოდა კაცობრიობისათვის?!

აზროვნების პლურალიზმი, რა თქმა უნდა, ათასწილად სჯობია აზროვნების არაპლურალიზმს, იმიტომ რომ იგი მაქსიმალურად ფართო გასაქანს ანიჭებს ჩვენს აზროვნებას, აქედან გამომდინარე კი, ჩვენს ცხოვრებას შესაბამისად. მაგრამ აზროვნებაც არის და აზროვნებაც, აზრიცაა და აზრიც! განა ყოველივე აზრი მისაღებია, განა ყოველგვარი აზროვნება მისაღებია, იმიტომ რომ ყოველგვარი აზრი და აზროვნება კაცს სარგებლობას, მართლაც, ვერ მოუტანს.

და აი, აქ ჩვენს წინაშე ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის კრიტერიუმი, საზომი იმისა, რა ვარგა და რა არ ვარგა აზროვნების საკითხში.

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე უამრავი სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდეც, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ ერთადერთი ჭეშმარიტი კრიტერიუმი, ერთადერთი ჭეშმარიტი საზომი ჩვენი აზროვნების მისაღებობა-მიუღებლობისა ესაა ის, თუ რამდენად მოსაწონია, რამდენად სათნოა ესა თუ ის აზრი და, მაშასადამე, ამგვარი თუ იმგვარი აზროვნება თავად ღმერთისთვის. და როგორადაც არ უნდა გავიგოთ ჩვენ ეგ დებულება ნებისმიერი კონკრეტული მიმართულების წარმომადგენელთა თვალსაზრისით, ერთი რამ ცხადია, რომ ეგ ზოგადი დებულება ყველასთვის ერთია, ყოველ შემთხვევაში, ლოგიკურად მაინც ერთი უნდა იყოს. ხოლო თუ მათ შიგნით რაიმე განსხვავებულობაა და არის კიდეც, ეგ უკვე ამ მიმართულებათათვის შინაგანი პრობლემაა. ამასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ყველა ეს მიმართულება სწორი ვერ იქნება, თუ ის, მართლაც, სწორი არ იქნება. ხოლო ეს კი ღმერთმა იცის და უკვე ჩვენი რწმენის საქმეა! მთავარია, ვიქნებით კი ამ მხრივ სწორნი თუ არასწორნი.

ასეა თუ ისე, პლურალიზმი აზროვნებაში ეს აუცილებელი და სასარგებლო რამაა, ვინაიდან იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ საკითხზე უფრო და უფრო მეტი გაირკვეს რამ, ვიდრე ეს აზროვნების მონიზმის შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო. მართალია, ყოველგვარი პლურალიზმი აზროვნებაში მიუღებელია თავისი აბსოლუტურობით, მაგრამ იგი მაინც მისაღებია თავისი რელატიურობით. ხოლო პლურალიზმი კი ამ მხრივ გულისხმობს იმგვარ „ფილოსოფიურ პოზიციას, რომლის თანახმადაც არსებობს სიმრავლე ცოდნისა და შემეცნების მეთოდოლოგიის სხვადასხვა თანაბარუფლებოვანი, დამოუკიდებელი და ერთმანეთზე დაუყვანადი ფორმებისა (ეპისტემოლოგიური პლურალიზმი), ანდა ყოფიერების ფორმებისა (ონტოლოგიური პლურალიზმი)“ (34) (საერთოდ ეს ტერმინი „პლურალიზმი“

პირველად გერმანელ ფილოსოფოსს ქრისტიან ვოლფს შემოუღია თურმე მოხმარებაში(იქვე)).

პლურალიზმის ამ განმარტებაში ჩვენთვის განსაკუთრებით ის კი არაა ამ შემთხვევაში აღსანიშნავი, რომ იგი ტრივიალურად მაინც პლურალიზმია და გულისხმობს უბრალოდ „სიმრავლეს“ აზროვნების პლურალიზმის შემთხვევაში, შეხედულებათა სხვადასხვაობას, არამედ უფრო ის, რომ აქ დაშვებულია ე.წ. „თანაბარუფლებიანობა“, „დამოუკიდებლობა“, „დაუყვანადობა“ ამ სიმრავლის სახეებისა ერთმანეთის მიმართ.

აი, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მომენტია აქ. და ჩვენც გვგონია, რომ უმნიშვნელოვანესი მომენტიც კი აზროვნების პლურალიზმის და საერთოდაც ე.წ. „პლურალიზმის“ გაგებაში, ვინაიდან პლურალიზმი ანუ სიმრავლე საერთოდ ფილოსოფიური თვალსაზრისით, რა გასაოცარიც არ უნდა იყოს, მხოლოდ რაოდენობრივი მოვლენა როდია, არამედ თვისობრივიც. თუ არადა პლურალიზმი თუ სიმრავლე ეგ ხომ რაოდენობრივი კატეგორიაა თავისთავად. ამას თავად ხომ სახელწოდებაც მეტყველებს. მაგრამ სწორედ იმაშია ფილოსოფიის საიდუმლო ამ შემთხვევაშიაც, როგორც ამას დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ჰეგელი გვასწავლის ხოლმე, რომ რაოდენობრიობა მოწყვეტილი როდია თვისობრიობას და, რომ ნებისმიერ, თუნდაც „წმინდა“ რაოდენობრიობასაც კი უკვე თავისი მაინც თვისობრიობაც გააჩნია. და, აი ზუსტად ეგრეა ჩვენს შემთხვევაშიაც.

საქმე ის არის, რომ, როცა ჩვენ ვუშვებთ აზროვნების პლურალიზმს ანუ აზრთა მრავალსახეობას ამა თუ იმ საკითხზე, ამა თუ იმ მიმართებით საერთოდ, უკვე წინასწარ ინტუიციურად ვგულისხმობთ იმას, რომ ზოგადად ყველა ეს თვალსაზრისი რაღაცნაირად, მართლაც, თანაბარუფლებიანია. სხვა შემთხვევაში, მართლაც, „დაინგრეოდა“ კიდეც იდეა პლურალიზმისა.

მაგრამ აქ ჩვენ ერთი რამ უმნიშვნელოვანესი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ იმ მიმართებით, რომ ეს „თანაბარუფლებიანობა“ სადღაც მაინც გარკვეულ ზომებში უნდა იჯდეს, ე.ი. ეს თვალსაზრისები სადღაც მაინც, საბოლოოდ მაინც, ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს, და ისინი იმ კრიტერიუმის საზღვრებს არ უნდა გასცდნენ. ხოლო ის, თუ რა იქნებოდა ამის კრიტერიუმი ანუ საზომი, ჩვენ მის შესახებ უკვე ვთქვით და ახლაც აღვნიშნავთ: პირველი, ის, რომ ეს თვალსაზრისები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ღმრთის მცნებებს, და მეორეც, ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ადამიანის, ოღონდ მაინც, ღვთაებრივ უფლებებს! ამ კრიტერიუმებს კი, რა თქმა უნდა, განსაზღვრავენ, ერთის მხრივ, ღვთაებრივი, მეორეს მხრივ კი, ადამიანური, მაგრამ მაინც კანონები.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულისა, პლურალიზმი აზროვნებაში გულისხმობს ყოველივე აზრის შეწყნარებას, რაც კი, როგორც ამას დიდი ფრანგი ფილოსოფოსი შარლ მონტესკიე ამბობს თავის თხზულებაში „გონების შესახებ“, არ ეწინააღმდეგება კანონებს: „პიროვნების თავისუფლება ეს არისო პიროვნების უფლება აკეთოს ყველაფერი, რაც კი რამ კანონს არ ეწინააღმდეგებაო“ (33), ვინაიდან ეს თუ ასე არ მოხდა, მაშინ დაინგრევა ყველაფერი. ოღონდ აქ ყველაზე მთავარი და ყველაზე ძნელი იმის გარკვევაა სწორედ, რომელი თვალსაზრისი სჯობია რომელს, და საერთოდაც, ზოგადად პლურალიზმის ამბავში, რა სჯობია რას ალტერნატივების შემთხვევაში, რომელი თვალსაზრისი ვამჯობინოთ რომელს, რა ვამჯობინოთ რას. ეს კი საერთოდ არჩევანის პრობლემასთანაა დაკავშირებული და კაცობრიობის უდიდესი პრობლემაც ეგაა!

და მიუხედავად ყოველივე ამ სიძნელეებისა, ჩვენ მაინც უნდა დავდგეთ აზროვნების პლურალიზმისა და არა მისი მონიზმის მხარეს.

და, აი, აქ ჩვენ ერთი ტერმინოლოგიური მომენტიც გვინდა აღვნიშნოთ. საკითხი, კერძოდ, აქ ეხება „პლურალიზმის“ საპირისპირო ტერმინს, მის კონტრადიქტორულ წყვილისცალს და ჩვენ ამ მხრივ ამ შემთხვევაში სწორად მიგვაჩნია ტერმინი „სინგულარიზმი“. ასე რომ, „პლურალურს“ აქ უპირისპირდება „სინგულარული“, თუმცა ჩვენ წინააღმდეგი როდი ვართ ამ შემთხვევაში ტერმინ „მინიზმისაც“. ასე რომ, ერთიც გამართლებულია და მეორეც.

პლურალურ აზროვნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ცხოვრებაში საპირისპიროდ სინგულარული აზროვნებისა, ვინაიდან პირველი ხელს უწყობს ჩვენი აზროვნების მაქსიმალურად გაშლას, ხოლო სინგულარული აზროვნება ამ მხრივ ცალმხრივი და, მაშასადამე, შეზღუდულია. ალტერნატიული აზროვნება უაღრესად წინ სწევს აზროვნებას, ვინაიდან იგი შესაბამისად ყოველმხრივი და შეუზღუდავია.

ოღონდ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთხელ ის დიადი სიბრძნე, რომ პლურალური ანუ ალტერნატიული აზროვნებაც სადღაც შემოფარგლულია და ისიც კანონის „არტახებში უნდა მოემწყვდეს“. თავაშვებულობა და განუკითხაობა აქ საწინააღმდეგო შედეგს გამოიღებს, როგორც ეს ყოველივე რადიკალიზმის დროსაა მოსალოდნელი. აზროვნების რადიკალიზმი დაღუპვის გზაა! რაღაა იგი გზა, თუ მას „ტაძრისკენ არ მივყავართ“? შესაბამისად, რაღას გვარგებს ჩვენ ყოველგვარი განუკითხავი თუ განუსჯელი, ე.წ. „უპრაგონო“ აზროვნება, თუ არა სწორედ ჭეშმარიტად ღვთაებრივი აზროვნება.

საბოლოო დასკვნის სახით, ჩვენ უნდა მივესალმოთ ყოველგვარ პლურალურ-ალტერნატიულ აზრს, რომელიც კი სასარგებლო შეიძლება იყოს საზოგადოებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ მთელი ის სიძნელეც, რაც დაკავშირებულია პლურალურ-ალტერნატიული აზროვნების დასაშვებობა-არდასაშვებობის მომენტთან, ვინაიდან ვის რა მიაჩნია სწორ აზრად და ვის კიდევ რა. თუმცა ჩვენ, მიუხედავად მთელი აქ არსებული „დრამატიული“ სიძნელეებისა, სადღაც მაინც უნდა დავეყრდნოთ კაცობრიობისათვის უკვე გარკვეულ შემუშავებულ კრიტერიუმებს, ვინაიდან, თუ ჩვენ ამას არ გავითვალისწინებთ, მაშინ ესეთი ალტერნატიული აზროვნებანი საბოლოოდ დაგვღუპავენ კიდეც.

და მაინც, მიუხედავად ყოველგვარი იმ სიძნელეებისა, რომელიც წინ გვეღობება ხოლმე ალტერნატიული აზროვნების გზაზე მათი კონკრეტული მისაღებობა-არმისაღებობის თვალსაზრისით, ერთი რამ კი საბოლოოდ ცხადი უნდა იყოს: ალტერნატიული აზროვნება „პურივით სჭირდება“ საზოგადოებას, ვინაიდან მის გარეშე ცხოვრება არ იქნებოდა კიდეც.

ასეთია თანამედროვე აზროვნების როგორც პლურალური აზროვნების ჩვენეული მოკლე ანალიზი.

VIII. სოციალური პრობლემები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით (ზოგადი)

1. სოციალური პრობლემის ცნება (სოციალური პრობლემა საერთოდ; სოციალური პრობლემა კერძოდ; სოციალური მოთხოვნილებანი; მათი დაკმაყოფილების პრობლემა; სოციალური პრობლემა არსისა და ჯერარსის კუთხით)

2. ძირითადი აქტუალურ-სოციალური პრობლემები

3. მიმდინარე სოციალური პრობლემები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

თანამედროვე აზროვნების შესავალი როგორც სამეცნიერო დისციპლინა, როგორც საერთოდ მეცნიერების ერთ-ერთი კერძო დარგი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სამეცნიერო დისციპლინა, საერთოდ მეცნიერების ნებისმიერი დარგი, ბუნებრივია, არის ცოდნის გარკვეული სისტემა ყოფიერების რაღაც სფეროზე.

ამიტომ თანამედროვე აზროვნების შესავალსაც, ბუნებრივია, თავისი საგანი გააჩნია.

ეს საგანი, ლოგიკურად თუ ვიტყვით, მაინცა და მაინც სოციალური სფერო კი არ უნდა იყოს, არამედ შეიძლება ნატურალური სფეროც იყოს, ვინაიდან მთავარი აქ ჩვენი აზროვნების სწორედ „ თანამედროვეობა“ უნდა იყოს და არა ამ აზროვნების შესახები რეალობის ესა თუ ის უბანი.

თუმცა მაინც აქ განსაკუთრებით სოციალურ სფეროზე განაზრება უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან სწორედ აქ იყრის თავს ყველაზე მწვავე პრობლემები, რისთვისაც საჭიროა სწორედ მომართვა მთელი ჩვენი აზროვნებისა: „ რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა“ (14, გვ. 211). და თვით ბუნებაშიაც არსებული ანუ ბუნებრივი პრობლემებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საკუთრივ სოციალური პრობლემები, მაინც სოციალური პრობლემების ჭრილში აღიქმებიან. ასე რომ, ეს პრობლემები აქ მაინც რაღაც სოციალური პრობლემების სახით წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე.

თანამედროვე აზროვნების საგანი სწორედ ეს ჩვენი სოციალური პრობლემებია, საზოგადოებისა თუ ბუნების წიაღშიაც, ოღონდ მაინც სოციალურის პრიმატის, მისი უპირატესობის ჭრილში.

ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ამ საკითხს - სოციალური პრობლემების საკითხს- ზოგადად.

მაგრამ სანამ ზოგადად სოციალური პრობლემების საკითხს შევეხებოდეთ, ჩვენ აქ სპეციალურად ანუ საგანგებოდ უნდა დავასახელოთ ის კონკრეტული სოციალური პრობლემები, რომლებიც თანამედროვე აზროვნების ყურადღების ქვეშაა მოქცეული. ამასთან ეს პრობლემები ჩვენ შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, იმისდა მიხედვით, ეხებიან თუ არა ისინი თავად თანამედროვე აზროვნებას თუ თანამედროვე აზროვნებისათვის უკვე საინტერესო აქტუალურ სოციალურ პრობლემებს.

პირველი ჯგუფის პრობლემები ამ შემთხვევაში იქნება თავად თანამედროვე აზროვნებისათვის საინტერესო ისეთი სოციალური პრობლემები, როგორებიცაა ჩვენი აზროვნების ლიბერალურობა - არალიბერალურობის, კრეატიულობა - არაკრეატიულობისა და პლურალურობა - არაპლურალურობის კონკრეტული სოციალური პრობლემები.

ჩვენ მათ შევეხეთ უკვე წინა - მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე თავებში.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით, ისინი შემდეგია: გლობალიზაციის, თავისუფლების, დევიაციის, უმცირესობების, გენდერული თანასწორობის, არატრადიციული ორიენტაციების, ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემები.

ჩვენ მათ ვეხებით შემდგომ - მეცხრე, მეათე მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე თავებში.

ყველა ეს პრობლემა, როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფისა, ის სოციალური პრობლემებია, რომლებიც განსაკუთრებით „აღელვებს“ თანამედროვე კაცობრიობას, და რომლებიც, მართლაც, მოითხოვს ჩვენის მხრიდან განხილვას, გარჩევას სწორედ რომ „ თანამედროვე“ აზროვნების ჭრილში. ასე რომ, თანამედროვე აზროვნების მოთხოვნილებას თავად თანამედროვე ცხოვრება განსაზღვრავს თავისი უმწვავესი პრობლემებით. მაშასადამე, თანამედროვე აზროვნების „ თანამედროვეობას“ თავად სოციალურ პრობლემათა თანამედროვეობა გვკარნახობს, ერთი მეორეს მოითხოვს. თანამედროვე აზროვნება ამ მხრივ ცარიელ ნიადაგზე თვითნებურად როდია წარმოშობილი, არამედ იგი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების აქტუალური მოთხოვნილებებითაა ინსპირირებული, სულდგმული.

ყველა ის პრობლემა, რომელსაც ჩვენ აქ, „თანამედროვე აზროვნების შესავალში“ ვიხილავთ, რა თქმა უნდა, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც კონკრეტული სოციალური პრობლემებია, რომლებიც, ბუნებრივია, თავის მხრივ „ ჯდებიან“ ზოგადად სოციალური პრობლემების ჩარჩოში და მათს კერძო გამოვლინებებს ქმნიან.

ამიტომ თანამედროვეობის აღნიშნულ კონკრეტულ სოციალურ პრობლემათა უკეთ გაგებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია საერთოდ სოციალური პრობლემის ფენომენის ანალიზი. კერძო ხომ ზოგადის გამოვლენას წარმოადგენს და ზოგადის ბუნების გარკვევაც, რა თქმა უნდა, „წაადგება“ კერძოთა ბუნების უფრო სრულ გაგებას.

სოციალური პრობლემანი საზოგადოებაში, სოციუმში მთელს იერარქიას ქმნიან.

სოციალურ პრობლემათა იერარქია გულისხმობს სოციალურ პრობლემათა მნიშვნელობის მეტ-ნაკლებობას მათი სოციალური ღირებულებებისდა მიხედვით. ამ მიმართებით ყველა სოციალური პრობლემა ერთი მნიშვნელობის როდია, არამედ ზოგი უფრო მნიშვნელოვანია და ზოგიც - უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი, ზოგი პრობლემა უფრო მწვავეა, ზოგიც - ნაკლებად მწვავე, ზოგი პრობლემა პირველი რიგის პრობლემაა და ზოგიც - მეორე რიგისა და ა. შ. და მისთ.

მაგრამ რა სოციალური პრობლემაც არ უნდა ავიღოთ ჩვენ უამრავ სოციალურ პრობლემათა შორის, ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ადამიანია თავად ყველაზე მთავარი სოციალური პრობლემა. ყველა სხვა პრობლემა უკვე მასთან დაკავშირებული პრობლემაა. პრობლემას ხომ ისევ ადამიანები ქმნიან ბოლოს და ბოლოს. და, მართლაც, ყველა სოციალური პრობლემა ადამიანთა შორის ურთიერთობაზე გადის და აქ პრობლემა თავად ამ ურთიერთობათა ხაზზე წარმოშობილი პრობლემაა და იგი ამ ურთიერთობებში არსებული კრიზისის ანარეკლს წარმოადგენს.

აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ, - ის, რომ ერთია სოციალური პრობლემა გნოსეოლოგიური თვალთახედვით და, მეორე - სოციალური პრობლემა ონტოლოგიური თვალთახედვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი განყოფილებაა სოციალური პრობლემის საკითხისა. და იგი, ეს განსხვავება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ პრობლემაზე მსჯელობისას.

სოციალური პრობლემა გნოსეოლოგიური თვალსაზრისით გულისხმობს სოციალურ პრობლემას შემეცნებისთეორიული კუთხით, ანუ შემეცნებითი სიძნელის, შემეცნებითი სირთულის კუთხით, ხოლო სოციალური პრობლემა ონტოლოგიური კუთხით კი - სოციალურ პრობლემას ყოფიერებისთეორიული ანუ არსებობითი სიძნელის, არსებობითი სირთულის თვალსაზრისით. და, მართლაც, ერთია პრობლემა თავად ცხოვრებაში და მეორე კი - უკვე მის შემეცნებაში. პირველი პრაქტიკული სფეროა პრობლემისა და მეორე კი - თეორიული.

პირველადი პრობლემის პრაქტიკულ და თეორიულ განასერთა შორის, რა თქმა უნდა, „ონტიური“ სოციალური პრობლემაა, ხოლო მეორადი - „გნოსიური“ სოციალური პრობლემა: როგორიცაა თავად რეალური პრობლემის სირთულის ხარისხი, ისეთივე იქნება იდეალური პრობლემის სირთულის ხარისხიც. ნორმალურ სიტუაციაში ეს, რა თქმა უნდა, ასე იქნება. პრობლემის შემეცნებით სირთულეს, თუ სიძნელეს, ბუნებრივია, მისი თავისთავადი, ობიექტური სირთულე თუ სიძნელე განაპირობებს. თუმცა პრობლემას გნოსეოლოგიური ასპექტითაც გააჩნია რაღაც „შეფარდებითი დამოუკიდებლობაც“ მისი ონტოლოგიური ასპექტის მიმართ და იგი, ეს პრობლემა ხელოვნურად კიდევ უფრო შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით გართულდეს და გაძნელდეს.

აქ უმჯობესი იქნება აღვნიშნოთ ის, რომ სოციალური პრობლემა შეიძლება დავყოთ „ბუნებრივად“ და „ხელოვნურად“.

ბუნებრივი სოციალური პრობლემა ისეთი სოციალური პრობლემაა, რომელიც თავისით, ობიექტურად, ავტომატურად, თავისი შინაგანი კანონებით ყალიბდება, ხელოვნური კი - იმგვარი სოციალური პრობლემა, რომელიც სხვისით, სუბიექტურად, გარეგანი ძალების მოქმედებით ყალიბდება.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, როცა ესა თუ ის ბუნებრივი სოციალური პრობლემა ხელოვნურად შეიძლება კიდევ უფრო „დამძიმდეს“, „გაპრობლემდეს“ ანუ გართულდეს და გაძნელდეს.

ამიტომ მუდამ საჭიროა ვიცოდეთ ეს, ვიცოდეთ განსხვავება ბუნებრივ და ხელოვნურ პრობლემებს შორის, რათა ვეცადოთ, უპირველეს ყოვლისა, ჯერ აღმოვფხრათ ხელოვნური, სუბიექტური სოციალური პრობლემები და მერე კი ვიმუშაოთ უკვე ობიექტური, ბუნებრივი პრობლემების დაძლევაზე. ე.ი. საჭიროა გავაცნობიეროთ, რათა ხელოვნურად კიდევ უფრო არ გავაპრობლემუროთ ისედაც ბუნებრივად ჩვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემები, რადგან ჩვენ, ადამიანები ხშირად თვითონ ვირთულებთ ცხოვრებას, ისედაც რთულს თავისთავად. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ პრობლემებზე ჩვენი განაზრების ჟამს, რათა ამგვარი შემეცნება უფრო ნაყოფიერი, უფრო ეფექტური გახდეს. ჩვენი მიზანიც ხომ ამ მხრივ სხვა არაფერია.

სოციალური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, არის სოციოგენური პრობლემა, ანუ პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება თავად სოციალური, საზოგადოებრივი მიზეზებით.

მაგრამ საზოგადოებაში არა მხოლოდ სოციოგენური, ანუ საკუთრივ სოციალური წარმოშობის პრობლემები არსებობს, არამედ ნატუროგენური ანუ ბუნებრივი მიზეზებით წარმოშობილი პრობლემებიც შეიძლება არსებობდეს. ხანდახან ხომ ბუნებაც უქმნის პრობლემებს ადამიანებს და ამ მხრივ ეს პრობლემებიც სოციალურ პრობლემებში გადის, მიუხედავად მათი არასაკუთრივ სოციოგენური ბუნებისა საკუთრივ სოციოგენური პრობლემების გვერდით. ყოველივე ასეთივე პრობლემა, ბუნებრივია, შეიძლება იქცეს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნად, თუ ამას მოითხოვს საჭიროება.

სოციალური პრობლემა, თავისი სახელწოდების მხრივ, როგორც პოზიტიური, დადებითი, ისე ნეგატიური, უარყოფითი ასპექტითაც შეიძლება წარმოვადგინოთ. ეს პრინციპში ეხება ყოველგვარ პრობლემას, რაც კი რამ არსებობს ქვეყანაზე. ასე, მაგალითად, ომისა თუ მშვიდობის პრობლემა, ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის პრობლემა, დასაქმებისა თუ უმუშევრობის პრობლემა, ბინისა თუ უბინაობის პრობლემა და ა.შ და ა.შ. მოკლედ, ყველა ამ და მსგავს შემთხვევაში ესა თუ ის სოციალური პრობლემა მხოლოდ წარმოდგენილია საპირისპირო რაკურსით, თორემ ეს პრობლემები ორი სხვადასხვა რიგის პრობლემები კი არაა, არამედ არსებითად ერთი მთლიანი რიგის პრობლემებია.

დავუშვათ, ომისა და მშვიდობის პრობლემა: ომის პრობლემა იგივე მშვიდობის პრობლემაა, და, პირიქით, მშვიდობის პრობლემა - ომის პრობლემა, აქ ერთი და იგი პრობლემა მხოლოდ ორი საპირისპირო კუთხითაა წარმოდგენილი. ესაა პრობლემა იმისა, თუ როგორ არ იყოს ომი, ე.ი. იყოს მშვიდობა, და, პირიქით, - თუ როგორ იყოს მშვიდობა, ე.ი. არ იყოს ომი, ვინაიდან ომსა და მშვიდობას შორის მშვიდობაა სასურველი, ხოლო ომი - არასასურველი.

იგივე ითქმის ნებისმიერ სხვა პრობლემაზედაც, მათი საპირისპირო რაკურსებით წარმოდგენის შემთხვევაში.

როდესაც ჩვენ რაიმე სოციალურ პრობლემაზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ყოველგვარი პრობლემა ესაა რაღაც ერთგვარი „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ იმას შორის, რაც არის და იმას შორის, რაც არ არის, უფრო სწორედ, იმას შორის, რაც არის და იმას შორის, რაც უნდა იყოს. ესაა სხვაობა რეალურსა და იდეალურს შორის, ფაქტობრივსა და ნორმატიულს შორის, არსობრივსა და ჯერარსობრივს შორის.

ასე, მაგალითად, ავიღოთ დასაქმებისა თუ დაუსაქმებლობის პრობლემა. პრობლემა აქ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უნდა იყოს დასაქმებული, რომ მას უნდა ქონდეს

სამუშაო, მაგრამ გარკვეული მიზეზებისა გამო მას არა აქვს იგი და ხელი ეშლება მასში. ანდა ავიღოთ ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის პრობლემა: აქაც ხომ ჯანმრთელობაა იდეალი, მაგრამ პრობლემა მაშინ გვექნება, თუ ეს ასე ვერაა. იგივე ითქმის ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში, ოღონდ თითოეულ შემთხვევაში თავ-თავისი კონკრეტული სახით.

გამოდის, რომ ყოველგვარი სოციალური პრობლემა იქმნება სწორედ ცხოვრების ამა თუ იმ იდეალის ჯეროვნად ვერგანხორციელების გზაზე. ეს პრობლემა კი მით უფრო „დიდი“ იქნება, რაც უფრო „დიდი“ იქნება შეუსაბამობა სწორედ იდეალებსა და რეალობებს შორის. კრიტერიუმი ანუ საზომი ამა თუ იმ პრობლემის პრობლემურობისა იქნება სწორედ ის იდეალები, რომელთა განხორციელების გზაზედაც იქმნება გარკვეული სიძნელეები, მაშასადამე, ის სიძნელეები, ის სირთულეები, რომლებიც იქმნება ამა თუ იმ სოციალური იდეალის რეალიზების გზაზე, ქმნიან სწორედ პრობლემას ანუ გასაჭირს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობლემა ესაა სწორედ გარკვეული სირთულე, გარკვეული სიძნელე ჩვენი ცხოვრების გზაზე, რომელიც გასაჭირს გვიქმნის, დისკომფორტს გვიქმნის ცხოვრებაში. და, მართლაც, პრობლემა ესაა რაღაც გასაჭირი, სიძნელე, სირთულე ჩვენი ცხოვრების გზაზე.

ხოლო ეს გასაჭირი, სიძნელე, სირთულე ჩვენი ცხოვრების გზაზე რომ უფრო გასაგები იყოს, უმჯობესია სოციალური პრობლემა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ჭრილშიაც განვიხილოთ.

საქმე ისაა, რომ სოციალური პრობლემა თავისი „ყველაზე ზოგადი განსაზღვრებით“ სხვა არაფერია, თუ არა სწორედ „რამდენადმე დაუკმაყოფილებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილება“ (6, გვ.42).

ხოლო იმისათვის, რომ ესეც თავის მხრივ უფრო გასაგები გახდეს, უმჯობესი იქნება თავად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსაც შევეხოთ.

სწორედ იმიტომ, რომ ესა თუ ის სოციალური პრობლემა შესაბამისად სწორედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ვერდაკმაყოფილების შემთხვევაში ყალიბდება. მაშასადამე, სოციალური პრობლემის კონკრეტულ სახეს სოციალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად კონკრეტული სახე განაპირობებს. ე.ი. რა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზედაცაა საუბარი, შესაბამისად, იმავე სოციალურ პრობლემებზე გვექნება საუბარი, რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნილებათა (რამდენამდე დაუკმაყოფილებლობის) შემთხვევაში.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია სხვადასხვანაირად შეიძლება მოვახდინოთ, იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით მოვახდენთ ამ კლასიფიკაციას. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ერთს შევეხებით, კერძოდ, ანდრია ზდრავომისლისეულ კლასიფიკაციას სოციალური მოთხოვნილებებისას.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ანდრია ზდრავომისლოვი სამ ძირითად ტიპად ყოფს. ესენია: „1) ელემენტარული მოთხოვნილებები, 2) სოციალიზაციის მოთხოვნილებები და 3) შემოქმედებითი მოთხოვნილებები“ (6, გვ.42).

„ელემენტარულ მოთხოვნილებებში“ ზდრავომისლოვს გაყავს 1) საკვების, 2) საცხოვრებლის, 3) ტანსაცმლის მოთხოვნილებანი (6, გვ,42).

და, მართლაც, ეს მოთხოვნილებანი ის მოთხოვნილებანია, რომლებიც თავიანთი დონით ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამიტომაც მათ სხვანაირად ე.წ. „ვიტალურ“ ანუ „სასიცოცხლო“ მოთხოვნილებებსაც უწოდებენ ხოლმე. ყოველივე დანარჩენს ადამიანურ მოთხოვნილებათაგან ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ „ზევიტალური“ მოთხოვნილებანი, ანუ ის მოთხოვნილებანი, რაც „ვიტალურის“ მიღმაა, უფრო სწორედ კი, ვიტალურზე მაღლაა, ვინაიდან ვიტალური მოთხოვნილებანი, მართლაც, მოთხოვნილებათაგან ყველაზე დაბალი რიგის მოთხოვნილებანია თავიანთი მნიშვნელობით.

„სოციალიზაციის მოთხოვნილებებში“ ზდრავომისლოვს გაყავს ის მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკავშირებულია „საზოგადოებისაგან მომდინარე“ პროცესებთან, ე.ი. იმ პროცესებთან, რა პროცესებშიაც ადამიანი ყალიბდება, როგორც სოციალური არსება, რა პროცესებშიაც იგი „ითვისებს“ ამა თუ იმ სოციალურ როლს. ეს მოთხოვნილებანია: „განათლების მიღების, ტრანსპორტის, კომუნიკაციის საშუალებებისა და ა. შ. მოთხოვნილებანი“ (6, გვ.43).

რაც შეეხება „შემოქმედებითი მოღვაწეობის მოთხოვნილებებს“, ზდრავიმისლოვს მასში გაყავს უკვე ყველა ის სახე მოთხოვნილებებისა, რომლებიც წინა ორ ტიპთან შედარებით შედარებით „უფრო რთული ხასიათისაა“ (6, გვ.43) და გულისხმობს ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების დონეზე მოთხოვნილებებს.

ამ მესამე ტიპის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თუ არსებობს ადამიანთა „შემოქმედებითი ხასიათის“ მოთხოვნილებანი, მაშინ იგულისხმება, რომ არსებობს უკვე ასევე „არაშემოქმედებითი ხასიათის“ მოთხოვნილებანიც. და, მართლაც, ადამიანის ცხოვრებაში არის როგორც არაშემოქმედებითი, ისე შემოქმედებითი მხარეები. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ

პირველ შემთხვევაში ახლის შექმნასთან არ გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, სწორედ ახლის შექმნასთან გვაქვს საქმე.

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის შემოქმედებითი მხარე უფრო მაღალი დონეა მისი ცხოვრებისა, ვიდრე მისი არაშემოქმედებითი მხარე, ბუნებრივია, პირველი რიგის მოთხოვნილებანიც, შესაბამისად, უფრო მაღალი დონისა იქნება, ვიდრე მეორე. სად, მართლაც, ადამიანის შემოქმედებითი მოთხოვნილებანი, რომლებიც მისი ცხოვრების უმაღლეს მისწრაფებებთანაა დაკავშირებული და სად კიდევ მისი არაშემოქმედებითი, რაღაც „რუტინული“ მოთხოვნილებანი. ამიტომაც დიდი განსხვავება იქნება იმ სოციალურ პრობლემათა შორისაც, რომლებიც წარმოიშობა შესაბამისად არაშემოქმედებითი და შემოქმედებითი მოთხოვნილებების ხარჯზე. სოციალური პრობლემები უფრო მაღალ მოთხოვნილებებთან, უფრო სწორედ კი, ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით ხომ, ბუნებრივია, უფრო მაღალი დონის სოციალური პრობლემებია, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში.

ხოლო ის, თუ რა არის ამისი განმსაზღვრელი, ანუ განმსაზღვრელი იმისა, თუ რომელი სოციალური პრობლემები ჩაითვალოს „უპირატეს“, „უმაღლეს“ სოციალურ პრობლემებად და რომელი არა, ამის განმსაზღვრელი ისაა, თუ რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ სოციალურ პრობლემას სოციალურ ღირებულებათა იერარქიის კუთხით. და თუ ჩვენ ამ კუთხით შევხედავთ სოციალურ მოთხოვნილებებს, მაშინ მით უფრო მაღალი იქნება სოციალური მოთხოვნილებანი, რაც უფრო „სულიერი“ იქნება ისინი, ხოლო მით უფრო დაბალი იქნება ისინი, რაც უფრო „ხორციელნი“.

სწორედ ამის მიხედვით მივხვდებით იმასაც, თუ რამდენად უფრო დარღვეულია ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ქმნის სწორედ პრობლემებს, ვინაიდან სწორედ სოციალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა ქმნის სოციალურ პრობლემებს. და რაც უფრო „სულიერი“ იქნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებანი, მით უფრო „მაღალი“ იქნება შესაბამისი სოციალური პრობლემებიც, ხოლო რაც უფრო „ხორციელი“ იქნება ისინი, შესაბამისად, მით უფრო „დაბალი“ სოციალური პრობლემები იქნება ისინი. ამასთან კიდევ, რაც უფრო დაუკმაყოფილებელი იქნება ესა თუ ის მოთხოვნილებანი, მით უფრო „ღრმა“ იქნება სოციალური პრობლემებიც.

სოციალური პრობლემა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, თავისთავად რაღაც არანორმალური მოვლენაა, რომელიც აღმოფხვრას, თუ დაძლევას მოითხოვს. მაგრამ მაინც სოციალური პრობლემაცაა და სოციალური პრობლემაც.

საქმე ისაა, რომ სოციალური პრობლემა, ეს როგორც რაღაც „უარყოფითი“ რამ მოვლენა, მართლაც, მთლად უარყოფითი რამ მოვლენა როდია. და, მართლაც, არის სოციალურ პრობლემათა შორის ისეთი პრობლემები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, და, პირიქით, პრობლემებიც, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია. ასე, მაგალითად, შიდსის პრობლემა თავიდან ბოლომდე უარყოფითი პრობლემაა, რომლის აბსოლუტურ აღმოფხვრასაც უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ სხეულის გაკაჟების პრობლემა, პირიქით, ასევე დადებითი პრობლემა, რის დაძლევასაც ასევე უნდა ვცდილობდეთ. ერთ შემთხვევაში არ გვინდა შიდსი შეგვეყაროს და მეორე შემთხვევაში გვინდა, რომ სხეული გავიკაჟოთ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებობს როგორც „დაცემის“, ისე „წინსვლის“ პრობლემები. ასე რომ, უპრობლემო ცხოვრება საერთოდ მიუღებელიც კია. მიუღებელიც კი არა, უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია. ცოცხალი, სისხლსავსე ცხოვრება მუდამ პრობლემებითაა აღსავსე და ეს ცუდი კი არადა, პირიქით, კარგიცაა. იქ, სადაც ამ მხრივ პრობლემები არაა, იქ, მართლაც, პრობლემებია. პირველ შემთხვევაში „კარგი“ პრობლემებია და მეორე შემთხვევაში კი - „ცუდი“. მთავარი ცხოვრებაში კი ისაა, იყოს პრობლემები უფრო წინსვლისა, რათა მათი მუდმივი გადალახვით მოხდეს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაც.

და მაინც, რა ცუდიც ან რა კარგიც არ უნდა იყოს სოციალური პრობლემა პრობლემის შიგნით, იგი გარედან საერთო ჯამში მაინც „ცუდი რამაა“ საერთოდ. იგი „ჭირია“ რაღაცნაირად, „უბედურებაა“ ჩვენს თავზე, რომლის მოცილებასაც ჩვენ უნდა ვცდილობდეთ. მითუმეტეს, თუ იგი, მართლაც, „ცუდი“ პრობლემაცაა საერთოდ პრობლემის შიგნით.

მაგრამ რა ჭირიც და უბედურებაც არ უნდა იყოს ესა თუ ის სოციალური პრობლემა, იგი სადღაც მაინც სასარგებლოც კი შეიძლება იყოს რაღაცა მხრივ. „კარგი“ პრობლემის შემთხვევაში ეს ხომ ისედაც ნათელი უნდა იყოს, „ცუდი“ პრობლემის შემთხვევაში კი რაღაც გამაფრთხილებელი რამ უნდა იყოს მისი თავიდან აცილების მიზნით. ამიტომაც იტყვიან ხოლმე: „ზოგი ჭირიც მარგებელიაო“. შოთა რუსთაველიც ხომ ამბობს: „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო“ (14, გვ. 158).

ჩვენი ცხოვრება პრობლემებითაა აღსავსე. პრობლემებს, როგორც იტყვიან, მართლაც, „რა გამოლევს“, მითუმეტეს თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სულ უფრო და უფრო ჩქარდება სოციალური პროცესი, და სულ უფრო და უფრო მატულობს სოციალური „ჭირნი“ და „უბედურებანი“, კერძოდ კი, სოციალურ პრობლემათა ის სახეობანი, რომელთაც ჩვენ ვუწოდეთ სწორედ „ცუდი“ პრობლემები.

ეს რომ უფრო გასაგები იყოს, საჭიროა აღვნიშნოთ ის, რომ სოციალური პრობლემა შეიძლება გავიგოთ ვიწრო და ფართო გაგებითაც.

სოციალური პრობლემა ფართო გაგებით ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც ისეთი რამ, რაც მოიცავს როგორც „ცუდ“, ისე „კარგ“ პრობლემასაც, ხოლო სოციალური პრობლემა კი ვიწრო, იქნებ საკუთრივი აზრითაც, - როგორც მხოლოდ „ცუდი“ პრობლემა. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში გამოდის, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ცუდისცუდი“ პრობლემა, განსხვავებით „კარგი“ პრობლემისაგან, რომელიც საერთო ჯამში მაინც გამოდის „ცუდი რამ“, რაკიღა იგიც არის პრობლემა (პრობლემა საერთო ჯამში ხომ მაინც „ცუდი რამაა“). ჩვეულებრივ ცხოვრებაში „ჭირსა“ და „უბედურებას“ ეძახიან სწორედ იმას, რაც დაკავშირებულია ვიწრო, საკუთრივი აზრით პრობლემასთან, და, პირიქით, „პრობლემას“ ამბობენ მაშინ, როცა „ჭირია“ და „უბედურება“ ჩვენს თავზე. მაგრამ ფართო აზრით, განა ყოველგვარი სოციალური პრობლემაც „ჭირი“ არაა და „უბედურება“?

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ცხოვრება აღსავსეა მთელი რიგი პრობლემებით (პრობლემები, როგორც იტყვიან, მართლაც, კისრამდეა!), უფრო სწორედ, „ათასგვარი პრობლემებით“ მთელი მათი ნიუანსებით, აუცილებელია ყოველივე ეს გაითვალისწინოს თანამედროვე მოაზროვნე ადამიანმა მთელი რიგი სოციალური პრობლემების ანალიზისას, რაკიღა თანამედროვე აზროვნების თეორიის საგანია განსაკუთრებით სწორედ პრობლემებით აღსავსე ჩვენი თანამედროვე სოციალური ცხოვრება.

და, მართლაც, როგორ იქნება ეფექტური ჩვენი აზროვნება, თუ ჯეროვნად არ იქნება შესწავლილი ესა თუ ის სოციალური პრობლემაც? თუ ჩვენთვის საინტერესო საგანი ყოველმხრივად და კონკრეტულად არ იქნა შესწავლილი, მაშინ რაღა ფასი ექნება შესაბამისად ჩვენს აზროვნებასაც (იგი ამ შემთხვევაში ნაკლული არ გამოვა?). „ყოველმხრიობა“ და „კონკრეტულობა“ კი თავად ყოველგვარი სოციალური გამოკვლევისადმი წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები არაა?

სოციალური პრობლემა თანამედროვე აზროვნების თეორიის რაღაც განსაკუთრებული, მართლაც, „საკვლევი“ საგანია, თემაა. ეს ისეთი რამაა, რაც რომ სწორედ უნდა იქნეს გამორჩეული შესასწავლად, ვინაიდან შესწავლას მოითხოვს სწორედ ის სოციალური მოვლენები, რომელთა „მოგვარებაცაა“ საჭირო და არა ის მოვლენები, რომლებიც უკვე „მოგვარებულია“. ამიტომაც, დიდია სოციალური პრობლემების გამოკვლევების როლი საზოგადოების პროგრესის საქმეში, რაკიღა ამ

გამოკვლევებით ხდება სწორედ სოციალური პრობლემების სპეციალური შესწავლა, რათა ამის საფუძველზე უკვე მოხდეს მათი მოგვარებაც.

სოციალური პრობლემები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ათასგვარია. მათი დაყოფა სხვადასხვა ასპექტით და სხვადასხვა სახით, სხვადასხვანაირად შეიძლება. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია გამოვყოთ მისი ისეთი სახეები, როგორებიცაა: მატერიალური და არამატერიალური (ანუ ხორციელი და სულიერი) სოციალური პრობლემები, საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ყველაზე ძირითადი სფეროს ასპექტით, ანდა: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი (იურიდიული), ზნეობრივი (ეთიკური, მორალური) და სხვა მათი რიგის სოციალური პრობლემები, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი დარგების ასპექტით.

სოციალური გამოკვლევის ჟამს უნდა გათვალისწინებულ იქნეს სოციალური პრობლემათა ეს მრავალგვარობა-მრავალსახეობაც, ვინაიდან ყოველი სოციალური პრობლემა სხვადასხვა საზოგადოებრივ განზომილებაში, რა თქმა უნდა, „ინდივიდუალურია“, და იგი, რა თქმა უნდა, შესაბამისად ამ მხრივად განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. პრობლემა, მართლაც, რომ აღმოფხვრათ, ჯერ იგი კარგად ხომ უნდა შევისწავლოთ. და, აი, აქაა სწორედ მნიშვნელოვანი, სოციალური კვლევის რა მეთოდებს გამოვიყენებთ.

სოციალური პრობლემის განაზრებისას უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი კიდევ სხვა მხარეებიც. ასე, მაგალითად, სოციალურ პრობლემათა შესწავლისას ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ძირითადი და არაძირითადი, მთავარი და არამთავარი, რაოდენობრივი და რაგვარობრივი ანუ თვისობრივი მხარეები მათში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ერთმანეთისაგან განგვარჩევინებს სიმართლეს ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში ტყუილისაგან.

ასე, მაგალითად, ავიღოთ ესა თუ ის პრობლემა ადამიანის მატერიალური თუ იდეალური განზომილების ჭრილში. ამ შემთხვევაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ამ საკითხისადმი დამოკიდებულების მეთოდოლოგიას, კერძოდ, იმას თუ რომელ მხარეს მივანიჭებთ ჩვენც უპირატეს მნიშვნელობას და შესაბამისად რომელს უფრო მივაქცევთ ყურადღებას.

და, აი, აქ შეიძლება გვქონდეს ორი სრულიად სხვადასხვა მიდგომა: როდესაც, მაგალითად, მთავარ რამედ მივიჩნევთ მატერიალურ პრობლემას თუ იდეალურ პრობლემას, „ხორცის“ პრობლემას თუ „სულის“ პრობლემას, „კუჭის“ პრობლემას თუ კიდევ „თავის“ პრობლემას. აქ, როგორც ვხედავთ, საჭიროა სწორი ღირებულებითი

ორიენტაცია, ხოლო ჯეროვანი არჩევანი კი ამ საკითხზე შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: რომ მთავარია პრობლემის იდეალური, სულიერი მხარე და არა მატერიალური, ხორციელი მხარე, რომ მთავარია პრობლემის თვისობრივი მხარე და არა რაოდენობრივი მხარე, რომ მთავარია პრობლემის ძირეული მხარე და არა არაძირეული მხარე. ამ მხრივ კი, მართალია, „კუჭის“ პრობლემაც პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა მაინც „თავის“ პრობლემაა; მატერიალური პრობლემაც, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა მაინც იდეალური, „სულის“ პრობლემაა. „ხორცის“ პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი საწინააღმდეგოდ იყოს.

იგივე შეიძლება ითქვას სოციალური პრობლემის თვისობრივი და რაოდენობრივი მხარეების შესწავლის შემთხვევაშიაც. ამ დროსაც შეიძლება მოხდეს რაღაც ერთგვარი ღირებულებითი დეზორიენტაცია და უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეულ იქნეს პრობლემის რაოდენობრივი და არა რაგვარობრივი მხარე, რაც ასევე სწორი არ იქნებოდა, ვინაიდან ფილოსოფიურად მთავარი ამ ორ განზომილებას შორის მუდამ თვისობრივია და არა რაოდენობრივი. და, მართლაც, უმჯობესია ცოტა და კარგი. ასე რომ, უფრო დასათმენია პრობლემათა „სიუხვე“, ვიდრე მისი „სიმძიმე“. პრობლემის „სიმძიმეს“ კი, რა თქმა უნდა, მისი თვისობრიობა უფრო განაპირობებს, ვიდრე მისი რაოდენობრიობა. პრობლემის პრობლემურობასაც იმდენად უფრო მისი რიცხობრივი, რაოდენობრივი მხარე კი არ განაპირობებს, რამდენადაც უფრო, რა თქმა უნდა, მისი თვისობრივი, ხარისხობრივი მხარე. ე.ი. მთავარია პრობლემაში თვისობრიობა და არა რაოდენობრიობა, თუმცა კი რაოდენობრიობაც ხომ რაღაც პრობლემას ქმნის, მითუმეტეს, თუ იგი დიდ ზომებს აღწევს. ასეთ დროს იგი შეიძლება თვისობრივად უფრო მაღალ პრობლემაშიაც კი გადაიზარდოს.

ასეთია, რაოდენობრივისა და თვისობრივის ურთიერთდამოკიდებულების ცნობილი ფილოსოფიური კანონი ამ შემთხვევაშიაც. მთავარისა და არამთავარის გარჩევას სოციალური გამოკვლევისას სოციალურ პრობლემებში ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი საშუალებით ხდება ნამდვილი სოციალური პრობლემის არანამდვილისაგან, პირველადის მეორისაგან, პირველხარისხოვანის მეორეხარისხოვანისაგან და ა.შ. გარჩევა, რათა ამ უკანასკნელის საშუალებით კი უკვე მოხდეს სოციალურ პრობლემათა ღირებულებითი დახარისხება და მათზე ეფექტური მუშაობა.

სოციალური პრობლემის გამოკვლევის პროცესში მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ მისი ობიექტური და სუბიექტური, ასევე ბუნებრივი და ხელოვნური სახეები თუ მხარეები. და, მართლაც, ე.წ. პრობლემური სიტუაციის სწორი დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ პარამეტრებსაც

სოციალური პრობლემისას, ხოლო ამის სწორ დადგენას კი, თავის მხრივ, უკვე სწორი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია. სოციალური პრობლემის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სოციალურ პრობლემათა „გამომჟღავნება-გამოვლინების სხვადასხვა დონის გამოყოფა-გამონაწევრება“ (6, გვ,45), ვინაიდან მისმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული განსხვავებული დონეების აღრევა ჩვენს აზროვნებაში.

მხედველობაში აქ, ზდრავომისლოვის მიხედვით, კონკრეტულად სოციალურ პრობლემათა „გამომჟღავნების სამი დონეა“ მიღებული: 1) „სოციალურ-ფსიქოლოგიური, როდესაც სოციალური პრობლემა ვლინდება ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების ფსიქოლოგიაში, ცნობიერებაში“ (6, გვ.44); 2)„ინსტიტუციური“, როდესაც „პრობლემა ეხება არა მარტო ცალკეული ადამიანებისა და მოსახლეობის მეტად თუ ნაკლებად დიდი მასის ინტერესებს, არამედ ინსტიტუტთა გარკვეულ სისტემებსაც და მათ შორის ურთიერდამოკიდებულებებსაც“(6, გვ.44); 3)„სოციეტარული“, „ე.ი. ისეთი დონე, რომელიც ეხება მთელ მოცემულ საზოგადოებას და არა ადამიანთა რომელიმე ჯგუფს ან საზოგადოების ინსტიტუტთა ერთობლიობას“ (6, გვ.44-45).

საქმე ისაა, რომ ზოგჯერ პრობლემა უფრო სუბიექტური მიზეზით წარმოიშობა, ვიდრე მისი ობიექტური, ბუნებრივი მიზეზით. ყოველ შემთხვევაში კი, თუ იგი, მართლაც, ობიექტურია და ბუნებრივი თავის საწყისში, შემდგომ უკვე სუბიექტური და ხელოვნური მიზეზით უფრო გართულებულია თავად ჩვენს მიერ. თუ არადა პრობლემებს ამ ქვეყანაზე, მითუმეტეს ჩვენს ეპოქაში, ისედაც რა გამოლევს (პრობლემები თავზე საყრელია, როგორც იტყვიან ხოლმე!), ჩვენ რომ კიდევ სუბიექტურად და ხელოვნურად არ გავიმრავლოთ ისინი. ის კი არადა ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ათასგვარი ბოროტი მანქანებით იქმნება ილუზიებიც კი, თითქოსდა ესა თუ ის სოციალური პრობლემა, ნაცვლად იმისა, რომ იგი შესაძლოა უფრო სუბიექტური და ხელოვნურიც კი იყოს, ობიექტურად და ბუნებრივად მივიჩნიოთ, რათა ამით თითქოსდა თავი „გავიმართლოთ“ და ჩვენი ცხოვრება, მართლაც, კიდევ უფრო გავართულოთ და დავძაბოთ.

სწორედ ამიტომაა საჭირო სწორი, გნოსეოლოგიური ანალიზი სოციალური პრობლემებისა აღნიშნული რაკურსითაც. და თუ სოციალურმა გამოკვლევამ უჩვენა ეს ნიუანსები სოციალურ პრობლემათა გამოკვლევისას, ამით იგი დიდ სამსახურს გაუწევს საზოგადოებას რეალური ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევის საქმეში. თუ, რა თქმა უნდა, ამ მხრივაც იქნება სურვილი მათი პრაქტიკული დაძლევისა.

სოციალური გამოკვლევის როლი აქ, ამ შემთხვევაში ხომ მხოლოდ ის იქნება, რათა მოგვცეს სწორი სურათი პრობლემებისა.

სოციალური პრობლემა თავისი მასშტაბით შეიძლება იყოს გლობალური, რეგიონალური, ლოკალური. თითოეულ მათგანს, რა თქმა უნდა, თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სოციოლოგიური გამოკვლევისას მათ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

იგივე ითქმის სოციალური პრობლემაზე თავისი ხარისხითაც, „ღრმაა“ იგი თავისი ხასიათით, თუ „ზედაპირული“, რამდენად უფრო „ღრმაა“ იგი ამ მხრივ და რამდენად უფრო „ზედაპირული“. ყოველივე ამ ნიუანსს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური გამოკვლევის სურათის შექმნაში გათვალისწინება სჭირდება, ვინაიდან პრობლემური მოვლენის ყოველმხრივი შესწავლა მისი უფრო ეფექტური აღმოფხვრის სულიერი საწინდარია. იგივე ითქმის სოციალური პრობლემის ნებისმიერი ასპექტისა თუ მისი ნებისმიერი მხარის მიმართ.

თანამედროვე ეპოქა ესაა უმწვავესი სოციალური პრობლემების ეპოქა. ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად მას „ბოლო ჟამი“ ანუ „აპოკალიფსისის“ ჟამი ჰქვია. და ეს მართალიცაა, ვინაიდან არასდროს არსებული კაცობრიობის ისტორიაში წარღვნის შემდგომ ჩვენს ცხოვრებას ამგვარი კრიზისი არც დადგომია, რა თქმა უნდა, ეთიკური ანუ მორალური ანუ ზნეობრივი თვალსაზრისით. მართალია, ტექნიკურმა პროგრესმა აღმავლობა განიცადა, მაგრამ ეგ ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ეპოქაში ყველაფერი რიგზეა. ტექნიკური პროგრესი თავისთავად ცუდი როდია თუ იგი, რა თქმა უნდა, ანტიმორალური, ანტიეთიკური. ანტიზნეობრივი არაა.

ასე რომ, მთავარი კრიტერიუმი ანუ საზომი აქ საზოგადოებრივი ანუ სოციალური პროგრესისა მისი სწორედ ამ, ეთიკურ-მორალურ-ზნეობრივ, განზომილებაში უნდა ვეძიოთ. ჰოდა, თანამედროვე აზროვნებაც სწორედ იმ მიმართულებით უნდა წარვმართოთ, რომ კაცობრიობა „ჩიხში არ მოემწყვდეს“, საიდანაც იგი გამოსავალს ვერ პოვებდა.

ამაშია სწორედ ეგრეთ წოდებული „თანამედროვე“ აზროვნების ჭეშმარიტი აზრი. და თუ ჩვენ აქ ჩვენი აზროვნება კაცობრიობის წიაღში მიმდინარე მოვლენებზე სწორად ვერ წარვმართეთ, თუ ჩვენ ამ სოციალური პრობლემების სწორი ანალიზი ვერ გავწიეთ, მაშინ, ბუნებრივია, ამას შედეგად კაცობრიობის დაღუპვა მოყვება. აბა, როგორ ხდებოდა ძველი ცივილიზაციების დაღუპვა, თუ არა, სწორედ ჭეშმარიტი აზროვნების დეფიციტის, მისი ნაკლებობის, მისი დეგრადაციისა და გადაგვარების გზითა და შედეგად. ხოლო ჩვენს, პოსტატლანტურ ცივილიზაციაზეც იგივე უნდა ითქვას! ისევე

როგორც განადგურდა უამრავი ძველი ცივილიზაციები, ასევე შეიძლება განადგურედეს ჩვენი ისტორიული ცივილიზაციაც, ხოლო რომ არ მოხდეს ესე, სწორედ ჭეშმარიტი, სწორი, ადეკვატური აზროვნების ქონაა საჭირო.

აი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა თურმე სწორი აზროვნება. აქედან გამომდინარე კი, აი, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე აზროვნებასაც კაცობრიობის ჩიხიდან გამოსაყვანად, რათა იგი არ გადაგვარდეს და არ დაიღუპოს. ადამიანი ხომ თავისი არსებით მოაზროვნე არსებაა და, მაშასადამე, სწორედ აზროვნება თუ იხსნის მას ყოველგვარი განსაცდელიასაგან, რა თქმა უნდა, თუ იგი მას სწორად წარმართავს.

კაცობრიობა სწორედ „ახალმა“ ნამდვილად „თანამედროვე“ აზროვნებამ თუ შეიძლება იხსნას, მაშინ როდესაც, საწინააღმდეგო შემთხვევაში, შეუსაბამო, არასათანადო აზროვნებამ შეიძლება იგი დაღუპოს კიდეც.

ასეთია, ჩვენის აზრით, ზოგადად სოციალური პრობლემების საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

IX. გლობალიზაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. გლობალიზაციის არსი

2. გლობალიზაციის დადებითი მხარეები

3. გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები

4. გლობალიზაციის ორგვარი გაგება

გლობალიზაციის პრობლემა საკვანძო პრობლემაა ყველა იმ პრობლემათა შორის, რა პრობლემებსაც კი წამოჭრის თანამედროვე ცხოვრება ჩვენს წინაშე. და, მართლაც, თანამედროვეობის ყველა სოციალური პრობლემა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ თავს იყრის“ სწორედ გლობალიზაციის პრობლემაში, ვინაიდან სწორედ გლობალიზაცია “განმსჭვალავს“ ყოველგვარ სოციალურ პრობლემას გლობალიზაციის ეპოქაში. გლობალიზაციის პროცესი ხომ აერთმთლიანებს მთელს მსოფლოს და აერთმთლიანებს მას მსოფლიოს მასშტაბით ლოგიკურად უკვე მთელი თავისი სოციალური პრობლემებითაც. ხოლო მითუმეტეს ეს ეხება თანამედროვეობის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვან, ნამდვილად „ გლობალურ“ პრობლემებს.

გლობალიზაცია სოციალურ ცვლილებათა რიგში გადის.

სოციალური ცვლილებანი საზოგადოებაში, სოციუმში მიმდინარე მოძრაობანია, რომელთა გარეშეც არათუ შეუძლებელია, არამედ წარმოუდგენელიც კია საერთოდ საზოგადოების, სოციუმის ცხოვრება, ვინაიდან იქ, სადაც მოძრაობა არაა, იქ სიკვდილია, ხოლო, პირიქით, იქ კი, სადაც მოძრაობაა, უკვე სიცოცხლეა. სოციალური მოძრაობა ხომ საერთოდ მოძრაობის ერთ ერთი ფორმაც კია და თანაც მისი უმაღლესი ფორმა მოძრაობის სხვა, უფრო დაბალ ფორმებთან - მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური მოძრაობის ფორმებთან შედარებით. ეს ხომ ფილოსოფიის ანაბანაა. ცვლილებათა გარეშე საზოგადოება საერთოდ არათუ იარსებებდა და მითუმეტეს განვითარდებოდა, არამედ საერთოდაც შეწყვეტდა არსებობას.

ასე რომ, სოციალური ცვლილებანი, თუ ასე შეიძლება ითქვას, თვით „სიცოცხლეს ანიჭებენ“ ჩვენს ცხოვრებას და საზოგადოების, სოციუმის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობებს ქმნიან.

სოციალურ ცვლილებებზე მსჯელობისას უპირველეს ყოვლისა აუცილებელია შევეხოთ ე.წ. გლობალიზაციის საკითხს. მითუმეტეს, რომ ეს საკითხი

თანამედროვეობის სწორედ საჭირბოროტო (აქტუალური) პრობლემაა (ამოცანაა) და თანაც მთელი კაცობრიობის მასშტაბით (სიგრძე-სიგანით). თავად სიტყვაც კი მეტყველებს ამაზე, ვინაიდან "გლობალიზაცია" ხომ მთელი დედამიწის ფარგლებს გულისხმობს.

ტერმინი "გლობალიზაცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან "გლობუს" - ბურთი", აქედან კი - "გლობალ" - "მსოფლიო" - ქართულად სიტყვასიტყვით "გამსოფლიურებას" ნიშნავს(11).

ტერმინ "გლობალიზაციის" შემოღებას ერთი მოსაზრებით (ცნობით) მიაწერენ ამერიკელ სოციოლოგს რ. რობერტსონს, რომელსაც ეს ტერმინი პირველად 1983 წელს შემოუღია, ხოლო მეორე მოსაზრებით (ცნობით) – ასევე ამერიკელ მეცნიერს ტ. ლევიტს, რომელსაც იგი პირველად ასევე 1983 წელს გამოუყენებია(20).

გლობალიზაცია გულისხმობს კაცობრიობის გამთლიანებას (ინტეგრირებას) მთელი მსოფლიოს მასშტაბით (ფარგლებში).

ასეთია გლობალიზაციის ცნების განსაზღვრება (დეფინიცია). თავად ტერმინი "გლობალიზაცია" ზუსტად გადმოსცემს ამ ცნების შინაარსს. "გლობალიზაცია" ხომ "გამსოფლიურებას" ნიშნავს. ამიტომ ჩვენ ზოგადად ესეც შეიძლება ჩავთვალოთ გლობალიზაციის ცნების განსაზღვრებად. თუმცა მისი პირველი განსაზღვრება უფრო კონკრეტულია და, აქედან გამომდინარე, გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. მაგრამ საერთო ჯამში ორივე ეს განსაზღვრება ავსებს ერთმანეთს და ორივე, რა თქმა უნდა, სასარგებლოა.

გლობალიზაცია კაცობრიობის აქტუალური (სადღეისო, საჭირბოროტო) პრობლემაა (ამოცანაა), ვინაიდან არასდროს ისე მნიშვნელოვანი და რეალური (ნამდვილი) არ იყო ეს პრობლემა, როგორც სწორედ ამჟამად. და, მართლაც, გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს რეალური, პრაქტიკული (არსებული, მოქმედი) ტენდენციაა (მიმართულებაა). გარდა ამისა, გლობალიზაციის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბისაა (გაქანებისაა), ვინაიდან გლობალიზაცია თავად ხომ სხვა არაფერია, თუ არა მთელი მსოფლიოს ჩართვა ინტეგრაციის (გამთლიანების) პროცესში. მაშასადამე, ეს პრობლემა აქტუალურობის (თანამედროვეობის) გარდა საკაცობრიო მნიშვნელობისაცაა.

გლობალიზაცია სოციოლოგიის ჯერ ერთი, აქტუალური, და, მეორეც, საკაცობრიო პრობლემაა.

გლობალიზაცია არსებითად კაცობრიობის თანამედროვე ტენდენციაა, მაგრამ მისი ესა თუ ის მხარე თუ ნიშან-თვისებანი ასე თუ ისე უწინაც იკვეთებოდა. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ დიოგენე ცინიკოსმა გამოთქვა აზრი მსოფლიო მოქალაქეობაზე (კოსმოპოლიტობაზე), იმგვარ მდგომარეობაზე, როდესაც ესა თუ ის ადამიანი ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე კი არაა, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოსი. თავად იგი საკუთარ თავს სწორედ ამგვარად განიხილავდა(28). მაგრამ გლობალიზაცია როგორც საგანგებო და მთლიანი პროცესი (მოვლენათა მსვლელობა) კაცობრიობის მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე (საფეხურზე) გახდა რეალური (ნამდვილი) მოვლენა.

გლობალიზაციაში განსაკუთრებით გამოყოფენ ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორებიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული გლობალიზაცია. ამით კი ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს ქვეყნებისა და მხარეების (რეგიონების) სწორედ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული გაერთმთლიანება, ერთი მთლიანი მსოფლიო ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის შექმნა. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიოს ქვეყნები და მხარეები (რეგიონები) სულ უფრო და უფრო დაკავშირებულნი ხდებიან ერთიმეორესთან და დამოკიდებულნი ერთიმეორეზე, რასაც, რა თქმა უნდა, უაღრესად დადებითი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და მხარისათვის (რეგიონისათვის), ვინაიდან ძალთა გაერთიანებისას მსოფლიოს სუბიექტები (პირები) უფრო გაართმევენ თავს პრობლემებს (ამოცანებს), ვიდრე მათი განცალკევებულობისას (იზოლირებულობისას). ძალა ხომ ერთობაშია!

ასე რომ, გლობალიზაციის სარგებლიანობა და მითუმეტეს უაღრესად სარგებლიანობა ეჭვსაც კი არ უნდა იწვევდეს. მაგრამ პრობლემა (სირთულე, სიძნელე) ისაა, თუ როგორ გავიგებთ "გლობალიზაციას (გამსოფლიურებას)" თუ "გლობალურ (მსოფლიო) საზოგადოებას".

საქმე ისა, რომ ამ მხრივ, ე.ი. ამ მოვლენათა გაგებაში სრულიად საპირისპირო თვალსაზრისები არსებობს. კერძოდ, საქმე ეხება გლობალურობისა და გლობალიზაციის გაგებას იმ კუთხით, გულისხმობდეს უნდა თუ არა იგი თავის თავში მისი სუბიექტების (პირების) ნიველირებას (გათანაბრებას) თუ უნიფიკაციას (გაერთფეროვნებას). ეს საკითხი მეტად მწვავეა და მას მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც. საქმე, სხვაგვარად, ეხება იმ საკითხს, გულისხმობდეს უნდა თუ არა გლობალიზაცია (გლობალური საზოგადოების შექმნა) მსოფლიოს ერების, ქვეყნების, სახელმწიფოებისა და საერთოდ ყოველგვარი დამოუკიდებელი სახის სოციალურ (საზოგადოებრივ) განსხვავებულობათა ლიკვიდაციას

ამასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს ის, რომ გლობალიზაცია, ამ მოვლენის სრულიად ნორმალური (წესიერი) გაგებით, გულისხმობს მსოფლიოს დამოუკიდებელი ერთეულების არა გაუქმებას მათ შორის განსხვავების მოშლით, არამედ, პირიქით, მათი განვითარების საფუძველზე გაერთიანებას.

ასე, მაგალითად, გლობალიზაცია თავისი ნორმალური გაგებით როდი გულისხმობს მსოფლიოს განსხვავებული ენების მოშლას და მის ხარჯზე ერთიანი ენისა თუ ენების შემოღებას, არამედ, პირიქით, ან ენების შემდგომი თავისუფალი განვითარების გვერდით (პარალელურად) მის თუ მათ შემოღებას.

იგივე ითქმის მსოფლიო ერებზეც და ეროვნულ განსხვავებულობებზეც საერთოდ. განა ეროვნული უპირისპირდება საერთაშორისოს? ნაციონალური (ეროვნული) გლობალიზაცია ანუ გლობალიზაცია ეროვნულის (ნაციონალურის) მხრივ აუცილებლობით როდი გულისხმობს ამ ერებისა და ეროვნული განსხვავებულობების ლიკვიდაციას (მოსპობას), არამედ, პირიქით, ამ ერებისა და ეროვნული თავისებურებების შემდგომ თავისუფალ განვითარებას და მხოლოდ ამის საფუძველზე მათ შორის კავშირურთიერთობათა გლობალიზაციას.

იგივე ითქმის გლობალიზაციის კუთხით მსოფლიოს ქვეყნებისა და სახელმწიფოების შესახებაც. გლობალიზაცია თავისი ნორმალური გაგების შემთხვევაში აუცილებლად როდი გულისხმობს ამ ქვეყნებისა და სახელმწიფოების თავისებურებათა მოსპობას (ლიკვიდაციას), არამედ, პირიქით, სწორედ ამ ქვეყნებისა და სახელმწიფოების დამოუკიდებლობის განვითარების საფუძველზე მათ შორის მსოფლიო მასშტაბით (ფარგლებში) გაერთმთლიანებას.

ამრიგად, გლობალიზაცია თავისი ნორმალური გაგებით სრულიადაც როდი გულისხმობს ერთიანი მსოფლიო ენის, ერის, ქვეყნისა თუ სახელმწიფოს შექმნას, არამედ მსოფლიოს თითოეული ენის, ერის, ქვეყნისა თუ სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებას ერთი მთლიანის სახით. აქ, ამ შემთხვევაში ერთიანი მსოფლიო როდი გულისხმობს მსოფლიო ნაწილების ერთგვაროვნებას, არამედ, პირიქით, მრავალგვაროვნებას.

ნამდვილი, ჭეშმარიტი, იდეალური (ჯეროვანი) მსოფლიო უნდა იყოს მსოფლიო "მრავალერთობა". და. მართლაც, განა მსოფლიოს ინტეგრაცია (გამთლიანება) მის დიფერენციაციას (დანაწევრებას) არ გულისხმობს? სხვაგვარად გლობალური ინტეგრაცია (გაერთიანება) კი არა, გლობალური უნიფიკაცია (გაერთფეროვნება) გვექნებოდა. ეს კი გააღარიბებდა მსოფლიო ცივილიზაციასა და კულტურას. და, მართლაც, განა კაცობრიობის სიმდიდრე მის სწორედ მრავალფეროვნებაში არ უნდა

მდგომარეობდეს? კაცობრიობის იდეალიც (უმაღლესი მიზანიც) ხომ სწორედ ამიტომ ამგვარი – მრავალფეროვანი, მაგრამ გაერთიანებული, გამთლიანებული დედამიწა არ უნდა იყოს, სადაც ერთნაირად გაიხარებს როგორც მთელი კაცობრიობაც, ისე მისი ყოველი ნაწილიც ერთნაირად?

სხვაგვარად, გლობალური საზოგადოება ჰეტეროგენური (მრავალგვაროვანი) და პოლიმორფული (მრავალსახოვანი) მთელი (ამ შემთხვევაში "გლობუსი") და არა ჰომოგენური (ერთგვაროვანი) და მონომორფული (ერთსახოვანი) საკაცობრიო მთელი უნდა იყოს. ჭეშმარიტი მთელიც სწორედ "ორგანული მთელია" ანუ ისეთი მთელი, რომლის მხარეებიც – ნაწილებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და არა "მექანიკური მთელი", რომლის ნაწილებიც ერთმანეთის მსგავსია.

ასე რომ, "გლობალური საზოგადოებაც" იდეალში (უმაღლესი მიზნის კუთხით) სწორედ ამგვარი – ორგანული კაცობრიობა" უნდა იყოს და არა "მექანიკური კაცობრიობა". სხვა შემთხვევაში, ე.ი. გლობალიზაციის პროცესისა და გლობალური საზოგადოების როგორც მისი შედეგის მექანიკურ მთელად დასახვის შემთხვევაში გვექნებოდა კაცობრიობის არა პროგრესი (აღმასვლა, წინსვლა), არამედ სწორედ რეგრესი (დაღმასვლა, უკუსვლა), ვინაიდან მექანიკური მთლიანობა უკიდურესად დაბალი დონეა საერთოდ მთელისა, მაშინ როდესაც ორგანული მთლიანობა - უკიდურესად მაღალი დონე მისი. და, მართლაც, ორგანული მთელი მუდამ მეტია მექანიკურ მთელზე. მექანიკური მთელი შეადგენს მისი ნაწილების მხოლოდ ჯამს, მაშინ როდესაც ორგანული მთელი მეტია მისი ნაწილების ჯამზე. ასეთია მექანიკური და ორგანული მთელების განსხვავების ფილოსოფია. ყოველივე ამას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ე.წ. გლობალური საზოგადოების როგორც საკაცობრიო მთელის გაგებისას.

ამრიგად, არსებობს გლობალიზაციისა და გლობალური საზოგადოების ორგვარი – "უნიფიკატორული" (გამაერთფეროვნებელი) და "პოლიფიკატორული" (გამამრავალფეროვნებელი) თეორიები (ხედვები), რომელთა შესაბამისადაც არსებობს აგრეთვე ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკული (მოქმედებითი) ტენდენციებიც (მიმართულებანიც). ამ ორ ტენდენციას შორის ბრძოლა მიმდინარეობს. თუმცა კი ორივე მათგანი იბრძვის გლობალური (მსოფლიო) საზოგადოებისათვის.

და, მართლაც, ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უდრო პოპულარული ხდება ე.წ. გლობალური საზოგადოების (Clobal society) კონცეფცია (მოძღვრება).

მაგრამ, ერთია, გლობალისტური ტენდენცია, რომელსაც ჩიხში შეყავს კაცობრიობა და, მეორე, გლობალიზაცია, რომელსაც ჩიხიდან სწორედ გამოყავს კაცობრიობა, ვინაიდან გლობალიზაცია, მართლაც, კაცობრიობის განვითარების ნამდვილი მოთხოვნაა. იგი,

კაცმა რომ თქვას, ერთგვარი “ისტორიული აუცილებლობაა”, რომელსაც ნამდვილად ანგარიში უნდა გაუწიოს მთელმა კაცობრიობამ მთელი თავისი ნაწილებით.

ამ მხრივ კი ჩვენ, ყველანი, დედამიწის შვილები “გლობალისტები” ანუ “გლობალური საზოგადოების” მომხრენი და არა “ანტიგლობალისტები” ანუ “გლობალური საზოგადოების” მოწინააღმდეგენი უნდა ვიყოთ. თუმცა როცა გლობალიზაცია ესმით როგორც ადგილობრივი (ლოკალური) ენების, ერების, ქვეყნების, სახელმწიფოების გაუქმებად ერთიანი მსოფლიო ენის, ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს შექმნის მცდელობად, მაშინ ჩვენ სწორედ ანტიგლობალისტები უნდა ვიყოთ.

ჩვენ კი იმგვარი გლობალიზაციის მომხრენი უნდა ვიყოთ, რომელიც, პირიქით, კიდევ და კიდევ უფრო განავითარებს ლოკალურ (ადგილობრივ) ენებს, ერებს, ქვეყნებს. სახელმწიფოებს, ვინაიდან კაცობრიობა უაღრესად მრავალფეროვანია და არათუ არასასურველია, არამედ შეუძლებელიც კია “ცუდად გაგებულმა” გლობალიზაციამ მთელი კაცობრიობა ბედნიერებამდე მიიყვანოს.

ყველგან დედამიწაზე განსხვავებული, თავ-თავისი ცხოვრებაა და ამ მრავალსახეობის გაუქმებას კაცობრიობა ვერ იგუებს. ამგვარი, უნიფიკატორული გლობალიზაცია არსებითად ნამდვილად რომ ეწინააღმდეგება კაცობრიობის განვითარების შინაგან ტენდენციებს. ამიტომ ამგვარი გლობალიზაცია საბოლოოდ ვერც გაიმარჯვებს. ოღონდ მას შეუძლია უდიდესი ზიანი კი მიაყენოს მთელს კაცობრიობას სწორედ იმიტომ, რომ იგი სწორედ კაცობრიობის სახელით, მისი ბედნიერების სახელით შეიძლება განხორციელდეს და, გარდა ამისა, კაცობრიობის მასშტაბით (ზომით) შეიძლება გამოიცადოს.

თუმცა ამგვარ ცდებს კაცობრიობის თავზე მომავალი არ უწერია. ჩვენი სწორედ გლობალური (მსოფლიო, საყოველთაო) ვალია წინ აღვუდგეთ ამგვარ, მანიველირებელ (გამთანაბრებლურ) გლობალიზაციას, რომელიც კაცობრიობის საერთო ბედნიერების მიზნითა და სახელით კი გამოდის, მაგრამ სინამდვილეში იგი მაინც სწორედ რომ მსოფლიო (გლობალური) ექსპანსიონიზმის (დაპყრობის) საქმით იჩენს თავს.

ასე რომ, გლობალიზმის (საყოველთაობის) ეს მავნებლური თეორია და პრაქტიკა (ხედვა და მოქმედება) თავისი ბუნებით სწორედ ანტიგლობალურობისა გამო განუხორციელებელია და სინამდვილეში იგი მხოლოდ შირმაა, ნიღაბია გლობალური იმპერიალიზმისა (მსოფლიო დამპყრობლობისა). გლობალიზაციის მართლაცდა ჭეშმარიტი სიკეთის ნიღბით ხდება ამ შემთხვევაში მსოფლიოს რომელიმე ერთი ენის, ერის, ქვეყნისა თუ სახელმწიფოს, უფრო სწორედ კი კაცობრიობის ერთი რომელიმე მუჭა დამპყრობლების მიერ ჭეშმარიტი ბოროტების თავსმოხვევის დაფარვა.

გლობალიზაციის, მაშასადამე, არსებობს როგორც მისაღები, ასევე მიუღებელი ფორმა (სახე) და ამიტომ გლობალიზაციის სწორ გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის. ასე რომ, თავად გლობალიზაციაა კაცობრიობის უმთავრესი გლობალური პრობლემა.

კაცობრიობა თავისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე (საფეხურზე) დგას უამრავი, მართლაც, ე.წ. გლობალური პრობლემის წინაშე.

გლობალური პრობლემები კაცობრიობის იმგვარი პრობლემებია, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბისაა (ფარგლებისაა). ასეთი პრობლემები უნდა განვასხვავოთ ე.წ. ლოკალური (ადგილობრივი) ანუ, სხვანაირად, რეგიონული პრობლემებისაგან, რა შემთხვევაშიაც ეს პრობლემები ეხება დედამიწის მხოლოდ ამა თუ იმ ადგილს. ე.წ. გლობალური პრობლემები მთელი კაცობრიობის საერთო პრობლემებია. დღეს ისე "გადახლართულია" ყველაფერი დედამიწაზე, რომ ის, რაც ხდება ერთგან, იგი უკვე ზეგავლენას ახდენს სხვაზე. მითუმეტეს, რომ ეს მსოფლიო "ურთიერთგადაჯაჭვულობა" სულ უფრო და უფრო ჩქარდება. ამაში კი უმთავრესი როლი განეკუთვნება თანამედროვე ტექნოლოგიებს.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები (მსოფლიო მნიშვნელობის სიძნელეები) ორად შეიძლება დავყოთ იმისდა მიხედვით, ობიექტურია (ადამიანთა ნებისგან დამოუკიდებელია) ისინი, თუ სუბიექტური (ადამიანთა ნებაზეა დამოკიდებული) ანუ, სხვანაირად, ობიექტური (დამოუკიდებელი) მიზეზებითაა ისინი გამოწვეულნი, განპირობებულნი თუ სუბიექტური (დამოკიდებული) მიზეზებით.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები (მსოფლიო მასშტაბის სირთულეები) ორად შეიძლება დავყოთ აგრეთვე იმისდა მიხედვით, ბუნებრივია (ნატურალურია) ისინი თუ სოციალური (საზოგადოებრივი) ანუ, სხვანაირად, ბუნებრივი მიზეზებითაა ისინი გამოწვეულნი, განპირობებულნი თუ საზოგადოებრივით.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები კიდევ უამრავი სხვა კუთხით შეიძლება დავყოთ იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით (საფუძველზე) დავყოფთ მათ.

როცა კაცობრიობის გლობალურ პრობლემებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ყოველთვის უფრო ვგულისხმობთ სუბიექტურ გლობალურ პრობლემებს და არა ობიექტურს, ვინაიდან პირველი რიგის პრობლემები ჩვენი მიზეზით შექმნილი პრობლემებია და ჩვენივე ძალისხმევით შეიძლება აღმოიფხვრას, ხოლო ობიექტური გლობალური პრობლემების აღმოფხვრა ან შეუძლებელია, ანდა თითქმის შეუძლებელი, ანდა კიდევ ძალიან ძნელი. მართალია, ზოგიერთი სუბიექტური მიზეზით გამოწვეული გლობალური პრობლემაც

როდია ადვილად გადასაჭრელი, მაგრამ ისინი საერთოდ მაინც გადაწყვეტადია, გადაჭრადია. ყოველ შემთხვევაში ცხადია: ადამიანის გაფუჭებული საქმე თავად ადამიანმა უნდა გამოასწოროს. ადამიანმავე უნდა გამოასწოროს მის გარეშეც შექმნილი პრობლემებიც, თუ ეს შესაძლებელია და რამდენადაც ეს შესაძლებელია მოაგვაროს მან.

ასე რომ, საკუთრივ გლობალური პრობლემები თავად ადამიანის მიზეზით შექმნილი საკაცობრიო პრობლემებია (სიძნელეებია, სირთულეებია) და არა მის გარეშე მიზეზით შექმნილი საკაცობრიო პრობლემები. მაგრამ მათი მოგვარებისათვის, რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ადამიანმა უნდა იზრუნოს. ხოლო თუ რამდენად შესაძლებელია, ეს უკვე სხვა ამბავია და აქაც საჭიროა მაქსიმალური ძალისხმევა ამ მიმართულებით. ყოველ შემთხვევაში ეს პრობლემები თავისით არ მოგვარდება.

ადამიანმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კარგთან ერთად ცუდიც იმდენი რამ შექმნა, რომ ამით მან დიდი დისონანსი (უთანხმოება) შეიტანა მასში. მაგრამ არასდროს კაცობრიობას იმდენი პრობლემა ამ მხრივ არ დაგროვებია როგორც სწორედ ამჟამად, რასაც არასწორად წარმოებულმა გლობალიზაციამ, მართლაც, გლობალური მასშტაბი (ზომა) შესძინა. თუმცა ყოველგვარი გლობალიზაცია ასეთი როდია.

საქმე ისაა, რომ გლობალიზაცია შეიძლება წარიმართოს სწორი და არასწორი მიმართულებითაც. ასე რომ, არსებობს, თუ ასე შეიძლება ითქვას, "ნორმალური" და "არანორმალური", ე.ი. წესიერი და არაწესიერი გლობალიზაციაც. ნორმალური გლობალიზაცია, რა თქმა უნდა, ნორმალურ გლობალურ პრობლემებს შექმნის, არანორმალური – არანორმალურს. ნორმალურია პრობლემა, თუ იგი წინსვლის სიძნელეს ქმნის, ხოლო არანორმალური - პრობლემა, თუ იგი დაცემის სიძნელეს ქმნის. ე.ი. არსებობს ნორმალური სიძნელეებიც და არანორმალური სიძნელეებიც. ორივე მოითხოვს გადაჭრას. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არანორმალური პრობლემების აღმოფხვრა, ე.ი. არანორმალურ გლობალიზაციაზე უარის თქმა, ხოლო ამის შემდეგ კი – ნორმალური პრობლემების გადაჭრაც, ე.ი. ნორმალური გლობალიზაციის გატარება. სწორედ ამ, ნორმალური გლობალიზაციის შემთხვევაშია შესაძლებელი ე.წ. გლობალური პრობლემების ყველაზე წარმატებული გადაჭრა. მართალია, პრობლემებს რა გამოლევს, იგი მუდამ დარჩება, მაგრამ პრობლემებიცაა და პრობლემებიც. მთავარია გადაუჭრელი პრობლემები არ იყოს, თორემ გადაჭრად პრობლემებს კი დროთა განმავლობაში რამე ეშველება მაინც.

თანამედროვეობის გლობალური პრობლემები ესაა გლობალური მასშტაბის (ფარგლების) სოციალური და ბუნებრივი პრობლემების ერთობლიობა, რომლებიც აწუხებს თანამედროვე კაცობრიობას.

შეიძლება ჩამოვთვალოთ გლობალური პრობლემების უამრავი სახე. და ეს ნუსხა გლობალური (საყოველთაო) პრობლემებისა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სახეს შეიძენს. მთავარია, კონკრეტულად რა და რა პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას. მაგრამ ერთი რამ ცხადია. ყველა შემთხვევაში საქმე გვექნება საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებთან, ამოცანებთან, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია ჩვენი ცივილიზაციისა და კულტურის გადასარჩენად.

თანამედროვეობის უამრავზე უამრავი გლობალური პრობლემიდან, რომლებიც ამჟამად კაცობრიობის წინაშე დგას, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ყველაზე 'მარტივი" ("ელემენტარული") პრობლემები (სირთულეები, სიძნელეები), როგორებიცაა, მაგალითად, შიმშილის, სიღატაკის, უმუშევრობის, ომის, მიუსაფრობის, ავადმყოფობის, გარემოს დაბინძურებისა და უამრავი სხვა პრობლემა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი სახეები მხოლოდ ერთი წყებაა გლობალურ პრობლემათა ერთობლიობისა. კერძოდ, აქ დასახელებულია "ხორციელი" ('მატერიალური") გლობალური პრობლემები.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია უფრო "მაღალი", "სულიერი" ("იდეალური") გლობალური პრობლემებიც. პირიქით, სწორი გაგების შემთხვევაში, ისინი უფრო მნიშვნელოვანნი უნდა იყვნენ. ასეთებია, მაგალითად, განათლების, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური დისკრიმინაციის (ჩაგვრის), სოციალური უსამართლობისა და სხვა უამრავი სახის გლობალური პრობლემა.

ყველა ამ და ამდაგვარი ხორციელი (მატერიალური) თუ სულიერი (იდეალური) პრობლემის, ასევე ბუნებრივი (ნატურალური) თუ სოციალური (საზოგადოებრივი), ობიექტური თუ სუბიექტური, "ნეგატიური" ("უარყოფითი") თუ "პოზიტიური ("დადებითი") და სხვადასხვა გლობალური პრობლემის მოგვარებისათვის ნამდვილად საჭიროა მთელი კაცობრიობის ძალისხმევა ამ მიმართულებით, ვინაიდან ის, რაც შეუძლებელია ანდა ნაკლებად შესაძლებელია არაგლობალური (არამსოფლიო) ძალებით, ის შესაძლებელია, ანდა უფრო შესაძლებელია გლობალური (მსოფლიო) ძალებით.

ასე რომ, ერთიანი კაცობრიობის იდეალი ანუ "გლობალური საზოგადოების" იდეალი (უმაღლესი მიზანი) სწორედ ესაა თავად "გლობალური მოძრაობის" ანუ "გლობალიზაციის" უპირველესი და საერთო იდეალი. და, მართლაც, განა ერთობა არაა კაცობრიობის ერთ-ერთი უმაღლესი მიზანი, მითუმეტეს, მთელი კაცობრიობისა? განა სწორედ ამგვარი არ იყო "ბაბილონის გოდლამდელი" კაცობრიობაც, რომელშიაც, როგორც ბიბლია გადმოგვცემს, "ერთი პირი და ერთი ენა ქონდა ყველას"?

კაცობრიობის ცოდვითდაცემა ხომ იმითაც გამოიხატა, რომ თავდაპირველი ერთიანი (მთლიანი) ანუ თავდაპირველი გლობალური საზოგადოება ამ მთლიანობის დარღვევით დაიშალა და კაცობრიობის შემდგომი ეპოქა დღესაც იმკის ამ ისტორიული უკუღმართობის შედეგს. გლობალიზაციის პროცესი ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა მიბრუნება კაცობრიობის სწორედ პირველსაწყისისაკენ, როცა იგი, მართლაც, გლობალური იყო. ამ მხრივ ეს არის, თუ ასე შეიძლება ითქვას, რეგლობალიზაცია (ხელახალი გამსოფლიურება). ოღონდ ეს არის მცდელობა რეგლობალიზაციისა თანამედროვე დონეზე. და თუ რამდენად შესძლებს კაცობრიობა მიუბრუნდეს იმ თავის თავდაპირველ, "ბუნებრივ მდგომარეობას", ეს დამოკიდებულია სწორედ გლობალურ ძალთა ძალისხმევაზე. ყველაფერი დამოკიდებულია კაცობრიობის გლობალისტური ძალების კეთილ ნებაზე. კეთილი ნების შემთხვევაში და, აქედან გამომდინარე კი, სწორი გლობალიზაციური პოლიტიკის შემთხვევაში შეუძლებელი არაფერია და გლობალური საზოგადოების შექმნა, მართლაც, შესაძლებელია. და თუ არადა, მით უარესი ფაქტისათვის.

გლობალიზაცია თავისთავად სიკეთე კია, მაგრამ მისმა არასწორმა, დამახინჯებულმა წარმართვამ შეიძლება კაცობრიობა გლობალური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, პირიქით, სწორედ გლობალურ კრიზისამდე (დაბრკოლებამდე) და ბოლოს კატასტროფამდეც (აღსასრულამდეც) კი მიიყვანოს. თავად ე.წ. გლობალური პრობლემების მთელი რიგი სწორედაც ამგვარი გლობალიზაციის შედეგია. ფსევდოგლობალიზაცია (ცრუგლობალიზაცია), პირიქით, ხელოვნურ მსოფლიო დაბრკოლებებს ქმნის. სწორედ ამის შედეგია გლობალური კრიზისიც. ამას კი, მართლაც, გლობალურ კატასტროფამდე მივყავართ. კერძოდ, კაცობრიობის ფსევდოგლობალისტურ პოლიტიკას, მართლაც, კაცობრიობის აღსასრულამდე მივყავართ ეკოლოგიური, თერმობირთვული და მორალური კატასტროფის სახით. სამივე ფორმა დამღუპველია კაცობრიობისათვის. ამიტომ საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ ამ კატასტროფის ასაცილებლად უპირველეს ყოვლისა ამ სამივე მიმართულებით.

ყველა პრობლემის სათავე ისევ ჩვენშია. ეს შეეხება არა მხოლოდ ე.წ. სუბიექტურ, არამედ ობიექტურ პრობლემებსაც, არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ ბუნებრივ პრობლემებსაც, ვინაიდან თვითონ ადამიანი აფუჭებს საქმეს და არა სხვა ვინმე. თავად ბუნებრივი პრობლემები საზოგადოების მიერ შექმნილი პრობლემებია. განა ყოველივე, რაც ბუნებაში ხდება ამ მხრივ ცუდი, თვით ადამიანის ბუნებაში უხეში ჩარევის შედეგი არ არის? იგივე ითქმის ე.წ. ობიექტურ პრობლემებზეც, რომლებიც

სათავეს ასევე სუბიექტურ მიზეზებში იღებს, ვინაიდან სუბიექტური ამ შემთხვევაში გადადის ობიექტურში.

ასე რომ, ყოველგვარი და მათ შორის გლობალური პრობლემებიც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ ადამიანის ბრალია. და თუ გლობალიზაციამ "ცუდი ნაყოფი" გამოიღო, იგი "ცუდი ხისა" ანუ ცუდი გლობალიზაციისა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში "კარგი ხე" – კარგი გლობალიზაცია კეთილ ნაყოფს გამოიღებდა.

ჭეშმარიტი გლობალიზაციის ჭეშმარიტი კრიტერიუმი (საზომი) თავად ადამიანია და მისი სიკეთე. გლობალიზაცია, მართლაც, ადამიანზე უნდა იყოს ორიენტირებული (მიმართული) და არა საზოგადოებაზე. გლობალური (საყოველთაო, მსოფლიო) საზოგადოების ჩამოყალიბება ჩვენი თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მხოლოდ საშუალება ადამიანისათვის, რომელიც ერთადერთი თვითმიზანი უნდა იყოს ამქვეყნად. ერთიანი ანუ მთლიანი ანუ საყოველთაო საზოგადოება, რომელშიაც თავად ადამიანი არ იქნება მთლიანი, ინტეგრალური თავისთავში, ჩვენ, რა თქმა უნდა, არც გვაწყობს. საზოგადოება ადამიანისათვის უნდა იყოს და არა ადამიანი – საზოგადოებისათვის.

ჩვენ ისეთი გლობალური საზოგადოება გვინდა, სადაც მსოფლიოს ყველა ადამიანი, რა ჯურისაც არ უნდა იყოს იგი, ბედნიერად გრძნობდეს თავს ამ ქვეყანაზე. განა, მართლაც, ღირს იმგვარი მსოფლიო საზოგადოების, მსოფლიო ქვეყნის, მსოფლიო სახელმწიფოსა თუ მსოფლიო ერისა და ა.შ. შექმნა, თუ მასში ადამიანი დედამიწის ნებისმიერ ადგილას დაკარგავს საკუთარ ენას, ეროვნებას, სამშობლოს, სახელმწიფოს და ა.შ., საკუთარ მეობას საერთოდაც და იმ კერძო მეობებსაც, რაც ამ საერთო მეობას ქმნის?

ამიტომ ღირსეული მსოფლიო ეს სხვა არაფერია, თუ არა იმგვარი მსოფლიო, რომელიც სწორედ ამგვარი ადამიანებისაგან შედგება. რა სარგებელი იქნებოდა იმგვარი მსოფლიოსაგან, თუ მასში დავკარგავდით საკუთარ თავს? მთავარია ადამიანის ინდივიდუალობა, მისი პიროვნულობა. საზოგადოების გაბედნიერება ადამიანის პიროვნულობის დაკარგვის ხარჯზე სრულიად მიუღებელი რამაა. დაე, გაიხაროს ყოველმა ადამიანმა დედამიწის ზურგზე, დაე, გაიხაროს ყველა ენამ, ყველა ერმა, ყველა ქვეყანამ, ყველა სახელმწიფომ, საერთოდ საზოგადოების ყველა ნაწილმა. მხოლოდ იყოს ურღვევი კავშირი ყველა ამ ნაწილს შორის.

ასეთია ჭეშმარიტი "გლობალური საზოგადოების იდეალი"; ასეთია ჭეშმარიტი გლობალური საზოგადოების წევრის ანუ კოსმოპოლიტის ჭეშმარიტი სახეც. მთლიანი (გლობალური) საზოგადოების წევრიც ამავე დროს გლობალური (მთლიანი) უნდა

იყოს და არა ისე, რომ მხოლოდ ეს საზოგადოება იყოს მთლიანი, მაგრამ არა მისი წევრი – ადამიანი. და თუ გლობალიზაციის მიზანი სწორედ ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბება იქნება, მაშინ ესეთი გლობალიზაციაც გამართლებული იქნება. მთავარია მან კი არ წაშალოს, არამედ პირიქით, განავითაროს კიდეც მთელი მსოფლიოს ნებისმიერი სახის ნაწილის ინდივიდუალობანი, განსხვავებულობანი, თავისებურებანი.

გლობალიზაციასთან ანუ გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით აქ ჩვენ საჭიროა ე.წ. კოსმოპოლიტი ადამიანის ცნებაზეც ვიმსჯელოთ.

ტერმინი (სახელწოდება) "კოსმოპოლიტი" ორი ბერძნული სიტყვის: "კოსმოსისა" ('მსოფლიოსა") და "პოლისისაგან" ("ქალაქისაგან") მომდინარეობს და ქართულად სიტყვა-სიტყვით "მსოფლიო მოქალაქეს" ნიშნავს. პირველად კი ეს ტერმინი თურმე ამ მნიშვნელობით ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა დიოგენე ცინიკოსმა (ძვ.წ. 412-323) მოიხმარა(28).

ეს ცნება ხან უარყოფითი აზრით მოიხმარება, და ხან კიდევ დადებითი აზრით, რაც პრინციპულად (ზოგადად) არასწორი როდია, ვინაიდან გააჩნია, თუ რა მნიშვნელობით გავიგებთ მას. და, მართლაც, კოსმოპოლიტიც არის და კოსმოპოლიტიც.

"მსოფლიო მოქალაქე", რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი სამშობლო (პატრია), რა თქმა უნდა, ცუდი კოსმოპოლიტია და მას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ. მაგრამ ჭეშმარიტი კოსმოპოლიტიზმი პატრიოტიზმს როდი გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს კიდეც მას. ჭეშმარიტი კოსმოპოლიტია ის ადამიანი, რომელსაც უპირველეს ყოვლისა თავისი სამშობლო უყვარს, ე.ი. პატრიოტია (მამულიშვილია), ამის შემდეგ კი ყველა სხვა ქვეყანაც უყვარს.

ასე რომ, კოსმოპოლიტიზმი თავისი ჭეშმარიტი გაგებით, არა თუ მისაღები, არამედ ერთგვარად სავალდებულოც კია. ჭეშმარიტი ადამიანი ნამდვილი კოსმოპოლიტი უნდა იყოს ანუ თავისი პატრიოტული ჩარჩოებით კი არ უნდა იყოს შეზღუდული, არამედ, უფრო მეტიც, მთელი ქვეყნის მოქალაქეც უნდა იყოს საერთოდ თავისი ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად.

ასეთია, ჩვენის აზრით, გლობალიზაციის პრობლემის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

X. თავისუფლების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. თავისუფლების არსი

2. თავისუფლების პრობლემა

3. თავისუფლების სხვადასხვა გაგება

4. თავისუფლების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

ადამიანის თავისუფლების საკითხი მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხია. ეს არის მისი ცხოვრების უძირითადესი საკითხი, ვინაიდან იმაზე, თავისუფალი არის თუ არა ადამიანი თავისი ბუნებით, ამაზეა დამოკიდებული მთელი მისი არსება.

და, მართლაც, განა ადამიანი ღმერთმა არ შექმნა ხატად და მსგავსად თვისად, ხოლო სწორედ განა ამაში არ იგულისხმება ადამიანის თავისუფალ არსებად ყოფნაც? ესე იგი, ისმის ადამიანისათვის ფუნდამენტური საკითხი: მართლაც, მიანიჭა თუ არა ადამიანს ღმერთმა თავისუფლების უნარი, რათა მანაც თავის მხრივ განახორციელოს ეს უნარი?

ამგვარად, ადამიანის თავისუფლების საკითხი ეს რთული პრობლემაა. ამიტომაც იგი ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მაგრამ ადამიანის თავისუფლების საკითხი მისთვის მარტო ბუნებით შესაძლებლობა-შეუძლებლობის კუთხით როდია პრობლემა, არამედ თავისთავადაც, მისი საკუთრივი სირთულისა გამო.

და, მართლაც, ადამიანის თავისუფლების საკითხი ყოველგვარ ფილოსოფიურ საკითხს შორის ნამდვილად ურთულესი საკითხია და ამდენად ყველაზე პრობლემურიც. სწორედ ამიტომაც ამ საკითხს ფილოსოფოსები ერთხმად მიიჩნევენ ყველაზე იდუმალებით მოცულ საკითხად. ამასთან დაკავშირებით სწორი იქნებოდა გვეთქვა, არაფერი თითქოსდა არ არსებობს ადამიანისათვის ისე ნაცნობი, როგორც მისი თავისუფლებაა, მაგრამ არაფერია სინამდვილეში მისთვის ისე უცნობიც, როგორც სწორედ თავისუფლება. და თუ რაიმე ადამიანს ხდის ყველაზე უფრო ირაციონალურ არსებად, ეს სწორედ მისი თავისუფლების უნარია.

ასე რომ, ადამიანის თავისუფლების საკითხი ყველზე პრობლემური საკითხია თავისი სირთულისა გამო, როგორც ონტოლოგიურად, ისე გნოსეოლოგიურადაც, ე.ი. მისი ყოფიერების კუთხითაც და მისივე შემეცნების კუთხითაც. მაგრამ უფრო მეტიც,

ადამიანის თავისუფლების საკითხი ყველაზე პრობლემურია არა მხოლოდ ონტოლოგიურად და გნოსეოლოგიურად, არამედ აქსიოლოგიურადაც და ექტიმოლოგიურადაც, ღირებულების კუთხითაც და შეფასების კუთხითაც.

და, მართლაც, აქ ისმის საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უჭირავს თავისუფლებას ადამიანის მხარეთა შორის, ხოლო ამასთან დაკავშირებით ფილოსოფოსები ერთხმად აღიარებენ თავისუფლების საკითხის სირთულეს. ამრიგად, ფილოსოფიაში, კერძოდ კი ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში თავისუფლების საკითხი ერთობ პრობლემური საკითხია. ამგვარივეა იგი სოციოლოგიაშიც. მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს ამ საკითხის გადაუწყვეტადობა, მისი ამოუხსნადობა. მართალია, იგი ურთულესი საკითხია, მაგრამ რეალურად მაინც გადაჭრადი.

თავისუფლების საკითხი აუცილებლობით გადაჯაჭვულია აუცილებლობის საკითხთან. საქმე ისაა, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ბატონობენ ობიექტური კანონები, რომლებიც დამოუკიდებულია ადამიანის ნებისაგან, რის გამოც ეს კანონები ერთგან ბუნებრივი, მეორეგან კი ისტორიული (საზოგადოებრივი) აუცილებლობის ხასიათს ატარებენ. აქედან გამომდინარე, ადამიანებს ცალ-ცალკე და ერთადაც, თავისუფლების შემთხვევაშიაც და საწინააღმდეგო შემთხვევაშიაც, აუცილებლად უხდებათ მიმართება ამ ბუნებრივ თუ საზოგადოებრივ აუცილებლობასთან. ამ დროს კი ისმის საკითხი იმის თაობაზე, თუ რა დამოკიდებულებაა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის. კერძოდ, ეს საკითხი მათ შორის დამოკიდებულებისა მიიღებს შემდეგ სახეს: გამორიცხავს თუ არა აუცილებლობა თავისუფლებას, ე.ი. რამდენად შესაძლებელია იგი – ეს თავისუფლება ამ აუცილებლობის პირობებში?

ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა გვქონდეს ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტა. ერთნი ამტკიცებენ იმას, რომ აუცილებლობა გამორიცხავს თავისუფლებას, მეორენი კი – იმას, რომ აუცილებლობა არ გამორიცხავს თავისუფლებას. ეს დამოკიდებულება თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის პირიქითაც შეიძლება წარმოვაჩინოთ. მაშინ ამ საკითხის ორგვარი გადაწყვეტა ჩამოყალიბდება: გამორიცხავს თუ არა თავისუფლება აუცილებლობას. და, მართლაც, ერთნი ამტკიცებენ, რომ თავისუფლება გამორიცხავს აუცილებლობას, მეორენი კი – იმას, რომ თავისუფლება კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას.

ამრიგად, აუცილებლობისა და თავისუფლების აღნიშნული ვარიანტებიდან გამომდინარე, შესაძლოა ორი ალტერნატივა არსებობდეს და იგი მაშინ ასეთ სახეს მიიღებდა: არსებობს მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება და არ არსებობს არავითარი

თავისუფლება ანდა არსებობს მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება და არ არსებობს არავითარი აუცილებლობა.

და, მართლაც, ამ ალტერნატივათა შესაბამისად ფილოსოფიაშიც არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, რადიკალური (უკიდურესი) თვალსაზრისი. ერთს ეწოდება ფატალიზმი, მეორეს კი - ვოლუნტარიზმი.

ფატალიზმი არის ფილოსოფიური თვალსაზრისი (თეორია), რომლის თანახმადაც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობა და არ არსებობს არავითარი თავისუფლება. ტერმინი "ფატალიზმი" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან "ფატუმი", რაც ქართულად "ბედისწერას", "ბედს" აღნიშნავს. ფატალიზმის თანახმად ადამიანის ცხოვრება წინასწარ მკაცრი იდუმალებით განსაზღვრულია. ასე რომ, ყოველგვარი თავისუფლებაც ამის გამო გამორიცხულია. რაც არ უნდა იღონოს ადამიანმაც და საზოგადოებამაც, იგი მაინც ვერ შეძლებს იმ ხაზის შეცვლას, რაც მას წინასწარ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული აქვს.

მაგრამ ფატალიზმი არასწორი თვალსაზრისია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება თავად იმ ფაქტს, რომ ალტერნატიული (ორში ერთი) მოქმედების შემთხვევაში ადამიანიცა და საზოგადოებაც სხვადასხვა შედეგს აღწევს. ეს კი უკვე გულისხმობს არჩევანის შესაძლებლობას, ალტერნატივა (ორში ერთის შესაძლებლობა) ხომ სწორედ არჩევანს გულისხმობს, არჩევანის შესაძლებლობა კი ქმნის თავისუფლების შესაძლებლობასაც. არჩევანი ხომ საერთოდ თავისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშან-თვისებაა.

გარდა ამისა, ფატალიზმი მავნებლური თეორიაცაა, ვინაიდან იგი ადამიანს თუ საზოგადოებას პასიურობისაკენ უბიძგებს. ეს, ერთი, და, მეორეც, იგი - ეს თეორია ადამიანისა თუ საზოგადოების პასუხისმგებლობას უარყოფს. მაგრამ არცერთი და არც მეორე სარგებლობის მომტანი არ არის ადამიანისა და საზოგადოებისათვის. ჯერ ერთი, პასიურობა (უმოქმედობა) უაზრობაა, ვინაიდან იგი არაფერს არ აძლევს ადამიანს, საზოგადოებას, ვინაიდან ყოველივე, რასაც მან მიაღწია, სწორედ მისი აქტიურობის (მოქმედების) შედეგია და არა მისი პასიურობის. და მეორეც, უპასუხისმგებლობაც საზიანოა იმდენად, რამდენადაც იგი გზას უხსნის დანაშაულს, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამართლდებოდა ყოველგვარი დანაშაული. და, მართლაც, იქ, სადაც არაა აუცილებლობა, გამორიცხულია თავისუფლებაც. თავისუფლება კი ნამდვილად არსებობს, ვინაიდან არსებობს უკეთესის ალტერნატივაც. სწორედ ამიტომ ღირს მოქმედებაც და პასუხისმგებლობაც, ე.ი. ღირს აქტიურობაც და პასუხისმგებლობაც ამ უკეთესის, უმჯობესისათვის.

ასეთია ფატალიზმის ნაკლოვანებანი. თუმცა აქ მისი ერთი ღირსებაც უნდა შევნიშნოთ. ესაა მის მიერ აუცილებლობის აღიარება, აღიარება იმისა, რომ ქვეყნად აუცილებლობა ბატონობს, ასე რომ, აბსოლუტურად არც ფატალიზმია მიუღებელი, თუმც კი ძირითადად მიუღებელი თვალსაზრისია იგი მაინც.

საწინააღმდეგოდ ფატალიზმისა, ვოლუნტარიზმი არის ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება და არ არსებობს არავითარი აუცილებლობა. ტერმინი "ვოლუნტარიზმი" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან "ვოლუნტას", რაც ქართულად "ნებისყოფას" აღნიშნავს. ვოლუნტარიზმის თანახმად, ყოველივე, რასაც კი ადამიანი თუ საზოგადოება ქმნის, არა ობიექტური, მის გარეშე აუცილებლობით ქმნის, არამედ სწორედ მისი სუბიექტური ნებით. ასე რომ, არაფერია წინასწარ გარედან განსაზღვრული, არამედ სწორედ შიგნიდან ადამიანისა თუ საზოგადოების შინაგანი ნებიდანაა განსაზღვრული.

მაგრამ ეს თეორია სწორი არაა, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს იმ პირობებს, იმ ჩარჩოებს, რომლებშიც ადამიანს, საზოგადოებას უხდება ცხოვრება. და, მართლაც, ყოველივე ხომ ადამიანზე როდია დამოკიდებული. და განა, მართლაც, ადამიანი თუ საზოგადოება რაღაც ფარგლებში არაა შეზღუდული? მართალია, ადამიანს ბევრი რამ შეუძლია საკუთარი ნებით გააკეთოს, მაგრამ რაღაც ფარგლებში, ხოლო ეს ფარგლებიც ხომ მეტ-ნაკლებად არსებობს; ადამიანი ხომ შეზღუდული, ნაკლოვანი არსებაა, რელატიური, შეფარდებითი არსებაა და არა შეუზღუდავი, უნაკლო, აბსოლუტური, უპირობო არსება. ასე რომ, თავად ადამიანის შესაძლებლობები უკვე საზღვრებს უწესებს მის თავისუფლებასაც.

ვოლუნტარიზმი, გარდა იმისა, რომ იგი არასწორი თეორიაა, აგრეთვე მავნებლური თეორიაცაა, ვინაიდან იგი გზას უხსნის თვითნებობას, რაც სრულიად მიუღებელია. ამ თვითნებობას კი მივყავართ ავანტიურიზმისაკენ, ხოლო ავანტიურიზმს – ყოველგვარი საზოგადოებრივი უწესრიგობისაკენ. ეს კი, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებს ადამიანსაც და საზოგადოებასაც.

მართალია, ვოლუნტარიზმი ძირითადად მიუღებელი თეორიაა, მაგრამ იგი მთლად მიუღებელიც როდია, ვინაიდან მასშიაც არის ღირსება და ეს არის მის მიერ აღიარება თავისუფლებისა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გადამეტებული თავისუფლება არცაა ნამდვილი თავისუფლება. თავისუფლება, მართლაც, შიშველი, ცარიელი თავისუფლება როდია, არამედ, პირიქით, ისეთი თავისუფლება, რომელიც ეფუძნება გარკვეულ აუცილებლობას. იგივე ითქმის აუცილებლობაზეც.

აუცილებლობა, თუ ის გადამეტებულია, არც არის აუცილებლობა ჭეშმარიტად, ვინაიდან აუცილებლობა გზას იკვლევს თავისუფლების გზაზე, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში.

ასე რომ, ისტორიული აუცილებლობა და თავისუფლება აუცილებელ კავშირშია ერთმანეთთან. მხოლოდ ამგვარი ისტორიული აუცილებლობა და ისტორიული თავისუფლება არის ჭეშმარიტი, ნამდვილი ისტორიული აუცილებლობაცა და ისტორიული თავისუფლებაც. საერთოდ უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ფატალიზმი ეს რადიკალურად (უკიდურესად) ობიექტივისტური თეორიაა, ვოლუნტარიზმი კი – ასეთივე სუბიექტივისტური თეორია. მაგრამ არც ეგეთი ობიექტივიზმი და არც ეგეთი სუბიექტივიზმი არაა სწორი თეორია, ვინაიდან ორივე მათგანი უკიდურესი თეორიაა, რადიკალურია.

აქედან გამომდინარე, არც გადაჭარბებული გაგებით აუცილებლობა და არც გადაჭარბებელი გაგებით თავისუფლება – აი, როგორი უნდა იყოს მათი სწორი გაგება. ყველაფერს თავისი ზომა აქვს. უზომო ამქვეყნად არაფერია. ამიტომ თეორიაშიაც და პრაქტიკაშიაც ადამიანები და მთელი საზოგადოებაც ზომიერების გზას უნდა გაყვეს. სხვაგვარად ადგილი ექნებოდა ერთ შემთხვევაში მიუღებელ ობიექტივიზმს, მეორე შემთხვევაში კი - ასეთივე სუბიექტივიზმს, ანუ ერთ შემთხვევაში ობიექტური ფაქტორის როლის გადაჭარბებულ გაგებას, მეორე შემთხვევაში კი – სუბიექტური ფაქტორის როლის გადაჭარბებულ გაგებას ადამიანის ცხოვრებაში.

ისტორიული აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ არსებული ორი უკიდურესი, რადიკალური თვალსაზრისის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი (მიუხედავად იმისა, რომ ეს მომენტები მათში ძალიან მცირეა) მომენტების ურთიერთშეჯერებიდან გამომდინარე, ერთადერთი თვალსაზრისი ამ საკითხზე უნდა იყოს ზომიერი, ობიექტივისტურ-სუბიექტივისტური და არა ცალმხრივ-ობიექტივისტური ან ცალმხრივ-სუბიექტივისტური თვალსაზრისი მათ შესახებ. ხოლო სწორი თვალსაზრისი თავისუფლებაზე მისი აუცილებლობასთან კავშირში იქნება შემდეგი.

ტერმინი “თავისუფლება” უკვე ბევრს გვეუბნება მის შესახებ და, მართლაც, “თავისუფლება” სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სწორედ “საკუთარი თავის უფლებას” როგორც სხვაზე, ისე საკუთარ თავზეც. “უფლება” ამ შემთხვევაში “ბატონობას” ნიშნავს. თავისუფლება, ამრიგად, გულისხმობს ბატონობას რაიმეზე, საწინააღმდეგოდ მონობისა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს მორჩილებას რაიმესადმი.

თავისუფლება საკუთარი ნებით განსაზღვრული მოვლენაა, ამდენად იგი წმინდა სუბიექტური ფენომენია, მაშინ როდესაც მონობა, საპირისპიროდ ამისა, - საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ განსაზღვრული მოვლენა, ამდენად კი - ობიექტური ფენომენი. და, მართლაც, "თავისუფლება" ტერმინობრივადაც ხომ სწორედ საკუთარი ნებით "უფლებას" ანუ ბატონობას ნიშნავს ("უფლება" აქ ტერმინობრივად "მონებას" უპირისპირდება, თანამედროვე ქართული ენით კი - "უფლობა" - "მონობას". გავიხსენოთ აქ ჰეგელთან ცნობილი "უფლისა" და "მონის" დამოკიდებულების ანალიზი, რაც სწორედ თავისუფალი და არათავისუფალი ადამიანის, ბატონისა და მორჩილის დამოკიდებულების ანალიზს გულისხმობს).

მართალია, თავისუფლება საკუთარი ნებით განსაზღვრული მოვლენაა, მაგრამ განა იგი გამორიცხავს აუცილებლობას. და, მართლაც, ვერავითარი თავისუფლება ვერც გამორიცხავს მას, ეს რომ ასეც იყოს, ვინაიდან აუცილებლობა სწორედ რომ ისაა, რისი უარყოფაც ადამიანის ძალებს აღემატება. აუცილებლობა ხომ ობიექტური, სწორედ რომ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი რამ მოვლენა არის. მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ აუცილებლობა გამორიცხავს თავისუფლებას, ვინაიდან სულ სხვაა აუცილებლობა და სულ სხვა – თავისუფლება. ისინი სხვადასხვა დონის მოვლენებია, ისინი სხვადასხვა განზომილებას ქმნიან. ოღონდ სხვა საკითხია ის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთი მეორის გარეშე არ არსებობს, რომ აქ ისინი ერთიმეორეში გადადიან. ეს არის მათ შორის ე.წ. "დიალექტიკური" კავშირი.

თავისუფლება სოციალური ფენომენია, ე.ი. საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი ადამიანის სპეციფიკური (თავისებური) ნიშან-თვისებაა, რომელიც ემყარება აუცილებლობას. აუცილებლობა ორი სახით, ბუნებრივი და საზოგადოებრივი (ისტორიული) აუცილებლობის სახით არსებობს, ე.ი. იგი არსებობს როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაშიც. ასე რომ, თავისუფალი მოქმედების ადამიანს, გინდა არ გინდა, მაინც უხდება ამ ორი აუცილებლობის პირობებში ცხოვრება. და, აი, აქ ეს თავისუფლება სხვაგვარად ვერც განხორციელდება, თუ არა სწორედ ამ აუცილებლობათა საფუძველზე, მათ ბაზაზე. პირიქით, თავისუფლება სწორედ მათ საფუძველზე, მათ ბაზაზე შეიძლება განხორციელდეს. ამიტომ აუცილებლობა ერთგვარი აუცილებელი საფუძველიც კია თავისუფლებისა.

მაგრამ კონკრეტულად (სახელდობრ) რა სახეს მიიღებს თავისუფლებისა და აუცილებობის ეს დამოკიდებულება?

თავისუფლება კერძოდ გულისხმობს აუცილებლობის შეგნებას და ამ შეგნების საფუძველზე აუცილებლობის საკუთარი ნებით გამოყენებას.

ამ განსაზღვრებაში ყურადღება უნდა მიექცეს ორ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, ორივეს აუცილებელს საკითხისათვის: ერთია აუცილებლობის შეგნება, ხოლო მეორე – აუცილებლობის გამოყენება

პირველ მომენტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თავისუფლება ეს არის, მართლაც, შეგნებული, მიზანდასახული მოვლენა, ამიტომ, აქედან გამომდინარე, იგი, რა თქმა უნდა, აუცილებლობის წიაღში შეგნებულ საქმიანობას არ გულისხმობს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აუცილებლობა თავისთავად, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი (ისტორიული), ბრმა ხასიათისაა მანამ, სანამ ისტორიულ პროცესში მას არ გააცნობიერებს ადამიანი, არ შეიგნებს ადამიანი, ამიტომ სწორი იყო ჰეგელი, როცა ამბობდა, რომ თავისუფლება ეს არისო შეგნებული აუცილებლობა. ადამიანის გარეშე, საზოგადოების გარეშე, რა თქმა უნდა, იგი – ეს აუცილებლობა ასეთი, ე.ი. შეგნებული ვერ გახდება და იგი ბრმად დარჩება.

მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი თავისუფლებისათვის. თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე შეგნებული აუცილებლობა. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ იმას, რომ თავისუფლება ეს არის აუცილებლობის შეგნების საფუძველზე, მისი შეგნებით აუცილებლობის გამოყენება. მოკლედ, აქ თეორიულ (ხედვით) დონეს პრაქტიკულიც (საქმითიც) უნდა დავუმატოთ, რათა მივიღოთ თავისუფლების სრული, საკმარისი პირობები. ადამიანი, მაშასადამე, როგორც თეორიული სუბიექტი აუცილებლობას შეიმეცნებს, შეიგნებს, ხოლო ადამიანი, როგორც პრაქტიკული არსება უკვე გამოიყენებს მას თავის საქმიანობაში.

ამრიგად, ადამიანს ძალუძს გარკვეულად მიმართულება შეუცვალოს აუცილებლობას თავისი ინტერესების შესაბამისად, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ძალიან გრანდიოზულ (დიდს), ბუნებრივად სტიქიურ (დამანგრეველ) ძალებს. ყოველ შემთხვევაში მას შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ის. ასე რომ, ადამიანის თავისუფლებას თავისი საზღვრები აქვს და ეს საზღვრები განსაზღვრულია თავად ადამიანის შესაძლებლობის საზღვრებით.

ადამიანის თავისუფლება იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს იგი, ორ საპირისპირო მიმართულებას იძენს. ერთია დადებითი (პოზიტიური), მეორე უარყოფითი (ნეგატიური) თავისუფლება. ამდენად, იგი შესაძლოა სარგებლობის მომტანიც იყოს და ზიანის მომტანიც. ასე რომ, არსებობს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თავისუფლებაც.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, თავისუფლება მაინც რჩება თავისუფლებად. ამას კი იმიტომაც აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ თავისუფლება მხოლოდ პირველი, დადებითი

თავისუფლება გონიათ და უარყოფით თავისუფლებას არც კი აღიარებენ. მაგრამ ასეთი მიდგომა თავისუფლებისადმი სწორი არაა, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს თავისუფლებაში არჩევანის, ანუ თავისუფალი ნების მომენტს(მხარეს). ხოლო თავისუფლება, სწორედ არჩევანს გულისხმობს. არჩევანი კი არჩევანია მაშინაც, როცა მას კეთილი მიზნით წარვმართავთ და მაშინაც, როცა მას ბოროტი მიზნით წარვმართავთ. არჩევანი ნეიტრალურია (გულგრილია) შედეგის ეთიკური (ზნეობრივი) მომენტის (მხარის) მიმართ. მთავარია, იგი საკუთარი ნებით მოქმედება იყოს. თუმცა ჩვენი მიზანი სრულიადაც როდია თავისუფლების წარმართვა ბოროტი მიზნით. ჩვენი მიზანი უნდა იყოს სწორედ მისი კეთილი მიზნით წარმართვა.

თავისუფლების ამ უარყოფით მომენტთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა(ცნობისაღმძვრელია) თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხი. და, მართლაც, განა პასუხისმგებლობაც თავისუფლების სწორედ შესაძლო უარყოფით რეალიზაციასთან არ არის აუცილებლობით დაკავშირებული? განა პასუხისმგებლობა სწორედ მაშინ არ დგება, როცა თავისუფლება ბოროტად იქნება გამოყენებული? მაშ, სხვა რაღაა დანაშაული და სასჯელი, თუ არა ბოროტი თავისუფლება და მის გამო პასუხისგება? და თუ ამ შემთხვევაში ადამიანი არ განიხილება თავისუფლად, მაშინ რაღად ვსჯით მას და ვაკისრებთ პასუხისმგებლობას?

ნათქვამიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობა უკვე თავად გულისხმობს თავისუფლებას და, პირიქით. ერთი არ არსებობს მეორის გარეშე. მათ შორის ურღვევი, ე.წ. "დიალექტიკური" კავშირია. და სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა, იგი ამავე დროს პასუხისმგებელი არსებაცაა. და რომ თავისუფლება ეს იოლი თვითნებობა როდია, არამედ მძიმე ტვირთი. ადამიანი პასუხისმგებელია ღვთის წინაშეც და ადამიანის, როგორც სხვა ადამიანის, ისე საკუთარი თავის წინაშეც, რათა მან თავისუფლება გამოიყენოს მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, რათა მან ხელი შეუწყოს მსოფლიო ჰარმონიას. ადამიანი მუდამ უნდა ცდილობდეს იმას, რომ სწორედ იმ თავისუფლებით, რომელიც მას მიანიჭა ღმერთმა "ხატად თვისად," "ემსგავსოს" კიდევაც მას, რათა არ დაირღვეს ყოფიერების წონასწორობა და იყოს ყველგან ჰარმონია (თანხმობა).

თავისუფლება ადამიანის უნიკალური (გამორჩეული), სპეციფიკური (თავისებური) ნიშან-თვისებაა ამქვეყნად. არცერთ სხვა არსებას დედამიწაზე ეს უნარი არ გააჩნია. და ის, რომ ადამიანი ქმნილების გვირგვინია ამქვეყნად, ეს იმითაცაა განსაზღვრული, რომ იგი თავისუფალი არსებაა.

თავისუფლება იმდენად თავისებური და თანაც იმდენად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა ადამიანისა, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, “ადამიანი ეს არის თავისუფალი არსება”.

თავისუფლება იმდენად უნიკალური (გამორჩეული), იმდენად სპეციფიკურია (თავისებურია) ადამიანის არსებისათვის, რომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ “თავისუფლება უმდიდრესი განძია ადამიანისა”. თავისუფლებაზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე ადამიანს არაფერი გააჩნია, ოღონდ ჯეროვნად გამოიყენოს იგი. ყოველივე ძვირფასი, რაც კი რამ შეუქმნია კაცობრიობას თავისი ისტორიის მანძილზე, შეუქმნია მისი სწორედ თავისუფლების წყალობით. ამიტომაც არის იგი საზოგადოებრივი პროგრესის (აღმასვლის) უდიდესი იდეალიც, უმაღლესი მიზანიც. თავისუფლება კაცობრიობის უმაღლესი იდეალია, მისი უმაღლესი მიზანია იმიტომ, რომ იგი მაქსიმალურად ხელს უწყობს ადამიანის, მთელი საზოგადოების წინსვლას ისტორიის გზაზე. თავისუფლება იმდენად კეთილშობილი თვისებაა ადამიანისა, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ კიდეც: “თავისუფლებით კურთხეულია ადამიანი”. თავისუფლება იმდენად წმიდათაწმიდაა, საკრალურია თავისი არსებით.

ასეთია ის, თუ ასე შეიძლება ითქვას, ფუნდამენტური დებულებანი, რაც აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენ თავისუფლების შესახებ თანამედროვე აზროვნების კუთხით მსჯელობაში.

ხოლო ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ აქ უნდა შევეხოთ უკვე უშუალოდ ყველა იმ მწვავე მომენტებს ამ კუთხით, რაც ძალიან აქტუალურია დღეისათვის.

ესაა საკითხი იმ თავისუფლებათა შესახებ, რომლებიც კაცობრიობისათვის ამჟამად დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრების საკვანძო სფეროებთან.

აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს კერძოდ საკითხი თავისუფლებისა საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში: საკითხი კონკრეტულად ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თავისუფლებებს და, საერთოდაც, ყოველგვარ თავისუფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. რაკიღა თავისუფლება ყოველგვარი პროგრესის წყაროა, ბუნებრივია ჩვენც ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ შევეხოთ ამ ასპექტებს.

გარდა ამისა, საჭიროა ასევე შევეხოთ ადამიანის პირადი თავისუფლების საკითხსაც, რომელიც უკვე ეხება ყველაზე მთავარს - თავად პიროვნებას. ესე იგი აქ დგება საკითხი ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლებისა, რომელიც უაღრესად

მნიშვნელოვანი ასპექტია თავისუფლების პრობლემისა თანამედროვე აზროვნების კუთხით.

პიროვნების თავისუფლების ასპექტით კი ყველაზე აქტუალურია, თანამედროვე აზროვნების თვალთახედვით, მსჯელობანი ადამიანის სიტყვის თავისუფლებისა, და არა მარტო სიტყვის, არამედ პიროვნების ნებისმიერი სხვა თავისუფლების თაობაზე. მაშასადამე, საკითხი შემდეგნაირად იკვეთება: როგორი უნდა იყოს თავისუფლებანი როგორც საზოგადოებრივი (აღნიშნულ შემთხვევაში - პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) თავისუფლების, ისე პირადი თავისუფლების განასერში; საკითხი ეხება , მაშასადამე, როგორც საზოგადოებიდან წარმომავალ, ისე თავად პიროვნებიდან წარმომავალ თავისუფლებებს.

ხოლო ამასთან, უფრო სწორედ კი, ამათთან დაკავშირებულ თავისუფლებათა საკითხი კი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემდეგნაირად უნდა განვიხილოთ.

ადამიანის თავისუფლება ადამიანის მარტო „ცარიელი“ თავისუფლება როდია, არამედ იგი ღრმად დაკავშირებულია საზოგადოებასთან მისი თანაცხოვრების, უფრო ზუსტად, ადამიანის სწორედ საზოგადოებაში ცხოვრების მომენტთან. ესე იგი, ადამიანის თავისუფლებაზე როცა ვლაპარაკობთ, შეუძლებელია იგი, ეს მსჯელობა, მოვწყვიტოთ საზოგადოებასთან კავშირში მის თავისუფლებას, ვინაიდან ადამიანი ხომ საზოგადოებრივი, სოციალური არსებაა და იგი ყოველგვარ მის თავისუფლებას საზოგადოებასთან მის კავშირში ახორციელებს. სხვანაირად შეუძლებელიცაა. „შეუძლებელია საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყვე “(32, გვ.102). თავად პირადი თავისუფლებაც კი ადამიანისა საზოგადოებრივი თავისუფლების ხაზზე გადის.

ასე რომ, პირადიცა და საზოგადოებრივი თავისუფლებაც უაღრესად ღრმა კავშირშია ერთმანეთთან. ერთი არ არსებობს მეორის გარეშე: შეუძლებელია ადამიანი იყოს თავისუფალი, თუ საზოგადოებაც არ იქნება თავისუფალი, და, პირიქით, შეუძლებელია საზოგადოებაც იყოს თავისუფალი, თუ პიროვნება არ იქნება თავისუფალი. ერთი მეორის პირობაა, მეორე - პირველის. ამასთან აქ პირველადი მნიშვნელობის, რაკიღა პიროვნება საზოგადოების წინაშე უპირატესი მნიშვნელობისაა, მაშასადამე, პიროვნების თავისუფლება იქნება საზოგადოების თავისუფლებასთან შედარებით (ხოლო ის, რომ ეს ასე უნდა იყოს, იქიდანაც გამომდინარეობს, რომ სწორედ პიროვნება ქმნის საზოგადოებას, ვინაიდან საზოგადოება, აბა, სხვა კიდევ რაღაა, თუ არა სწორედ პიროვნებათა ერთობლიობა,

უფრო სწორედ კი - მათი კავშირ- ურთიერთობანი. ეს ხომ კლასიკური განსაზღვრებაა საზოგადოების ცნებისა !).

პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თავისუფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტით ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ზოგადად ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თავისუფლებანი უაღრესად ძირეული ნიშან-თვისებანია მასში და რომ ეს თავისუფლებანი საზოგადოებაში აუცილებელია, რათა მან, საზოგადოებამ შესძლოს ჯეროვანი პროგრესი. ამ თავისუფლებათა გარეშე საზოგადოება, მართლაც, აბა, როგორღა შესძლებდა ცხოვრებას? თუ გასაქანი არ ექნება, მაშინ საზოგადოება როგორღა შესძლებს წინსვლას?

სწორედ ამიტომ იყო, რომ კაცობრიობის უდიადესი მოაზროვნენი, დიდნი ფილოსოფოსნი თუ სხვანი და სხვანი, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამას. აი, მაგალითად, იმანუელ კანტი, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამდა საზოგადოების ცხოვრებაში მისი წარმატებისათვის მთელ რიგ თავისუფლებებს, თუნდაც ვაჭრობისას. ამას განსაკუთრებით ეხებოდა ასევე მონტესკიეც. საქმე, მართლაც, ეხება გასაქანს, შესაძლებლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

თუ საზოგადოებაში, მართლაც, არ იქნება დაშვებული თავისუფლებები ნებისმიერ ამ ძირითად სფეროებში, მაშინ ადამიანი ვერც იქნება თავისუფალი.

რაც შეეხება პირად თავისუფლებას ადამიანისას, რომელიც უკვე თავად ადამიანისაგან მომდინარეობს, განსხვავებით საკუთრივ საზოგადოებრივი თავისუფლებისაგან ანუ საზოგადოებიდან მომდინარე თავისუფლებებიდან, ეს საკითხიც ფრიად მნიშვნელოვანია თანამედროვე აზროვნებისათვის.

აქ კი ჩვენ, ამასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი რამ აღვნიშნოთ.

ადამიანის პირადი თავისუფლება საერთოდ ეს უძვირფასესი განძია ადამიანისა, შეუძლებელია ადამიანი იყოს ღირსებით სავსე, თუ ეს მას არ გააჩნია. ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც კი რამ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს, ეს ხომ მისი პირადი თავისუფლებაა სწორედ. აბა, მონა და მორჩილი ადამიანი რა ღირსების მატარებელი შეიძლება იყოს (ადამიანი ხომ თავისუფალი არსებაა ამქვეყნად თავისი არსებით, განა ეს არაა მასში განმსაზღვრელი?!) (თუმცა „მონაცა და მორჩილიც“ შეიძლება სხვადასხვანაირად გავიგოთ.ეს კი სხვა საკითხია).

თუ ადამიანი პირადად არ იქნება თავისუფალი, იგი არც საზოგადოებრივადაც იქნება თავისუფალი, ვინაიდან საზოგადოებრივი თავისუფლებანი სწორედ მისგან „იკრიბება“. საზოგადოების თავისუფლებანი ეს ხომ თავიანთი წარმომავლობით სწორედ პიროვნებათა თავისუფლებიდან იღებს სათავეს. განა ჩვენც ეგრე არა ვთქვით უწინ, რომ საზოგადოებას ადამიანები, პიროვნებანი ქმნიანო? ჰოდა, მაშინ პირველ თავისუფლებებსაც მეორე თავისუფლებანი განაპირობებენ (სხვა საკითხია ისიც, რომ მათ შორის უკუდამოკიდებულებაც ასრებობს, ოღონდ არა განმსაზღვრელი თავისი მნიშვნელობით).

პირადი თავისუფლების საკითხში ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება, რაც ადამიანს შეიძლება ქონდეს, ეს მისი სიტყვის თავისუფლებაა.

სიტყვის თავისუფლება, მართლაც, დიდი ღირებულება იყო ოდითგან, ვინაიდან სწორედ სიტყვით იწყება ყოველგვარი საქმე და, მაშასადამე, სიტყვის თავისუფლებაც სათავეა ყოველგვარი საქმის თავისუფლებისა. ხოლო როცა აქ ჩვენ სიტყვის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, გარეგანი და არა შინაგანი სიტყვის თავისუფლებაზე უფრო ვლაპარაკობთ, ვინაიდან პრობლემა სწორედ ეგაა - შინაგანი სიტყვის გარეგანი გამოხატვის თავისუფლება, რაც ყოველთვის უპრობლემო როდია. პირიქით, სწორედ აქაა პრობლემა, ვინაიდან ამა ქვეყნის ბოროტი ძალები ყველანაირად ცდილობენ მის ჩახშობას, რაკიღა მათ ეს არ აწყობთ. ასე რომ, სიტყვის თავისუფლება პიროვნული გმირობისა და მსხვერპლის ფასადაც კი ჯდება ხოლმე.

სიტყვის თავისუფლება იგივე აზრის გამოთქმის თავისუფლებაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. ხოლო ის, რომ აზრის გამოთქმის თავისუფლებას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს ადამიანის ყველა სხვა პირად უფლება-თავისუფლებათა რიგში, ეს ხომ ნათელი ჭეშმარიტება უნდა იყოს. ეს იმიტომ, რომ არსებითად ადამიანი, მართლაც, ეს ხომ მოაზროვნე არსებაა და თუ მას აზროვნება აეკრძალა, მაშინ რაღა ადამიანი დარჩება მისგან. განა ადამიანი, როგორც ამას იტყვიან ხოლმე ხშირად, სწორედ ფიქრისთვის არაა გაჩენილი. ფიქრი კი ეს ხომ აზრების ნაკადია და სხვა არაფერი. აზრები კი ხომ უნდა განხორციელდეს. ამისათვის საჭიროა მათი გამოთქმა და გაცხადება. და თუ ამას ხელი შეეშალა, მაშინ როგორღა გამოვა ჩვენი ცხოვრება? გამოუთქმელი, გაუცხადებელი აზრი როგორ შეიძლება განხორციელდეს ანუ პრაქტიკაში მატერიალიზებულ იქნეს, თუ იგი თავისუფლად არ გაცხადდა?

ასე რომ სიტყვის, აზრის თავისუფლება ეს წყაროა ყოველგვარი სხვა ადამიანური, პიროვნული თავისუფლებებისა. ყველა თავისუფლება კი მამოძრავებელი ძალაა ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება არის ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, მისი

უმნიშვნელოვანესი მამოძრაველბელი ძალა. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი ეს საკითხი - საკითხი პიროვნების თავისუფლებათა.

ადამიანის პიროვნული თავისუფლებანი მათი უფლებების კუთხით პირდაპირ დეკლარირებულია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებში, ოღონდ მთავარია იგი - ეს უფლებანი აღსრულდეს!

მართალია, ყოველგვარი თავისუფლება, იქნება ეს საზოგადოებისა თუ პიროვნებისა, მეტად ძვირფასი რამაა, მაგრამ აქ ჩვენ არავითარ შემთხვევში არ უნდა დაგვავიწყდეს ამასთან დაკავშირებული ის უმნიშვნელოვანესი მომენტიც, როგორიცაა ამ უფლებათა თუ თავისუფლებათა მიმართულების საკითხი. კერძოდ, საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად გამართლებული იქნება ეს უფლება-თავისუფლებანი. მოკლედ, საკითხი დგება იმის შესახებ, აბსოლუტურად ყველაფერია თუ არა დასაშვები ამ მხრივ, ესე იგი ყოველგვარი უფლება-თავისუფლებანი მისაღებია თუ არა განუსჯელად, განუკითხავად, ყველაფერია დასაშვები რაც კი რამ შესაძლებელია ამ მხრივ?

და, აი, აქ ჩვენ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პასუხი ამ კითხვაზე უნდა გადავწყვიტოთ შარლ მონტესკიეს სიტყვებით: "ყველაფერი დასაშვებია, რაც კი რამ კანონით აკრძალული არაა"(33). და, მართლაც, ყველაფერი დაშვებულია, ოღონდ კანონის ფარგლებში. ხოლო ამ კანონებს საზოგადოება და სახელმწიფო ადგენს და ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ უსაზღვრო, უკიდეგანო, უსაზმნო უფლება-მოვალეობანი არათუ ააშენებდა, არამედ, პირიქით, დაღუპავდა სწორედ ქვეყანას, ვინაიდან მაშინ უწესრიგობა და ქაოსი გამეფდებოდა წესრიგისა და კოსმოსის ნაცვლად: ვისაც რა მოეპრიანება, ის რომ აკეთოს, ქვეყანა, მართლაც, ხომ დაიქცევა. ამიტომაცაა საჭირო კანონი. კანონს კი უზენაესი დანიშნულება აკისრია. და ეს დანიშნულებაა ხალხის კეთილდღეობა. ხალხის კეთილდღეობა ხომ უზენაესი კანონია! მთავარია ამ შემთხვევაში იგი იყოს სწორი. პრობლემის სათავე სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. თუ კანონები ისეთი გვექნება, რომელიც მაქსიმალურად სასარგებლო იქნება საზოგადოებისა და ადამიანისათვის, ხომ კარგი და კარგი, ხოლო თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ვაი ჩვენს თავს.

ასეა თუ ისე, ყოველგვარი უფლება-თავისუფლებანი კანონით უნდა იყოს რეგულირებული და მის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. ოღონდ ეს კანონებიც თავის მხრივ გონივრულად უნდა იყოს დადგენილი და არ დასთრგუნოს ჭეშმარიტი უფლება-მოვალეობანი. ეს საკითხი, საკითხი უფლება-თავისუფლებათა და კანონთა ურთიერთდამოკიდებულებისა კაცობრიობის ისტორიის უდიდესი პრობლემაა.

რამდენად ხელს უწყობს კანონი საერთოდ უფლება-თავისუფლებათა მაქსიმალურ ჯეროვნებას, - აი, სად არის პრობლემის მთელი სიმძიმე.

მაგრამ რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს ამათ შორის მაქსიმალური ჯეროვნების უზრუნველყოფა კონკრეტულად, ერთი რამ შეიძლება აქ ჭეშმარიტად ვთქვათ აბსტრაქტული სახით მაინც: საუკეთესო შემთხვევა გვექნება მაშინ, როდესაც არც უფლება-თავისუფლებანი გარდასცდებიან კანონის ფარგლებს და არც კანონის ფარგლები შეზღუდავენ თუ შებოჭავენ ამ უფლება-თავისუფლებებს.

მოკლედ, უნდა შემუშავდეს ისეთი კანონები, რომლებიც მაქსიმალურად, მაგრამ მაინც კანონიერად ხელს შეუწყობენ ამ უფლება-თავისუფლებათა გაშლას. ყოველგვარი უფლება-თავისუფლება მაშინ იქნება გამართლებული, თუ, ისინი, მართლაც, ხელს შეუწყობენ მთელი საზოგადოების ჰარმონიას. თუ თუნდაც ერთი ადამიანის უფლება-თავისუფლება დაუპირისპირდება მეორისას, ასეთი უფლება-თავისუფლება არც უნდა შევიწყნაროთ. სწორედ ამაზე უნდა იყოს გათვლილი მთელი კანონმდებლობაც. ჩვენც ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ყოველგვარ კანონმდებლობას - სამართლებრივსაც და მით უმეტეს ზნეობრივსაც. არავის ინტერესი ამ შემთხვევაში არ უნდა შეილახოს, ამასთან ამ პირობით ეს უფლება-თავისუფლებანი მაქსიმალურად უნდა ამოქმედდეს.

ასეთია ჩვენის აზრით, ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა წაეყენოს უფლება-თავისუფლებათა განვითარებას, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების უფლება-თავისუფლებათა ხაზით თანამედროვე აზროვნების, უფრო სწორედ კი, ნამდვილად ჭეშმარიტი აზროვნების თვალთახედვით.

დაბოლოს, აქ ჩვენ უფლება-თავისუფლებათა საკითხის კიდევ ერთს ძალიან მნიშვნელოვან მომენტსაც უნდა შევეხოთ და ეს მომენტია საზოგადოებისა თუ ადამიანის უფლება-თავისუფლებათა მოვალეობასთან კავშირის საკითხი.

საქმე ისაა სწორედ, რომ ადამიანის უფლება-თავისუფლებანი ჩვენ, მართლაც, მის მოვალეობებთან კავშირში უნდა განვიხილოთ, რაკიღა დავადგინეთ, რომ ეს უფლება-თავისუფლებანი მაინც კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს. სხვანაირად საზოგადოებაში ქაოსი და უწერიგობა დაისადგურებდა და გამეფდებოდა, რაც თავად უფლებათა და თავისუფლებათა თვით იდეის საპირისპირო გამოვიდოდა. სწორედ ამიტომაც ადამიანის უფლება-თავისუფლებანი შესაბამისი მოვალეობებით უნდა „დაიტვირთოს“. სხვაგავრად შეუძლებელიცაა, ვინაიდან, თუ ეს ასე არ მოხდა და ეს უფლება-თავისუფლებანი რაღაც გონივრულ პრინციპებს არ დაეფუძნა და გონივრული მიმართულებით არ გაიშალა, მაშინ საზოგადოებას ზიანი მიადგებოდა

და ეს მის ცხოვრებაში დისონანსს შეიტანდა. ოღონდ აქ მთავარია ამ მოვალეობებმაც, თავის მხრივ, არ დასთრგუნონ აღნიშნული უფლება-თავისუფლებანი.

ეს კი ძალიან დიდი პრობლემაა. საქმე, კერძოდ, ეხება უფლება-მოვალეობათა თანაზომიერების საკითხს. კონკრეტულად ამ საკითხის გადაწყვეტა ყოველი კონკრეტული სიტუაციისათვის, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ის მაინც, თუ აბსტრაქტულად როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი - საკითხი უფლება-თავისუფლებათა და, შესაბამისად მათდა, მოვალეობათა თანაზომიერებისა, აუცილებლად შემდეგნაირი უნდა იყოს: ადამიანის უფლება-თავისუფლებანი, მართალია, მაქსიმალურად უნდა გაიშალოს იქამდე, სანამ ისინი არ გარდასცდებიან თავის გონივრულ საზღვრებს, ხოლო შესაბამისმა მოვალეობებმა არ უნდა დასთრგუნონ უფლება-თავისუფლებათა მაქსიმალური შესაძლებლობანი.

ადამიანი, იმის გამო სწორედ, რომ იგი თავისუფლი არსებაა, პასუხისმგებელი არსებაცაა. სწორედ ასევე თავისუფლება მხოლოდ ცარიელი შვება როდია, არამედ იგი ერთგვარი ტვირთიცაა მასთან ერთად. მართალია, ადამიანი დაჯილდოვებულია თავისუფლებით, მაგრამ იგი ამავე დროს დამძიმებულია პასუხისმგებლობითაც. ესაა უფლება-მოვალეობათა ანუ თავისუფლება-პასუხისმგებლობათა ორგანული მთლიანობა. ეს ერთგვარი კანონია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი უგულვებელყოფა საზოგადოებას საერთოდ დიდ საფრთხეს უქმნის. კანონის გაუთვალისწინებლობა, მისი უგულვებელყოფა ხომ მიუღებელია, ვინაიდან იგი, ჯერ ერთი, შეუძლებელიცაა, და, მეორეც, თავისუფლება ეს ხომ სწორედ შეცნობილი თავისუფლებაა.

ასეთია, ჩვენის აზრით, თავისუფლების პრობლემის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

XI. დევიაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. დევიაციის შესახებ საერთოდ (დევიაცია საერთოდ და დელინკვენტობა მასში)

2. ნორმატიული კანონები და დევიაცია

3. დევიაცია როგორც სოციალური მოვლენა

4. დევიაციის ფორმები

5. დევიაციები თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

სოციალურ ურთიერთობათა ფორმებს (სახეებს) შორის მათი სიმწვავის გამო თანამედროვე სოციოლოგიაში განსაკუთრებით გამოყოფენ ხოლმე მის ისეთ კერძო ნეგატიურ (უარყოფით) სახეებს, როგორებიცაა დევიაცია და კონფლიქტი.

და, მართლაც, დევიაციისა და კონფლიქტის საკითხი თანამედროვეობის უმწვავესი სოციალური პრობლემებია (სირთულეებია, სიძნელეებია). ეს გამოწვეულია თავად ეპოქის სიძნელეებით, იმ მსოფლიო (გლობალური) კრიზისით (დაბრკოლებით, შეფერხებით), რომელშიაც აღმოჩნდა თანამედროვე კაცობრიობა. ეს ხომ თავად "აპოკალიფსისის" ჟამია, ბოლო ჟამი წარღვნისშემდგომი კაცობრიობისა მისი ნეგატიური (უარყოფითი) ტენდენციების (მიმართულებათა) კულმინაციით (მწვერვალით).

ასე რომ, სწორედ ჩვენი ეპოქის (ჟამის) წინააღმდეგობათა ზრდა განაპირობებს საერთოდ ე.წ. დევიაციისა და მათ შორის კონფლიქტების ზრდასაც, მათ გააქტიურებას (ამოქმედებას).

ტერმინი (სახელწოდება) "დევიაცია" ლათინური "Deviatio"-დან ("დევიაციო"-დან) მომდინარეობს და ქართულად სიტყვასიტყვით "გადახრას" ნიშნავს.

რაც შეეხება დევიაციის თავად ცნებას, იგი, მართლაც, გადახრას გულისხმობს და ამდენად მოცემული ტერმინი ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნავს ამ ცნებაში მოაზრებულ საგანს.

მართალია, დევიაციის ცნება უფართოესი გაგებით ყოველგვარ გადახრას კი გულისხმობს, როგორც ბუნებრივს, ისე საზოგადოებრივს, მაგრამ სოციოლოგიაში

როდესაც ლაპარაკია დევიაციაზე, აუცილებლად მისი სოციალური მნიშვნელობა იგულისხმება და არა ბუნებრივი, ე.ი. საზოგადოებაში მიმდინარე გადახრა თუ გადახრები და არა ბუნებაში მიმდინარე გადახრები. თუმცა ამ ცნების უმკაცრესი გაგებით გადახრებს ბუნებაში არც კი აქვს ადგილი, ვინაიდან მასში მხოლოდ ობიექტური, ე.ი. არანორმატიული კანონები მოქმედებს და გადახრას მათგან არც კი აქვს აზრი.

ასე რომ, დევიაციას საკუთრივი გაგებით, მართლაც, მხოლოდ სოციალური მნიშვნელობა შეიძლება გააჩნდეს, ვინაიდან მხოლოდ საზოგადოებაში არსებობს ე.წ. ნორმატიული კანონები, რომელთა დარღვევაც შესაძლებელია და ამიტომაც დევიაცია მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ხასიათისა შეიძლება იყოს.

ამრიგად, დევიაცია ეს არის სოციალური (საზოგადოებრივი) გადახრები ანუ სოციალური (საზოგადოებრივი) ხასიათის ესა თუ ის დარღვევა.

გამომდინარე იქიდან, რომ დევიაცია ეს სწორედ ესა თუ ის სოციალური გადახრაა, ლოგიკურია (თანმიმდევრულია) ვიგულისხმოთ, რომ ეს გადახრები გულისხმობს გადახრებს სახელდობრ რაღაც ნორმებიდან

და, მართლაც, დევიაცია როგორც სოციალური მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა სწორედ სოციალური ნორმებიდან (წესებიდან) გადახრა; გადახრა ლოგიკურად უკვე გულისხმობს სწორედ ნორმიდან გადახრას, ნორმის დარღვევას. სწორედ ამიტომაც სამართლიანად უპირისპირებენ ერთმანეთს ე.წ. დევიანტურ და ნორმალურ ქმედებებს. "ნორმა" და "დევიაცია" ერთმანეთს უპირისპირდება როგორც "წესი" ('ნორმა" ლათინური ტერმინია და სწორედ "წესს", "ნიმუშს" ნიშნავს) და "გადახრა" (იგულისხმება "წესიდან გადახრა"), ხოლო მსგავსად ამისა, "ნორმალური" ('წესიერი", "კანონიერი", "სანიმუშო") ქმედება" - "დევიანტურ ("გადახრით") ქმედებას".

დევიაციაზე მსჯელობისას აუცილებელია მასში გავარჩიოთ ისეთი ორი მხარე, როგორებიცაა მისი ე.წ. "თეორიული" და "პრაქტიკული" მხარეები. პირველი გულისხმობს დევიაციას იდეალურ ანუ სულიერ დონეზე, მეორე კი – დევიაციას რეალურ ანუ ხორციელ დონეზე. ამ მხრივ, როცა "დევიანტურ ქმედებაზე" ვლაპარაკობთ, მის სახელდობრ მეორე – რეალურ ანუ ხორციელ მხარეს ვგულისხმობთ. ამ შემთხვევაში კი ე.წ. "დევიანტური ქმედება" უფრო ვიწრო ცნება გამოდის, ვიდრე თავად "დევიაცია". და, მართლაც, "დევიაცია" უფრო მეტია და შესაძლოა კიდევ უფრო მეტიც, ვიდრე "დევიანტური ქმედება", ვინაიდან იგი ამ "ქმედითი" მხარის გარდა მოიცავს აგრეთვე ყოველივე იმას, რაც მასშია ამ "ქმედებამდე", მათ განხორციელებამდე. ე.ი. დევიაცია მოიცავს არა მარტო

პრაქტიკულ, რეალურ, ხორციელ გადახრებს, არამედ მთელ რიგ გადახრებს ასევე თეორიულ, იდეალურ, სულიერ პლანში (განზომილებაში). ეს მხარე კი თავისი მოცულობით არანაკლებია მის მეორე მხარეზე. გარდა ამისა, სულიერი დევიაცია თავისი თვისობრიობითაც (და არა მარტო რაოდენობრივად) ნაკლები როდია ხორციელ დევიაციაზე, ვინაიდან განმსაზღვრელი აქ სწორედ იდეალური, სულიერი მხარეა და არა რეალური, ხორციელი. განა ყოველგვარი პრაქტიკული გადახრა თავის სათავეს თეორიული გადახრიდან არ იღებს? ყოველგვარ ხორციელ დევიაციას, ე.ი. დევიანტურ ქმედებას ამ მხრივ მისი სწორედ სულიერი საწყისები განაპირობებენ. სანამ კაცი რამეს დააშავებდეს საქმით, მანამ იგი უკვე აშავებს აზრით.

დევიაციაზე მსჯელობისას აუცილებელია ასევე გავარჩიოთ მასში ორი ისეთი მხარეც, როგორებიცაა მისი ე.წ. ობიექტური და სუბიექტური მხარეები. პირველი დამოუკიდებელია ადამიანის ნებისაგან, მეორე მასზეა დამოკიდებული. ასე რომ, ამ მხრივ დევიაცია შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტურიც. და ასეთი რამ სინამდვილეში, მართლაც, არსებობს. არსებობს ისეთი დევიაციაც, რაც გამოწვეულია ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით და ისეთი დევიაციაც, რაც გამოწვეულია თავად სუბიექტური, ჩვენზე დამოკიდებული მიზეზებით. ასე რომ, დევიაცია ფართო გაგებით მხოლოდ სუბიექტურ დევიაციას როდი მოიცავს, არამედ ობიექტურსაც. და, მართლაც, განა ყველა გადახრა, რასაც ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში ჩვენი ბრალია? თუმცა ამის გამო მაინც ვერ ვიტყვით, რომ ისინი გადახრებია, რადგან ისინი ნორმიდან (წესიდან) გამონაკლისს წარმოადგენენ. მაგრამ დევიაცია საკუთრივ ჩვეულებრივ მაინც სუბიექტურ დევიაცამდე დაყავთ ხოლმე და მასში რაღაც "ბრალის" შემადგენლობას დებენ, ე.ი. დევიაციას ჩვეულებრივ ისეთ გადახრებს უწოდებენ ხოლმე, რაც ჩვენი ბრალით ხდება. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ამა თუ იმ გადახრის მიზეზი ისევ ჩვენა ვართ და საუკეთესო შემთხვევაში, თუ ჩვენ წესიერად მოვიქცეოდით, მაშინ ასეთი რამეები არც კი მოხდებოდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ დევიაციის ამგვარი, ე.ი.საკუთრივ "სუბიექტური" ("ბრალეულობითი") გაგება, მართლაც, მისაღებია. ასეთია, დევიაციის ტიპიური, ჩვეულებრივი გაგებაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დევიაცია საბოლოოდ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ჩვენი საკუთარი ნებით გამოწვეული საზოგადოებრივი გადახრები.

ვინაიდან სოციალური ნორმები ორი ძირითადი ფორმისაა (სახისაა), კერძოდ, მორალური (ზნეობრივი) და იურიდიული (სამართლებრივი) ხასიათისა, ამიტომ

სოციალური დევიაციაც ორი ძირითადი სახისაა (ფორმისაა) – კერძოდ, მორალური და იურიდიული, ე.ი. ზნეობრივი და სამართლებრივი.

მორალურსა და იურიდიულ დევიაციას შორის არსებითი განსხვავებაა და იგი იმით გამოიხატება, რომ მორალური ანუ ზნეობრივი დევიაცია საზოგადოების მიერ განსაზღვრული ნორმებიდან (წესებიდან) გადახრაა, ხოლო იურიდიული ანუ სამართლებრივი დევიაცია კი – სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ნორმებიდან (წესებიდან) გადახრა. ასე რომ, მორალურსა და იურიდიულ დევიაციას შორის განსხვავებას თავად მორალურსა და იურიდიულს შორის განსხვავება ქმნის.

აქ მორალურსა და იურიდიულ დევიაციას შორის გარკვეული თანაფარდობაა, კერძოდ, მორალური დევიაცია მოიცავს იურიდიულ დევიაციას, ე.ი. ლოგიკურად აქ ჩვენ გვაქვს თანაფარდობა დევიაციის ფართო და ვიწრო ცნებათა შორის. კერძოდ, მორალური დევიაცია უფრო ფართო ცნებაა, იურიდიული დევიაცია – უფრო ვიწრო ცნება. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი იურიდიული დევიაცია, გარდა იმისა, რომ იგი საკუთრივ იურიდიული დევიაციაა, მორალური დევიაციაცაა, მაშინ, როდესაც ყოველგვარი მორალური დევიაცია იურიდიული დევიაცია როდია.

და ეს დამოკიდებულებაც მათ შორის განსაზღვრულია დამოკიდებულებით მორალურსა (ზნეობრივსა) და იურიდიულს (სამართლებრივს) შორის. ყოველგვარი სამართლებრივი ამავე დროს ზნეობრივიცაა, მაგრამ ყოველგვარი ზნეობრივი კი სამართლებრივი როდია. ხოლო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომაა სამართლებრივი ამავე დროს ზნეობრივი და, აქედან გამომდინარე კი, იურიდიული დევიაციაც ამავე დროს - მორალური დევიაცია, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი სამართლებრივი ანუ სახელმწიფოებრივად განსაზღვრული ამავე დროს საზოგადოებრივად განსაზღვრულიცაა, ვინაიდან სახელმწიფოებრივი განა თავად საზოგადოებრივი მოვლენა არაა? ანალოგიურად ამისა, ყოველგვარი იურიდიული დევიაციაც, ანუ სახელმწიფოებრივად განსაზღვრული დევიაციაც ამავე დროს მორალური დევიაცია ანუ საზოგადოებრივად განსაზღვრული დევიაციაც იქნება.

იქიდან გამომდინარე, რომ მორალური დევიაცია უფრო ფართო სოციალური მოვლენაა, იურიდიულ დევიაციასთან შედარებით, მორალური დევიაციაც უფრო მნიშვნელოვანია თავისი ღირებულებით, ვიდრე იურიდიული დევიაცია. და ესეც გამომდინარეობს უკვე თავად მორალურის უფრო მეტი მნიშვნელობიდან სამართლებრივთან შედარებით. უფრო ზოგადი, და, მაშასადამე, ფართო საერთოდ უფრო მნიშვნელოვანია ნაკლებად ზოგადზე და, მაშასადამე, ვიწროზე. განა ფართო ვიწროს, ხოლო ზოგადი კერძოს უფრო ღრმა საწყისი არაა? პირველი მათ შორის უფრო

ძირეულია და, მაშასადამე, განმსაზღვრელი. ამრიგად, განმსაზღვრელი მნიშვნელობა დევიაციის ორ – მორალურსა და იურიდიულ სახეს შორის პირველს ენიჭება, თუმცა მეორესაც აქვს რაღაც თავისი, ე.წ. ფარდობითი მნიშვნელობაც.

მორალურსა და იურიდიულ დევიაციას შორის, ამგვარად, ძალიან ღრმა კავშირია და ერთი ზეგავლენას ახდენს მეორეზე. ამიტომ მათზე მსჯელობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ურთიერთკავშირის გათვალისწინებას.

დევიაციამ თავისი მასშტაბით (ფარგლებით) იმდენად ფართო გაქანება პოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები მასში, რომ დევიაციის პრობლემა იქცა თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად.

და, მართლაც, დევიაცია გახდა ჩვენი საზოგადოების დიდი ჭირი და უბედურება. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს და ეს მიზეზები თანამედროვე ეპოქის (ჟამის) ღრმა კრიზისით (დაბრკოლებებით) აიხსნება. არასდროს ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩვენი კაცობრიობა არ შესულა ასეთ ღრმა ჩიხში, ვინაიდან იგი თავისი ცოდვებით რადიკალურად (ძირეულად) დაშორდა ღვთის გზას და ცოდვის მორევში ჩაეფლო. განა ტყუილად უწოდებენ ჩვენს ეპოქას „აპოკალიფსისის ჟამს“, ანუ „ბოლო ჟამს“, რომელსაც უნდა მოყვეს კიდევაც ქვეყნის აღსასრული, ვინაიდან ამდენ და ამგვარ ცოდვებს თავიანთი კულმინაციისა (მწვერვალისა) გამო სხვა შედეგი არც კი შეიძლება ქონდეს.

სწორედ ამ “გლობალური” (საყოველთაო, ყოვლისმომცველი) დევიანტური (დევიაციასთან დაკავშირებული) კრიზისის (სიძნელეებისა) გამო გახდა დევიაციის საკითხი ჩვენი ეპოქის (დროის) სწორედ აქტუალური (სადღეისო, საჭირბოროტო) პრობლემა (სიძნელე, სირთულე). სწორედ ამიტომაცაა დევიაციის პრობლემა თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაც.

ამასთან დაკავშირებით დევიაციის პრობლემა გახდა სოციოლოგიის იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ ამ მეცნიერებაში შეიქმნა ერთი სპეციალური (საგანგებო) დარგიც კი მის შესასწავლად და ეს მეცნიერებაა დევიანტოლოგია. დევიანტოლოგია ესაა სოციოლოგიის ერთ-ერთი კერძო დარგი, რომელიც შეისწავლის დევიაციას მასთან დაკავშირებული ყველა საკითხით. ასე რომ, დევიანტოლოგია სოციოლოგიის ერთ-ერთი კერძო დარგია სხვა მის უამრავ დარგთან ერთად. დევიანტოლოგია როგორც სოციოლოგიური მეცნიერება დევიაციას შეისწავლის ზოგადსოციალური კუთხით, მაშინ როდესაც დევიაციის კერძო სოციალურ მხარეებს სხვა კერძო მეცნიერებანი შეისწავლიან. ასე, მაგალითად, მორალური დევიაცია

შესაბამისად ეთიკის მეცნიერების შესწავლის საგანია, ხოლო იურიდიული დევიაცია – იურისპრუდენციის მეცნიერებისა.

დევიაციას გააჩნია თავისი ისეთი მხარეები, როგორებიცაა: დევიაციის საგანი (ობიექტი) ანუ ის, რაზედაც მიმართულია თავად დევიაცია, და დევიაციის პირი (სუბიექტი) ანუ ის, ვინც დევიაციას მიმართავს. დევიაციის პირს ანუ სუბიექტს მოკლედ დევიანტი ქვია.

დევიაციას გააჩნია თავისი განხორციელების პირობები. ეს პირობებია: დევიაციის, ჯერ ერთი, სუბიექტის, მეორეც, დევიაციის ობიექტისა და, მესამეც, თავად დევიაციის აქტის (საქმის) არსებობა. ესენი დევიაციის აუცილებელი და საკმარისი პირობებია.

დევიაციას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს. ისინი ორგვარი – ობიექტური და სუბიექტური შეიძლება იყოს. პირველი დამოუკიდებელია ადამიანის ნებისაგან, მეორე – დამოკიდებული მასზე. ორივე კავშირშია ერთმანეთთან და მათი თანაფარდობა სხვადასხვაა სხვადასხვა სიტუაციაში. ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ სიტუაციაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კავშირი შეიძლება იყოს შემთხვევითი და არ იყოს აუცილებელი, ეს კავშირი მუდამ აუცილებელი როდია. იგი შეიძლება არც კი გვქონდეს და ესა თუ ის დევიაცია ან წმინდა ობიექტური მიზეზით მოხდეს ანდა წმინდა სუბიექტურით, თუმცა ასეთი რამ მაინც ნაკლებია.

დევიაციას უამრავი სახე გააჩნია და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა და რა სახის გადახრასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ მორალური და იურიდიული დევიაციის იმდენ და იმგვარ სახეებთან გვექნება სახე, რამდენიცა და რამდენგვარიც იქნება თავად მათი სახეებიც. დევიაციათა კლასიფიკაცია (დაჯგუფება) ამ შემთხვევაში ზუსტად დაემთხვევა შესაბამისად ზნეობრივ თუ სამართლებრივ დარღვევათა იმ კლასიფიკაციას, რაც მიღებულია ორივე სფეროში. თანაც ეს კლასიფიკაციაც სხვადასხვანაირი იქნება სხვადასხვა პრინციპით (საფუძველზე) დაყოფის შემთხვევაში. გააჩნია, თუ რა პრინციპით მოვახდენთ ამა თუ იმ კლასიფიკაციას დევიაციისას.

დევიაციაზე მსჯელობისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი აღმოფხვრის საკითხს, რაც ამ მხრივ ნამდვილად უნდა იყოს მთელი საზოგადოების მნიშვნელოვანი მიზანი, ვინაიდან, მართლაც, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს ამ მხრივ იმაზე უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ეს სწორედ საზოგადოების შიგნით არსებულ დარღვევათაგან მისი განთავისუფლება და განწმენდაა. და, მართლაც, განა სწორედ ეს არ უნდა იყოს მთელი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა?

არსებობს დევიაციის აღმოფხვრის უამრავი ფაქტორი და მათი დაყოფა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იმისდა მიხედვით, თუ რას დავუდებთ საფუძვლად მას. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს სოციალური დევიაციის აღმოფხვრის ფაქტორები, ყოველ შემთხვევაში ისინი ძირითადად მაინც ორგვარი – ობიექტური და სუბიექტური შეიძლება იყოს. ორივე აუცილებელია და ერთი მეორის გარეშე ეფექტური (შედეგიანი) ვერ იქნება. პირველი ფაქტორი დამოუკიდებელია სოციალური დევიაციის სუბიექტისაგან (პირისაგან), მეორე კი – მასზეა დამოკიდებული.

სოციალური დევიაციის პრობლემასთან დაკავშირებით წინ წამოიწევს სოციალური დევიაციის პერსპექტივების (მომავლის) საკითხიც, კერძოდ, შესაძლებელია და მოსალოდნელია თუ არა მისი საერთოდ აღმოფხვრა. თუ არადა მთელი კაცობრიობის მიზანია სოციალური დევიაციის, მართლაც, ლიკვიდაცია (მოსპობა). მაგრამ სწორედ იმისა გამო, რომ სოციალურ დევიაციას გააჩნია არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური მიზეზიც, ამიტომ მისი სრულიად აღმოფხვრა შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ მისი მაქსიმალურად შემცირება, რაც დამოკიდებულია თავად საზოგადოების მხრიდან მისი რაც შეიძლება მეტად აღმოფხვრისკენ.

დევიაციის სრულ აღმოფხვრას, მის სრულ ლიკვიდაციას ხელს უშლის თავად ადამიანისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების "ცოდვილი" ბუნება. მაგრამ ხომ შეიძლება ამ საზოგადოებისავე ძალისხმევით მისი რაც შეიძლება მეტად შემცირება. ასე რომ, კაცობრიობამ ამ მხრივ ნამდვილად ხელი უნდა გამოიღოს. ყოველ შემთხვევაში თავად ადამიანზეა დამოკიდებული ამ მხრივ ყველაფერი. სხვა გზა მას, მართლაც, არა აქვს. თავისით, ძალისხმევის გარეშე, სოციალური დევიაცია, მართლაც, არ გამოსწორდება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა მორალურ აღზრდა-განათლებას.

ასეთია, ჩვენის აზრით, დევიაციის პრობლემის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

XII. სოციალური უმცირესობების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ე.წ. უმცირესობის პრობლემის შესახებ საერთოდ

2. უმცირესობის ცნება უმრავლესობის ცნებასთან მიმართებით

3. ე.წ უმცირესობათა კლასიფიკაცია

4. უმცირესობათა უფლებების შესახებ

5. ზოგიერთი უმცირესობის პრობლემის ანალიზი თანამედროვე აზროვნების თვალთახედვით

ე.წ. „უმცირესობების“ პრობლემა თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი აქტუალური თემაა.

“უმცირესობებში“ აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება „სოციალური“ უმცირესობანი, „სოციალურ უმრავლესობასთან“ მიმართებით.

ეს სოციალური უმცირესობანი კი შეიძლება იყოს უამრავი სოციალური ჯგუფი ანუ საზოგადოების უამრავი სხვადასხვა ნაწილი, როგორებიცაა: რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, რელიგიური, კულტურული, სექსუალური თუ უამრავი სხვა უმცირესობანი.

სოციალურ უმცირესობათა ეს დაყოფა კი ერთადერთი როდია, არამედ ერთ-ერთი. თუმცა დღეისათვის ყველაზე აქტუალური.

ხოლო უმცირესობათა დაყოფა უამრავი სხვადასხვა პრინციპით შეიძლება მოხდეს და ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რა პრინციპით დავყოფთ ჩვენ მათ. მაგრამ, ვიმეორებთ, სხვა საკითხია ის, თუ რომელი პრინციპია აქ უფრო აქტუალური დღეისათვის, ანუ კონკრეტულად რომელი სახეებია უმცირესობებისა ჩვენი დღევანდელი ცხოვრების კუთხით აქ უფრო წინ წამოწეული და, მაშასადამე, სწორედ თანამედროვე აზროვნებისთვის საინტერესო, საინტერესო, რამდენადაც სოციალური უმცირესობანი ამ კუთხეებითაა ამჟამად კაცობრიობისათვის აქტუალური ანუ სწორედ სადღეისო მნიშვნელობისანი, ვინაიდან სწორედ ეს კუთხეებია უმცირესობისა დღეისათვის წინ წამოწეული.

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს თავად ე.წ. „უმცირესობის“ ცნება, რათა უფრო ნათლად გაირკვეს თავად პრობლემის არსიც.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე განსაზღვრებას ცნობილი სოციოლოგების ნააზრევიდან უმცირესობის ცნების თაობაზე.

ასე, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ლუის ვირტი „ ჯგუფურ უმცირესობას“ განსაზღვრავს როგორც „ ჯგუფს იმ ადამიანებისას, რომლებიც გამოირჩევიან საზოგადოებაში თავიანთი ფიზიკური თუ კულტურული თვისებებით, რომელთა გამოც ისინი განიცდიან ჩაგვრასა და უთანასწორობას, და რომლებიც, ამგვარად, განსაზღვრავენ თავიანთ თავს, როგორც კოლექტიური დისკრიმინაციის საგანს“ (21).

ანდა, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ნეილ სმელზერი „ უმცირესობის ჯგუფს“ განსაზღვრავს როგორც „ ჯგუფს იმ ადამიანებისას, რომლებიც თავიანთი ფიზიკური ან კულტურული თავისებურებებით გამოირჩევიან საზოგადოების სხვა წევრებისაგან, რომელ საზოგადოებაშიც ისინი ცხოვრობენ და უსამართლო მოქცევას განიცდიან მისი წევრებისაგან... უმცირესობის ჯგუფის არსებით ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მისი წევრები განიცდიან დისკრიმინაციას ანუ უსამართლო მოქცევას თავიანთი „ნაკლოვანებებისა“ გამო“ (40).

ასევე, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი „უმცირესობას“ განსაზღვრავს როგორც „ჯგუფს იმ ადამიანებისას, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული საზოგადოების უმცირესობას, რომლებიც, განსაკუთრებულ ფიზიკურ ან კულტურულ მახასიათებელთა ძალით იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში საზოგადოების დანარჩენი წევრების მიმართ“(19, გვ. 609)

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკელი სოციოლოგების ქრეგ კალჰუნის, დონალდ ლაითის და სუზენ კელერის მსგავსი მოსაზრებანი უმცირესობათა თაობაზე: „უმცირესობის ჯგუფები - ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან მათ მიმართ არათანასწორი მოპყრობით საზოგადოებაში, რომელშიაც ცხოვრობენ და რომლებიც საკუთარ თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევენ“ (7, გვ. 371); „ტერმინი უმცირესობა ეხება იმ ჯგუფს, რომელიც არ სარგებლობს თანაბარი მოპყრობით საზოგადოებაში (დამოუკიდებლად იმისაგან, წარმოადგენენ თუ არა ისინი რიცხობრივ უმცირესობას). ხშირად უმცირესობათა ჯგუფები განისაზღვრება ფიზიკური მახასიათებლებით (რასით) ან კულტურული მახასიათებლებით (ეთნიკურობით)“ (7, გვ. 367).

ანდა ავიღოთ კიდევ, სულ ბოლოს, მაგალითად, ერთ-ერთი რუსი ავტორის ს.ვ. სოკოლოვსკისმიერი განსაზღვრებაც „უმცირესობისა“, რომლის თანახმადაც „უმცირესობანი“ ესენი არიან „ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესს რიცხობრივად სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილთან შედარებით, რომლებსაც არ უჭირავთ გაბატონებული მდგომარეობა, ვისი წევრებიც - ამ სახელმწიფოს მოქალაქენი - განსხავავდებიან უმრავლესობისაგან თავიანთი კულტურული, რელიგიური თუ ენობრივი თავისებურებებით(...), ფიზიკური სახითა თუ სექსუალური ორიენტაციით (...) და გამოხატავენ სოლიდარობის გრძნობას თავიანთ განხვავებულ თავისებურებათა მიმართ“ (41).

და, სულ-სულ ბოლოს, აქ მოვიყვანთ კიდევ ერთ განსაზღვრებას „უმცირესობისას“. ეგეც რუსი ავტორისაა - ვ.ა. ტიშკოვისა. ხოლო მისი განსაზღვრებით კი (მართალია, იგი ამას „ეთნიკური“ კუთხით აკეთებს, მაგრამ ჩვენ იგი მაინც გამოგვადგება ზოგადი ასპექტითაც), „ ეთნიკური უმცირესობა“ ესაა „ ჯგუფი მოქალაქეებისა, რომლებიც როცხობრივად ჩამორჩებიან სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობას და არ უჭირავთ გაბატონებული მდგომარეობა, რომლის წევრებსაც გააჩნიათ ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი განსხვავებანი დანარჩენი მოსახლეობისაგან და უჩვენებენ (გამოხატავენ) სოლიდარობის სურვილს, შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული თავისებურება და ჯგუფური მთლიანობა“(45).

აქ ჩვენ, საზოგადოების ე.წ „უმცირესობის“ ცნების ამა თუ იმგვარი განსაზღვრების ამბავში შეგვეძლო მოგვეყვანა კიდევ უამრავი მაგალითი, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ესეც კი საკმარისია, ვინაიდან ყველა განსაზღვრებაც ამ კუთხით არსებითად მსგავსია აღნიშნული განსაზღვრებებისა.

როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ყველა ამ განსაზღვრებაში უმცირესობისა, უმცირესობანი მაინც განსაზღვრულია არსებითად როგორც საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს რაღაც რიცხობრივად მცირე ნაწილი, შედარებით მისი - ამ საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს, - სხვა, დანარჩენ ნაწილთან მიმართებით, რომელიც ლოგიკურად მისი უმრავლესობაა.

მოკლედ და სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ ჩვენ გვაქვს უმცირესობის, თუ ასე შეიძლება ითქვას, და ეს ნამდვილადაც ეგრეც უნდა ითქვას, უმცირესობის ერთგვარი „არითმეტიკული“ გაგება მისი ამავე „არაარითმეტიკული“ გაგებით უმრავლესობასთან მიმართებით. და, მართლაც, ამ შემთხვევაში ჩვენ აქ გვაქვს მიმართება საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მოსახლეობის იმ ორ ნაწილს შორის, რომელთაგან ერთია

საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მოსახლეობის ერთ ნაწილში რიცხობრივად მისი „ნაკლებობა“, ხოლო მეორე ნაწილში კი - მისი „მეტობა“.

მაგრამ ეს „არითმეტიკული“ გაგება უმცირესობისა უმრავლესობასთან შედარებით აქ თანამედროვე სოციოლოგიაში არცაა მიღებული განმსაზღვრელად. კერძოდ, პირიქით, წინ წამოწეულია არა ეს „არითმეტიკული“ ანუ რაოდენობრივი, ე.ი. რიცხობრივი მომენტი უმცირესობისა, არამედ მისი თვისობრივი, რაგვარობრივი მახასიათებელი ამა თუ იმ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ სიტუაციაში, სახელდობრ კი - ერთგვარი ჩაგვრისა თუ დისკრიმინაციის მომენტი ამ შემთხვევაში. და ეს ჩანს ყველა მოტანილ განსაზღვრებაში უმცირესობის ცნებისა.

ამასთან დაკავშირებით კი აქ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ პირდაპირი მითითებაც ამ საკითხზე: „უმცირესობის სტატუსი ჯგუფის რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ განმასხვავებელი ნიშნებისა და დისკრიმინაციის არსებობით“ (10).

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ვრცლად მსჯელობს ენტონი გიდენსი: „უმცირესობის (მართალია, „ეთნიკურ“ უმცირესობათა მაგალითზე, მაგრამ არსებითად მაინც „საზოგადოების უმცირესი შემადგენელი ჯგუფებისა“) ცნება ... წარმოადგენს უბრალოდ არა რაოდენობრივ მახასიათებელს. შეიძლება დავასახელოთ ადამიანთა უამრავი ჯგუფი, რომლებიც ქმნიან უმცირესობას სტატისტიკური აზრით..., მაგრამ სოციოლოგიის თვალსაზრისით ეს ჯგუფები უმცირესობებად არ ჩაითვლებიან: უმცირესობის ცნება სოციოლოგიაში გულისხმობს იმას, რომ უმრავლესობის წევრები საზოგადოებაში იმყოფებიან ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში მოსახლეობის უმრავლესობასთან შედარებით და რომ მათთვის დამახასიათებელია ჯგუფური სოლიდარობის გარკვეული გრძნობა...

ამრიგად, სოციოლოგები „უმცირესობის“ ცნებას იყენებენ არა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, არამედ მნიშვნელობით „ჯგუფი, რომელსაც საზოგადოებაში უჭირავს დაქვემდებარებული მნიშვნელობა“ - მისი რეალური რიცხოვნობის მიუხედავად. ცნობილია უამრავი შემთხვევა, როდესაც „უმცირესობა“ სინამდვილეში მოსახლეობის უმრავლესობაა!“ (19, გვ. 222).

„უმცირესობის“ აღნიშნულ - თვისობრივ, და არა რაოდენობრივ გაგებასთან - დაკავშირებით, ჩვენც უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი, რომელიც შეიძენს შემდეგ სახეს: მართალია, როცა საუბარია, განსაკუთრებით კი ამ ბოლო ხანებში, ე.წ. „უმცირესობათა“ უამრავი სხვადასხვა უფლების შესახებ, მუდამ გულისხმობენ როგორც მთავარს სწორედ იმ თვისობრივ მხარეს ამ მოვლენებისას, რომ მოსახლეობის ამ ნაწილის მიმართ მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან ხდება სწორედ რაღაც „ჩაგვრა“ თუ

„დისკრიმინაცია“ მის მიმართ. ასე, რომ ეს მხარე თითქოს ფარავს იმ მეორე მხარეს ამ მოვლენებისას, მის რაოდენობრივ მხარეს თავისი მნიშვნელობით.

მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ მაინც უნდა გავითვალისწინოთ ის ამბავი, რომ ლოგიკურად უმცირესობის ამგვარი ე.წ. „თვისობრივი“ გაგება მაინც არაა გამართლებული, ვინაიდან „უმცირესობის“ ცნება თავისი, თუნდაც დასახელებიდან გამომდინარე, უკვე გულისხმობს უმცირესობას სწორედ რომ რაოდენობრივი და არა თვისობრივი გაგებით. ხოლო სხვა საკითხია ის, თუ რამდენად „დაჩაგრულია“ თუ „დისკრიმინირებული“ მოსახლეობის ეს უმცირესი ნაწილი მის უმრავლეს ნაწილთან შედარებით.

და, მართლაც „უმცირესობა“ ლოგიკურად „უმრავლესობასთან“ შედარებით მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივი ცნებაა და არავითარი თვისობრივი დატვირთვა მას „შინაგნად“, „საკუთრივ“ არა აქვს, მაგრამ, ვიმეორებთ, სხვა საკითხია ის, თუ რა დატვირთვა ეძლევა მას „გარედან“ გარემოებათა წყალობით. ხოლო გარემოებათა წყალობით კი მას ამგვარი დატვირთვა, მართლაც, ეძლევა.

ასე რომ, უმცირესობის პრობლემასთან დაკავშირებით, ეს ორივე მხარე - რაოდენობრივიც, - საკუთრივიც და თვისობრივიც, - არასაკუთრივიც, - ჩვენი პრობლემატიკის ასპექტით ერთმანეთს ავსებს. მითუმეტეს, რომ რეალური ვითარებით მოსახლეობის ესა თუ ის უმცირესობანი, მართლაც, ჩაგვრას განიცდიან.

მაგრამ აქ ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთს, ჩვენის აზრით, ფრიად საინტერესო, თითქოსდა „კურიოზულ“, ამბავს ამ მხრივ.

კერძოდ, საქმე ეხება იმ ვითარებას, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა „დაჩაგრული“, „დისკრიმინირებული“ აღმოჩნდეს საზოგადოების თუ მოსახლეობის არა მაინცა და მაინც უმცირესი, არამედ სწორედ მისი უმრავლესი ნაწილიც. და, მართლაც, „არანორმალურ“ სიტუაციაში ასეთი რამეც ხომ შეიძლება მოხდეს. და ხდება კიდეც.

აი, ავიღოთ საქართველოს მაგალითი ეროვნული კუთხით: საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თავად ქართველობა უარეს დღეშია, ვიდრე ე.წ. უმცირესობანი ამ თვალსაზრისით. ასე რომ, შეიძლება დაისვას საკითხი ამა თუ იმ ვითარებაში თავად მოსახლეობის უმრავლესობის „ჩაგვრისა“ თუ „დისკრიმინაციის“ საკითხისა, საპირისპიროდ ყბადაღებული მაინცდამაინც უმცირესობათა ამ მხრივ ჩაგვრისა თუ დისკრიმინაციის საკითხისა.

მოკლედ, უმრავლესობის სტატუსი ავტომატურად მუდამ როდი გულისხმობს მაინცა და მაინც უპირატესობას სიკეთის მხრივ, არამედ, პირიქით, უარეს მდგომარეობასაც კი განსაკუთრებულ სიტუაციაში. ამ დროს, პირიქით უმცირესობებმა შეიძლება „დაჯაბნონ“ უმრავლესობანი. ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია მთელ რიგ გარემოებებზე, რაც ხელსაყრელი იქნება უმცირესობისათვის, ხოლო არახელსაყრელი კი - თავად უმრავლესობისათვის ამა თუ იმ ქვეყანაში.

ასე რომ, შესაძლოა პრინციპში ვილაპარაკოთ არა მხოლოდ უმცირესობათა, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, თავად უმრავლესობათა დისკრიმინაციისა თუ ჩაგვრის შესახებაც. ყოველ შემთხვევაში აქ ყველაფერი შეფარდებითია და ყველაფერი დამოკიდებულია ზემდგომ სიტუაციაზე.

ე.წ სოციალური უმცირესობანი, ფართო აზრით, მოიცავს როგორც ბიოტურ, ისე საკუთრივ სოციალურ (ე.ი. ვიწრო აზრით სოციალურ) უმცირესობებს. „გამყოფი ხაზი“ აქ, ამ ორ ჯგუფს შორის, ფართო აზრით, „სოციალური ურთიერთობებისას“, როგორც ეს „იოლად“ შეიძლება დავინახოთ, ისაა, რომ ე.წ. ბიოტური ნაწილი ამ უმირესობებისა გამოყოფილია სწორედ რომ „ბიოტური“ პრინციპით, მაშინ როდესაც „საკუთრივ სოციალური“ ნაწილი ამავე უმცირესობებისა - სწორედ რომვე „წმინდა სოციალური“ პრინციპით.

ხოლო ამ კრიტერიუმით ანუ საზომით სოციალურ უმცირესობათა ჩვენეულ აქტუალურ ჩამონათვალში კი სოციალურ უმცირესობათა პირველ წრეში მოხვდება ე.წ. „რასობრივი“ და „სექსუალური“ უმცირესობანი, ხოლო მათ მეორე ნაწილში - ყველა სხვა უმცირესობანი ჩვენს ჩამონათვალში.

თუმცა კი აქ ჩვენ სოციალურ უმცირესობათა ე.წ. „ბიოტურ“ ნაწილთან დაკავშირებით მაინც უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ, რაკიღა ეს ნაწილიც სოციალური უმცირესობებისა მაინც სოციალურ უმცირესობათა რიგში გადის, ეს შემთხვევითი როდია, ვინაიდან არც, დავუშვათ, რასობრივი და არც, ასევე, დავუშვათ, სექსუალური უმცირესობანი, რომლებიც, ჩვენის აზრით, სოციალურ უმცირესობათა ამ პირველ - ბიოტურ ნაწილში გადის, იმის გამო, რომ ისინი ადამიანის მაინც სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილებია, ისინი ცხოვრების ამის გამო მაინც სოციალურ უმცირესობათა რიგში გადიან. აქ კი ამოსავალი ის არის, რომ ადამიანი, რომელიც ქმნის საზოგადოებას, უკვე თავისთავად ბიოსოციალური არსებაა. ადამიანი, მართლაც, მხოლოდ წმინდა სოციალური არსება როდია. თუმცა აქ ხომ მაინც მთავარი სოციალური მხარეა. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ იმას, რომ ადამიანი სოციალური არსებაა. ეს როდი უშლის ხელს იმას, რომ ადამიანი ამავე დროს ბიოსოცილური არსება იყოს.

ერთი არ უშლის ხელს მეორეს. მთავარი აქ ხომ სოციალური მხარეა ადამიანისა და არა ბიოლოგიური. თუმცა კი ეს სოციალური მხარე ადამიანისა მისი ბიოტური მხარის გარეშეც არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რასობრივი და სექსუალური უმცირესობანი საკუთრივ კი გადიან ბიოტურ ნაწილში სოციალური უმცირესობებისა, მაგრამ ისინი ასევე საერთო ჯამში მაინც გადიან სოციალურ უმცირესობათა რიგში.

ყოველივე ამ განმარტებიდან, და, მაშასადამე, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთრივ სოციალური უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების ცხოვრებაში, ვიდრე ბიოტური მასში, ჩვენ ჯერ გავარჩევთ პირველი რიგის უმცირესობათა პრობლემებს, ხოლო შემდეგ კი - მეორე რიგისას (პირველი იმ ნაწილს უკავშირდება ჩვენის ცხოვრებისას, რომელიც საკუთრივ სოციალურ სფეროს ეხება, ხოლო მეორე - იმ ნაწილს, რომელიც ბიოტურ სფეროს ეხება ადამიანთა ცხოვრებისას).

ახლა კი გადავიდეთ აღნიშნულ აქტუალურ სოციალურ უმცირესობათა უშუალო ანალიზზე.

უპირველესად აქ ჩვენ, ვფიქრობთ, ე.წ. კლასობრივ სოციალურ უმცირესობებს უნდა შევეხოთ.

ე.წ. საზოგადოებრივი უმცირესობანი ჩვენ შეგვიძლია სულ სხვადასხვა პრინციპით სხვადასხვანაირად დავყოთ, მაგრამ ყველაზე აქტუალური სახით ისინი მაინც ძირითადად შემდეგნაირად იყოფა თანამედროვე სოციალოგიაში. ესენია: კლასობრივი, ეთნიკური, ენობრივი (ლინგვური), რელიგიური, კულტურული, ასაკობრივი, სექსუალური უმცირესობანი. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიდაოთ იმის შესახებ, თუ რა თანმიმდევრობით დავალაგეთ ეს უმცირესობანი ჩამოთვლისას თავისი მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს უმცირესობანი მაინც ამჟამად უფრო იწევს წინ პრობლემურობის, რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემურობის მხრივ.

აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ „სოციალურ გაჭირვებაში“ მყოფი უმცირესობების კუთხით ყველა ეს უმცირესობანი ერთნაირად როდი ქმნიან, თუ ასე შეიძლება ითქვას, „არანორმალურ“ მდგომარეობაში მყოფ უმცირესობებს. განსაკუთრებით ეს შეეხება ე.წ. სექსუალურ უმცირესობებს. მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, ყველა ეს უმცირესობანი თავ-თავიანთი კუთხით მაინც იმყოფებიან გარკვეული პრობლემის სიტუაციაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენეულ ჩამონათვალში ე.წ. „კლასობრივი“ უმცირესობანი არც კია ჩვეულებრივ გამოყოფილი სოციალურ უმცირესობათა, რა თქმა უნდა, „გაჭირვებულ“ სოციალურ უმცირესობათა რიგში, მითუმეტეს, პირველ რიგში, რაც ჩვენ უსამართლობად მიგვაჩნია და ამას თავისი შორს და ღრმად მიმავალი მიზეზები აქვს. მაგრამ ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ. განა, დავუშვათ, რეალურად არ არსებობს თუნდაც სოციალურ ჯგუფებს შორის ე.წ. მიუსაფრობის ანუ უსახლკარობის პრობლემა? განა ეს ადამიანები „ღარიბ-ღატაკთა“ კატეგორიისანი არ წარმოადგენენ ნამდვილ პრობლემას? განა მათი მდგომარეობა ჩვენთვის„ „ამაღელვებელი“ არ უნდა იყოს? განა მათზე ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ? სხვა ამბავია კიდევ „კლასობრივი“ პრინციპით დაჩაგრული, დისკრიმინირებული დანარჩენი სოციალური უმცირესობების პრობლემაც.

ასე რომ, ჩვენს მიერ წინ წამოწეული ე.წ. „კლასობრივი“ უმცირესობის საკითხი სხვა პრინციპით სოციალურ უმცირესობათა რიგში უაღრესად აქტუალურია. და ისევ, ნუთუ, მაგალითად, „სიღატაკის ზღვარზე“ მყოფი საზოგადოების „უმცირესი“ ნაწილი არაა საზოგადოებისათვის პრობლემა? განა ისინიც ჩვენი ყურადღების გარეშე უნდა დარჩნენ. და ა.შ და ა.შ.

კლასობრივ უმცირესობათა ქვეშ აქ ჩვენ გვესმის ამა თუ იმ სოციალური კლასის ის ჯგუფები, რა თქმა უნდა, უმცირესი ჯგუფები, რომლებიც განიცდიან ჩაგვრას ანუ დისკრიმინაციას ამ ასპექტით, ე.ი. სახელდობრ „კლასობრივი“ პრინციპით.

კლასობრივი პრინციპით ჩაგვრა თუ დისკრიმინაცია ეს ხომ ცნობილი ფაქტია და მასზედ „თვალის დახუჭვა“ არ ეგების. და, მართლად, განა ესეთი ჩაგრული ნაწილი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებისა მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც კი რეალური ფაქტი არ არის?

აქ კი ჩვენ უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ არსებობს არა მხოლოდ ამა თუ იმ კლასის შიგნით რომელიმე ნაწილის ჩაგვრა თუ დისკრიმინაცია, არამედ, უფრო მეტიც, არსებობს საერთოდაც ამა თუ იმ სოციალური კლასის ჩაგვრაც თუ დისკრიმინაციაც მთელი სოციალური კლასების ფარგლებში თუ მასშტაბით. განა, მართლაც, ყველა სოციალური კლასი ამ ქვეყნად სამართლიან მდგომარეობაში იმყოფება? განა იმ „დაბალ“ კლასებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ერთს ძალიან, სხვათა შორის, ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენენ, რაიმე პრობლემები ამ მხრივ არ გააჩნიათ? (აქ ჩვენ უმცირესობაში, მართლაც, არ გვესმის არითმეტიკული უმცირესობა, ჩვენ აქ, ამ შემთხვევაში, იგი გვესმის როგორც თვისობრივი უმცირესობა, რომელიც ბევრად „ერთი მუჭა“ ექსპლუატატორების, მჩაგვრელების მხრიდან განიცდიან უფლებათა

შელახვას). ხოლო ის, რომ ეს არ უნდა იყოს ეგ რაიმე საიდუმლოა? ოღონდ სხვა საკითხია ის, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამას ფარავენ და ნიღბავენ. ხოლო ის რომ ეს ასეა, თუნდაც იმ „სოციოლოგიურ“ მიდგომაში ჩანს ამ საკითხის მხრივ, რომ თანამედროვე დასავლური სოციოლოგია თანამედროვე საზოგადოების კლასებს „მაღალ, საშუალო და დაბალ“ კლასებად ყოფს და ამით „აფუჩეჩებს“ კლასობრივი ექსპლუატაციის ფაქტს.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი მდგომარეობა, მართლაც, შეიძლება ჩვენ დავყოთ მაღალ, საშუალო და დაბალ კლასებად. და ეს სწორიც იქნება, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს „ნეიტრალური“ ტერმინოლოგია შეიძლება კლასობრივი ჩაგვრისა თუ დისკრიმინაციის „დაფარვადაც“ კი აღვიქვათ, თითქოსდა ჩაგვრა და დისკრიმინაცია თანამედროვე კაცობრიობაში არც კი იყოს, თითქოსდა აქ უბრალოდ მხოლოდ მაღალი, საშუალო თუ დაბალი კლასები არსებობდნენ თავიანთი მდგომარეობით. მაგრამ განა ეს მდგომარეობანი ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ მათ შორის ურთიერთობა აუცილებლად სამართლიანი იყოს? ჩვენ ვფიქრობთ და არა მარტო ჩვენ, არამედ ეს რეალური ფაქტიცაა, რომ საქმე რეალურად მთლად ეგრე როდია. ე.წ. „საყოველთაო კეთილდღეობის“ თეორიით ერთი ვინმე ცნობილი ამერიკელი სოციოლოგისა ჩვენ ამ მხრივ მთლად სწორი როდი გვგონია საქმე სინდისის წინაშე.

ამიტომ კლასობრივი პრინციპითაც საზოგადოების შიგნით სოციალურ უმცირესობათა პრობლემა ჩვენ რეალურად მიგვაჩნია და ამას კაცობრიობის მხრიდან დიდი მიხედვა სჭირდება, მიხედვა ამ პრობლემის სწორედ მიფუჩეჩების, მისი უგულვებელყოფის, მისი „ვერდანახვის“ გამო. მაგრამ „თვალის დახუჭვა“ აქ არაფერს შველის.

რაც შეეხება დანარჩენ სოციალურ უმცირესობებს, რომლებიც ჩვენს სიაში გამოყოფილია მათი პრობლემური აქტუალურობისა გამო, ყველა მათგანი აღიარებულია თანამედროვე ოფიციალური სოციოლოგიის მიერ რეალურად და ამ მხრივ პრობლემას არ ქმნიან.

იმის გამო, რომ რასობრივი, ეთნიკური, ენობრივი, კულტურული უმცირესობების პრობლემა ერთმანეთის მსგავსია იმ კუთხით, რომ ეს უმცირესობანი, მართლაც, განიცდიან ბევრ შემთხვევაში ჩაგვრასა და დისკრიმინაციას, ჩვენ მათ მოკლედ, მაგრამ საერთო პლანში მაინც განვიხილავთ (განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ რასობრივი უმცირესობანი მხოლოდ რასობრივი ხაზით, ეთნიკური - ეთნიკურით,

ენობრივი - ენობრივით, ხოლო კულტურული - კულტურული ხაზით გამოყოფილი უმცირესობანია).

ყველა ამგვარ უმცირესობათა დისკრიმინაცია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემებია და მილიონობით ადამიანი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არასახარბიელო მდგომარეობაშია, რაც ფრიად არანორმალური ვითარებაა და მას ყველანარიად უნდა ვებრძოდეთ. ის, რაც ადამიანის უფლებებს ლახავს ყველა ამ მხრივ, ეწინააღმდეგება ადამიანური ცხოვრების მთავარ ბუნებას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ადამიანთა თანასწორობის უდიადეს იდეას და „ჩირქს სცხებს“ მის ღირსებას. სწორედ ამიტომაც „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც“, რომელიც 1948 წელს მიიღო გაერომ და უპირველეს ფუნდამენტურ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს მთელი კაცობრიობის მასშტაბით, ყველა ამ უმცირესობის შესაბამისი უმრავლესობების მიმართ თანასწორუფლებიანობას საქვეყნოდ აღიარებს.

და, მართლაც, რა დიდი მტკიცება სჭირდება და, ყოველ შემთხვევაში კი, უნდა სჭირდებოდეს იმას, რომ კაცობრიობის ნებისმიერ ერთობაში - იქნება ეს რასობრივი, ეთნიკური, ენობრივი, კულტურული თუ სხვადასხვა ერთობანი - არ უნდა სუფევდეს არანაირი უთანასწორობა და არ უნდა შეილახოს ამ მხრივ ადამიანის საყოველთაო უფლებანი? მოკლედ არც რასობრივი, არც ეთნიკური, არც ენობრივი, არც კულტურული ხაზით ჩაგვრა და დისკრიმინაცია უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის მიმართ, იმის გამო, რომ ისინი სახელდობრ უმცირესობანია, არაფრით არ შეიძლება და არც შეიძლება და, მითუმეტეს თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით, სრულიად მიუღებელია.

ხოლო რაც შეეხება ე.წ. სექსუალური უმცირესობის საკითხს, აქ კი ნამდვილად საჭიროა გარკვეული შენიშვნების გაკეთება. საერთოდ ეს საკითხი, საკითხი სექსუალური უმცირესობებისა, მითუმეტეს, თანამედროვე აზროვნების შუქზე, ძალიან მტკივნეულია იმ აზრით, რომ იგი ეხება ძალიან ინტიმურ ამბავს ადამიანის ცხოვრებისას და ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებაში.

საქმე ისაა, რომ სექსუალური უმცირესობების კუთხით ამ ბოლო ხანებში წარმოიშვა მთელი რიგი მიმართულებანი, რომლებიც მოითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას თანასწორად ადვილად იმ უფლებებისა, რომლებიც აღიარებულია სხვა უმცირესობათა უფლებებთან მიმართებით.

აქ კი ჩვენს დამოკიდებულებად, თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით, ამ საკითხისადმი ის მიგვაჩნია, რომ ამ უმცირესობათა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა

უმცირესობის შემთხვევაში, არ მოხდეს რაიმე დისკრიმინაცია ანუ ჩაგვრა. იგულისხმება ძალადობა მათ მიმართ, იმიტომ, რომ ყოველგვარი ძალადობა მიუღებელია საერთოდ. მაგრამ აქ ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ მოხდეს კანონის დარღვევა, იმ კანონისა, რომელიც საზოგადოებას მოიყვანს დისჰარმონიაში.

საქმე ისაა, რომ ყოველგვარი სექსუალური დამოკიდებულებანი სქესთა შორის, მართლაც, ეგეთი როდია. არის ისეთი სექსუალური დამოკიდებულებანი, რომლებიც საზოგადოებას ზიანს არ აყენებენ, პირიქით, მას ბუნებრივ კალაპოტში აქცევენ და ისეთნიც, რომელნიც, ამ მხრივ, პირიქით, მას გარდააცდენენ ამ კალაპოტიდან, ვინაიდან დადგენილია ღმერთის მიერ და მიღებულია ბრძენთა მიერ და აღიარებულია კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილის მიერ ამ მხრივ მისაღები ნორმები. ეს ნორმები „აპრობირებულია“ ანუ „შემოწმებულია“ მსოფლიო ისტორიით და ამ ნორმების გადალახვა ცუდს უქადის კაცობრიობას, იმიტომ, რომ ეს ძალიან სწორედ რომ ინტიმური მხარეა ადამიანთა თანაცხოვრებისა და აქ დაშვებული დარღვევანი მძიმედ გამოიღებენ ნაყოფს.

სოციალურ უმცირესობათა საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით, ჩვენ აქ უნდა შევეხოთ კიდევ ერთს მნიშვნელოვან მომენტს. ეს მომენტი კი კონკრეტულად გულისხმობს სოციალურ უმცირესობათა არა მხოლოდ უფლებათა, არამედ, ამ უფლებებთან შედარებით, მათი მოვალეობების საკითხსაც.

საქმე ისაა, რომ ამ მომენტს მოცემულ საკითხში საერთოდ აქამდე არავითარი ყურადღება არც კი ექცეოდა, რაც ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია. საქმე აქ, ამ შემთხვევაში ისაა, რომ სოციალური უმცირესობების მხრიდან ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს კანონის სრულიად საწინააღმდეგო დამოკიდებულებანიც უმრავლესობათა მიმართ. ასე, მაგალითად, ზოგიერთმა მცირე ეთნიკურმა უმცირესობებმა ამა თუ იმ სახელმწიფოში შეიძლება წამოაყენონ თავიანთ პრეტენზიებიც ანუ მოთხოვნებიც კი მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა მათში. ხოლო ასეთი შემთხვევები კი ისტორიამ ბევრი იცის. თუმცა ეგეთი რამ, მართლაც, არ შეიძლება, ვინაიდან ეს ისტორიულად შეიძლება გამართლებული არც კი იყოს.

იგივეს ვიტყოდით ამ მხრივ სოციალური უმცირესობის პრობლემის შიგნით ე.წ სექსუალური უმცირესობის, სახელდობრ კი ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციების მქონე ადამიანთა უმცირესობის კუთხითაც, ვინაიდან მათაც შეიძლება მოახვიონ და კიდევაც ახვევენ თავს საზოგადოების დანარჩენ, რა თქმა უნდა, უმრავლეს ნაწილს თვიანთ უფლებებს.

მაგრამ რა ქნას ამ დროს უმრავლესობამ? ხომ არ გამოდის ისე, რომ უმცირესობა კარნახობს კიდევაც თავის მოთხოვნებს უმრავლესობას? ხომ არ გამოდის ამ შემთხვევაში სრულიად საპირისპირო ყოველგვარი „საღი აზრისა“, რომ, პირიქით უმრავლესობა უნდა იყოს „ბატონი“ საზოგადოებისა და არა მისი უმცირესობა?

ყოველ შემთხვევაში, აქ ჩვენ რაღაც კანონი უნდა ვიქონიოთ სახელმძღვანელოდ, ვინაიდან, თუ საერთო რამ კანონი არ განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაშინ საზოგადოება საერთოდ დაინგრევა და მეტი არაფერი. კანონს უჭირავს ქვეყანა და არა სხვა ყველაფერს! ეს კანონი კი ღმერთმა დაადგინა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

ასე რომ, სოციალურ უმცირესობათა საკითხის განხილვისას აუცილებელია მათი არა მხოლოდ უფლებების, არამედ მათი მოვალეობების წინ წამოწევაც, რა თქმა უნდა, თავ - თავისი ადგილით. უფლებანი და მოვალეობანი აქ ერთიან მთლიანს ქმნიან და „ბალანსი“ მის შიგნით არც უნდა დაირღვეს.

დაბოლოს, როცა ჩვენ ვეხებით სოციალურ უმცირესობათა პრობლემებს, აქ ჩვენ განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ე.წ სექსუალურ უმცირესობათა საკითხსაც, რომელმაც ამ ბოლო ხანებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიიპყრო დიდი ყურადღება, უფრო სწორედ, დიდი გამოხმაურება პოვა.

საქმე ისაა, რომ ეს უმცირესობანი არა მხოლოდ მოითხოვენ თავიანთი უფლებების სამართლებრივ აღიარებასაც კი, არამედ, უფრო მეტსაც, ისინი თავსაც კი ახვევენ ამ უფლებებს მთელს დანარჩენს კაცობრიობას, „გადიან რა ყოველგვარ ზღვარს“ ამ მხრივ, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან უმცირესობის უფლებანი ყოველ შემთხვევაში არ უნდა გასცილებოდა მაინც თავის საზღვრებს.

ხოლო სხვა საკითხია ისიც, თუ რამდენად სწორია მათი პრეტენზიები თავის მხრივაც, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგებიან ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ და იურიდიულ ნორმებს. ეს კი მიუღებელია, რადგანაც ამას მივყავართ საზოგადოებრივი ცხოვრების დისჰარმონიამდე, რაც ზიანს აყენებს კაცობრიობას, მის პროგრესს. მართლაც, განა ყოველგვარი და, მაშასადამე, სექსუალური გადაგვარებანიც კაცობრიობისათვის ზიანის მომტანი არაა, თუ ისინი ამ შემთხვევაში, მართლაც, გადაგვარებანია (ამ საკითხზე კი ცალკე თავში, რომელიც უკვე შეეხება საკუთრივ ე.წ „არატრადიციულ სექსუალურ უმცირესობათა“ თემას)? გადაგვარებანი კი ამ შემთხვევაში უნდა გაიზომოს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად „ბუნებრივია“ ესა თუ ის სექსუალური პრეტენზიები მათი მომხრეების მხრიდან.

დასკვნის სახით, სოციალურ უმცირესობათა პრობლემის ხაზით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ ყოველგვარი სოციალური უმცირესობის უფლება-მოვალეობანი, გინდა არ გინდა, ყველა შემთხვევაში, მაინც კაცობრიობის საყოველთაო ცხოვრების კანონში, მის ზოგად „ქარგაში უნდა ჩაჯდეს“. სხვანაირად არც გამოვა, ვინაიდან მაშინ მთელს საზოგადოებას ზიანი მიადგება. ხოლო, თუ ყველაფერი ამ მხრივ მაინც კანონის ფარგლებში ჩაჯდება, მაშინ, ბუნებრივია, რომ ყოველი კანონით სოციალური უმცირესობის უფლებანი კაცობრიობის ნორმალური ცხოვრების წესი უნდა გახდეს.

ასეთია, ჩვენის აზრით, სოციალური უმცირესობების პრობლემის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

XIII. გენდერის პრობლემა თანამედროვე

აზროვნების თვალსაზრისით

1. ე.წ. გენდერის ცნება

2. სქესი და გენდერი

3. ე.წ გენდერული უთანასწორობა - თანასწორობის შესახებ

4. გენდერული თანასწორობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების შუქზე

გენდერის პრობლემა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა იმ აზრით, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო „დამძიმებულია“ მიმდინარე ეპოქის გამოწვევებით ამ მხრივ. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციების საკითხი.

„გენდერით“ თანამედროვე სოციოლოგია აღნიშნავს დედაკაცებსა და მამაკაცებს შორის სოციალურ განსხვავებას. მოკლედ რომ ვთქვათ, გენდერი ეს სოციალური განსხვავებაა ამ ორ სქესს შორის. ხოლო სქესი, გენდერისაგან განსხვავებით, ესაა უკვე ბიოტური განსხვავება მათ შორის.

უწინდელ პერიოდში ამ ორ ცნებას, ანუ გენდერსა და სქესს, შორის განსხვავება არ იყო გატარებული და ისინი იგივეობრივად იყო წარმოდგენილი. ამჟამად კი მათ შორის სხვაობას ატარებენ ხოლმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სქესი და გენდერი, მათ შორის განსხვავება-მსგავსების კუთხით, არ შექმნიდა პრობლემას, მაგრამ იმის გამო, რომ თანამედროვე სოციოლოგიის აწ უკვე გაბატონებულმა წარმომადგენლებმა ასეთი რამ სხვაობა მათ შორის გაატარეს, „უმრავლესობის კანონიდან“ გამომდინარე, ჩვენც ამ შემთხვევაში ამ ტერმინებს, ესე იგი „გენდერსა“ და „სქესს“, ამ, განსხვავებული მნიშვნელობით მოვიხმართ.

ისე კი ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ ორ ცნებას შორის სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ სქესი უფრო ფართე ცნებაა, ხოლო გენდერი - უფრო ვიწრო ცნება. ეს უკანასკნელი შედის პირველში, პირველი მოიცავს მეორეს. და თუ გენდერში ჩვენ მოვიაზრებთ დედაკაცებსა და მამაკაცებს შორის სოციალურ განსხვავებას, განა ეს შეუშლიდა ხელს იმას, რომ იგი შესულიყო ადამიანური სქესის ცნებაში? განა სქესი ადამიანის მთლიანი განსაზღვრება არაა მისი როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური განზომილების კუთხით? განა ადამიანი „ბიოსოციალური არსება“ არ არის? განა ერთი - „ბიოლოგიური“ მეორესთან - „სოციალურთან“ მასში ერთმანეთთან მჭიდროდ არაა

დაკავშირებული? ჰოდა, მაშინ რატომ უნდა დავაშოროთ ეს ორი მხარე ერთმანეთს - ერთს მთლიან არსებაში ადამიანისას?

მაგრამ ჩვენც აქ ამის მიზეზად, ანუ მიზეზად იმისა, რომ ეს ორი მხარე ადამიანის არსებისა - მისი ბიოლოგიური და მისი სოციალური მხარე ერთმანეთისაგან განაცალკევოს, მივიჩნევთ იმ შეხედულებებს თანამედროვე მსოფლიოში, რომელთა მიხედვითაც უნდათ ადამიანის სოციალური მხარე დააშორონ მათს ბუნებრივ საფუძველს, რითაც ამით შემდგომ მეტი მანიპულირების საშუალება მიეცეთ გარკვეულ ძალებს, განხეთქილება შეიტანონ ადამიანთა ცხოვრებაში, თითქოსდა ეს სოციალური მხარე სრულიად მოწყვეტილი იყოს მის ბიოლოგიურ მხარეს და ამით საშუალება შეიქმნას ადამიანის სქესობრივ ცხოვრებაში „არეულობა“ იქნეს შეტანილი.

მაგრამ სინამდვილეში საქმე როდია ეგრე, ვინაიდან ადამიანის ბუნებრივი მხარე აუცილებელ კავშირშია მის სოციალურ მხარესთან, როგორც მისი საფუძველი და ამიტომ ეს საფუძველი სადღაც ხომ საძირკველს ქმნის მისი სოციალური მხარისათვის, რომელსაც ეს სოციალური მხარე მაინც განსაზღვრავს. ამიტომ ადამიანის სქესი ეს ერთიანი რამ წარმონაქმნია მისი სქესობრივი კუთხითაც და ეს სქესიც ადამიანისა ჩვენ შეგვიძლია განგვეხილა დედაკაცებსა და მამაკაცებს შორის განსხვავების ამბავში მაინც ერთ მთლიან ფენომენად, როგორიც ბიოტური, ისე სოციალური განზომილების ერთობაში.

ამ მხრივ სქესის ცნება მომცველი იქნებოდა გენდერისაც და არა ისე, როგორც ახლა ეს ხდება - ერთი მეორისაგან განსხვავებული ხდება.

და მაინც, იმის გამო, ვიმეორებთ, რომ „სქესსა“ და „გენდერს“ შორის სრულიად გამომრიცხავ განსხვავებას ატარებენ ამ ბოლო ხანებში, ამიტომ ჩვენც, ამის გათვალისწინებით ჩავატარებთ შემდგომ ანალიზს გენდერის პრობლემისას.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენ აქ უნდა მოვიტანოთ ციტატები თანამედროვე სოციოლოგების მხრიდან იმის თაობაზე, თუ როგორ ესმით მათ ეს პრობლემა, პრობლემა სქესისა და გენდერისა, რათა ჩვენც უკეთესად განვსაჯოთ ამის შესახებ.

აქ კი ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების მოსაზრებები ამ ცნებებზე.

ასე, მაგალითად, ნეილ სმელზერი ამბობს: „სოციოლოგები იკვლევენ განსხვავებებს მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის სქესობრივი იდენტობის ოთხი კომპონენტის

საფუძველზე: ა) ბიოლოგიური სქესის, ანუ იმ პირველადი და მეორადი ნიშან-თვისებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის კუთვნილებას მამაკაცური თუ დედაკაცური სქესისადმი; ბ) გენდერული იდენტურობის, ანუ თავისი სქესის გაცნობიერებისა; გ) მამაკაცებისა და დედაკაცების ქცევის გენდერული იდეალების, ანუ კულტურული სტერეოტიპებისა; დ) სქესის შესაბამისად სექსუალური როლების, ანუ შრომის უფლებებისა და მოვალეობების დანაწილებისა“ (40, გვ 358).

ქრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი ამბობენ: „გენდერი უფრო მეტია, ვიდრე ბიოლოგია“ (7, გვ. 376); „ტერმინი „სქესი“ „ასახავს ბიოლოგიურ განსხავებას, რომელიც რეპროდოქციულ ფუნქციას ეხება... „ტერმინი „გენდერი“ ნიშნავს არაბიოლოგიურ, კულტურითა და სოციალური ფაქტორებით განპირობებულ განსხვავებას დედაკაცსა და მამაკაცს და დედაკაცურობასა და მამაკაცურობას შორის (...)“ (7, გვ. 376); „... სინამდვილეში სქესებს შორის ბევრად უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება“(7, გვ.377).

არსებითად მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამენ კიდევ სხვა მოაზროვნენიც ამ საკითხთან დაკავშირებით, იქნება ეს ენტონი გიდენსი (19) თუ სხვანი და სხვანი.

ეს მოსაზრებანი სქესისა და გენდერის ცნებათა შორის განსხვავების ამბავში ჩვენ აქ მოვიტანეთ გარკვეულ მასალად, რათა ამის საფუძველზე უკვე „წინ წავწიოთ“ ჩვენი პრობლემა - პრობლემა გენდერისა.

გენდერის პრობლემა ანუ პრობლემა როგორც სოციალური განსხვავებისა დედაკაცთა და მამაკაცთა სქესს შორის უკვე სოციალური ასპექტით ეს, მართლაც, დიდი პრობლემაა, მით უმეტეს ეხლა, თანამედროვე ეპოქაში, ვინაიდან თანამედროვე ეპოქამ რევოლუციური ძვრები „აღძრა“ კაცობრიობის ისტორიაში. კერძოდ, აქ მოხდა წინ წამოწევა ე.წ. „ფემინისტური მოძრაობისა“ ანუ მოძრაობისა, რომელმაც წინ წამოსწია „ქალის უფლებები“, რა თქმა უნდა, „კაცის უფლებებთან“ შედარებით.

ხოლო ეს კი, თავის მხრივ, თავის დროზე, მართლაც, დიდად მისასალმებელიც კი იყო, იმიტომ, რომ კაცობრიობამ ამ თვალსაზრისით დიდი ხნის განმავლობაში „ძალიან მიქარა“. მე-19 საუკუნე ამ მხრივ, ანუ გენდერის პრობლემის წინ წამოწევის კუთხით, ნამდვილად, ძალიან რომ მნიშვნელოვანი ერთგვარი „გარდატეხის საუკუნეც“ კი იყო ამ თვალსაზრისით.

საქმე ისაა, რომ არ არსებობს ტრადიცია, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს, თუ იგი, მართლაც, შესაცვლელია, თუ ამას მოითხოვს დრო და სივრცე (თუმცა კი არსებობს „მარადიული“, თუნდაც სოციალური ტრადიციები). ამ საუკუნეში მოხდა ის დიდი

ძვრები ქალთა უფლებების დაცვის მოთხოვნის კუთხით, საიდანაც დაიწყო სწორედ ეს ნამდვილი „ფემინისტური“ მოსაზრება.

ამ, ფემინისტურ მოძრაობასთან თუ მოძღვრებასთან დაკავშირებით კი ჩვენც გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი, რომ ეს მოძრაობა ტყუილად კი არ წარმოშობილა, არამედ მას თავისი ღრმა მიზეზები აქვს, ე.ი. იყო გარკვეული ჩაგვრა თუ ექსპლუატაცია ამ მხრივ და ამის უგულვებელყოფა, მართლაც, „თვალის დახუჭვა“ იქნებოდა ჩვენგან. ამას კი იმიტომ ვამბობთ, რომ არსებობს ამ თვალსაზრისით ის მოსაზრებაც, რომ თითქოსდა ეს პრობლემა „ხელოვნური“ რამაც კია და იგი ნამდვილად არც უნდა არსებობდეს.

მაგრამ ეგ, ჩვენის აზრით, სრულიად არასწორი ხედვაა ამ მოვლენისა, ვინაიდან განა ცხადი არაა მთელი ისტორიის გამოცდილებით ის, რომ ქალის ჩაგვრა იყო კაცის მხრიდან? ამისი „მილიონი“ ფაქტი არსებობს და ჩვენც ამ მხრივ ამის გასაბათილებლად რაიმე ღონეს არც კი ვეძიებთ.

ასეა თუ ისე, ეს პრობლემა არსებობს. და სხვათა შორის, ეს პრობლემა ეხლაც არსებობს და მერე კიდევ როგორ? ეს პრობლემა ძალიან მწვავედაც კი დგას დღეს იმიტომ, რომ აურაცხელი შემთხვევაა აღნიშნული ამ მხრივ ქალთა უფლებების შელახვისა.

აქ ჩვენ ამასთან დაკავშირებით შეიძლება ჩამოვთვალოთ უამრავი ფორმა თუ სახე ჩაგვრისა ქალთა უფლებების შელახვის განასერით. მაგრამ შეგვიძლია თუნდაც ერთი მაგალითის სახითაც კი ნათელი გავხადოთ ამ „უბედურების“ რაობაც. ეგაა, დავუშვათ, ე.წ. „ტრეფიკინგი“, როცა ხდება ამ, ტრეფიკინგის ნაწილში ქალების სექსუალური გამოყენებაც კი და ყოველგვარი სხვანაირი გამოყენება ამა თუ იმ ინდივიდის ყოველგვარი უფლების აბუჩად აგდების ხარჯზე.

გენდერის პრობლემა ეს ნამდვილი პრობლემაა, ვინაიდან ეს საკითხი ჩვენს საზოგადოებაშიაც კი, არათუ, მითუმეტეს, ძველ საზოგადოებებში ხომ პრობლემა იყო, ხოლო ეს კი აღქმულია უფრო ქალების ჩაგვრის მხრივ, მაგრამ, მოდით, აქ ჩვენ ერთი ეგეთი ახალი მომენტიც შევნიშნოთ ამ პრობლემის ამბავში.

კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს უკვე თავად მამაკაცების ჩაგვრის მომენტიც ქალთა მხიდან, ვინაიდან ეგეთი რამეებიც კი ხომ, მართლაც, არსებობს? მართალია, აქ, ამ მხრივ უფრო ნაკლები რამ „გარდაცდენებია“, მაგრამ ფაქტიურად ხომ ეგეთი რამეებიც არსებობს?

ამიტომ გენდერული პრობლემის განხილვისას ჩვენ აქ უნდა გავითვალისწინოთ ეს მომენტიც.

ამ მომენტთან დაკავშირებით კი ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საერთოდ კაცობრიობის მთელი ცხოვრება ესაა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „გზა ტრადიციისა“ ანუ „გზა გადმოცემისა“, რომელსაც, მართლაც, „ვერავინ აუვლის“. და რომ არსებობს ერთგვარი ხაზი, რაღაც მსოფლიო, საკაცობრიო, რომელიც იცვლება კიდეც, მაგრამ არც კი იცვლება. და, აი, ის, რაც არ იცვლება და რაც იცვლება, ეს ორი მომენტია საკაცობრიო ისტორიისა და ამიტომ აქაც, გენდერის საკითხშიაც, ჩვენ ეს უნდა დავიმახსოვროთ. ე.ი. არსებობს რაღაც შესანარჩუნებელიც კი ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში, ოჯახური ურთიერთობის ამბავში და რაღაც კიდევ „გადასახდელები“ ამ მხრივ. ყოველ შემთხვევაში ისტორია ამას გვიკარნახებს, ხოლო ჩვენ კი ამას ხელი უნდა შევუწყოთ.

გენდერის პრობლემასთან დაკავშირებით ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ ქალის როლი ისტორიაში არანაკლებია, ვიდრე მამაკაცებისა. ოღონდ ქალის როლი ძალიან მიჩქმალული იყო და იგი სახლთან იყო მიკავშირებული, ასოცირებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალების როლი ისტორიაში არანაკლები მაინც იყო მამაკაცებისა, ოღონდ ეგ უკვე წარმოჩენილი არ იყო.

და მაინც რაც არ უნდა იყოს, გამომდინარე ფაქტიდან, რომ არსებობს ძალიან დიდი რამ ჩაგვრა ქალებისა მამაკაცების მხრიდან გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყოვლად მიუღებელია და რომ კაცობრიობა ეს მთლიანი წარმომავლობაა დედისაც და მამისაც.

სწორედ ამ არსებული ჩაგვრისა დედაკაცებისა მამაკაცების მხრიდან წარმოიშვა ის დიდი სოციალური მოძრაობაც ისტორიაში, რომელსაც „ფემინისტური მოძრაობა“ ეწოდება.

ხოლო „ფემინისტური მოძრაობის“ შესახებ აუცილებელი რამ უნდა აღვნიშნოთ, - ის გარემოება, რომ ეს მოძრაობა, მართლაც, „ტყუილად“ როდი წარმოიშვა. ამას ხომ თავისი მიზეზები აქვს, კერძოდ კი ის, რომ ქალთა ჩაგვრა მამაკაცთაგან - ეგეც ისტორიული ფაქტია. და სოციალური დისკრიმინაციის, სამწუხაროდ, მაგრამ ერთ-ერთი ისტორიული ფაქტი, მსგავსად რასობრივი, სოციალური, კლასობრივი თუ სხვა და სხვა დისკრიმინაციის სახეებისა.

ჩვენ ამით გვინდა აღვნიშნოთ ერთგვარი „სირთულე“ ქალთა საკითხისა მსოფლიო ისტორიაში. სირთულე კი ჩვენის აზრით იმაში გამოხატება, რომ ქალები ერთის მხრივ არანაკლებ როლს თამაშობდნენ ისტორიაში ვიდრე მამაკაცები, მაგრამ ისიც სწორია, რომ გარკვეულწილად და უფრო სწორედ უმეტესწილად ისინი განიცდიდნენ ჩაგვრასაც. ერთი კი ეხება ერთ ნაწილს ქალებისას, მეორეც - მეორეს. ასე, რომ ქალთა ჩაგვრა ეხებოდა არა აბსოლუტურად მთელს ქალთა კლასს, არამედ, მის, მართალია,

უმეტეს, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაწილს, თანაც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მეტ ნაკლებად სხვადასხვანაირად.

ასე, რომ ე.წ. „ფემინისტური მოძრაობა“ ეხება არა იმ, თუ ასე შეიძლება ელიტარულ ქალებს, არამედ ქალთა კლასის უმეტეს და თანაც არაელიტარულ ნაწილს. ხოლო ის, რომ ეს საკითხი, მართლაც, დიდი პრობლემაა კაცობრიობისათვის, ეს, ისევ უპირველეს ყოვლისა ფაქტია და მას შესაბამისი მიხედვა სჭირდება. თუმცა ისედაც ნათელია, რომ ფემინისტური მოძრაობა ტყუილად კი არ წარმოშობილა ისტორიაში და ასევე ტყუილად კი არ განაგრძობს იგი არსებობას ახლაც. ეს იმიტომ, რომ ნამდვილად არსებობს ეგ პრობლემა, ე.ი ნამდვილად არსებობს მისი მიზეზები.

ფემინისტურ მოძრაობას იმხელა ისტორია აქვს თავისი დატვირთვის, რომ ჩვენ აქ ამას მთელი თავისი ნიუანსებით ვერ შევეხებით. მაგრამ აუცილებელი კია შევეხოთ მას ზოგადად მაინც თანამედროვე აზროვნების თვალთახედვით.

ყოველ შემთხვევაში ფემინისტური მოძრაობა არსებობს და იგი უმიზეზოდ როდი არსებობს, არამედ კაცობრიობის ერთი დიდი ნაწილი ქალების სახით ჩაგვრას განიცდის. ამიტომ საჭიროა ამ საქმის გამოსწორება, რათა დამყარდეს დედამიწაზე საყოველთაო ჰარმონია.

მაგრამ აქ უკვე იწყება პრობლემა, რა ჩაითვალის ქალების ჩაგვრად და რა არა.

სწორედ ამისთვისაცაა აუცილებელი ფემინისტური მოძრაობის ანალიზიც.

ფემინისტური მოძრაობა, ანუ მოკლედ, ფემინიზმი, ერთ-ერთი სოციალური მოძრაობაა კაცობრიობის ისტორიაში და იგი მამაკაცებისგან განსხვავებით დედაკაცების ანუ ქალების მათთან თანაბარუფლებიანობას გულისხმობს. თავად ტერმინი „ფემინიზმი“ ლათინური სიტყვის „ფემინასაგან“ ანუ ქართულად „დედაკაცისაგან“, ანუ „ქალისაგან“ მომდინარეობს(11). აქედან გამომდინარე კი, ფემინიზმი უკვე ქალთა მოძრაობაა საკუთარი უფლებებისათვის.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს საძიებელი უფლებანი მამაკაცთან უფლებების გათანაბრებას მოითხოვს და ამიტომ უკვე დასაწყისშივე გულისხმობს მთელს პრობლემურობას ამ საკითხისას, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს თანაბარუფლებიანობა კონკრეტულად.

ყოველ შემთხვევაში აქ თუნდაც ლოგიკურად ერთი მაინც ცხადი უნდა იყოს, ის რომ ასეთი თანაბარუფლებიანობა აბსოლუტური აზრით მიუღებელი რამ უნდა იყოს, ვინაიდან, რაკიღა არსებობს განსხვავება დედაკაცსა და მამაკაცს შორის, ხოლო ეს

აუცილებელი ფაქტია, მათ შორის თანაბარუფლებიანობაც ხომ რაღაც ფარდობითი, რაღაც რამ რელატიური ხომ უნდა იყოს.

ხოლო ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ იმას, რომ რაკიღა შეუძლებელია, არცაა მისაღები „სწორხაზოვანი“ თანაბარუფლებიანობა დედაკაცებისა და მამაკაცებისა იმ მიმართებით, რაც მომდინარეობს მათი ბიოლოგიური ანუ სქესური განსხავებიდან, მაგრამ, რაც შეეხება იმ მიმართებას, რაც მომდინარეობს მათ შორის უკვე სოციალური განსხვავებიდან, აქ კი უკვე საკითხმა შეიძლება ცოტა უფრო სხვანაირი გადაწყვეტა პოვოს. თუმცა აქაც მთელი პრობლემა დგას იმის თაობაზე, თუ რამდენად მისაღებია ამ მხრივაც თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა ამა თუ იმ საკითხში.

ე.ი. ჩვენ აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხაოთ ორი რამ „ჭრილი“ დედაკაცთა და მამაკაცთა შორის მათი თანაბარუფლებიანობის საკითხში - ბიოლოგიური, ე.ი სქესის კუთხით და სოციოლოგიური, ე.ი გენდერის კუთხით. ხოლო ამ ასპექტთა შორის განსხვავებაც უკვე განაპირობებს ადამიანის ამ ორ სქესს შორის განსხვავებას გენდერის პრობლემის კუთხითაც, ვინაიდან ეს მეორე, სოციალური ასპექტი ადამიანის სქესთა შორის თანაბარუფლეობიანობის მომენტში უფრო საპრობლემოა ბევრის მხრივ, ვიდრე პირველი - ბიოტური ასპექტი მათ შორის განსხვავებისა.

საქმე ისაა, რომ ბიოლოგიური განსხვავება სქესთა შორის ადამიანთაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული რამ განსხვავებაა, ამიტომ ეს განსხვავება შეუძლებელია მოისპოს. ხოლო რაც შეეხება სოციალურ განსხვავებას ადამიანთა შორის გენდერის კუთხითაც, თავად ადამიანები თავიანთი ისტორიით აყალიბებენ მას, რაც ქმნის „საცდურს“ თითქოსდა აქ ჩვენ ადამიანთა მხრიდან, რაღაც „თვითნებობასთანაც“ კი შეიძლება გვქონდეს საქმე, თითქოსდა ეს განსხვავება გარკვეული სოციალური პირობების ბრალი იყოს მხოლოდ და შესაძლებელია სინამდვილეში მისი ლიკვიდირება.

მაგრამ ეს ყოვლად დაუშვებელი თვალსაზრისია, ვინაიდან თავად ისტორიის, არამარტო ბუნების, სფეროც გარკვეულ ობიექტურ კანონებს ექვემდებარება. და, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ყოვლის შემოქმედნი არიან შეგნებული ძალები ანუ ამ შემთხვევაში ადამიანები, მათი შემოქმედების შედეგი სადღაც მაინც მათგანაც დამოუკიდებელია.

ასე რომ, სქესთა არამარტო ბიოლოგიური, არამედ სოციოლოგიური განსხვავებაც კი ორივე ერთნაირად, თუმც კი გარკვეული განსხვავებით, ისევ მაინც ობიექტური კანონზომიერებაა და იგი უბრალოდ ფაქტია. და, მაშასადამე, ფიქრიც კი, არათუ

მცდელობა იმაზე, რომ ადამიანთა შორის ე.წ. „გენდერული“ განსხვავება ეს რაღაც სუბიექტური რამ წარმონაქმნია და ჩვენ გვძალუძს სურვილის შემთხვევაში ამ განსხავების აღმოფხვრა, ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ ყოველივე აღნიშნულის გათვალიწინებით კი გენდერის და არა მარტო, არამედ სქესის პრობლემა მაინც არსებობს მათ შორის თანაბარუფლებიანობის საკითხში და აქ მთავარია კონკრეტულად განისაზღვროს, რას გულისხმობს ეს თანაბარუფლებიანობა.

გენდერული თანაბარუფლებიანობა ანუ თანასწორობა თავისი ჭეშმარიტი გაგებით უნდა გულისხმობდეს დედაკაცების და მამაკაცების განსაკუთრებული როლების რეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობას და არა დედაკაცებისა და მამაკაცების როლების აღრევას, მათს ნიველირებას, გაბათილებას და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავდა თავის დროზე ალექსის ტოკვილიც: „არიან ადამიანები რომლებიც ისწრაფვიან მამაკაცისა და დედაკაცის არა მხოლოდ თანასწორობის, არამედ გაიგივებისკენაც. აღჭურავენ რა ორივეს ერთი და იმავე უფლებებით, ისინი მათ აკისრებენ ერთსა და იმავე მოვალეობებს. მათ სურთ, რათა მამაკაცები და დედაკაცები ერთად ერთნაირად შრომობდნენ კიდეც და ერთობდნენ კიდეც. ნათელია, რომ ამგვარი „განმთანაბრებლობით“ არაფერი კარგი არ გამოვა, არამედ მიგვიყვანს ორმხრივ დეგრადაციამდე...“(36).

ეს რაც შეეხება ე.წ გენდერული თანასწორობის საკითხს მამაკაცისა და დედაკაცის განსხვავებული, მათთვის სპეციფიკური რამ როლების თანაბარი განხორციელების შესაძლებლობის მომენტში, მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მომენტიც, რომელიც უკვე ეხება მამაკაცისა და დედაკაცის საერთი უფლებების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობის მომენტს.

და, აი, სწორედ აქ არის ამ პრობლემის მთელი სიმძიმის ცენტრი. ანუ საკითხი ამ მომენტში ეხება იმ როლების განხორციელების თანაბარუფლებიანობას, რომელიც საერთო შეიძლება გახდეს მათ შორის. ასეთი მომენტები შეიძლება გვქონდეს განათლების მიღების, შრომის ანაზღაურების, ან საარჩევნო უფლებისა და ა.შ მომენტში. ამ და სხვა უამრავ მომენტში შეზღუდვა უფლებებისა ქალებისათვის არ შეიძლება.

ზოგადად ამ საკითხის მხრივ ქალთა უფლებების შელახვა და შეზღუდვა, მხოლოდ და მხოლოდ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი ქალთა სქესს შეადგენს, ყოვლად მიუღებელია და ამ მხრივ ქალებისა და კაცების თანაბარუფლებიანობა თუ თანასწორუფლებიანობა უკვე ასახულია საკაცობრიო

მნიშვნელობის ისეთ იურიდიულ დოკუმენტში, მაგალითად, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც მიღებულია გაეროს მიერ 1948 წელს. ასევე თანაბარი უფლებანი ქალებისა მამაკაცების მიმართ ასახულია ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს კონსტიტუციებშიაც.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ სახელდობრ კი, მის მე-2 მუხლში, აღნიშნულია, რომ „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა“, მათ შორის „სქესის“ მდგომარეობისა (1).

საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ კი მისი მეორე ნაწილის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ „აკრძალულია დისკრიმინაცია“ მთელი რიგი და მათ შორის „სქესის“ ნიშნის მიხედვით და რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“ (9).

დასასრულ, აქ, გენდერული თანასწორობის პლანში, ჩვენ საკითხის ერთ მომენტსაც უნდა შევეხოთ. ეს მომენტი კი ეხება არა მარტო დედაკაცების ჩაგვრისა თუ დისკრიმინაციის მომენტს, არამედ თვით მამაკაცების ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მომენტსაც გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით. მართალია, ეს ჩაგვრა ისტორიაში უფრო მეტად ქალებს ეხებოდათ მამაკაცების მხრიდან, ვიდრე მამაკაცებს დედაკაცების მხრიდან, მაგრამ პრინციპში ასეთი რამ ფაქტებიც იყო ისტორიაში და შეიძლება იყოს ახლაც.

ამიტომ გენდერული თანასწორობა-უთანასწორობის საკთხში არსებობს არა მხოლოდ გახმაურებული ე.წ. „ფემინიზმის“ პრობლემა, არამედ „მასკულინიზმის“ პრობლემაც.

ფემინიზმი (ლათ. „ფემინა“ – „დედაკაცი“) ეს, ყველაზე მარტივად რომ ვთქვათ დედაკაცების მოძრაობაა მათი უფლებების დასაცავად, ხოლო მასკულინიზმი (ლათ. „მასკულინუს“ – „მამაკაცი“) კი - მამაკაცების მოძრაობა საკუთარი უფლებების დასაცავად(13 და 8).

ამ ორი მოძრაობიდან განსაკუთრებით უფრო მძლავრობს ფემინისტური მოძრაობა, ვინაიდან ისტორიაში ქალთა ჩაგვრა თუ დისკრიმინაცია ობიექტურად უფრო მძლავრობდა, ვიდრე არაქალთა.

ორივე მოძრაობა თავ-თავის მხრივ გამართლებულია და მისასალმებელიც კი, თუ, რა თქმა უნდა, ისინი თავიანთ „ზომებს“ თუ „ფარგლებს“ არ სცილდებიან, ვინაიდან, მართლაც, არსებობს როგორც ზომიერი ანუ ოპტიმალური ფემინიზმიც და მასკულიზმიც, ისე უკიდურესი ანუ რადიკალური ერთიცა და მეორეც.

ოღონდ აქ მთელი პრობლემაც ისაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ამ მიმართულებით ზომიერება თუ უკიდურესობა. ამიტომ აქ ამ მხრივ წინ წამოიწევს სუბიექტური ხედვის როლი, როდესაც ერთი შეხედულებით რაიმე მიუღებელი მეორე შეხედულებით შეიძლება სრულიად მისაღებად იყოს მიჩნეული. ასე, მაგალითად, ქრისტიანობის მიხედვით მამაკაცია დედაკაცის თავი და უფროსი, თუმც კი არსებობს შეხედულებანიც, რომელთა მიხედვითაც ეს მოასწავებს ქალების არათანაბარუფლებიანობას საწინააღმდეგო სქესთან მიმართებით. და ა.შ და ა.შ.

მოკლედ, აქ იქმნება მთელი რიგი პრობლემები ამ მხრივ და, მართლაც, ძალიან ძნელია ხანდახან თითქოს საბოლოოდ დავადგინოთ, როგორი უნდა იყოს დედაკაცთა ჭეშმარიტი უფლებები და როგორიც მამაკაცთა შესაბამისი უფლებები. აქ კი საჭიროა, მართლაც, რაღაც ობიექტური კრიტერიუმის ანუ საზომის დადება, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვეძლება „ჭეშმარიტი“ ზღვარი გავავლოთ მისაღებსა დ მიუღებელს შორის, რათა არ მოხდეს სქესთა ურთიერთობაში რაიმე დარღვევა.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასაშვებია ადამიანის სქესთა ცხოვრებაში ყოველივე, რაც კი არ ეწინააღმდეგება ცალ-ცალკე მათ ბიოლოგიურ სპეციფიკას. ასე რომ გენდერთა ანუ სქესთა შორის სოციალური განსხვავების საფუძველია თავად სქესთა შორის ნატურალური ანუ ბუნებრივი განსხვავებანი, მოკლედ, სქესია აქ საფუძველი გენდერისა და გენდერი რაღაც თვითნებური სოციალური ფენომენი როდია, არამედ იმასაც გააჩნია თავისი ობიექტურად კანონზომიერი საფუძველი. ამასთან გენდერს აქვს არა მხოლოდ ბიოლოგიური ანუ სქესობრივი საფუძველი, არამედ საკუთრივ გენდერული ანუ სოციალური ობიექტური საფუძველიც. ასეთი რამ ფაქტორი შეიძლება ტრადიციებიც იყოს ანდა ეროვნული და ა.შ ფაქტორები.

 როგორც ვხედავთ, გენდერული ანუ სოციალური განსხვავებანი სქესთა შორის ეს შემთხვევითი რამ ისტორიული ფაქტი როდია, რისი იგნორირებაც შესაძლებელია, არამედ მას თავისი აუცილებელი მიზეზები გააჩნია. არათუ შესაძლებელია, არამედ შეუძლებელიც კი. გენდერის ლიკვიდაცია საერთოდ შეუძლებელია, ეს, ჯერ-ერთი. და, მეორეც, იგი არცაა საჭირო, ვინაიდან ეს განსხვავებანი ზოგადად საერთო

სოციალური მრავალფეროვნების ერთ-ერთი გამოვლენაა და უფრო მეტს სძენს კაცობრიობის ცხოვრებას, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში შესძენდა მას.

ოღონდ სხვა საკითხია ის, რომ ყოველგვარი განსხვავება სოციალური კუთხით სქესთა შორის მისაღები როდია თავისი არანორმალურობისა გამო, თუ იგი ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების საერთო ადამიანურ ბუნებას. ხოლო ამ მხრივ კი, მართლაც, აუცილებელია ბრძოლა სქესთა შორის ურთიერთობაში ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. სწორედ ამას გულისხმობს როგორც ფემინიზმის, ისე მასკულიზმის, განსაკუთრებით კი ფემინიზმის მოძრაობათა პოზიტიური აზრიც. მაგრამ ფემინიზმისა და მასკულიზმის მოძრაობებს გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მიეცეს ნეგატიური აზრიც, ეს კი მაშინ, როდესაც საქმე გვექნება უკიდურეს ანუ რადიკალურ ფემინიზმთან ან მასკულიზმთან, როგორც ეს ხდება ხოლმე ყოველი მოძრაობისა თუ მიმართულების შემთხვევაში, როცა რაიმე მიმართულებით ჰიპერტროფირება ხდება თუ გადაჭარბება.

გენდერულ განსხვავებასთან დაკავშირებით სქესთა შორის დასკვნის სახით ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ ეს განსხვავებანი მამრობითი და მდედრობითი სქესის ურთიერთობის მარად თანამდევი ნიშან-თვისებაა და იგი აბსოლუტურ აღმოფხვრას არც ექვემდებარება, ვინაიდან თავის საფუძველში განპირობებულია უკვე სქესობრივი განსხვავებით. ხოლო სქესობრივი განსხვავების მოსპობა შეუძლებელია, რაკიღა იგი ბიოლოგიური ფაქტია და კანონი. გენდერულ განსხვავებებში კი ცვლილებანი შეიძლება, და ეს ცვლილებანი აუცილებელიც კია და სასურველ-მისაღებიც, თუ, რა თქმა უნდა, ეს ცვლილებანი მიზნად ისახავენ მამაკაცებისა და დედაკაცების სქესთა შორის განსხვავების ჰარმონიულ განვითარებას.

ხოლო ამ ორ სქესთა შორის სოციალურ განსხვავებათა განვითარება კი, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, საჭიროა თავად მსოფლიო ინდივიდუაციის ანუ განსხვავებულობის კანონის შესაბამისად საყოველთაო მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად. ასე რომ, კაცობრიობამ უნდა იზრუნოს სქესთა შორის სოციალური განსხვავების არა ლიკვიდაციისათვის, არამედ, პირიქით, ამ განსხვავების სულ უფრო და უფრო, მაგრამ ჰარმონიული განვითარებისათვის.

სხვანაირად რას მივიღებთ? კაცობრიობას, რომელიც კიდევ უფრო გაღარიბდებოდა მრავალფეროვნების კუთხით, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება თავად საკაცობრიო პროგრესის კანონს. ოღონდ მთავარია გვახსოვდეს ისიც, რომ ყოველგვარი ცვლილებანი აქ განუსჯელად როდია მისაღები, არამედ ეს ცვლილებანი მინიმუმ, სულ მცირე არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ღმრთის კანონს. მაშასადამე, ეს

ცვლილებანი სოციალური ხაზით ადამიანის სქესთა შორის ღმრთისათვის სათნო და მოსაწონი უნდა იყოს. ესაა საბოლოო კრიტერიუმი თუ საზომი აღნიშნული ცვლილებებისა პროგრესულობის ასპექტით.

ასეთია, ჩვენის აზრით, გენდერის პრობლემის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

XIV. არატრადიციული ორიენტაციების პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ტრადიციისა და ტრადიციულის შესახებ საერთოდ

2. ტრადიციულის სხვადასხვა გაგება

3. ტრადიციულის ჭეშმარიტი გაგება და არატრადიციულის ჭეშმარიტი გაგება

4. თანამედროვე ე.წ. არატრადიციული ორიენტაციები, მათი დახასიათებანი და შეფასებანი

ე.წ. არატრადიციული ორიენტაციების საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, იმდენად აქტუალურია იგი.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე აზროვნების კუთხით მისი განხილვაც აუცილებელია.

საქმეს კიდევ უფრო ამწვავებს ის ვითარება, რომ ამ საკითხზე მოსაზრებანი ძალიან მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რამდენადაც იგი ეხება უაღრესად ინტიმურ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას, განსაკუთრებით კი აქ მხედველობაში გვაქვს ე.წ. სექსუალური ორიენტაციების საკითხი.

დაპირისპირებანი, მართლაც, ამ არატრადიციული ორიენტაციების საკითხში იმდენად მკვეთრ რადიკალურ, უკიდურეს ხასიათსაც კი იძენს, რომ განსაკუთრებით საშიშროებას უქმნის მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არყევს რა მის საფუძვლებს. საფრთხეები ამ მხრივ იქამდეც კი მიდის, რომ წარმოიშობა სოციალური კონფლიქტები და შეიძლება იფეთქოს ომებმაც კი.

ყოველივე ამის გამო აუცილებელი და საჭიროა აღნიშნული პრობლემის „დელიკატური“ გადაჭრა.

მაგრამ არატრადიციული ორიენტაციების პრობლემის გადაჭრა კი, თავის მხრივ, უკვე მოითხოვს ამ საკითხის სწორ გააზრებას. მართალია, აქაც, ამ მხრივაც, ჩვენ გვაქვს დიდი პრობლემა, ვინაიდან ზოგი რას მიიჩნევს სწორად და ზოგიც კიდევ რას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქ საჭიროა ამ საკითხის ანუ არატრადიციული ორიენტაციების საკითხის შესახებ რაღაც მაქსიმალურად „ნეიტრალური“ პოზიციის შემუშავება. საკითხი ამ მხრივ კი მეტად ძნელია, თავად პრობლემის სირთულისა და სიმწვავის გამო, მაგრამ, მით უფრო, - აუცილებელი გადაჭრისათვის. ჩვენ ყოველი

შემთხვევისათვის უნდა ვეცადოთ ამ საკითხის გადაჭრას თანამედროვე აზროვნების პრინციპების ანუ საწყისების კუთხით.

როცა ე.წ. არატრადიციულ ორიენტაციებს ვეხებით ხოლმე, უკვე ვგულისხმობთ მათში მათს საწინააღმდეგოს - ტრადიციულ ორიენტაციებს, ბუნებრივია, რომ ტრადიციული ორიენტაციები ე.წ. ტრადიციული საზოგადოების ორიენტაციებია, ხოლო არატრადიციული ორიენტაციები - არატრადიციულისა.

მაგრამ რას ნიშნავს ტრადიციული და არატრადიციული საზოგადოებანი? სადაა მათი საზღვარი, რა თქმა უნდა, ისტორიული საზღვარი?

ტრადიციული საზოგადოება ამ შემთხვევაში ესაა ის საზოგადოება, რომელიც არსებობდა ჩვენს ეპოქამდე, თანამედროვე ეპოქამდე, ხოლო არატრადიციული საზოგადოება კი ამ შემთხვევაში გამოდის როგორც თანამედროვე ეპოქის საზოგადოება (კულტუროლოგიური ტერმინოლოგიით ამ უკანასკნელს შეესაბამება „ტრადიციული“ და „პოსტტრადიციული“, ხოლო ტრადიციულ საზოგადოებას კი - „წინარე- ანუ პრეტრადიციული“ საზოგადოება. მაგრამ ჩვენ ახლა ამ შემთხვევაში საკითხს ამ კუთხით არ განვიხილავთ).

ტრადიციულ საზოგადოებაში ანუ თანამედროვის წინარე საზოგადოებაში არსებული „ორიენტაციები“, განსაკუთრებით კი - სექსუალური ორიენტაციების თვალსაზრისით - ბევრად უფრო განსხვავდებოდა არატრადიციული ანუ თანამედროვე საზოგადოების სექსუალური ორიენტაციებისაგან, იმით, რომ პირველში „თავისუფლება“ მათში უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე დღეს - „არატრადიციული“ ორიენტაციების ეპოქაში.

ამ ეპოქაში ამ მხრივ მოხდა ერთგვარი „აფეთქება“, რომელმაც „სექსუალური რევოლუციის“ სახელიც კი შეიძინა.

ხოლო ეს „რევოლუცია“ აქ იმაში გამოიხატა, რომ მოხდა ტრადიციული, „შეზღუდული“ სექსუალური ორიენტაციების რაღაც თითქოს ერთგვარი მოხსნა და „თავისუფლების“, უფრო სწორედ კი ამ შემთხვევაში, „სექსუალური თავისუფლების“ წინ წამოწევა.

მაგრამ სექსუალური თავისუფლებაცაა და სექსუალური თავისუფლებაც. ამიტომ ჩვენ ყოველგვარ სექსუალურ თავისუფლებას როდი მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ის ეწინააღმდეგება ღმრთის, ბუნებისა და საზოგადოების კანონებს. ეს ეხება ნებისმიერ სხვა მხარესაც ჩვენი ცხოვრებისას, თუ ის ეწინააღმდეგება რაღაც კანონებს. იმიტომ, რომ ყოველ საქმეში შეიძლება მოხდეს გადამეტება, რაც დაანგრევს თავად ჩვენს

ცხოვრებას. გადამეტებული, უკიდეგანო თავისუფლება გადადის თავის საწინააღმდეგოში.

როცა ჩვენ ე.წ არატრადიციულ ორინეტაციებზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესადაც, ვგულისხმობთ ე.წ. სექსუალურ ორიენტაციებს.

ეს მეტად მტკივნეული საკითხია, ეს მეტად ინტიმური საკითხია, ეგ ისეთი რამ საკითხია, რომელიც უღრმესად განმსჭვალავს ჩვენს ბუნებას.

სექსუალური საკითხი მეტად საჩოთირო რამ საკითხია სწორედ იმიტომ, რომ იგი ეხება ადამიანთა თავად უინტიმურეს სფეროს და აქ ბუნებრივად მოსალოდნელია მთელი რიგი „ცდუნებანი“.

აქ ჩვენ ამ მხრივ შეიძლ;ება გვქონდეს უწინდელი ე.წ. „ჭიქა წყლის“ თეორიაცა და უთანამედროვესი ე.წ. „ლგბტ“ - ის თეორიაც. მათი მიმდევრები ხომ მოითხოვენ შეუზღუდველ თავისუფლებებს სექსის ხაზით ჩვენი ცხოვრებისას. ეს კი იწვევს ძალიან მძაფრ დაპირისპირებას ძველს, ტრადიციულ შეხედულებათა და ახალს, უფრო სწორედ, უახლეს არატრადიციულ შეხედულებათა მომხრეებს შორის. საკითხი ნამდვილად მწვავეა. იგი ხომ ჩვენი ცხოვრების „უფაქიზეს სიმებს“ეხება. და სწორედ ამიტომაც ჩვენ გვამრთებს აქ დიდი მოთმინება, რათა სწორად განვსაჯოთ ეს საკითხი - საკითხი ე.წ. არატრადიციული ორინტაციებისა.

ე.წ. „ტრადიციულ საზოგადოებაში“ „არატრადიციულ საზოგადოებასთან“ მიმართებით, ჩვენს შემთხვევაში „სექსუალური ორიენტაციების“ განხრით, ჩვენ ვგულისხმობთ იმ საზოგადოებას, რომელშიაც ეს ორიენტაციები გარკვეულად შეზღუდული იყო სოციალური ნორმებით, ხოლო „არატრადიციულ საზოგადოებაში“ კი - იმ საზოგადოებას, ამავე კუთხით, რომელშიაც ამგვარი შეზღუდულობანი არა გვაქვს ამ მხრივ; უფრო სწორედ, უწინ სექსუალური თავისუფლება რაღაც ჩარჩოში მაინც ჯდებოდა, ახლა კი იგი ამ ჩარჩოებს სცდება და ზოგჯერ, უკიდურეს, რადიკალურ ფორმებსაც კი იძენს.

და პრობლემაც სწორედ აქ იქმნება: ისმის საკითხი, თუ რამდენად მისაღებია ეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციები იმ ტრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასთან მიმართებით, რაც აქამდე არსებობდა თავისი ბუნებრივი ისტორიული კანონზომიერებით? რამდენად სწორი იქნებოდა „სრული“ სექსუალური ორიენტაციები, არის კი ეგ რაიმე „განვითარება“ კაცობრიობისა ამ მიმართულებით? ანდა დავგმოთ თუ არა ჩვენ ის ყველა ორიენტაცია თავისი რაღაც „ნაკლოვანებებისა“

გამო და ხომ არ არის საჭირო კაცობრიობის წინ წაწევა „სრული თავისუფლების“ მხრივ ამ მიმართულებით?

სწორედ ასე დგას ეს „დილემა კაცობრიობის წინაშე“ თანამედროვე ეპოქაში. და ამ პრობლემის გადაჭრა ძალიან მწვავე სიტუაციისა თუ ვითარების წინაშე გვაყენებს მთელს კაცობრიობას, იმის გამო, რომ ეს პრობლემა ეხება ადამიანთა შორის ურთიერთობათა უაღრესად სწორედ რომ „ინტიმურ“ სფეროს, ჯერ ერთი სქესთა შორის, და მერეც, - სექსუალური ხაზით.

მაგრამ ეს სექსუალური ურთიერთობა კი რაღაც „მისტიკურ“, ადამიანის სქესთა შორის „უღრმეს“ რაღაც „იდუმალ“ ურთიერთობას ეხება, რომელიც „აბუჩად ასაგდებად“ როდია შექმნილი ღმერთის მიერ, შესალახად რამედ, არამედ რაღაც თითქოსდა (და ნამდვილადაც) „წმინდა“ საქმისათვის, რაც ვერ ითმენს მის შებილწვას და ამით შეურაცხყოფას.

ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც „ჭიქა წყლისა“ და არც „ლგბტ“-ის თეორიანი და პრაქტიკანი არ არის სწორი, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგებიან ადამიანთა ისტორიის მთელს „ბუნებრივ“ მსვლელობას. ხოლო ის, რაც ეწინააღმდეგება კაცობრიობის ისტორიულ-ნორმატიულ კანონებს და თვით ბუნებრივ კანონებს სქესთა შორის ურთიერთობის საქმეში, ჩვენი აზრით (და არა მარტო ჩვენის აზრით, არამედ საერთოდაც, ე.წ. „საღი“ აზრით. ჩვენ აქ გამოვდივართ ღმერთის მიერ დადგენილი და ისტორიის მიერ დადგენილი კანონებიდან), მიუღებელია, ვინაიდან ეს ორიენტაციები გზას „სექსუალურ აღვირახსნილობას“ უხსნიან.

მაგრამ საწინააღმდეგო შემთხვევაში ეს ხომ დაანგრევს საზოგადოებას. განა ყოველგვარი „წრეს გადასული“ ხედვანი და ქმედებანი ამ მხრივაც, სექსუალური კუთხითაც, კაცობრიობას საშიშროებას არ შეუქმნიან მორალის ანუ ზნეობის მხრივ? ხოლო მორალი თუ ზნეობა ხომ ეს ჩვენი ცხოვრების უპირველესი ორიენტირი უნდა იყოს, ვინაიდან მის გარეშე „უფსკრულში გადავიჩეხებით“. „წრესგადასული“ თავისუფლება და, მითუმეტეს, ამ, ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველაზე ინტიმურ საკითხში, კაცობრიობას, აბა, რა სარგებლობას მოუტანს? აბსოლუტური, უკიდეგანო თავისუფლება ხომ თავის საპირისპიროში გადადის და იგი სიკეთიდან ბოროტებად გადაგვექცევა ხოლმე. ყოველივე, რაც უპირისპირდება ღმრთისა და, მასთან შესაბამისობით, საზოგადოების მიერ დადგენილ კაცობრიობის ისტორიის ამ მხრივ რაღაც „აპრობირებულ“, შემოწმებულ კანონებს, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

მაგრამ და მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ, თანამედროვე აზროვნების პრინციპების გადასახედიდან, კერძოდ კი ლიბერალურობის, კრეატიულობის,

პლურალურობის პრინციპებიდან თუ საწყისებიდან გამომდინარე, ამ ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციების მატარებელ პირთა მიმართ უნდა გამოვიჩინოთ „ადეკვატური“ დამოკიდებულება, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატება, რომ არავითარ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ ძალადობა მათ მიმართ, არამედ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური შემწყნარებლობა. მართალია, ჩვენ არ ვიღებთ მათს თეორიასა და პრაქტიკას, მაგრამ არც მათ შინაგან ცხოვრებაზე ძალადობასაც არ ვახორციელებთ. პირველნი თავისთვის, მეორენი - თავისთვის და იყოს მათ შორის, თუ ასე შეიძლება ითქვას, ერთგვარი „ნეიტრალური“ ურთიერთობა.

აქ საინტერესო კითხვაც დგება.

თუ არ შეიძლება ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრები „ჩაერიონ“ არატრადიციული სექსუალური ორინტაციების მიმდევრების „შიდა საქმეში“, მაშინ არც მეორენი უნდა ჩაერიონ პირველთა საქმეში. თორემ სხვანაირად მოხდება კონფლიქტები ამ ნიადაგზე, რაც საზოგადოებას ზიანს მიაყენებდა და ამით საქმე დაშავდებოდა და, მართლაც, თუ დემოკრატიაა, მაშინ სრული დემოკრატია იყოს!

როგორც ვხედავთ, ე.წ. „ტრადიციული“ და „არატრადიციული“ ორიენტაციების მომხრეთა შორის დამოკიდებულების ყველაზე საუკეთესო გამოსავალი ბოლოს და ბოლოს, რაკიღა ვერ ხერხდება მორიგება მათი შეხედულებებისა ამ მხრივ, ჩვენის აზრით, არის „ურთიერთჩაურევლობის“ თუ „მშვიდობიანი თანაარსებობის“ პოლიტიკა, რათა არ მოხდეს კონფლიქტი ფიზიკურ დონეზე და თუნდაც მეტაფიზიკურზეც, ვინაიდან „საყოველთაო მშვიდობა“ ეს ხომ უმაღლესი იდეალია კაცობრიობის ისტორიისა. სხვა საკითხია, ვიმეორებთ კიდევ და კიდევ, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციები ჩვენთვის მიუღებელია.

მოკლედ, საჭიროა შემწყნარებლობა და არაძალადობა ამ მხრივ ორივე მხრიდან, ე.ი. არ უნდა მოხდეს ძალადობა არც ერთი მხრიდან, არც ტრადიციული ორიენტაციების მომხრეთაგან არატრადიციული ორიენტაციების მომხრეთა მიმართ და არც არატრადიციული ორიენტაციების მომხრეთა მხრიდანაც ტრადიციული ორიენტაციების მომხრეთა მიმართ, ვინაიდან უკეთესი გამოსავალი ლოგიკურადაც კი არც არსებობს. ასე რომ, ყოველმა მხარემ ამ შემთხვევაში პასუხი აგოს თვითონ თავისი პოზიციისა გამო ღმერთისა და კაცის წინაშე.

იმისათვის, რომ შეივსოს ჩვენი მსჯელობა ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციების შესახებ, მოკლედ მაინც განვმარტავთ იმ ორ თეორიას ანუ ხედვას ადამიანის სქესთა შორის სექსუალური ურთიერთობის თაობაზე, რომელიც ჩვენ უწინ

ვახსენეთ ამ თავში. ესენია ე.წ. „ჭიქა წყლის“ თეორია(43) და „ლგბტ“-ის თეორია(31) მოცემულ საკითხში.

ე.წ. „ჭიქა წყლის“ თეორია ქადაგებს იმას, რომ სექსუალური მოთხოვნილება უნდა დავიკმაყოფილოთ ისე მარტივად, როგორც ჭიქა წყალს ვსვამთ ხოლმე და რომ აქ არავითარი ოჯახი საჭირო არც კია, საჭიროა მხოლოდ პირადი სურვილი ამ მხრივ, ყოველგვარი საზოგადოებრივ-ეთიკური ნორმებისაგან თავისუფალი.

ხოლო რაც შეეხება ე.წ „ლგბტ“-ის ორიენტაციებს, ჩვენ მათ მიმართ განსაკუთრებულ პოლიტიკას ვაფიქსირებთ. ეს ორიენტაციები ჩვენთვის, მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელთათვის, ხომ მიუღებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ შემთხვევაში მაინც, გამოვდივართ რა უმაღლესი ჰუმანიზმიდან, ვიჩენთ მათ მიმართ მოთმინებას ფიზიკური ძალის გამოყენებისას და ასევე მოვითხოვთ მათგანაც ამასვე. არც ერთმა მხარემ არ უნდა მოახვიოს ერთმანეთს ამ შემთხვევაში თავისი ნება, მით-უმეტეს ფიზიკური ძალით. სხვა გამოსავალი აქ, მართლაც, არც კი არსებობს, თუ ჩვენ გვინდა მშვიდობა. ხოლო საზოგადოებრივი მშვიდობა ჩვენი ცხოვრების ხომ, ვიმეორებთ, უზენაესი კანონია. ამ კანონის წინაშე უნდა დაიხიოს ყოველგვარმა მიმდინარეობამ საზოგადოებაში.

ამრიგად, თანამედროვე აზროვნების იმ პრინციპებიდან თუ საწყისებიდან გამომდინარე, რომლებსაც იგი ემყარება მთელი კაცობრიობის ისტორიის გამოცდილების საფუძველზე, შეუძლებელია, ჩვენის აზრით, ვაღიაროთ ე.წ. „ჭიქა წყლისა“ და „ლგბტ“-ის თეორიები, მაგრამ მათი მიმდევრების მიმართ, გამომდინარე უმაღლესი ჰუმანიზმიდან, ჩვენ მაინც უნდა არ ვიძალადოთ მათზე და ყოველნაირად შევეცადოთ მათზე მხოლოდ იდეოლოგიური ზეგავლენა განვახორციელოთ, ხოლო მათგან ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში მხოლოდ სამართლებრივი გზებით მოვახდინოთ მათი ნეიტრალიზაცია. ამასთან იმ შენიშვნით, რომ ამ ორიენტაციის როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მხრიდანაც მოხდეს ეს სამართლებრივი რეგულაცია, მოწესრიგება.

დაბოლოს, ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციების საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იგი, ეწინააღმდეგება რა ე.წ. ტრადიციულ სექსუალურ ორიენტაციებს, ეს ტრადიციული სექსუალური ორიენტაციები, მიუხედავად თავ - თავის დროზე თავ - თავისი გადახრებისა - ერთგვარი რაღაც საკაცობრიო მორალისაგან

, თავისი საუკეთესო მომენტებით ძირითადად მაინც რაღაც აპრობირებული, შემოწმებული რამ ნიმუშებია ჩვენი ცხოვრებისა და მათი „გადავლა“, თუ ასე შეიძლება ითქვას, „არ ეგების“. ისტორია ხომ, მართლაც, ზიგ-ზაგებით, მაგრამ თავისი შინაგანი კანონზომიერებით მაინც უკეთესობისაკენ მიდის. და აქ ჩვენც ამ კანონს უნდა მივყვეთ, რათა არ დაინგრეს კაცობრიობის მიღწევები ამ მხრივ და ამით არ მოგვადგეს დიდი ზიანი ჩვენც, მთელს კაცობრიობას საერთოდ.

ასეთია, ჩვენის აზრით, არატრადიციული ორიენტაციების პრობლემის სწორი თეორიული ანალიზი.

XV. ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით

1. ძალმომრეობისა და შემწყნარებლობის პრობლემის შესახებ ზოგადად

2. ძალმომრეობისა და შემწყნარებლობის ცნებანი ურთიერთმიმართებით

3. შემწყნარებლობის სწორი გაგების შესახებ და მისი მნიშვნელობა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში

ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემა თანამედროვე აზროვნების ერთ-ერთი ძალიან ძლიერი პრობლემაა, გამომდინარე იმ ეპოქიდან, რომელშიაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ. საქმე ისაა, რომ ეს არის ეპოქა დიდის გამოწვევებისა, ეპოქა „ბოლო ჟამისა“, ეპოქა „აპოკალიფსისისა“. და აქ, რა თქმა უნდა, წინ წამოიწევს სწორედ ეგ პრობლემაც ე.წ. ძალადობისა და შემწყნარებლობისა.

ძალადობისა და შემწყნარებლობის პრობლემა განა სულ მუდამ არ იდგა კაცობრიობის წინაშე, განა ძალადობა და მასთან ერთად შემწყნარებლობაც ისტორიაში ცოტა იყო (თუმც კი ძალადობის უპირატესობით შემწყნარებლობასთან ერთად)? მაგრამ, როგორადაც ეგ არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს, კერძოდ კი ის, რომ ეს პრობლემა ჩვენგან სწორედ ამჟამად ითხოვს განსაკუთრებით მეტს ყურადღებას.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ძალადობამ ადამიანისამან ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფისამან ადამიანთა ჯგუფზე და, საერთოდაც, კაცობრიობის ერთი გარკვეული ნაწილისამან მეორეზე ძალიან დიდი, გამოკვეთილი სახე პოვა.

ძალადობის უამრავი ფორმა თუ სახე არსებობს ამ ქვეყანაზე, მითუმეტეს დღეს, როდესაც ძალადობის მხრივ პრობლემა არ გვაკლია.

ძალადობა ესაა ძალდატანება ვინმეზე, შეზღუდვა მისი თავისუფლებისა რაიმე მხრივ; ძალადობა ეს სხვისი თავისუფლების რაღაც ხელყოფაა, როცა ითრგუნება ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მათი ჯგუფის ნება.

ძალადობის ფენომენისა თუ მოვლენის უკეთ გასაგებად, ჩვენ უფრო განვავრცობთ მის დახასიათებას.

ამასთან დაკავშირებით კი ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ მოსაზრებანი დიდ მოაზროვნეთა მხრიდან. ამ მხრივ კი მეტად ძვირფასია გეორგ ჰეგელის აზრი ძალადობაზე, როგორც „თავისუფლების უზურპაციაზე მის მუნყოფიერებაში“ (22),

ანდა ლევ ტოლსტოისა - ძალადობაზე როგორც „იმის კეთებაზე, რაც უნდა იმას, ვისზედაც ეს ძალადობა ხორციელდება“ (22).

ძალადობის ფენომენზე მსჯელობისას აქ იკვეთება შემდეგი მომენტები: ძალადობა გულისხმობის სხვისი ნების დათრგუნვას, მისი უფლებების შელახვას, მისი ღირსების შეურაცხყოფას, რაც საბოლოო ჯამში არის მისი სწორედ თავისუფალი ნების, მისი თავისუფლების შეზღუდვა (15), რაც ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან თავისუფლება ეს ხომ უპირველესი უფლებაა ადამიანისა. თავისუფლება ხომ უძვირფასესი განძია პიროვნებისა. პიროვნება ხომ თავისუფლების გარეშე არც კი არსებობს.

ასე რომ, ძალადობა ადამიანისა ადამიანზე, ეს კაცმა რომ თქვას, უპირველესი დანაშაულია პიროვნების წიააღმდეგ მიმართული და იგი ეწინააღმდეგება თავად ადამიანის ბუნებას. ადამიანი ხომ თვითმიზანი უნდა იყოს. ეს ხომ უცილობელი მოთხოვნაა ისტორიისა. მითუმეტეს, რომ ძალადობა წინასწარგამიზნული, შეგნებული აქტია ძალადობის ობიქტის მიმართ ძალადობის სუბიექტის მხრიდან. და აქ იურიდიულად ბრალეულობა იკვეთება მეტ-ნაკლებად.

ძალადობა ძალაუფლების ერთგვარი დემონსტრაციაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, „ბოროტი ძალაუფლებისა“, ხოლო ამგვარი ძალაუფლება არც ერთ მის საფეხურზე თუ დონეზე, არც ერთ მის ინსტანციაში - იქნება ეს პიროვნული, ინდივიდუალური ძალაუფლებიდან დაწყებული და თვით სახელმწიფო ძალაუფლების ჩათვლით, ბუნებრივია, ყოვლად მიუღებელია. მიუღებელია, ვინაიდან იგი ანტიჰუმანური ძალაუფლებაა და მიმართულია ადამიანის როგორც თვითმიზნის წინააღმდეგ.

და, მართლაც, განა ადამიანის თუ ხალხის ჩაგვრა ადამიანის თუ სახელმწიფოს მხრიდან ძირშივე არ ეწინააღმდეგება თავად ადამიანთა ისტორიის იდეას. ისტორიის საზრისიც, აბა, კიდევ სხვა მეტი რაღა უნდა ყოფილიყო, თუ არა სწორედ ის, რომ გაეხარა ყველას, განურჩევლად ყოველივესი? განა ხალხის კეთილდღეობა საზოგადოების უზენასი კანონი არ არის?! და თუ ეს ასე არ არის, ასე მაინც არ უნდა იყოს? ხოლო თუ ეს ასე არ არის, მაშინ მით უარეს ფაქტისათვის, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

ნამდვილ, ე.წ დემოკრატიულ საზოგადოებაში თუ სახელმწიფოში ეს ეგრე არ უნდა იყოს, რადგან ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ადამიანის თავად ბუნებას? ყოველგვარი ძალადობა ადამიანზე თუ ადამიანთა ჯგუფებზე ხომ, მითუმეტეს, მიუღებელია. ხოლო სწორედ ეგ კი უნდა იყოს კაცთა შორის დამოკიდებულების უპირველესი რამ საზოგადოებრივი, სოციალური კანონი.

ძალადობის, სამწუხაროდ, უამრავზე უამრავი, ათასობით ფორმა თუ სახე არსებობს და მათი კლასიფიკაციაც უამრავია სხვადასხვა პრინციპით.

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, კონკრეტულად ყველა მათგანს ვერ შევეხებით, მაგრამ გამოვყოფდით ყველაზე ძირითად ასპექტებს ძალადობის ფორმებისას. ესენია: ფიზიკური, სოციალური, ფსიქიკური (აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამგვარი დაყოფა ზედმიწევნით სრული როდია, მაგრამ ჩვენ მაინც პირობითად ესე დავყავით ფორმები ძალადობისა).

ძალადობა, რა მხრივაც არ უნდა იყოს იგი წინ წამოწეული, რასობრივი პრინციპით თუ ნაციონალურით, კლასობრივით თუ ნებისმიერი სხვა პრინციპითაც - ეს ცნობილი რამ დარღვევებია კაცობრიობის თავზე. ეს ფორმები ძალადობისა იმდენად ცნობილი სახეებია მისი ცხოვრებისა, რომ ისინი არც კი მოითხოვენ ჩვენგან თითქოსდა განმარტებას, ძალადობის ამ მოვლენებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ ზოგადად, რომ ყოველგვარი ძალადობა, რა სახისაც კი იგი არ უნდა იყოს, ყოვლად შეუწყნარებელია.

ხოლო ყოველივე ეს ანუ ძალადობა საერთოდ მოითხოვს მის საწინააღმდეგოს ანუ იმას, რომ ძალადობა შეცვალოს შემწყნარებლობამ.

შემწყნარებლობა ეს თითქოსდა ძალადობის საწინააღმდეგო რამ არის.

შემწყნარებლობა ესაა მოთმენა სხვა, შენთვის ამ შემთხვევაში მიუღებელი რამისა.

ასეთია განსაზღვრება, დეფინიცა შემწყნარებლობის ცნებისა.

ტერმინ „შემწყნარებლობის“ ნაცვლად ლიტერატურაში ხშირად მოიხმარენ ხოლმე ლათინურ ტერმინს „ტოლერანტობასაც“. ასე რომ, შემწყნარებლობა იგივე ტოლერანტობაა სინონიმური მნიშვნელობით(11).

ძალადობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა მასთან „ახლოს მდგომი“ ისეთი საკითხების გარჩევაც, როგორებიცაა, „იძულება“ და „ძალდატანება“. უფრო მეტიც, საჭიროც კია მათ შორის მსგავსება-განსხვავების გატარება, რათა ამით კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს „ძალადობის“ მნიშვნელობაც.

ხოლო ამ სამი რამის - „ძალადობის“, „იძულებისა“ და „ძალდატანების“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ძალადობაცა და იძულებაც ძალდატანებაა, მაგრამ ყოველგვარი ძალდატანება ძალადობა და იძულება როდია. ესენი ძალდატანების სახეებია. ესაა მათ შორის მსგავსება. ხოლო ძალადობასა

და იძულებას შორის განსხვავება ისაა, რომ ძალადობა სრულიად ნეგატიური რამ მოვლენაა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფის თუ პიროვნებათა მთელი მასის დათრგუნვას, მათდამი მტრობას, მაშინ როდესაც იძულება სრულად ასეთი რამ როდია, არამედ იგი ზოგჯერ შეიძლება მიზნად ისახავდეს პიროვნების, პირიქით, სიყვარულს და არა მტრობას. ესე იგი იძულებაც არის და იძულებაც.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს განსხვავება ძალადობასა და იძულებას შორის, ერთი რამ კი მაინც ცხადია, რომ ორივე, განსაკუთრებით კი პირველი და მათ შორის მეორეც, მაინც რაღაც უარყოფითი ფენომენებია, რაკიღა ისინი მიმართულია ადამიანის თავისუფალი ნების წინააღმდეგ. ხოლო ადამიანის თავისუფალი ნება ეს ხომ უზენაესი ღირებულებაა ამქვეყნად, თუ იგი ღმრთის ნებას არ ეწინააღმდეგება.

ძალადობის უამრავზე უამრავი სახე არსებობს, დაწყებული ფიზიკურით და დასრულებული ფსიქიკურით, მაგრამ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით მაინც გამოიკვეთა ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ტერორიზმი, ტრეფიკინგი ანდა სექსუალური ძალადობა. განსაკუთრებით ლაპარაკია ამ ბოლო ხანებში ასევე ძალადობის იმგვარ ფორმებზე, როგორებიცაა, დავუშვათ, ოჯახური ძალადობა ანდა ბულინგი, ტროლინგი თუ მისთანანი. ყოველივე მათგანი, რა თქმა უნდა სავსებით მიუღებელია და ეწინააღმდეგება ადამიანთა თავად ბუნებას.

ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი იმის თაობაზედ, ძალადობა შეიძლება თუ არა გვქონდეს ჩვენ, დავუშვათ, ნების არასაწინააღმდეგო შემთხვევაში. ასე, მაგალითად, ძალადობა გვექნებოდა თუ არა ჩვენ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი თავისი ნებით მიაყენებდა ზიანს თავის თავს, მაგრამ მაინც თავისი ნებით, თავისი, საკუთარი ნებით.

ამასთან დაკავშირებით კი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ძალადობა მაინც არ იქნებოდა, ვინაიდან ძალადობის ცნებაში ლოგიკურად იქვე იგულისხმება სწორედ ნების საწინააღმდეგო რამ, ოღონდ საზიანო, მაგრამ მაინც ნების საწინააღმდეგო ქმედება. ასე რომ, რა დრამატულიც არ უნდა იყოს შედეგი ადამიანის საწინააღმდეგოდ, თუ იგი მაინც მისი ნებით ხდება, მაინც არ უნდა იყოს ძალადობა. სხვა საკითხია ის, რომ აქ მაინც გვაქვს რაღაც ზიანი პიროვნების წინააღმდეგ, თუმცა კი ამას სხვა სახელი უნდა დაერქვას.

საქმე ისაა, რომ ძალადობის ცნება, თავისი შინაგანი ლოგიკურობით, გულისხმობს ადამიანისათვის საზიანო, მაგრამ მაინც იმგვარ ქმედებას, რომელიც მისი სწორედ ნების წინააღმდეგაა მიმართული, ე.ი აქ ჩვენ უნდა გვქონდეს თავისუფალი ნება ამ

მიმართულებით, კერძოდ კი იმ მიმართულებით, რომ ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი ზიანს აყენებს, თანაც შეგნებულად, მეორე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს მათი მაინც ნების საწინააღმდეგოდ. ხოლო თუ ესა თუ ის ადამიანი ზიანს აყენებს თავის თავს, ოღონდ მაინც თავისუფალი ნებით, ეს მაინც არ იქნება ის, რასაც სახელად შეიძლება ვუწოდოთ ძალადობა, ვინაიდან აქ ადგილი არა აქვს ამ შემთხვევაში ნების დათრგუნვას. თუმცა, ვიმეორებთ კიდევ ერთხელ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ამ დროს კარგს რასმეს სჩადის.

თუმცა კიდევ, აქ ჩვენ შეიძლება ეგ საკითხი უფრო ღრმა განხილვის საგანი გავხადოთ და ვიფიქროთ, რომ როდესაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფიც კი, როცა საკუთარ თავს ზიანს აყენებს, მართალია, თავისი ნებით, მიუხედავად ამისა იგი, თავის რაღაც „სიღრმეში“, მაინც მოქმედებს ამ ნების საწინააღმდეგოდ და რომ ამ შემთხვევაში თითქოსდა ნებით მოქმედება „სინამდვილეში“ ნების, მართალია, საკუთარი, მაგრამ მაინც ნების საწინააღმდეგო რამ ქმედება შეიძლება იყოს.

და ჩვენ გვგონია, რომ სწორედ ამ მოსაზრებას ეყრდნობა იმ მოაზროვნეთა მსჯელობანიც ამ საკითხზედ, რომლებიც ძალადობას განიხილავენ არამარტო ნების საწინააღმდეგო, არამედ არასაწინააღმდეგო ჭრილშიაც.

ასე რომ, გარკვეული შეთანხმებით, ძალადობა ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სხვისი, ისე საკუთარი ნების საწინააღმდეგო რამ ქმედებადაც კი. და ამით არსებითად არაფერი დაშავდებოდა. თუმცა კი, ვიმეორებთ კიდევ და კიდევ, რომ ნამდვილი ძალადობა იქა გვაქვს, სადაც რომ მაინც სხვისი თუ თუნდაც საკუთარი ნების საწინააღმდეგო რამ ხდება.

საბოლოო ჯამში, ჩვენის აზრით, გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ძალადობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის ნების საწინააღმდეგო რამ ქმედება (თუ აქ ადამიანზეა საუბარი), რომელიც მიმართულია მისი პიროვნების საზიანოდ.

აქედან გამომდინარე კი, ყოველგვარი ქმედება ადამიანის პიროვნების დათრგუნვის მიმართულებით, მისი უფლებების საწინააღმდეგოდ მიმართული, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან იგი მიმართულია ადამიანის ღირსების, მისი უზენაესი უფლების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად“ თავად ღმრთისად ანუ გვირგვინად მთელი მისი ქმნილებისად.

შემწყნარებლობას ანუ ტოლერანტობას რაც შეეხება, ეგ საკითხი პირდაპირ საპირირისპიროა ძალადობის საკითხისა, ვინაიდან ძალადობა ვერ ითმენს საწინააღმდეგოს, და უფრო მეტიც, ებრძვის მას.

„შემწყნარებლობა“ ქართულად და „ტოლერანტობა“ ლათინურად სინონიმები ანუ ტოლმნიშვნელოვანი სიტყვებია ერთმანეთის მიმართ და ისინი აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას.

ხოლო ცნება ტოლერანტობისა თუ შემწყნარებლობისა გულისხმობს სხვისი აზრისა და საქმის მოთმენას, ატანას, როცა იგი ეწინააღმდეგება შენს აზრსა და საქმეს.

შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობის პრობლემა ეგ ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა კაცობრიობისა და იგი დიდ ყურადღებას ითხოვს ჩვენგან, ვინაიდან მისით დიდი სარგებლობა შეგვექმნება ჩვენ, მთელს კაცობრიობას.

საქმე ისაა რომ შემწყნარებლობა თუ ტოლერანტობა ესაა მსოფლჰარმონიის უდიადესი ფაქტორი, რადგანაც ამ შემთხვევაში ხდება მსოფლიოს ყველა ადამიანის ურთიერთშეთანხმება ერთმანეთის „მიღების“ ამბავში. ჯერ ერთი, ნუ განიკითხავ და მერე კი, უფრო მეტიც, რამე შემატე კიდევ სხვას (ოღონდ აქ სხვა საკითხია, პირადი ცოდვებისა თუ საზოგადო ცოდვების კუთხით ვამბობთ ამას თუ არა - მათ შორის კი განსხვავებაა).

ტოლერანტობა თუ შემწყნარებლობა კი არამარტო თანამედროვე კაცობრიობის არამედ, არამედ მთელი ჩვენი ისტორიის „საკვანძო“ საკითხია, ვინაიდან მას, ამ უდიადეს პრინციპს, ემყარება მთელი კაცობრიობის ცხოვრება, რა თქმა უნდა, ნორმატიული ასპექტით ანუ იმ ასპექტით, რომ ეს, მართლაც, ეგრე უნდა იყოს. და თუ ეს ასე არ იქნება, მით უარეს ფაქტისათვის.

შემწყნარებლობა თუ ტოლერანტობა ეს ის „ბერკეტია“ ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც ქმნის „წონასწორობას“ ყოველგვარ ძალთა შორის საზოგადოებაში და მყარდება ერთგვარი „ბალანსი“ ჩვენს ცხოვრებაში. და ამით კი მსოფლიო, რა თქმა უნდა, ხომ იგებს.

შემწყნარებლობის ანუ ტოლერანტობის უამრავზე უამრავი სახეობა არსებობს. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პრინციპითა და საწყისებითაა ეს პრობლემა დაყოფილი ხოლმე, ხოლო დაყოფისას შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობისა ამ შემთხვევაში, გამომდინარე თანამედროვე სიტუაციიდან, რაშიაც იმყოფება დღეს

კაცობრიობა, გამოსაყოფი გვგონია შემწყნარებლობა თუ ტოლერანტობა, უპირველეს ყოვლისა, რწმენის, შემდეგ კი, - რასობრივი, ეროვნული, თუ სხვადასხვა კუთხით.

„ტოლერანტობა“ ლათინური ტერმინია და მომდინარეობს იგი ლათინური სიტყვისაგან „ტოლერანცია“, რაც ქართულად ნიშნავს „მოთმინებას, მომთმენლობას ...“(46).

ტოლერანტობისა თუ შემწყნარებლობის კუთხით ბევრი რამ საინტერესო მომენტებიც შეიძლება აღვნიშნოთ და, აი, აქ კი ჩვენ შეიძლება გამოვყოთ ყველაზე მტკივნეული რამ მომენტები შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობის კუთხით, - შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობისა, დავუშვათ, უპირველეს ყოვლისა, რწმენისა და რასისა თუ ერისა და ა.შ.

შემწყნარებლობისა თუ ტოლერანტობის საკითხში ძალიან საინტერესოა მომენტი „შემწყნარებლობისა შეუწყნარებლობის მიმართ“ (44), რომელსაც ავითარებს ამერიკელი მეცნიერი ჯონ როულზი თავის წიგნში „სამართლიანობის თეორია“.

და, აი, ეს მომენტი ამ ნაშრომისა აქ, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით დაკავშირებულია, თანამედროვე აზროვნების თვალსაზრისით, ე.წ „არატრადიციული“ ორიენტაციების საკითხთან. თუმც კი ეგ ცალკე განხილვის საგანია.

მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა მისი მოსაზრება მაინც სწორედ იმასთან დაკავშირებით, რომ შემწყნარებლობისადმიაც უნდა ვიყოთ შემწყნარებელნი, თუმც კი გარკვეული ზომით. საბოლოოდ იგი მაინც სადღაც ხედავს რაღაც ზომას და აღნიშნავს, რომ საზოგადოებას, სადღაც მაინც აქვს რაღაც თავდაცვის უფლება. და იგი, ამ შემთხვევაში, მოიხმარს ტერმინსაც კი „საზოგადოებისა და მისი სოციალური ინსტიტუტების თავდაცვის გონივრული უფლებისას“, რაც, მისი აზრით, „აღემატება კიდეც შემწყნარებლობის უფლებას“ (44).

დაბოლოს, კიდევ უნდა შევეხოთ ერთ-ერთი ავტორის მოსაზრებას, ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, საინტერესო მომენტთან დაკავშირებით.

ეს ავტორია ჩანდრან კუკატასი, რომლის თანახმადაც შემწყნარებლობა გამოსაჩენია მაქსიმალურად აზრებსა და შეხედულებებში, მაგრამ „სრულიადაც არა დანაშაულისა თუ უპასუხისმგებლობის მიმართ“ (29). მთელი პრობლემურობა ამ საკითხისა, მართლაც, ავტორის აზრით, სწორედ იმაშია, თუ რამდენად შეიძლება ტოლერანტობა გავიგოთ როგორც ტოლერანტობა საერთოდ ყოველივესადმი, და, მისი აზრითაც, იგი

არ შეიძლება გავიგოთ როგორც უკიდეგანო რამ, თუმცა კი იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეალია მორალის თვალსაზრისით.

და სულ ბოლოს, შემწყნარებლობას იმხელა მნიშვნელობა აქვს ჩვენს როგორც თანამედროვე, ისე საერთო ცხოვრებაში, რომ ყოველივე ეს საგანგებოდაც კი ასახულია გაეროს მიერ მიღებულ „შემწყნარებლობის პრინციპების დეკლარაციაში“ 1995 წელს (22), რომელიც ფუნდამენტურ, საფუძველმდებელ იურიდიულ, სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს შემწყნარებლობის საკითხის კვლევის კუთხით.

მაგრამ საბოლოო ჯამში არ არსებობს დედამიწის ზურგზე იმაზედ უფრო სწორი და იმაზედ უფრო მნიშვნელოვანი რამ თვალსაზრისი შემწყნარებლობის ანუ ტოლერანტობის რაკურსით, ვიდრე ესაა ქრისტიანული მოძღვრება საერთოდ და კერძოდ კი, უფლისა და მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს მიერ მოცემული მცნება ადამიანთა მიმართ ამ კუთხით, რომელიც გამოთქმულია სიტყვებით: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

განა თავად უფალი არ გვასწავლის ჩვენ ამასთან დაკავშირებით იმას, რომ ეს ერთი რამ უპირველესია ორ უპირველეს მცნებას შორის? ამასთან იგი იქვე არ განმარტავს იმასაც, რომ ეს მცნება ადამიანისადმი სიყვარულისა თანაბარ რიგში დგას მცნებასთან ერთად, რომელიც მის მიერვე გამოთქმულია სიტყვებით „შეიყვარე ღმერთი შენი“?!

 და, მართლაც, თუ ადამიანმა უნდა შეიყვაროს ადამიანი, ყოველივე ეს გამოვა შემწყნარებლობის გარეშე? კაცობრიობა საოცრად სხვადასხვაგვარი არ არის, ადამიანთა შორის განსხვავების, მათი ინდივიდუალობის კუთხით? და გამომდინარე აქედან კი, თითოეულ ადამიანს სხვა ადამიანების მიმართ არ მოეთხოვება ყოველივე შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში ურთიერთმოთმენა, ურთიერთატანა, და, მითუმეტეს, ურთიერთშეწევნა?

 მაგრამ შემწყნარებლობაც არის და შემწყნარებლობაც და არანაირი შემწყნარებლობა ადამიანის მიერ ადამიანის მიმართ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღმრთის მცნებებს, და სწორედ ეგ უნდა იყოს კრიტერიუმი და საზომი ყოველგვარი შემწყნარებლობის საკითხში.

თანამედროვე აზროვნება მარტო იმის გამო კი არ უნდა იყოს თანამედროვე, რომ იგი მაინცა და მაინც თანამედროვე ეპოქის აზროვნებაა, არამედ იმიტომაც, რომ იგი უნდა იყოს მაქსიმალურად მოწინავე აზროვნება, რომელსაც ემყარება მთელი საკაცობრიო აზროვნების საუკეთესო მიღწევები, ხოლო აქ კი ორიენტირად განმსაზღვრელი უნდა იყოს ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც მოგვიწოდებს, არ განვიკითხოთ

ერთმანეთი ჩვენს პირად ცოდვებში, თუმცა კი დავგმოთ ყოველივე დასაგმობი ღმერთის მცნებებთან დაპირისპირებისას ჩვენს საზოგადო ცოდვებში.

ასეთია, ჩვენის აზრით, ძალადობისა და შემწყნარებლობის საკითხის სწორი თეორიული ანალიზი.

დასკვნა

„თანამედროვე აზროვნების შესავალი“ გულისხმობს თანამედროვე ეპოქის მოწინავე აზროვნების ერთგვარ მოკლე ვარიანტს ამ შემთხვევაში (სხვა შემთხვევაში კი იგი იგულისხმებდა თანამედროვე აზროვნების თეორიის საკუთრივ მხოლოდ შესავალს ამ კურსის შემდგომ - ძირითად ნაწილთან - მიმართებით).

როცა თანამედროვე აზროვნების კურსზეა საუბარი, რა ამ ვარიანტშიაც არ უნდა იყოს ჩვენი მსჯელობა, იგი მაინც გულისხმობს ამავე დროს თანამედროვე აზროვნების თეორის გადმოცემას.

თანამედროვე აზროვნება ესაა ზოგადად, რა თქმა უნდა, და აბსტრაქტულად, თანამედროვე ეპოქის აზროვნება, მაგრამ იგი კერძოდ და კონკრეტულად არის გლობალიზაციის ეპოქის აზროვნება, გლობალიზაციისა, იმიტომ რომ, სწორედ ეგ გლობალიზაციაა ის, რაც „განმსჭვალავს“ სწორედ ამ, ჩვენს თანამედროვე ეპოქას, განსხვავებით კაცობრიობის უწინდელი ეპოქებისაგან.

ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი თაანამედროვე აზროვნება ესაა გლობალიზაციის ეპოქის აზროვნება, გამოდის, რომ ეს აზროვნებაც არის გლობალური აზროვნება. და, აი, სწორედ ეგ არის, ჩვენის აზრით, ყველაზე მთავარი მახასიათებელი ამ აზროვნებისა, ოღონდ სრულიად ზოგადი და აბსტრაქტული გაგებით.

ასე რომ, ყოველი სხვა, ამ შემთხვევაში, კერძო მისი თავისებურებანი, მართლაც რომ „განმსჭვალულია“ ამ ფენომენით, ე.ი. გლობალიზაციის ფენომენით.

ხოლო, რაც შეეხება იმ კერძო თავისებურებებს თანამედროვე აზროვნებისას, რომლებიც ჩვენ აქ, ამ ნაშრომში წარმოვადგინეთ, ესენია: 1. ლიბერალურობა, 2. კრეატიულობა, 3. პლურალურობა.

მაგრამ, აი, აქ ჩვენ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ერთი ფრიად დიდი რამ მომენტი ამასთან დაკავშირებით.

თანამედროვე აზროვნება ჩვენ აქ ისე მთლად სწორხაზოვნად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ და გავიგოთ, თითქოსდა იგი რაიმე სრულიად განსაკუთრებულს რამეს შეიცავდეს, ვიდრე აქამდე არსებული აზროვნება შეიცავდა, არამედ თანამედროვე აზროვნება ჩვენ გვესმის როგორც ისეთი რამ, რაც თავის თავში „იკრებს“ ყოველივე საუკეთესოს, რაც კი რამ აქამდე კაცობრიობას შეუმუშავებია. თორემ რა გამოვიდოდა? გამოვიდოდა ისე, თითქოსდა დღევანდელი ჩვენი აზროვნება სრულიად განსხვავებული იყოს ყველა თავის დეტალებში უწინდელი

აზროვნებისაგან. მაგრამ ასეთი რამ ლოგიკურად და ფაქტიურად შეუძლებელი რამ იქნებოდა, ვინაიდან აწმყო ხომ მერეა წარსულისა და იგი იმ წარსულის ნაყოფებით იკვებება. მოკლედ აქ ჩვენ გვაქვს წარსულისა და აწმყოს, ტრადიციულისა და არატრადიციულის ერთგვარი რაღაც „ჰეგელიანური“ რამ ხედვა მოვლენებისა, როცა თანამედროევეობა ანუ ახალი „ინახავს“ რაღაცას ძველისაგან, რაც კი რამ სასარგებლოა ახლისათვის.

ასე რომ, თანამედროვე აზროვნებაც, ბუნებრივია, თავის თავში მოიცავს, ჩვენის გაგებით, იმ ძველი აზროვნების საუკეთესო მომენტებს. ხოლო ეს მომენტები საუკუნეობით იქმნებოდა, კაცობრიობის „გონიერ ჭიდილში“ თავისი ისტორიის გზაზედ.

მაგრამ და კიდევ მაგრამ, აქ მთავარი ეგ როდია, ანუ ისტორიული მემკვიდრეობის ამბავი თავისი რეალური ასპექტით, არამედ აქ მთავარი მაინც არის ნორმატიული და არა ფაქტიური ასპექტი ამ თანამედროვე აზროვნების ფენომენისა ანუ მოვლენისა. ხოლო სწორედ აქედან გამომდინარე, ვამბობთ ჩვენ იმას, რომ თანამედროვე აზროვნება ესაა ლიბერალური, კრეატიული, პლურალური აზროვნება, ოღონდ, ვიმეორებთ კიდევ, ნორმატიული და არა მაინც და მაინც ფაქტიური აზრით, ვინაიდან ფაქტიურად ჩვენი ეპოქის აზროვნებაც როდია ეგეთი მუდამ და ყველგან.

და მაინც ეგ არ არის მთავარი, მთავარია თანამედროვე ეპოქის აზროვნება იყოს სწორედ ეგეთი, რაც შეიძლება მუდამ და ყოველთვის, რათა იგი იყოს, მართლაც, „თანამედროვე“ ანუ მოწინავე და სწორედ ამ აზრით ვამბობთ ჩვენც იმას, რომ თანამედროვე აზროვნების ძირითადი ნიშან-თვისებანია მისი სწორედ ლიბერალურობა, კრეატიულობა, პლურალურობა, როგორც საერთოდ ყოველგვარი აზროვნების საუკეთესო რამ, იდეალური რამ ნიშან-თვისებანი.

გამომდინარე კი იქიდან, რომ თანამედროვე აზროვნება ფაქტიურად გლობალური აზროვნებაა, გლობალიზაციის საკითხიც, რა თქმა უნდა, ამ კურსის უპირველესი პრობლემა იქნებოდა და არის კიდეც.

გლობალიზაციის საკითხი, მართლაც, უპირველესი პრობლემაა თანამედროვე კაცობრიობისა თანამედროვე აზროვნების კუთხით.

და საერთოდაც, ყოველგვარი საკითხი, რომელიც კი წინ წამოიწია კაცობრიობის წინაშე თანამედროვე ეპოქაში, ეს არის გლობალური, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა კი მაინც პრობლემა. ე.ი. თანამედროვე აზროვნების თეორიის უპირველესი საკითხები თუ

თემები ეს ე.წ. თანამედროვე სოციალური თუ ნატურალური, უფრო მეტად კი - სოციალური პრობლემებია, პრობლემებია სახელდობრ.

ხოლო თანამედროვე აზროვნების უპირველეს საზრუნავს სწორედ რომ სოციალური პრობლემები წარმოადგენენ, ვინაიდან, თუ ჩვენი ცხოვრების სწორედ საჭირბოროტო საკითხები არ იქნება ჩვენი აზროვნების საგანნი, აბა, მაშინ, ლოგიკურადაც კი, მეტი სხვა რაღა უნდა იყოს მისი ყურადღების „ცენტრში“? სიძნელეებსა და სირთულეებს ხომ სწორედ პრობლემები თუ გამოწვევები ქმნიან განსაკუთრებით და არა უბრალო რამ რიგითი მოვლენები, ვინაიდან სწორედ ამ მთავარი პრობლემების გადაჭრით უფრო არსებითად გადაიჭრება კიდეც ჩვენი ცხოვრების სიძნელენიც.

ხოლო იმ ძირითად, მსოფლიო მნიშვნელობის, გლობალურ პრობლემათა რიგში ჩვენც ამ ნაშრომში გამოვარჩიეთ ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: თავისუფლების, დევიაციის, გენდერის, უმცირესობათა, ძალადობისა და შემწყნარებლობის და არატრადიციული ორიენტაციების პრობლემები, რაც ძალიან აწუხებს კაცობრიობას.

ხოლო ყველა იმ საპრობლემო თემასთან დაკავშირებით, რომელიც კი ჩვენ „გავიარეთ“ ამ კურსში „თანამედროვე აზროვნების შესავლის“ სახელით, უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ისინი ჩვენ აქ განხილული გვაქვს ზოგად, ფილოსოფიურ ჭრილში. ასე რომ, თანამედროვე აზროვნების ჩვენეული გადმოცემა ეს თანამედროვე აზროვნების სწორედ ფილოსოფიური ხედვაა ანუ თეორიაა სწორედ. ამიტომაც, ნაშრომის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ არც შევდივართ ამ პრობლემების კონკრეტიკაში.

აზროვნების ლიბერალურობის, აზროვნების კრეატიულობის, აზროვნების პლურალურობის პრობლემები, ასევე: გლობალიზაციის, თავისუფლების, დევიაციის, უმცირესობის, გენდერის, ძალადობის, შემწყნარებლობის, არატრადიციული ორიენტაციების პრობლემები, რომლებიც ჩვენს წიგნშია განხილული, თანამედროვეობის, მართლაც, უაქტუალურესი და უმწვავესი პრობლემებია. ამასთან ეს უკანასკნელი პრობლემები მოითხოვენ მათს განხილვას სწორედ ლიბერალური, კრეატიული, პლურალური აზროვნების პრიზმაში ანუ განასერში ანუ ჭრილში, ე.ი. საჭიროა ამ პრობლემების ხედვა აზროვნების სწორედ ამ აღნიშნულ მოწინავე ნიშან-თვისებათა შუქზე, მათს საფუძველზე, მათს ბაზაზე. და თანამედროვე აზროვნების ამ სამი ჯეროვანი ნიშან-თვისების საფუძველზე აღნიშნულ სოციალურ პრობლემათა განხილვა არის სწორედ თანამედროვე აზროვნების თავისებურებაც სახელდობრ.

თანამედროვე აზროვნება მთელი თავისი ჯეროვანი ნიშან-თვისებებითა და თავისი აქტუალობით გამორჩეული თემებითაც ესაა თანამედროვე ეპოქის ერთგვარი სულიერი ორიენტირი. და, მართლაც, განა ჯეროვანი, მოწინავე აზროვნება

ლოგიკურადაც არ უნდა იყოს სოციალური პროგრესის, საზოგადოების წარმატების ნამდვილად უპირველესი ფაქტორი? განა სულიერი ფაქტორი არაა ჩვენი ცხოვრების უმთავრესი, განმსაზღვრელი ფაქტორი?

ასე რომ, უაღრესად დიდია თანამედროვე აზროვნების როლი თანამედროვე ეპოქის და, საერთოდაც, ჩვენს საზოგადოებრივ, სოციალურ ცხოვრებაში, ვინაიდან სწორედ იგი წარმართავს მას მთელი თავისი სისავსით. სულიერი ფაქტორი ხომ „განსმჭვალავს“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნებისმიერ სხვა ფაქტორს სოციალური ცხოვრებისას.

ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ „თანამედროვე აზროვნების“ თეორიის მთელი, შეძლებისდაგვარად, რიგი საკითხები. უფრო სწორედ, ჩვენ აქ წარმოვადგინეთ ერთგვარი კურსი ამ თეორიისა, მთელი თავისი მთლიანობით.

მართალია, ჩვენს წიგნში შესაძლოა იყოს ბევრი რამ მიუღებელი სხვა ავტორთა თუ მკითხველთათვის, მაგრამ ამ არგუმენტით პრინციპში ვერც ერთი წიგნი ვერც კი დაიწერებოდა. რაკიღა ჩვენი ნაშრომი ეხება სწორედ თანამედროვე ეპოქის აზროვნების წესს, რომელსაც უპირველესად მოეთხოვება იყოს იგი თავისუფალი, ჩვენც საკუთარ თავს, აქედან გამომდინარე, მივეცით უფლება „ჩვენებურად“ განგვეხილა თანამედროვე აზროვნებისათვის საინტერესო მთელი რიგი საკითხები. თუმცა „ჩვენებურად“ აქ როდი ნიშნავს „თვითნებურს“, არამედ სწორედ იმას, რომ ჩვენ, ვითვალისწინებთ რა მთელი საკაცობრიო აზროვნების ისტორიის მონაცემებს, მართალია, „ჩვენებურად“ კი, მაგრამ მაინც ამ მასალის გათვალისწინებით განვიხილეთ ეს საკითხები.

როგორც ჩანს, აქ - საკითხის, ამ შემთხვევაში, მთელი საგნის გადმოცემისას - როგორც ყოველთვის მაინც მთავარია მსოფლმხედველობა და ყოველი ავტორი თავისი მსოფლმხედველობით ხედავს ყველაფერს. და თუ ჩვენც ამ მხრივ ყველა ის საკითხი, რაც აღნიშნული სასწავლო თუ სამეცნეირო კურსის ფარგლებში წარმოვაჩინეთ, ჩვენებური ხედვა, რაც შეიძლება სხვა ვინმეთათვის არ აღმოჩნდეს სწორი, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ ცდასაც ამაო ნაყოფი არ გამოუღია, ვინაიდან ყოველკგვარი მსოფლმხედველობა, თუ იგი ფუნდამენტურად არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის ინტერესებს, მაინც როდია ამაო, არამედ სასარგებლოც კი, ვინაიდან იგი გარკვეულ მასალას წარმოადგენს შემდგომი კვლევისათვის.

დაბოლოს, აქ ჩვენ, ჩვენის მხრიდან, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის მომენტიც, რომ ამ წიგნში ჩვენი განაზრებანი უფრო აბსტრაქტულია და ხოგადი, ამიტომ მასში ვერ მოიძიება საწინააღმდეგო რამ, რათა მკითხველი არ შეცდეს და გაუმართლებელი პრეტენზიები ანუ მოთხოვნები არ წაგვიყენოს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ ეგ იყო - ფილოსოფიური ანუ ზოგადი განაზრებანი ჩვენს თემაზე. ხოლო ფილოსოფია ხომ „გვირგვინია“ მეცნიერებათა. სხვა მხარენი კი - კერძონი და კონკრეტულნი - დაე, გამოიძიონ სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებმა.

ავტორი 2023

P.S ნაშრომის ავტორი კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის დიდ მადლობას უხდის **მარიამ შონიას,** რომელმაც ოპერატიულად და აკურატულად შეასრულა თავისი სამუშაო.

მითითებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. – www.supremecourt.ge
2. გლობალიზაცია. – Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
3. **გაფრინდაშვილი რ.** ფსიქოლოგია: ლექციების კურსი. თბ., 2001.
4. **გოგიბერიძე მ.** ფილოსოფიის ისტორია. ტ.1. - რჩ. ფილოს. თხზ., ტ. 111. თბ.,1972.
5. **ვაჟა-ფშაველა**. კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი. – www.amsi.ge.
6. **ზდრავომისლოვი ა.** სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა. თბ.,1975.
7. **კალჰუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს.** სოციოლოგია. თბ., 2008.
8. მასკულიზმი. – ka.wikipedia.org.
9. საქართველოს კონსტიტუცია. – www.president.gov.ge.
10. უმცირესობა. - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
11. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
12. ფემინიზმი. – ka.wikipedia.org.
13. ფემინიზმი. - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
14. **შოთა რუსთაველი.** ვეფხისტყაოსანი. თბ., 1986.
15. ძალადობა. – Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
16. **ჭავჭავაძე ი.** მგზავრის წერილები. – wicisource.org.
17. **ჭავჭავაძე ი.** სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი. – dspace.nplg.gov.ge.
18. **ჰეგელი გ. ვ. ფ.** გონის ფილოსოფია //თარგმანი გერმანულიდან ნ. ნათაძის. თბ.,1984.
19. **Гидденс Э.,** при участии **Карен Бердсолл**. Социология. М., 2005.
20. Глобализация. – ru.wikipedia.org.
21. Группы меньшинств. – ru.wikipedia.org.
22. **Гусейнов А. А.** Насилие. – Большая российская энциклопедия. – bigenc.ru.
23. Девиация. – ru.wikipedia.org.

24. Декларация принципов терпимости. – www.um.org.

25. Догматизм. – Философский энциклопедический словарь. М., 1983.

26. Догматизм. – Философский словарь Спонвиля. М., 2012.

27. **Зорин В.И.** Догматическое мышление. – Евразийская мудрость от А до Я: толковый словарь. Алматы, 2002.

28. Космополитизм. – ru.wikipedia.org.

29. **Кукатас Ч.** Терпеть нетерпимое. – inliberty.ru (old.onliberty).

30. **Ламетри** Ж. Опыт о свободе высказывания мнений. – Соч-ия. М., 1983.

31. ЛГБТ. – ru.wikipedia.org.

32. **Ленин В. И.** Партийная организация и партийная литература. – ПСС,5-ое изд.,т.12.

33. О духе законов. – ru.wikipedia.org.

34. Плюрализм. – ru.wikipedia.org.

35. Принцип дополнительности. – ru.wikipedia.org.

36. Равенство полов. – ru.wikipedia.org.

37. **Серов В.** Всё течёт, всё меняется. - Энциклопедический словарь крылатых слов и выражений.М., 2005.

38. **Ситковский Е.** Догматизм. - Философская энциклопедия: в-5 т. М., 1960-1970.

39. Словарь-справочник по философии для студентов. Ставрополь, 2009.

40. **Смелзер Н.** Социология. М.,1993.

41. **Соколовский С. В.** Меньшинства. - Большая российская энциклопедия. – bigenc.ru.

42. **Сталин И.В.** Речь на ×× съезде КПСС: 14 октября 1952 года. - Соч-ия, т. 16. М., 1977.

43. Теория стакана воды. – wikipedia.tel.

44. Терпимость. – ru.wikipedia.org.

45. **Тишков В. А.** Меньшинство этническое. – Новая философская энциклопедия. М., 2010. – iphlib.ru.
46. Толерантность. – ru.wikipedia.org.
47. Традиционное, критическое и догматическое мышление. – uchebnik-ekonomika.com.
48. Учение об “идолах”. – kph.ffs.nru.edu.ua.
49. **Энгельс Ф.** Анти-Дюринг. – К. Маркс и Ф. Энгельс. Соч-ия, 2-ое изд., т. 20. М., 1961.
50. **Энгельс Ф.** Диалектика природы. – К. Маркс и Ф Энгельс. Соч-ия, 2-ое изд., т. 20. М., 1961.